

მეცნე

---

ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

1.1973

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
განყოფილება

---

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
Отделение общественных  
наук

თბილისი-1973 ТБИЛИСИ



ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
ალ. გვახარია (რედაქტორი), ქ. ლომთათიძე, ე. შეტრეველი, ს. ცაიშვილი,  
შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Бирамидзе А. Г. (редактор).  
Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (заместитель редактора).  
Ломтатидзе К. В., Метრელი Е. П., Цайшвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.III.73; შუკვ. № 3054; ანაწილის ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16,მ; საარტიკულო-საგამომცემლო  
თაბახი 14.74; უე 00964; ტირაჟი 1500.  
ფასი 1 მან.

\*  
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

\*  
საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

ვ. აბრამიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“ და „შეგირდი“	7
ბ. ღარჩია, ტარიელის ანდერძი და ეფემისტყაოსნის გავრცელებების ზოგიერთი რედაქციური საკითხი	25
რ. სირაძე, გრიგოლ ნოსელის „ძიება სულისათვის“ ძველ ქართულ მწერლობაში და მისი მნიშვნელობა	34
ე. პასილაშვილი, „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ავტორი და წარმოშობა	43
შ. ცინცელიანი, აკვილასა და სეიმასოსის ვარიანტები ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში	54
ზ. შუბიანიძე, თანამედროვე ხალხური პოეტური სემანტიკის საკითხები	66
ლ. მამულაია, აბუ ალი ალ-ფარისის „ათ-თაქმილა“	80
ლ. მკვალაძე, ცხოვრება და მოქალაქობა და ამისა შემდგომად წამება წმიდისა მღვდელმთწმინდა გრიგოლ პართეველისაჲს ქართული ხელნაწერები და მათი ურთიერთშიმართება	89
ქ. ფიქრიაშვილი, კაუზატორ ზენათა შესაბამე სერიის ფორმები ახალ ქართულში	101
პ. მამაძარიაანი, ენობითი სუფიქსური ტიპის ვენეზიის საკითხი ქართველურ ენებში	107
ე. მასაროვლიშვილი, კახურის ზოგიერთი თავისებურება ყვარლის მეტყველების მიხედვით	122
ლ. ჩხენკელი, რთული წინადადების ტრანსფორმაციული ანალიზი ქართული ენის მასალაზე	128
მ. გონიაშვილი, თანხმოვანთა ზოგი კომპლექსი ნახური გუგუის ენებში	143
ნ. ნოზაძე, ტრანზიტივი და ინტრანზიტივი ზმნები ხურიტულში	153

## ც ნ ო ბ ე ბ ი და შ ე ნ ი შ უ ნ ე ბ ი

ი. ბაჩჩიაშვილი, ქართულ გადაწერა ერთი ოჯახი და მათი საქმიანობა	165
---	-----

## ა უ ბ ლ ი კ ა ს ი ა

ბ. უტიე, ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში	173
---	-----

## კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

პრ. მარტიროსოვი, ქართული გრაფიკული აზროვნების განვითარების ისტორიიდან	176
---	-----

## ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ შ ო რ მ ა ს ი ა

სამკოთა კავშირის შექმნის 50 წლისათვის მიუძღვნა	186
--	-----

აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ხსოვნა	190
---------------------------------------	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

Э. АБРАМИШВИЛИ, «Трагедия без героя» и «Ученик» Нико Лордкипанидзе (к вопросу о новелле)	7
Б. ДАРЧИА, Завещание Тармела и некоторые редакционные вопросы продолжений «Вепхисткаосани»	25
Р. СИРАДЗЕ, «О душе» Григория Нисского в древнегрузинской литературе и его значение	34
Э. БАСИЛАШВИЛИ, Автор и происхождение «Жития Илариона Палестинского»	43
У. ЦИНДЕЛИАНИ, Маргиналии Аквилы и Симмаха в древнегрузинском переводе Ветхого Завета	54
Г. ШЕТЕКАУРИ, Вопросы современной народной поэтической семантики	66
Л. МАМУЛИА, «Ат-Такмила» Абу Али ал-Фариси	80
Л. ГВАЛАДЗЕ, Грузинские рукописи «Жития Григория Просветителя» и их взаимоотношения	89
Ж. ПЕЯКРИШВИЛИ, Формы третьей серии каузативных глаголов в новогрузинском языке	101
Г. МАЧАВАРИАНИ, К вопросу о генезисе суффиксального типа страдательного залога в картвельских языках	107
Э. МАХАРОбЛИШВИЛИ, Некоторые особенности кварельской речи кахетинского диалекта	122
Л. ЧХЕНКЕЛИ, Трансформационный анализ сложного предложения на материале грузинского языка	128
Т. ГОНИАШВИЛИ, Некоторые согласные комплексы в языках нахской группы	143
Н. НОЗАДЗЕ, Транзитивные и интранзитивные глаголы в хуритском	153

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

И. ГАЧЕЧИЛАДЗЕ, Об одной семье грузинских переписчиков и их деятельность	165
--	-----

### ПУБЛИКАЦИЯ

Б. УТИЕ, Одна страница грузинского ханметского лекционария в Париже	173
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. МАРТИРОСОВ, Из истории развития грузинской грамматической мысли	176
--	-----

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Посвящается 50-летию образования Советского Союза	186
Памяти академика Георгия Чубинашвили	190

## შ ე რ ი ლ ე ბ ი

წლისო აბრამიშვილი

ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უშვიროდ“ და „უშვიროდ“

(ნოველის საკითხისათვის)

ნოველის საკითხი ლიტერატურათმცოდნეობაში მეტად თავისებურად დგას. რიგი მკვლევრებისა (ბ. ტომაშევსკი, მ. იუნოვიჩი, ბ. ბეგაკი, ივ. ვინოგრადოვი, ა. სოსკინი, ვ. გოლუბკოვი და სხვ.)<sup>1</sup> ნოველას მოთხრობასთან (рассказ) აიგივებს.

მ. იუნოვიჩი წერს: „Наряду с наименованием Н., ставшим междупродным, существуют равнозначные наименования того же жанра: франц.— conte, fable, нем. Sch.wank, Märe, Geschicht, англ. short story, русск.— рассказ, сказка“<sup>2</sup>. უმეტესად ნოველის სწორედ ამდგვარი განმარტებაა მოცემული სახელმძღვანელოებში, ლექსიკონებშია თუ ენციკლოპედიებში<sup>3</sup>.

მეორე მხრივ, მკვლევართა გარკვეული ნაწილი დაბეჭდვით აცხადებს, რომ ნოველა დამოუკიდებელი ჟანრია<sup>4</sup>. მაგრამ ამავე დროს მეტად სიმპტომატურია, რომ ამ ჟანრის არსებითი, განმასხვავებელი ნიშნის შესახებ არამცთუ არ არსებობს შეთანხმება, არამედ უმეტესად ერთმანეთის გამომრიცხავ შეხედულებებს ვხვდებით. ასე მაგალითად, ზოგიერთის აზრით, ნოველას აუცილებლად საფუძვლად უნდა ედოს „არაჩვეულებრივი“, „არნახული“, „გაუგონარი“, „უცნაური“, რაღაც სიახლის შემცველი ამბავი (გოეთე, ლემა-

<sup>1</sup> Б. То м а ш е в с к и й, Теория литературы, Поэтика, М.-Л., 1927, гл. 191; Б. Б е а к, Советская повелла, «Знания», 1935, № 7, гл. 243; Ив. В и н о г р а д о в, Борьба за стиль, Л., 1937, гл. 68—69; А. С о к и н и, Возможности жанра, «Звезда», 1953, № 3, гл. 145; В. Г о л у б к о в, Мастерство А. П. Чехова, М., 1958, гл. 21.

<sup>2</sup> Литературная энциклопедия, том восьмой, М., 1931, гл. 113.

<sup>3</sup> Б. То м а ш е в с к и й, Теория литературы, 1927, М.-Л., гл. 191. А. Т и м о ф е е в, Прелюды теории литературы, М., 1955, гл. 64; Энциклопедический словарь, том XXI; Издатель: Ф. А. Б р о к г а у з, И. А. Е ф р о н, 1897, гл. 251; Большая советская энциклопедия, М., 1955, гл. 36, 69—70.

<sup>4</sup> И о г а н П е т е р Э к к е р м а н, Разговоры с Гете, М.-Л., 1934, гл. 334.; Е. А. Р о с, Hawthorne's Twice-Told Tales, 1812; Э. Ж а б а р, Средневековые флорентийские повеллисты, СПб., 1905; Р. М ю л л е р - Ф р е й н ф е л д е, Поэтика, Харьков, 1923; Б. Э й х е н б а у м, Как сделана шинель Гоголя, в кн. Литература, теория, критика, полемика, М., 1924; მ ი ს ი ე ვ, ო'Гვირი და თეორია პოველას, «Звезда», 1925, № 6; М. П е т р о в с к и й, Морфология повеллы, М., 1927; В. Ш к л о в с к и й, О теории прозы, М., 1929, гл. 69—73; მ ი ს ი ე ვ, О повелле, в кн. «Художественная проза, размышления и выборы», М., 1961; И. Э в е н т о в, Возвышение повеллы, «Литературный современник», 1935, № 12; Benmowl B. von W i e s e, Die deutsche Novele von Goethe bis Kafka, Düsseldorf, 1956.

ნი, გ. პოსპელოვი, ნ. კაკაბაძე). სხვათა შეხედულებით კი ნოველა შესაძლებელია აგებული იყოს სრულიად „უმნიშვნელო“ და ჩვეულებრივ ამბავზეც (ტიკი, მ. პეტროვსკი, ვ. შკლოვსკი, მ. იუნოვიჩი).

მკვლევართა დიდი ნაწილი ნოველის განმსაზღვრელ ნიშნად მისი სიუჟეტის შემოფარგულობას მიიჩნევს. მათი აზრით, ნოველაში განსაზღვრებული უნდა იყოს ერთი შემთხვევა, ერთი ეპიზოდი, ცხოვრების ერთი მონაკვეთი (ა. პირში, ბ. ვიზე, ბ. ტომაშევსკი, მ. იუნოვიჩი, გ. პოსპელოვი, ი. ევენტოვი, ნ. კოტეტიშვილი, დ. ბენაშვილი, ნ. კაკაბაძე, მ. გვეტაძე).

მეორეთა აზრით, ნოველაში შესაძლებელია განსაზღვრებული იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ეპიზოდი (მ. პეტროვსკი, ივ. ვინოგრადოვი).

ერთი ჭკუფი მკვლევრებისა ნოველის განმსაზღვრელ ნიშანს პერსონაჟთა ხასიათებში ეძებს. მათი აზრით, ნოველაში მოქმედ პირთა მზა, სტატიკური ხასიათებია მოცემული (ფ. შპილგაგენი, გ. პოსპელოვი, ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია, ვ. ცისკარიძე, ნ. კაკაბაძე).

მეორენი ფიქრობენ, რომ ნოველაში შესაძლებელია ნაჩვენები იყოს პერსონაჟის სულიერი განვითარებაც (ა. ვესელოვსკი, მ. პეტროვსკი, მ. იუნოვიჩი, რ. მიულერ-ფრაინფელსი).

გარდა ამისა, ნოველის არსებით ნიშნად ასახელებენ: ამბის მოულოდნელ შემობრუნებას (ტიკი) და მოულოდნელ ფინალს (ბ. ეიხენბაუმი, მ. პეტროვსკი); მოქმედების ერთიანობას (ივლისხმება მტკიცედ შეკრული, კომპაქტური კომპოზიცია და სიუჟეტი (პ. ჰეიზე, ლემანი, ბ. ეიხენბაუმი, მ. პეტროვსკი, ვ. კოტეტიშვილი, ნ. კაკაბაძე, მ. გვეტაძე) და ეფექტის, შთაბეჭდილების ერთიანობას (ელგარ პო).

ჩვეულებრივ, ნოველისათვის დამახასიათებლად თვლიან აგრეთვე: დამაბულობას, დინამიკურობას და თხრობის სწრაფ ტემპს (მ. პეტროვსკი, ბ. ეიხენბაუმი, რ. მიულერ-ფრაინფელსი, კ. პაულტოვსკი და სხვ.).

საინტერესოა ასევე, რომ, ზოგიერთის აზრით, ნოველის ცნება სტილისტიკურ გაგებას გულისხმობს (რ. მიულერ-ფრაინფელსი, ვ. შკლოვსკი).

ლიტერატურულ ფაქტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ნოველა შესაძლებელია აგებული იყოს როგორც არაჩვეულებრივ, ასევე სრულიად ჩვეულებრივსა და ყოველდღიურ ამბავზეც (ვი დე მოპასანის, თომას მანას, პროსპერ მერიმეს, ჩეხოვისა და თითქმის ყველა თანამედროვე მწერლის ნოველები უმეტესად სწორედ ჩვეულებრივ ამბებზეა აგებული); ნოველაში შესაძლებელია მოცემული იყოს მოქმედი პირის ცხოვრებიდან არა მარტო ერთი გარკვეული მონაკვეთი, არამედ თითქმის მთელი მისი ცხოვრებაც (ვტჟავთ. ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“); მასში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მოქმედი პირის როგორც მზა, სტატიკური ხასიათი, ასევე ნაჩვენები იყოს პერსონაჟის სულიერი განვითარებაც, მისი პიროვნებას მთლიანი გარდატეხა (მოპასანის „მთვარის შუქი“); ნოველის ფინალი შეიძლება იყო მოულოდნელიც (ოქენრის „უკანასკნელი ფოთოლი“) და მოსალოდნელიც (პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“) და ა. შ.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ნოველის სპეციფიკურ-განმასხვავებელი ნიშნის სხვადასხვაგვარი განსაზღვრება. როგორც ჩანს, ყოველი განსხვავებულ-

ლი დეფინიციის მქონე ავტორს მხედველობაში ნოველის გარკვეული ნიმუში აქვს.

მიუხედავად ამ აზრთა ნაირსახეობისა, ნოველის, როგორც რაღაც თავისებური მოვლენის არსებობის ფაქტი, უდავოა. არ არსებობს ნოველის ზუსტი განსაზღვრება, მაგრამ არსებობს თვით ნოველა. თუნდაც ის, რომ პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“ ყველას ნოველად მიაჩნია, ხოლო გლებ უსპენსკის ნაწარმოებზე „Воскресение в деревне“ არავის მოუეა აზრად, რომ მას ნოველა უწოდოს, უკვე ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივი ლიტერატურულ ხედვისათვის ნოველა, როგორც გარკვეული მოვლენა, მოცემულია. მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ მისი არსებითი ნიშნის გამოყოფა გაძნელებულია.

ნოველაზე არსებულ ლიტერატურას რომ გადაეხედოთ, შევამჩნევთ, რომ ყველა დასახელებული „თვისება“ (ნოველის შინაარსის „არაჩვეულებრიობა“, სიუჟეტის კომპაქტურობა, მოულოდნელი ფინალი და სხვა) თუმცა გაურკვეველად, მაგრამ მაინც მიუთითებს რაღაც ზოგადზე: ნოველა უნდა იყოს ემოციური შეტევის მსგავსი.

ჩვენი აზრით, ნოველის არსებითი ნიშანი უნდა ვეჭოთ მისი მიზანდასახულობის ხასიათსა, მასალის გარკვეულ თავისებურებასა და იმ გზებში, რომლებითაც მწერალი ახერხებს ნაწარმოების დედააზრის გამოხატვას.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ნოველაში მიზანი შემოფარგლულია, დავიწროებულ-დაკონკრეტებული, მაგრამ ამავე დროს ჩაღრმავებული და მკაცრად გამოკვეთილი. მიზანდასახულობის ასეთი შემოფარგულობა გარკვევით საზღვრავს განსასახიერებელ მასალასაც. ნოველისათვის განკუთვნილი მასალა თავიდანვე მცირეა. ამის გამოა სწორედ ნოველის ფაბულაცა და სიუჟეტიც შეკუმშული.

ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი, რომ ნოველაში ასახული იყოს მინცდამინც „არაჩვეულებრივი“, „არნახული“, „გაუგონარი“ შემთქვევა. მაგრამ ნოველისათვის ის კი ნიშანდობლივი ჩანს, რომ მასში მოწოდებული მასალა დრამატიზმის შემცველი იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნოველისათვის განსასახიერებელი მასალა მწერლის ჩანათქირშივე უკვე დრამატიზებულია.

ამგვარად, ნოველის აუცილებელ ნიშნებად მიგვაჩნია მიზნისა და დრამატიზებული მასალის შემოფარგულობა. მაგრამ მარტო ამ თავისებურებათა გამო მაინც ვერ ხერხდება ნოველის გამოცალკეება მოთხრობისაგან, რადგან მოთხრობისათვის, მართალია, ეს თვისებები განმსაზღვრელი არ არის, მაგრამ დასაშვები კია.

ნოველის გამოყოფა დამოუკიდებელ ქანრად მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ მოიძებნება ისეთი ნიშანი, რომელიც ნოველას განასხვავებს შემოფარგლული მიზნისა და შემოფარგულივე დრამატიზებული მასალის შემცველი მოთხრობისაგან.

სანიმუშოდ განვიხილოთ ნიკო ლორთქიფანიძის ორი ნაწარმოები „ტრაგედია უგმიროდ“ და „შეგირდი“, რომელთაგან პირველი ნოველაა, ხოლო მეორე — მოთხრობა. ნ. ლორთქიფანიძის ორივე ეს თხზულება სოციალურ პრობლემას ეხება. როგორც ერთში, ისე მეორეში იგულისხმება კაპიტალიზმის შემოჭრის პერიოდი და ამ სისტემის შედეგები. საკითხის გასაშუქებლად მწერალი არჩევს შესაფერის თემას, რომლის კონკრეტულ საგნობრივ ში-



ნაარსს ორივე ნაწარმოებში შიმშილის გრძნობა წარმოადგენს. ფაქტიურად ეს იყო ახალი თემა ქართულ ლიტერატურაში, ყოველ შემთხვევაში მხატვრული განსახიერების საგანგებო ობიექტად ეს თემა ჩვენს სინამდვილეში მანამდე არ შეიმჩნეოდა.

მწერალი თავის დამოუკიდებლობას ამჟღავნებს არა მარტო თემის შერჩევაში, არამედ მის დამუშავებაშიაც. ჩვეულებრივ, სოციალურ თემატიკაზე დაწერილი თხზულებები (ეგულისხმობთ პირველ რიგში ეპიკური და დრამატული ჟანრის თხზულებებს: „სურამის ციხე“, „გაყრა“, „ძუნწი“, „გლახის ხაამობი“ და სხვ.) აგებულია ორი ანტაგონისტური კლასისა თუ ფენის კონფლიქტზე. მათში ნაჩვენებია მიზეზი განხეთქილებისა და ის კონტრასტი, რომელიც არსებობს ამ კლასების მსოფლმხედველობასა, მისწრაფებებსა თუ ყოფა-ცხოვრებას შორის.

ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში კი „ტრაგედია უგმიროდ“ და „შეგირდი“ მოცემულია მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური წესწყობილების შედეგი, კერძოდ, მშრომელი მოსახლეობის გადატყვება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მწერალი როგორც ერთ ნაწარმოებში, ასევე მეორეში მიზნად ისახავს დაგვანახოს არა გაღარიბების პროცესი, არამედ ის, თუ რამდენად დამტანჯველია შიმშილის გრძნობა. ამგვარად, მიზანდასახულობა ორივე ამ თხზულებისა ძალზე დაკონკრეტებულია და შემოფარგლული.

როგორ ახორციელებს ნ. ლორთქიფანიძე ზუსტად ერთსა და იმავე ჩანაფიქრს ორ სხვადასხვა ჟანრის თხზულებაში?

მივმართოთ პირველ რიგში ნოველას „ტრაგედია უგმიროდ“. ნაწარმოებში მონაწილეობას იღებს ხუთი პერსონაჟი: მთავარი მოქმედი პირი — მამა თავისი ორი მცირეწლოვანი შვილით, მოხუცი ქალი (ბავშვების ნათლია) და მეზობელი გლეხი. ორ უკანასკნელ პერსონაჟს ნოველაში ძალზე პატარა როლი აქვს მიკუთვნებული (განსაკუთრებით — მეზობელ გლეხს) და ამდენად ისინი ნაწარმოებში სქემატურად არიან დახატულნი. არ ვიცით არც ერთი მათგანის არც სახელი, არც გვარი, არც ვარგებობა, არც ერთი დეტალი მათი ცხოვრებიდან. ვიცით მხოლოდ ის, რომ ნათლია ღარიბი და კეთილი ქალია. თხზულებაში ის წარმოდგენილია მხოლოდ ხუთი რეპლიკით, ხოლო მეზობელი გლეხი — ერთით.

მეორეხარისხოვანი მოქმედი პირების ასეთ ძუნწ ფერებში დახატვა მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ნ. ლორთქიფანიძე მსგავს დამოკიდებულებას ამჟღავნებს წამყვანი პერსონაჟის მიმართაც. ასევე უცნობია ჩვენთვის ამ მოქმედი პირის სახელი, გვარი, ასაკი, გარეგნობა, წარსული. არ ვიცით მისი ხასიათის არც ერთი თვისება. ნაწარმოებში მოცემულია მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელი მონაკვეთი მისი ცხოვრებიდან და თანაც ისეთი მცირე, რომელიც უთუოდ სამ საათს თუ მოიცავდა. შემოზღუდულია ამ პერსონაჟის სამოქმედო არეც: მისი ქოზი, ეზო, მეზობლის ყანა, — ესაა სულ მისი „ასპარეზი“. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ მწერალი მთელი ნაწარმოების მანძილზე არსად, ორი სიტყვითაც კი, არ იძლევა არც სოფლის, არც ბუნების, არც მოქმედი პირის კარმიდამოს ან მისი საცხოვრებელი ბინის აღწერას. ყველაფერი ეს კი ვარკვევით მიუთითებს მწერლის მიერ განსასახიერებლად შერჩეული მასალის შემოფარგულობაზე.

ჩონჩხი ამ ნაწარმოებისა ასეთია: შიმშილისაგან გაოგნებულ მამას ისე შემოეკეტება მკაფი, რომ ერთ ლუქასაც კი არ გაუწვდის დაძმულ შვილებს. გამოფიხლებიდან ვერ უძლებს სინდისის ქენჯნას და თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

ფაბულა ამ ნაწარმოებისა უკიდურესობამდეა დაწერილი. მაქსიმალურადაა შეკუმშული აგრეთვე ამ ნაწარმოების სიუჟეტიც, რომელიც, აგებულების თვალსაზრისით, ძალზე მარტივია და სადა. ნაწარმოებში არ ვხვდებით არავითარ ჩახლართულ სცენებსა თუ ე. წ. ლიტერატურულ ინტრიგებს, დიალოგებიც კი ძასში ძალზე ძუნწადაა წარმოდგენილი და, რაც მთავარია, ნოველასი არ ჩანს არავითარი წინააღმდეგობა. ერთადერთ, ასე ვთქვათ, „დაპირისპირებულ ძალებად“ ნაწარმოებში შამა და შვილები გამოდიან, რომელთა „ბრძოლის“ საგანს მკადის ნატეხი წარმოადგენს. თანაც შვილების მიერ გაწეული წინააღმდეგობა ძალზე სუსტია. ფაქტიურად ის გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ მათ ხეყვნასა და მუდარაში.

წინააღმდეგობის, გადახლართული სცენებისა და გამწვავებული დიალოგების ასეთი უგულბელყოფა გარკვეული სირთულის წინაშე აყენებს, საზოგადოდ, ყველა პროზაული ეპიკის ძეგრალს და მით უფრო ნოველისტს, რომელთა დიდი უმრავლესობა სწორედ ამ გზით უზრუნველყოფს ნაწარმოებში დაძაბულობას, მძაფრ დრამატიზმს, ემოციურ დატვირთულობასა და დინამიკურობას, რაც ნოველის ნიშანდობლივ თვისებებს წარმოადგენს. მიუხედავად ამ სირთულეებისა, ნ. ლორთქიფანიძე მაინც წარმატებით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს.

წერის მანერის რომელი თვისებებებით აღწევს მწერალი მიზანს? რომელ ხერხებს მიმართავს იგი მკითხველზე სათანადო შთაბეჭდილების მოსახდენად?

„ტრაგედია უგმიროდ“ სამ ნაბეჭდ გვერდსაც კი არ მოიცავს, რაც უკვე გულისხმობს ნ. ლორთქიფანიძის წერის მანერის ერთ-ერთ განმსაზღვრელ სტილურ ნიშანს: წერს ის შეკუმშულად, შეკუმშულია ამ ნოველში არა მარტო თხრობა, არამედ მასალა, ფაბულა, სიუჟეტი.

თხზულების ტექსტი ნ. ლორთქიფანიძეს დაყოფილი აქვს სამ სხვადასხვა ზომის მონაკვეთად, რომელნიც ერთმანეთისაგან აათანადო ნიშნით „X“ არიან გამოყოფილნი. მონაკვეთთა გადაადგილება მთლიანად დაარკვევდა ნაწარმოების კომპოზიციას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ნოველას მკვიდროდ შეკრული კომპოზიციის გააჩნია.

პირველი მონაკვეთი შედგება რვა აბზაცისაგან, მეორე — ოცდათხუთმეტისაგან, ხოლო მესამე — ორი აბზაცისაგან. ასე რომ, მთლიანად ნაწარმოები ორმოცდაექვს პატარ-პატარა ნაწილადაა დაყოფილი. აბზაცების უხვად მოწოდება ნ. ლორთქიფანიძის სტილის ერთ-ერთ თვისებებებს შეადგენს (ამ მანერით აქვს მას შესრულებული მთელი რიგი ნაწარმოებები: „გული“, „თავსაფრიანი დედაკაცი“, „მთვარიანი ღამის ჩრდილში“, „მელოცვა რადიოთი“ და სხვა მრავალი). თხზულების ასეთ დანაწევრებას მწერალი საგანგებოდ მიმართავს. ამ გზით ის წინ წამოსწევს თითოეული მათგანის აზრობრივსა თუ ემოციურ მნიშვნელობას, რის გამოც ისინი უფრო ინტენსიურად მოქმედებენ მკითხველზე.

ნაწარმოების აბზაცები ძალზე მცირე ზომისაა. საგულისხმოა, რომ უმეტესი მათგანი მხოლოდ ერთი ფრაზითაა წარმოდგენილი. თვით წინადადებ-

ბიც ძალზე მოკლეა, უმრავლესობა შეიცავს ერთ, ორ ან სამ სიტყვას. ასე რომ, თხრობის შექმნულ მანერასთან ერთად ამ ნოველის ერთ-ერთ სტილურ ნიშანს უკიდურესობამდე მიყვანილი ლაკონიურობაც შეადგენს, რაც მკითხველში სწრაფი ტემპის შეგრძნებას იწვევს.

დინამიკურობის შეგრძნებას იწვევს აგრეთვე ისიც, რომ მისი მთლიანი აღქმა დროის ძალზე მცირე მონაკვეთში ხდება. შთაბეჭდილება ისეთია, რომ მკითხველი მას სულის ერთი ამოთქმით კითხულობს, ჭერ თითქოს დამთავრებული არც კი აქვს მას შესავალი, რომ უკვე დგება საერთოდ ნაწარმოების დასასრული.

დინამიკურობას ზრდის ასევე კარბად მოწოდებული ზმნებიც, რომელთა დიდი უმრავლესობა განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება.

თუ დინამიკურობის მთავარ წყაროს ამ ნოველაში ლაკონიურობა და ზმნათა სიუხვე წარმოადგენს, სამაგიეროდ დაძაბულობისა და მძაფრ ემოციათა კლიერ ფაქტორად აქ ქვეტექსტები გვევლინება. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ მთელი სიმძიმე მწერალს ამ ნოველაში ქვეტექსტებზე აქვს გადატანილი. თხზულების თითქმის ყველა წინადადების იქით განუზომლად უფრო მეტი იგულისხმება. ვიდრე ეს თითქოსდა ერთი შეხედვით მოჩანს. ამგვარად, ეს ნაწარმოები მთლიანად მკითხველის შემოქმედებით უნარზეა გაანგარიშებული. მწერალი მკითხველს ანდობს ნაწარმოების შინაარსის შევსებას, გაღრმავებას, გაფართოებას, დამთავრებას.

ყველაფერი ეს კი მას, როგორც შემოქმედს, ავალებს იმ სიმაღლემდე აიყვანოს საკუთარი დახელოვნება, რომ სავსებით დაიმორჩილოს მკითხველი და აფიქრებინოს მას ზუსტად ის, რის შესახებაც იგი საგანგებოდ დუმს, მაგრამ რასაც ის გულისხმობს.

მკითხველის მობილიზაციას მწერალი ნაწარმოების დასაწყისიდანვე ახდენს. ტექსტის პირველი აბზაცი იკითხება ასე:

„შეუგნებლად დაერიდა ბავშვები: სივილს — გამოვიდა ქოხიდან... გადაიარა ეზო... უგზო-უცვლოთ მიდიოდა. საღდაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიღვებდნენ ნაპერწყალივით: „ქადი“... „ბავშვები“... „ხარი“... ისევ ადგა, ჭერ შარავზას გაყვა, მერე ორლობეში შეუხვია: დაუძახა ვიღამაც. მობრუნდა“.

ნ. ლორთქიფანიძე თხრობას იწყებს ყოველგვარი შესავლის გარეშე. მან იცის, რომ ამ გზით უფრო აღვილია, მიიზიდო მკითხველის ყურადღება. ამავე დროს ის შეგნებულად დუმს. არაფერს ამბობს, თუ ვინ არის მისი ნაწარმოების მოქმედი პირი, რა დაემართა მას, რით არის გამოწვეული მისი ასეთი მოქმედება; მოგვითხრობს შენიღბულად, მინიშნებით, ნახევრად დაუმთავრებელი ფრაზებით, რაც თავისებურ ემოციებს იწვევს მკითხველში და ამავე დროს აძლევს მას ბიძგს საკუთარი ინტუიციის გამოსავლენად.

„ქოხი“, „ყანა“ უნებურად აფიქრებინებს მკითხველს, რომ ის, ვის შესახებაც მოგვითხრობს მწერალი, სოფელია, გლეხი, თანაც ღარიბი. ხოლო სიტყვები: „შეუგნებლად“, „უგზო-უცვლოდ“, „საღდაც“ კარნახობს მას, რომ ნოველის გმირი აფორიაქებულია, დაბნეული, რასაც კიდევ უფრო ამტკიცებს შემდგომი ფრაზები: „ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიღვებდნენ ნაპერწყალივით“ — აღვლებულია იმ ზომამდე, რომ დაკარგა გაბმული ფიქრის უნარიც კი. და შემდეგ: „ქადი... ბავშვები... ხარი...“

„საიღუმლოება“ ახლა კი გაიხსნა: შია, შია ისეთნაირად, რომ ამ გრძნობამ მთლიანად მოიკცა იგი: ახსოვს პირველ რიგში მქადი, შემდეგ — ბავშვები.

ემოციათა გაძლიერებას ემსახურება აგრეთვე აქ რიტმულობა და მკვეთრად გამოხატული ინტონაცია, რომლებიც თხრობის შეკუმშულ მანერით, წინადადებათა სიმოკლითა და ლაკონიურობით არიან განპირობებულნი.

გარკვეულ ემოციურ ელფერსა და ლირიკულობას ანიჭებს ასევე ნოველის ამ მონაკვეთს მრავალწერტილთა ხშირი ხმარება. მრავალწერტილი აქ მარტო სასვენი ნიშნის ფუნქციას როდი ასრულებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის, ერთი მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ მწერალი ცოტას ამბობს და ბევრს გულისხმობს, ხოლო, მეორე მხრივ, მეტყველად გამოხატავს მოქმედი პირის ფსიქიკურ მდგომარეობას (მის აღელვებას, დაბნეულობას).

საზოგადოდ, მწერალს მთელი ყურადღება გადატანილი აქვს გმირის სულიერი განცდების გამოხატვაზე და ამჭერადაც ის სრულიად ორიგინალურ ხერხს მიმართავს. ნ. ლორთქიფანიძე კი არ მოგვეთხრობს, თუ რას და როგორ განიცდიდა მისი პერსონაჟი, არამედ ძალზე ძუნწად გვაძლევს მისი ფსიქიკური მდგომარეობის მხოლოდ გარეგან გამოხატულებას. ასე რომ, გმირის სულიერ სამყაროს მისი მოქმედებების საშუალებით თუ ვწვდებით.

ნოველის პირველსავე აბზაცში თავმოყრილი წერას მანერის ეს მრავალფეროვანი თავისებურებანი არა მარტო იზიდავს მკითხველის ყურადღებას, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად აჯადოებს მას.

ტექსტის შემდგომ ნაწილში დაძაბულობა კიდევ უფრო მეტად იზრდება. შიმშილის გრძნობა კულმინაციურ წერტილს აღწევს. მამამ დაივიწყა საკუთარი შეილებიც და მთელი მქადი და მწვანელი ისე შექამა, რომ დამშეულ ბავშვებს ერთი ლუკმაც კი არ მიაწოდა, უფრო მეტიც, ქამის სურვილისაგან აღრიალებული ბავშვები ცალი ხელით „მილახა და ლაფორაში გაყარა“.

ნაწარმოებში ვკითხულობთ:

„მქადის სუნმა მამაც აიტაცა. კეციდან ქადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯად“ ლუკმა პირში ჩაიღვია. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღედრა...“

მეორე ლუკმა...

სწუავდა ენას და მაინც სჭამდა.

ბავშვები შემოვარდენ.

— მომეცი, მამა!

— მეც!

— გადით, თქვე გასაწყვეტებო!

— მამა, მამა!!

— მამა, ერთი ლუკმა!

ბავშვები ცალი ხელით მილახა და ლაფორაში გაყარა; იქედანაც თვალზე ცრემლშემხმარი ბავშვები ძაღლებივით კნაოდენ და იძახდენ:

— მამა, გვაქამე!

ყურადღებას არ აქცევდა. მერე ერთიანად ჩაიმუჭა პარში ბავშვების მიერ მოტანილი ოხრახუში და წავიდა...“

ისევე შეკუმშული, მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი ფრაზები, ინტონაციური მახვილების სწრაფი მონაცვლეობა, რაც ნაწარმოებში პირველ რიგში მრავალწერტილებითა და გახშირებული ძახილის ნიშნებითაა გამოხატული და ინტენსიური, ემოციურად დატვირთული ზმნები: „აიტაცა“, „გატეხა“,

„დაბერა“, „სწვავდა“, „შემოვარდენ“, „მილახა“, „გაყარა“, „ქნაოდენ“, „იძახდენ“, „ჩაიმუჯა“.

საგულისხმა, რომ მთელ ამ მონაკვეთში შეიმჩნევა საოცრად ნერვეული სტილი, რაც ზედმიწევნით გამოხატავს ჭამის სურვილით შეპყრობილი ჭამის მოუთმენლობას, მის გამალებულ, სწრაფ მოქმედებას და მადაგალიძებელი და იმედღაწურული ბავშვების სასოწარკვეთილ შეძახილებს.

ნოველაში მოცემულია არა მარტო მშვიერი, არამედ მძლარი ადამიანის ფსიქოლოგიაც. აქაც — მოკვეთილი, უკიდურესად დაწურული ფრაზები და კარბად მოწოდებული მრავალწერტილები, რომლებიც ამჯერად უკვე მძლარი ადამიანის შენელებულ, მოთენთილ მოძრაობას გამოხატავენ:

„წაიდა... გადავიდა ტევრში... მიწვა... კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანე-ბული, თვალხილული, მთვლემავი“.

ამ წინადადებაშიაც აშკარად ჩანს, რომ ნაწარმოების მოქმედი პირი კვლავ გაოგნებულ მდგომარეობაშია, კვლავ არ ძალუძს მას, გაუწიოს ანგარიში თავის მოქმედებას. მაგრამ ამჟამად მისი ასეთი სულიერი მდგომარეობის მიზეზი შიმშილი კი აღარ არის, არამედ მწვავე შიმშილის დაკმაყოფილება, რომელიც ათრობს და ძილის სურვილს ჰკერის კაცს. შიმშილდაოკებული, ძილ-მორეული ადამიანის მდგომარეობაზე მეტყველებენ აგრეთვე მიჭრით მიწყო-ბილი ეპითეტებიც: „გარეტიანებული“, „თვალხილული“, „მთვლემავი“.

სიუჟეტური მოქმედების ხაზი ოდნავ შენელდა. მთლიანად მოიხსნა და-ძაბულობა მოქმედი პირისათვის, მაგრამ არა მკითხველსათვის: მისი რეაქცია გაპირუტყვებული მამის მიმართ თუმცა ოდნავ შესუსტებულად, მაგრამ მაინც კვლავ გრძელდება და აი, ასეთი სრულიად უმნიშვნელო „შევსვენების“ შემდეგ, თითქმის მაშინვე, აშკარად გრძნობ, რომ ახლოვდება დაძაბულობის ახალი ტალღა. დასაწყისი ამ ტალღისა, რომელიც მოქმედი პირის გამოფხიზლებას უკავშირდება, ჯერ კიდევ სუსტია:

„წამოიწია, დაჭდა.

ბავშვების სივილი მოაგონდა“.

გამოფხიზლებას მოსდევს ახალი გრძნობა, სინდისის ქენჯნა, რომლის დასაწყისი გამოხატულია სულ ორი სიტყვით: „მე შევკამე...“ ამ ფრაზის შემდეგ დაძაბულობის ხაზი სწრაფად მიემართება აღმავალი გზით. მამის მწვავე განცდები, მისი უპატივებელი დანაშაულის გრძნობა შეილების მიმართ სულ უფრო და უფრო ცხოველდება და ნოველის შემდგომი ფრაზებით სულ უფრო მეტად იტვირთება გამძაფრებული ემოციებით:

„ბავშვებს არაფერი ვაკამე...

ღმერთო, რა მომივიდა?..

სირცხვილი... ხალხს რაღა უთხრა?!.. ვაი თუ დაიხოცენ...

ადგა, მივიდა ბავშვებთან...

გადაბელილი ბეოლის ძირში მიგდებულებიყენენ... ეძინათ... მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე, თავს იკავებდა: არ გავალციო მანისა რა ვქენი? რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!

უმცროსს გამოეღვიძა. გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.

— მამა!.. — წყნარად დაიწყო ბავშვმა.

— რა, შვილო? — ნაზად უპასუხა.

— მთლად შეკამე?

— !!

— მამა, ცოტა იქნება დაგრჩა — მომეცი... მუცელი მტკივა — არ გამხეღ...

მამას ზღუტუნე წასკდა.

პატარა ბავშვსაც გაეღვიძა „მშია“-„მშიას“ ძახილით.

არც ერთი ზედმეტი სიტყვა, საოცრად დაწურული ფრაზები, იმ ზომადღის, რომ ყველაზე უფრო მტკივნეული განცდები უსიტყვოდ, მხოლოდ ძახილის ნიშნებითაა გამოხატული, არავითარი საგანგებოდ მოხმობილ სახეითი საშუალებახი გარდა ერთი, სრულიად უბრალო ეპითეტისა „პატარა“; მხოლოდ და მხოლოდ საგნები, ზმნები, ორად ორი ემოციურად დატვირთული ზმნისზედა „წყნარად“, „ნაზად“ და ინტონაციური ნიუნანსები. უმძიმეს სულიერ განცდებს და მძაფრი დრამატიზმის შემცველ მოქმენტებს ნ. ლორთქიფანიძე გამოხატავს სრულიად უბრალო, პროზაული სიტყვებით და ამ სისადავით აღწევს სწორედ ყველაზე უფრო მეტ გამოხმატველობას.

შემდეგ მონაკვეთში დამაბულობა უკვე კულმინაციას აღწევს. გადაწყვეტილება მიღებულია: თავს აღარ იცოცხლებს! და აქაც მოკვეთილი ფრაზები, უყეტესად ორი ან ერთი სიტყვისაგან შემდგარი, ცხადად საგრძნობი რიტმულობა, კარბად მოწოდებული აქტიური მოქმედების გამოხმატველი ზმნები, სწრაფი და ენერგიული ტემპი თხრობისა. ყველაფერი ეს ცხოვლად გამოხატავს აფექტის ქვეშ მყოფი ადამიანის სულიერ მდგომარეობას:

„მამა წაიოიკრა, ეზო გადაირბინა. ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა. გავიდა ზეზე. დაჭდა. ბაწარი ტოტს მაგრად მიაბა, მარყუჭი გამოსკენა მეორე ბოლოში, გაშინჯა — კისერზე თუ მომიკერსო და...“

და აი, ასეთი სწრაფი მონაცვლეობა ერთმანეთისაგან განსხვავებული გრძნობებისა (შიშშილი, კმაყოფილება, გამოფხიზლება, სინდისის ქენჯნა) და ბოლოს სიცოცხლის ასეთი ტრაგიკული დასასრული ნაწარმოებს ერთდროულად ანიტებს მაქსიმალურ ემოციურობას, განუწყვეტელ დამაბულობასა და დინამიკურობას.

როგორც ყოველ ტრაგედიაში, აქაც მთავარი პერსონაჟი კვდება, თანაც ტრაგიკულად. მაგრამ ის გმირი არასოდეს არ ყოფილა. ამიტომაც არის ნოველის სათაური „ტრაგედია უგმიროდ“, რომელიც ჭერ კიდევ ნაწარმოების წაკითხვამდე გარკვეულ განწყობილებას უქმნის მკითხველს.

დასრულდა ნაწარმოების წამყვანი პერსონაჟის სიცოცხლე, მაგრამ არ დასრულებულა მისი ტრაგედია და ნ. ლორთქიფანიძეც განაგრძობს თხრობას.

თხზულების ფინალი სულ ორი რეპლიკითაა წარმოდგენილი, რომელთა ქვეტექსტი კვლავ მძაფრი დრამატიზმით ხასიატდება: განწირულნი არიან ამქვეყნად ობლად დარჩენილი ბავშვები.

„კეთილი ბებერი ნათლია იფოფრებოდა: — ღმერთო! ღმერთო! რა დროს მომასწარი!.. რა საცოდაობა დატრიალდა... ვინ მოუელის დამშეულ ობლებს?!“

— რალა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხჩო თავი ამ ოჯახკორმა! — ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი, რომელსაც ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა...“

და აი, ეს ფრაზები, რომელსაც თითქოსდა არაფერი კავშირი აქვს „კეთილი“ ნათლის რეპლიკასთან, ფაქტიურად წარმოადგენს პასუხს მის შეკითხვაზე: „ვინ მოუელის დამშეულ ობლებს?!“.

ნაწარმოებში „შეგირდი“ ნ. ლორთქიფანიძე იმავე საკითხითაა დაინტერესებული. თხზულების თემას კვლავ შიმშილის გრძნობა წარმოადგენს. მიზანდასახულობა ამ შემთხვევაშიც დავიწროებულია და ცხადად გამოკეთილი.

ამჟამად მოქმედება მთლიანად გადატანილია სკოლაში. დროის ხანგრძლივობის თვალსაზრისით მას დათმობილი აქვს მხოლოდ ერთი გაკვეთილი და ერთი შესვენება. ასე რომ, „შეგირდში“ მოქმედების ადგილიცა და დროც კიდევ უფრო შემოფარგლულია, ვიდრე ნოველაში „ტრაგედია უგმიროდ“. მოქმედ პირთა რაოდენობაც კი უფრო მცირეა. ნაწარმოებში მონაწილეობას იღებს მხოლოდ სამი პერსონაჟი: მოსწავლეები — შალვა მიქაეა და ვანო სალიაშვილი და მათი კლასის დამრიგებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომლის სახელი და გვარი მკითხველისათვის უცნობია. სამივე პერსონაჟი თხზულებაში მცირე დეტალებით არიან წარმოდგენილნი. მხოლოდ ძალზე ძუნწად მოწოდებული რემარკებისა და რეპლიკების საშუალებით თუ შეიძლება ვიმსჯელოთ მათი პიროვნებისა და ცხოვრების არა მთლიან ხასიათზე, არამედ რომელიმე გარკვეულ მხარეზე. ამგვარად, მსგავსად ნაწარმოებისა „ტრაგედია უგმიროდ“, აქაც მხატვრული განსახიერების მასალა შემოფარგლულია და შემოფარგლულია უფრო მეტადაც კი, ვიდრე ნოველაში.

ფაბულა ამ ნაწარმოებისა ასეთია: მოსწავლე შალვა მიქაეა ისეა დასუსტებული შიმშილისაგან, რომ მას ძალა აღარ ყოფნის გაკვეთილის საპასუხოდ. დაბოლოს, თხოვს მასწავლებელს, გაუშვას შინ. მასწავლებლის საყვედურზე, რომ მან გული აიტრუა სწავლაზე, თვალცრემლიანი ბავშვი პასუხობს: „სამი დღეა, თითქმის არაფერი გვიკამია“. ამ ამბით შეწუხებული მასწავლებელი თავის კოლეგებში შეაგროვებს ფულს და გადასცემს შალვას.

როგორც ვხედავთ, ამბავი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ თხზულებას, დრამატიზმით ხასიათდება და ამავე დროს ის ისევეა შეკუმშული, როგორც ნოველაში „ტრაგედია უგმიროდ“. მაქსიმალურადვეა შეკუმშული ამ მოთხრობის სიუჟეტიც. ის თითქმის ფაბულამდეა დაყვანილი. ასე რომ, ზომის თვალსაზრისით, „შეგირდი“ უფრო პატარაც კია, ვიდრე „ტრაგედია უგმიროდ“.

სიუჟეტი ამ ნაწარმოებისა, მსგავსად ნოველისა, ძალზე მარტივია. ის შედგება, ასე ვთქვათ, სამი ძალზე მცირე სცენისაგან (გაკვეთილი, დიალოგი მასწავლებელსა და შალვა მიქაეას შორის შესვენებაზე, მასწავლებლის საუბარი თავის კოლეგებთან სამასწავლებლოში) და ფინალისაგან. ეს სცენები ლოგიკურად გამომდინარეობენ ერთმანეთისაგან და გარკვევით გამოირჩევიან თავიანთი უბრალოებით. აქაც არავითარი ინტრიგები თუ ჩახლართულობა და არც რაიმე წინააღმდეგობა. პირიქით, მოთხრობის ყველა მოქმედი პირი ერთმანეთისადმი კეთილდაა განწყობილი.

თხრობა ამ ნაწარმოებშიაც იწყება ყოველგვარი შესავლის გარეშე. პირველი აბზაცი იკითხება ასე:

„მოწაფეები გულისყურით უსმენდნენ ახალგაზრდა მასწავლებელს. ყველაზე უფრო დაუდგრომელი ვანო სალიაშვილიც, მარცხენა ხელზე თავდაყრდნობილი, შესცქეროდა მასწავლებელს და სუფრაზე საჩვენებელი თითით ზოგჯერ თითქოს შენიშვნებს წერდა. უმრავლესობას ხომ გადასაფრენ ბარტყებივით წაგრძელებოდათ კისერი“.

ამ თხზულების დასაწყისიც, გარკვეული თვალსაზრისით, უთუოდ იზიდავს მკითხველის ყურადღებას. მაგრამ მასში არაფერია ამალღებელი და მით უფრო განსაკუთრებული ემოციების აღმძვრელი. თხრობა აქაც შეკუმშულია, მაგრამ არა იმ ზომამდის, როგორც ამას ადგილი აქვს ნოველაში „ტრაგედია უგმიროდ“. და რაც მთავარია, თხრობის ასეთი მანერა აქ არ გულისხმობს ქვეტექსტებს, მაშინ როდესაც ნოველაში უკლებლივ ყველა წინადადება ქვეტექსტის გარეშე არ იკითხება. „შეგირდში“ მკითხველისათვის ყველაფერი ცხადია, ნათელია, არაფერია აქ დაფარული, საიღუმლოებით მოცული.

ქვეტექსტების გარეშე დაწერილი „შეგირდის“ არა მარტო ეს მონაკვეთი, არამედ მთლიანად ეს ნაწარმოები. ასე რომ, მკითხველის აქტიუზაცია აქ თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი. ამიტომაც ქვეტექსტების საშუალებით წარმოქმნილი ის დაძაბულობა, რომელიც ასე საგრძნობი იყო ნოველაში, მოთხრობაში სრულიად მოხსნილია.

დაძაბულობის წარმოსაქმნელად მწერალს შეიძლებოდა მიემართა სხვა უტყუარი ხერხებისათვისაც (კონტრასტულობა, წინააღმდეგობა), მაგრამ არც ერთ მათგანს ამჟერად იგი არ იყენებს, რის გამო „შეგირდში“ დაძაბულობა თითქმის არც კი იგრძნობა.

წინადადებები მოქნილია, სხარტი. სამაგიეროდ მათთვის არ არის დამახასიათებელი ის ლაკონიურობა, რომელთა საშუალებით ნოველაში უზრუნველყოფილია რიტმულობა, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა დაძაბულობის შესაქმნელად.

გარდა ამისა, ნოველაში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დინამიკურობას აძლიერებს ქარბად მოცემული ინტენსიური მოქმედების გამოშატეული ზმნები, მაშინ როდესაც ზმნათა ასეთ სიუხვეს „შეგირდში“ არც ამ მონაკვეთში და არც შემდეგში ვერ ვხედავთ.

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ მთელი ამ ნაწარმოების მანძილზე არსად არ შეიმჩნევა მკვეთრად გამოხატული ინტონაცია. თხზულების ყველაზე უფრო ემოციური შინაარსის მქონე მონაკვეთიც კი დაწერილია მშვიდი, აულღებელი ტონით. აი, ეს ადგილიც:

„მალვა დაწვია მასწავლებელს, რომელიც კლასის დამრიგებელიც იყო, და სთხოვა, შინ გაეშვა.

— ერთი გაკვეთილია დარჩა...

— მაინც გამიშვით... გთხოვთ.

— აუღად ხართ?

— არა...

— მაშ, როგორ შეიძლება?.. თქვენ აიცრუეთ გული სწავლაზე... დღეს კლასშიაც უყურადღებოდ იყავით...

ბავშვს, ეტყობოდა, სურდა რაღაც ეთქვა და ერიდებოდა.

მასწავლებელმა მიმოიხედა:

— ნუ დამიძალავთ, სთქვით!

— სამი დღეა... თითქმის არაფერი გვიქამია, — ბავშვს ცრემლი გადმოვარდა“.

როგორც ვხედავთ, თხრობის ტემპი ნაწარმოების ამ მონაკვეთშიაღ ზომიერად თანაბარია და აუჩქარებელი.



სიუჟეტური მოქმედების განვითარების ხაზი ამ მომენტის შემდეგ კიდევ უფრო დაბლა ეშვება და ის ძალზე უმნიშვნელო დაძაბულობა, რომელიც ნაწარმოებს აქამდე ვაჟნდა, ახლა უკვე სრულიად ქრება.

ტექსტში ნაწარმოების სიუჟეტის შემდგომი განვითარება ამდაგვარად არის წარმოდგენილი:

„მასწავლებელმა ჯიბისაქენ გასწია ხელი... შეჩერდა:

„რას ეყოფა ჩემი თხუთმეტი ათასი, თუნდაც რომ მივსცე, ოთხი ადამიანია ოჯახში...“

— მოითმინე, არ წახვიდე...“

სამასწავლებლოში ცალ-ცალკე ელაპარაკებოდა მასწავლებლებს... ისმობდა: „ჩვენ რა შეგვიძლია.. კარგი ბავშვია... კაცო, ერთი ყურუშიც არ მაქვს...“ მაგრამ თითქოს ყველა იღებდა მცირე წვლილს, და მასწავლებელმა ძლიერ დარცხვენულ შალვას გადასცა ქაღალდის ფულის შეკვრა.

„გუშინ სადილის შემდეგ მეც არაფერი ჩამსვლია პირში“ — თქვა დიმილით ფიქრობდა მასწავლებელი, — „ვინმე დამპატივებდეს მაინც... კიდევ კარგი, რომ სარჩენი არაფერი მყავს... ისევ სტუდენტურად — ერთ ღლეს სადილი, ორ ღლეს უკმელობა...“

ასე მთავრდება „შეგირდი“.

თხზულების ეს ნაწილი მიზნად ისახავს მასწავლებელთა მიმე ეკონომიური მდგომარეობის გადმოცემას. ტექსტიდან გარკვევით ჩანს, რომ ყველა აათავანი მშვიერ-მწყურვალა. მაგრამ სიუჟეტური მოქმედების განვითარების თვალსაზრისით აქ ისედაც ძალზე უმნიშვნელო დაძაბულობა კიდევ უფრო ქვეითდება. მიზეზი კი ამისა ისაა. რომ მწერალი იმდაგვარად შლის ნაწარმოების დასასრულისაკენ სიუჟეტს, რომ, განსხვავებით ნოველისაგან, ის საგანგებოდ კი არ ამძაფრებს თანდათან სიტუაციებს, არამედ, პირიქით, ანელებს (თხზულების წამყვანი პერსონაჟის მდგომარეობა მოთხრობის დასასრულისაკენ, როგორც ვხედავთ, რამდენადმე სწორდება).

დაძაბულობის, დინამიკურობისა და გამწვავებულ ემოციათა ასეთი უგულვებელყოფა კი იწვევს იმას, რომ ემოციათა ის სიმძაფრე, რაც ნოველისათვის ასე დამახასიათებელი იყო, „შეგირდში“ არ იგრძნობა.

შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

ორივე ნაწარმოებში მიზანია და მასალაც გარკვევით შემოთარგლულია. ამასთანავე განსასახიერებელი მასალის შინაარსი ორივე თხზულებაში დრამატისმის შემცველია. როგორც ნოველაში, ასევე მოთხრობაში განცდის მთავარ საგანს შიმშილის გრძნობა წარმოადგენს.

ორივე ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ამბავი. ის უკიდურესი სიღარიბე და ამით გამოწვეული შიმშილობა, რომელსაც მწერალი ნოველაში ქვეტექსტებით მიგვანიშნებს, ხოლო მოთხრობაში — მოქმედ პირთა რეპლიკების საშუალებით გამოხატავს, სრულიად ჩვეულებრივი და გავრცელებული მოვლენა იყო იმდროინდელი ეპოქისათვის.

შიოდა არა მარტო ნოველის მთავარ პერსონაჟს, არამედ მისი შვილების „კეთილ“ ნათლიასაც. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, განა მხოლოდ ორი ღლის შემდეგ შეუხრულებდა თხოვნას მეზობელს და მაშინვე არ მიაწვდიდა ნახევარ ჯამ მქადის ფქვილს?

შიოდან მოთხრობის პერსონაჟებსაც: მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

და აი, ცხოვრების ამ საერთო, ჩვეულებრივი ყოფის ფონზე ნ. ლორთქიფანიძის ნოველაში „ტრაგედია უგმიროდ“ სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს უჩვეულო ინსტიტუტებისა და უჩვეულო ემოციების მქონე ადამიანი, რომლისათვისაც ცხოვრების ეს არაადამიანური პირობები, სწორედ მისი ასეთი პიროვნული თვისებების გამოც, საბედისწერო აღმოჩნდა. სოციალურ უკუღმართობასთან უხმო კიდილში ამ გლეხის ცხოვრება ნამდვილ ტრაგედიად იქცა, ხოლო თვით ეს გლეხი ტრაგიკულ პიროვნებად. მისი წინააღმდეგობებით ლავსე ბუნებისათვის გადაულახავი აღმოჩნდა როგორც შიმშილის გრძნობა, ასევე სინდისის ქენჯნაც.

ასე რომ, ნოველის შინაარსი მძაფრი ემოციურობით ხასიათდება. ღრმად ემოციურია აგრეთვე ამ ნაწარმოების წამყვანი პერსონაჟიც.

გარკვეული ემოციურობით ხასიათდება უთუოდ „შეგირდის“ შინაარსიც. მარტო ის ფაქტი, რომ შიათ ბავშვებსა და პატიოსან, კეთილ მასწავლებლებს, არ შეიძლება გულწრფელ თანაგრძნობას არ იწვევდეს მკითხველში. მაგრამ ის დიდი ტრაგიზმი, რომელიც ასე საგრძნობია ნოველაში, ამ თხზულებაში არ ჩანს.

„შეგირდის“ მოქმედი პირებიც თავიანთი ბუნებით აშკარად განსხვავდებიან ნოველის გმირისაგან. ისინი სრულიად ჩვეულებრივი ემოციების ადამიანები არიან, მოკლებულნი იმ განსაკუთრებულობას, რომლითაც ნოველის პერსონაჟი გამოირჩევა. საზოგადოდ მოთხრობის მოქმედ პირთა სულიერი განცდები არ არის ფოკუსში მოქცეული, მაშინ როდესაც ნოველაში განსახიერების მთავარ და, შეიძლება ითქვას, ერთადერთ ობიექტს სწორედ გრძნობები წარმოადგენს და ნოველაში მომარჯვებული ხერხებიც აქეთკენაა წარმართული. ნაწარმოების მოქმედების განვითარების ხაზსაც კი აქ ერთმანეთზე უფრო მძაფრი განცდები წარმართავს.

თხზულების მოქმედება ძირითადად ორ გრძნობას მიჰყავს: შიმშილისას და სინდისის ქენჯნისას. მათგან წარმოშობილ დამაბულობის ტალღებს თავიანთი დასაწყისი, კულმინაცია და დასასრული გააჩნია. ასე რომ, ნოველაში ფაქტიურად ორი დამაბულობის წერტილია და თანაც აშკარად გამოკვეთილი.

მანძილი ამ ორ ტალღას შორის უმნიშვნელოა და, რაც მთავარია, ამ ორი კულმინაციიდან უკანასკნელი, პირველთან შედარებით, გაცილებით უფრო ძლიერია: ის ემთხვევა მთავარი გმირის ტრაგიკულ სიკვდილს, რომელიც თავისთავადაც უნდა იწვევდეს მწვავე ემოციებს მით უფრო მაშინ, როდესაც ასეთი დასასრული მკითხველისათვის სრულიად მოულოდნელია.

„შეგირდში“ კი ემოციები იმდენად ზომიერია და ისე თანაბრად განაწილებული ნაწარმოების მთელ მანძილზე, რომ ამის გამო დამაბულობა თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი და თხზულების ემოციური მხარეც გარკვეულ კალაპოტშია ჩაყენებული. სიუჟეტური მოქმედების ხაზიც მღოვრად მიედინება და კულმინაცია აქ თითქმის შეუმჩნეველია, რაც სრულიად დაუშვებელია ნოველისათვის.

როგორც „შეგირდს“, ასევე „ტრაგედიას უგმიროდ“ ერთი შინაარსეული ხარჩო აქვს. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ნოველაში ყველაფერი, სრულიად უმნიშვნელო დეტალიც კი, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება — გადმოსცეს მშვიერი ადამიანის ტრაგედია.

მოთხრობაში კი ვხვდებით ისეთ აბზაცს, რომელსაც თხზულების ემოციურ მიზანდასახულობასთან უშუალო კავშირი არა აქვს და ამბის გარემოს რეალური სურათის დახატვას ემსახურება. ასეთია, მაგალითად, ამ ნაწარმოების დასაწყისი. გაკვეთილის ეს მომენტი ემოციური ხაზის აღმავალ დინებას არ ემსახურება. პირიქით, ასეთი გადახვევები ყურადღების განაწილებას იწვევს და ამით თავისებურად ანელებს ნაწარმოების ზემოქმედების ძალას მკითხველზე.

ნოველაში კი ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ მაქსიმალურად შთამბეჭდავი იყოს იგი. თავისთავადაც ღრმა ემოციურობის შემცველ შინაარსს ნ. ლორთქიფანიძე იმ ზომამდის ამძაფრებს საგანგებოდ შერჩეული ხერხების საშუალებით (მეკუთმული თხრობის მანერა, უკიდურესი ლაკონიურობა, ემოციურად დატვირთული ქვეტექსტები, ინტენსიურ ზმნათა სიუხვე, ინტონაციური მახვილების სწრაფი მონაცვლეობა, მოულოდნელობა. თავისებური ლირიკული ტონი) და ისეთნაირად უყრის ყველაფერს თავს, რომ თითქოსდა ერთ დარტყმად აქცევს, რასაც ნაწარმოებისაგან მიღებული შთაბეჭდილება უძლიერეს ემოციურ ეფექტურობამდე აყვავს.

ასე რომ, ნოველაში დასმული მიზანი მკითხველამდე ემოციური ეფექტის გზითაა მიტანილი. ეს არის ის არსებითი ნიშანი, რაც მას გამოყოფს მოთხრობისაგან.

ასეთი ეფექტის მიღწევის აუცილებელი პირობა კი არის მკითხველის ყურადღების მაქსიმალური მობილიზაცია მწერლის ერთი გარკვეული ჩანაფიქრის ირგვლივ, რომელიც დროის შედარებით მცირე მონაკვეთში უნდა სორციელდებოდეს<sup>5</sup>. ამიტომაც ნოველა უფრო ხშირად მცირე ზომის, ამიტომაც მისთვის განკუთვნილი მასალა წინასწარვე შეკუმშული, ამის გამო აქვს შას ერთი ცენტრი, ერთი ფოკუსი, რომელშიაც ზუსტად (ყოველგვარი გადახვევების გარეშე) უნდა ხვდებოდეს მწერლის მიერ საგანგებოდ შერჩეული მასალა, ნაწარმოების ამდაგვარი თუ იმდაგვარი შინაარსი, მისი ყოველი ცალკეული სიტყვა.

და აი, თხზულების ყოველი შემადგენელი ნაწილის თუ დეტალის ასეთნაირი თავმოყრა ერთ ცენტრში მკითხველს ანიჭებს ესთეტიკური კმაყოფილების გრძნობას. „ის, რაც უფრო კონცენტრირებულია, უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ის, რაც მრავალი დროით არის ნარევი“<sup>6</sup>.

მაგრამ მკითხველის ყურადღების სრული მობილიზაციისათვის და იმ განსაკუთრებული ეფექტის მიღწევისათვის, რომელიც მხოლოდ ნოველისათვისაა დამახასიათებელი, არ არის საკმარისი მხოლოდ ეს პირობა. არის ხომ ისეთი მცირე ზომის მოთხრობებიც, რომელთაც მხოლოდ ერთი ფოკუსი აქვთ? (ეთქვათ, ნ. ლორთქიფანიძის „ოდელია დელია“, „სოფლის მასწავლებელი“).

ნოველაში ამავე დროს აუცილებელია განუწყვეტელი დამაბულობისა, დინამიკურობისა და მწვავე, გამძაფრებული ემოციების არსებობაც. ხოლო ეს უკანასკნელნი გარკვეული მხატვრული ხერხების გარეშე ვერ წარმოიქმნება.

<sup>5</sup> ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნოველის წაკითხვას მაინცაღამინე 30 წუთიდან 2 საათს ვანდომებდეთ, როგორცაც ფიქრობდა ედგარ პო. ჰერიმეს ნოველების წაკითხვას ჩვეულებრივ უფრო მეტი დრო სჭირდება. ჩანს, მისი ოსტატობა უძლებს, რათა დროის უფრო დიდ მონაკვეთშიც მუდმივ ტყეობაში მყავდეს მკითხველი.

<sup>6</sup> ა რ ის ტ ე ლ ე, პოეტიკა, ტბ., 1944, გვ. 61.

თუ რომელ ხერხს (თუ ხერხებს) მოიმარჯვებს მწერალი ნოველის წერისას, ეს დამოკიდებულია მის არჩევანზე, მის მხატვრულ გემოვნებასა თუ წერის მანერაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნამდვილ შემოქმედთან ყველა ხერხი, იქნება ეს თავისთავად მიმზიდველი ამბის შერჩევა თუ სიუჟეტის საინტერესოდ აგება, მოულოდნელი ფინალი თუ კონტრასტულობა, თავისებური ინტონაცია თუ რიტმულობა, სრულიად ტოლფასოვანი საშუალებებია დაძაბულობისა და ემოციური სიმძაფრის წარმოსაქმნელად.

ეფექტის მიღწევის თვალსაზრისითვე ნოველაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მის დასაწყისსა და დასასრულს. „Первая фраза, — წერს ბუნინი, — имеет решающее значение: она определяет прежде всего размер произведения“<sup>7</sup>.

პირველმა წინადადებამ ამავე დროს თავიდანვე უნდა განაპირობოს მკითხველის დაინტერესებაც. ამიტომ იშვიათად, რომ ნოველას გააჩნდეს ექსპოზიცია. ჩვეულებრივ ის იწყება პირდაპირ სიუჟეტის გაშლით.

მკითხველის დაინტერესება ნოველაში არც შემდეგ უნდა ნელდებოდეს. მოქმედების განვითარების ხაზი აქ ჩვეულებრივ აღმავალი გზით მიემართება და არა ზიგზაგურად. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ის ტალღისებურადაა წარმოდგენილი, მანძილი ე. წ. „შესვენებასა“ და დაძაბულობის ახალ ტალღას შორის იმდენად მცირეა, რომ ის, სულ ერთია, მაინც განუწყვეტელობის შთაბეჭდილებას ტოვებს. თანაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც წესი, ახალი ტალღა წინასთან შედარებით უფრო ძლიერია, crescendo მიმდინარეობს. შემჩნეულია, რომ ნოველების უმეტესობა სწორედ კულმინაციაზე ჩერდება და თუ არა, აქაც მანძილი კულმინაციასა და ფინალურ წინადადებებს შორის იმდენად უმნიშვნელოა, რომ ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით დატვირთულ მკითხველს არ რჩება დრო განტვირთვისათვის. ამგვარად, დაძაბულობა ნოველაში მზარდია და განუწყვეტელი, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანია საჭირო ეფექტის მისაღებად.

მოთხრობისათვის ასეთი მუდმივი დაძაბულობა არ არის დამახასიათებელი. აქ „შესვენებისათვის“ გაცილებით მეტი დრო ექლევა მკითხველს და თანაც ჩვეულებრივ მოთხრობის ცენტრალურ ეპიზოდსა და დასასრულს შორის საკმაოდ დიდი მანძილია, კულმინაციის შემდეგ დაძაბულობის ხაზი ქვევით მიემართება და ნაწარმოების ფინალში მისი სიძლიერე, შეიძლება ითქვას, უმეტესად მინიმუმამდეა დაყვანილი. საზოგადოდ, თხრობის ტონალობა მოთხრობაში შენელებულია და მწერლის თხრობის მანერა ძირითადად ეპიკური სიმშვიდით გამოირჩევა.

და სწორედ ამის გამო, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მოთხრობაში მსგავსად ნოველისა, მიზანიცა და დრამატიზებული მასალაც შემოფარგლულია და როდესაც მას გააჩნია ერთი ფოკუსიც კი, არ შეიძლება მან მიადწიოს იმ ემოციურად გამძაფრებულ ეფექტს, რომლის გარეშე ნოველის არსებობა წარმოუდგენელია.

ნოველაში თხრობის ტემპი აჩქარებულია და ზოგჯერ ნერვულიც. ის გამალებით და ამავე დროს შეკუმშულად მოგვითხრობს იმ არსებობის შესახებ, რაც მას სურს მიიტანოს მკითხველამდე, ხოლო დანარჩენის შესახებ თითქოს-

<sup>7</sup> И. Б у н и н и, Как я пишу, Сопр. соч., т. 9, М.-Л., 1957, гл. 375.

და საგანგებოდ დუმს, რითაც უფრო მეტად აღძრავს მკითხველს ემოციურ აქტიურობას.

ერთი სიტყვით, ნოველაში ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ მკითხველი მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს და, რაც შეიძლება, მეტად იყოს ჩართული ნაწარმოებში.

ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა იმას, რომ მოთხრობა საზოგადოდ იყოს მოკლებული ემოციურობას, მაგრამ ნოველისა და მოთხრობისაგან გამოწვეული ემოციები განსხვავებულ როლს თამაშობენ. არაერთი მოთხრობაა ისეთი, რომელიც ძლიერსა და ღრმა ემოციებს აღძრავს (ვთქვათ, ნ. ლორთქიფანიძის „ტყვედყოფილის დაბრუნება“), მაგრამ აქცენტი აქ არ არის გადატანილი გამოწვეული ემოციების სიმწკვეზე. ოსტატურად დაწერილი მოთხრობისაგან მიღებული შთაბეჭდილება შესაძლებელია უფრო დიდხანს გაჰყვეს მკითხველს, შესაძლებელია, რომელიდაც კონკრეტულმა მოთხრობამ რომელიმე ნოველასთან შედარებით უფრო ღრმა კვალიც დასტოვოს მასზე, მაგრამ თვით ერთხელის პროცესში, განსაკუთრებით კი თხზულების დასრულების მომენტში, მოთხრობასთან შედარებით ნოველის ზემოქმედება მკითხველის ემოციებზე გარკვევით უფრო მძაფრია. მკითხველი რჩება მოჭადლოებული და ამდენად სავეს ესთეტიკური სიამოვნებით.

ყველაფერი ეს, რაც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, ეხება კლასიკურ ნოველას. ასეთი ნოველების გამოჩენა მოთხრობებისაგან შედარებით იოლი საქმეა. მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთ ნაწარმოებში სხვადასხვა ეპიკურისათვის დამახასიათებელი ნიშნებია თავმოყრილი.

არიან ისეთი მწერლები, რომლებიც მკაცრად იცავენ იმ მოთხოვნილებებს. რომელსაც ესა თუ ის ეპიკური აყენებს მათ წინაშე და არიან ისეთებიც, რომლებიც ამ მოთხოვნილებების მიმართ შედარებით გულგრილნი რჩებიან. ამ გარემოებაზე ამახვილებს სწორედ ყურადღებას ა. ლეჟნევი, როდესაც ერთმანეთს უპირისპირებს ორ დიდ, მაგრამ სრულიად განსხვავებული ხასიათის შემოქმედს: პუშკინსა და ჰაინეს. „Есть Пушкин, —წერს ლეჟნევი, — стремится найти „специфику“ прозы, ее жизненный и только ей принадлежащий принцип, а внутри каждого жанра то, что составляет его особенность, то Гейне словно бы старается разбить перегородки между жанрами и стереть границу, отделяющую прозу от поэзии. Тщетно будем искать мы у Гейне статей, которые были бы статьями, новелл, которые были бы новеллами, очерков, которые были бы очерками. Каждая его работа и статья и одновременно не статья, и новелла и не новелла, очерк и не очерк. Различия в теме и различия в жанре его мало объясняют...“<sup>8</sup>

აქვე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება: შთაბეჭდილება ისეთია, რომ სხვა ეპიკურთან შედარებით ნოველას უფრო ადვილად შეუძლია გადაიზარდოს მეორე ეპიკურში, კერძოდ, მოთხრობაში.

ვფიქრობთ, ამის მიზეზი სწორედ ის უნდა იყოს, რომ ნოველა მკაცრად მოითხოვს, რათა ზუსტად იქნეს დაკული ყველა მისი ეპიკური თავისებურება (შემოფარგლული მიზანი და შემოფარგლულივე დრამატიზებული მასა-

<sup>8</sup> А. Л е ж н е в, Проза Пушкина, М., 1963, გვ. 169—170.

ლა, ერთი ფოკუსი, განუწყვეტელი დაძაბულობა, დინამიურობა და ემოციური დატვირთულობა), წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს თავის ნამდვილ სახეს.

მართლაც, საკმარისია, დარღვეულ იქნეს მისი რომელიმე სპეციფიკური ნიშანი, საკმარისია მწერლის დაცილება მთავარი მიზნისაგან, იმ ფოკუსისაგან, რომელშიაც აუცილებლად უნდა იყრიდეს თავს ნაწარმოების ყველა კომპონენტი, საკმარისია თხზულების განუწყვეტელი დაძაბულობის უგულვებელყოფა, რომ ნოველა უკვე აღარ არის ნოველა, სრული ამ სატყვის მნიშვნელობით; ის ან გარდამავალი საფეხურია მოთხრობასა და ნოველას შორის, ან არადა უბრალოდ მოთხრობაა.

ეს გარემოება გარკვეული სიძნელის წინაშე აყენებს ნოველისტს და ამ სიძნელის გადალახვისათვის მას არა მარტო განსაკუთრებულად დაძაბული მუშაობა სჭირდება, არამედ განსაკუთრებული ოსტატობაც.

ნოველა ნოველა აღარ იქნება, თუ ის არ მიაღწევს მისთვის სპეციფიკურ ეფექტს. მისი არსებითი ნიშანი გადაჭრით მოითხოვს, რომ მკითხველი ნაწარმოების დასაწყისიდან დასასრულამდე მუდმივ ტყვეობაში იმყოფებოდეს. ამიტომ ნოველა არ შეიძლება იყოს მხატვრული თეალსაზრისით არაოსტატურად განხორციელებული.

შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვის ისეთი დიდი ოსტატი, როგორც იყო ანატოლ ფრანსი, ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ამ ჟანრს: „Подлинный французский гений выражается кратко лишь в необходимых словах: он не сравним в повелле. Я бы хотел, чтобы сиева была создана прекрасная французская повесть, я бы хотел увидеть изящество и легкость, также быстроту. Не правда ли в этом подлинная вежливость писателя“<sup>9</sup>.

ნოველამ დასაბამიდან დღემდე რთული გზა განვლო. ეპოქების ცვლასთან ერთად იცვლებოდა მისი ხასიათიც. ახალი სოციალური ფორმაციები და მისგან წარმოშობილი ახალი ყოფა და ახალი კულტურა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბუნებრივია, ახალ მოთხოვნილებებს უყენებდა ამ ლიტერატურულ ჟანრსა და ისიც, ცვლიდა რა ამისდა შესაბამისად განსასახიერებელ ობიექტს, მასალას, ამავე დროს ეძებდა გამოხატვის ახალ საშუალებებსაც.

ცხადია, სხვაობა თანამედროვე ნოველებსა და იმ ნოველებს შორის, რომლებიც პირველად იტალიის რენესანსის ეპოქაში წარმოიშვა, ძალზე დიდია.

თუ თავისი არსებობის პირველ პერიოდში ნოველების უმეტესობას საფუძვლად ედო ანეკდოტი, რაიმე პიკანტური ამბავი თუ შემთხვევა, თუ პირველ რიგში ყურადღება გამახვილებული იყო არა საკუთრივ პერსონაჟზე, მის ხასიათზე, არამედ იმ ამბავზე, რომელიც მას გადახდა, თუ ნოველების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა — აესახა ახლად წარმოშობილი ფენის ბურჟუაზია პრაქტიკიზმი, მათი მონერახებულობა, მოქნილობა, სიკოცხლის უნარიანობა და, რაც მთავარია, ჩევენებინა ამ კლასის უპირატესობა ფეოდალურ კლასთან შედარებით, შემდეგში, როდესაც საუკუნეებმა მოიტანეს ახალი ყოფა და ახალი კულტურა, ნოველის ინტერესებიც სხვაგვარად შემოიფარგლა. აღარ არის უკვე აუცილებელი ანეკდოტური ამბები, განსაკუთრებული აქცენტი ამბავზე, საგანგებოდ გამოყოფილი მორალურ-დიდაქტიკური ფინალი; წინა პლანზე წამოვიდა ადამიანი თავისი ინდივიდუალობით, რთული სულიერი

<sup>9</sup> А. Ф р а н с, Литература и жизнь, М.-Л., 1931, гл. 346.

სამყაროთი, დაიხვეწა სიტყვა და გაიზარდა გამოხატვის საშუალებათა ნაირ-სახეობა. მაგრამ მაინც დარჩა ის ძირითადი, რაც ყველა ეპოქის ნოველებს ერთ ქანრში აერთიანებს.

„Жанр всегда и тот и не тот, всегда и стар и нов одновременно... Жанр живет настоящим, но всегда помнит свое прошлое, свое начало“<sup>10</sup>.

მიზანდასახულობის გამოკვეთილი ხასიათი, განსასახიერებელი დრამატიზებული მასალის შემოფარგულობა და მიზნის მიღწევა სპეციფიკურად მძაფრი ემოციური ეფექტის მოზღენის გზით, — აი ის, რაც, ჩვენი აზრით, აქვთ საერთო ნოველებს დაწყებული ბოკაჩიოდან დღევანდლამდე და რაც „ახსოვს“ თანამედროვე ნოველას თავისი შორეული წარსულადან.

<sup>10</sup> М. Б а х т и и, Проблемы поэтики Достоевского, изд. второе, М., 1962, гл. 141—142.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

## ბორის ღარიბა

ტარიელის ანდერძი და ვეფხისტყაოსნის გაბრძნობების  
ზომიერთი რედაქციული საკითხი

ვეფხისტყაოსნის ადრეულ გაგრძელებათა ჩამოყალიბების ისტორიიდან უმთავრესი საკითხები გაურკვეველია. ბევრ შემთხვევაში არ ვიცით, მოსაზღვრე დანართი ეპიზოდებიდან რომელია დამოუკიდებელი და რომელი ერთი ავტორის მიერ შექმნილი. ამჯერად ამ თვალსაზრისით გვინტერესებს ტარიელის ანდერძის („ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიკვალებოდა“, სტრ. 2025—2049, 2057—2063) მიმართება<sup>1</sup> მომდევნო ეპიზოდებთან<sup>2</sup>.

ეს საკითხი უშუალოდ არის დაკავშირებული ვეფხისტყაოსნის გაგრძელებების, კერძოდ, გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბავთა რედაქციულ საკითხებთან. ხოლო, ვინაიდან პოემის გაგრძელებების ამ მონაკვეთზედაც არსებითად იგივე რედაქციული ჯგუფები და ქვეჯგუფები გამოიყოფა, რაც პოემის ძირითად ნაწილში, აღნიშნული საკითხები თავის მხრივ უკავშირდება საკუთრივ ვეფხისტყაოსნის რედაქციათა ურთიერთმიმართების პრობლემას.

გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბები ხელნაწერებში სამგვარი შედგენილობით არის წარმოდგენილი: ვრცელი, მოკლე და უმოკლესი.

ტარიელის ანდერძი ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში ვრცელი სახისაა: შეიცავს 50-ზე მეტ სტროფს (სტრ. 2025—2049, 2057—2053). ეს ხელნაწერები ამ მონაკვეთზე, ჩვენი კლასიფიკაციით<sup>3</sup>, სამ ძირითად რედაქციულ ჯგუფს იძლევა: 1. **ჯ** რედაქცია — ABCUXD<sup>1</sup>E<sup>1</sup>X<sup>1</sup>; 2. **ღ** რედაქცია — DVF<sup>1</sup>F<sup>2</sup>L<sup>1</sup>S<sup>1</sup> და 3. **ზ** რედაქცია — GHJKOG<sup>1</sup>Q<sup>1</sup>U<sup>1</sup>. სტროფული სტრუქტურის მხრივ ეს რე-

<sup>1</sup> ეუთითებთ ვეფხისტყაოსნის ს. ყუბანიევილისეული ვრცელი გამოცემის (თბ., 1956 წ.) სტროფთა სათვალავის მიხედვით, რომელიც გამოორებულია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ეპიზოდების“ წიგნში (ოთხ ნაკვეთად, თბ., 1960—1963 წწ.). ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდები დაბეჭდილია მეოთხე ნაკვეთში (გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა, 1953 წ.).

ამ გამოცემებს საფუძვლად უდევს A ხელნაწერი, რომელშიაც აეთანდილის ანდერძის შვიდი სტროფი (სტრ. 2050—2056) მოთავსებულია ტარიელის ანდერძში 2049 სტროფის შემდეგ. ამიტომაც, დამოწმებული გამოცემების სტროფთა ნუმერაციაში 2049 ციფრს რომ 2057 მოსდევს.

<sup>2</sup> ეს ეპიზოდებია: 1. ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების ამბავი („სოკლილი ტარიელისა და კოლისა მისისა“), სტრ. 2064—2069; 2. აეთანდილისა და თნათინის გარდაცვალების ამბავი („სოკლილი აეთანდილისა და კოლისა მისისა თნათინისა“), სტრ. 2106—2110; 3. ფრიდონისაგან მეგობარაა დატირების ამბავი („აქა ფრიდონისაგან ორგანეე მისელა და ტირილა და მოაქმა“), სტრ. 2111—2120. ბოლოს არის ეპილოგი (სტრ. 2121—2126).

არაფერს ეამბობთ სხვა ანდერძების შესახებ, რადგან მათი წარმოშობა ცნობილია: იოსებ თბილელის ცნობის თანახმად, აეთანდილის ანდერძი (სტრ. 2070—2078, 2050—2056) კუფუნის ნანუჩას, ხოლო ტარიელისა (სტრ. 2063<sup>1</sup>—<sup>2</sup>) და აეთანდილის (სტრ. 2079—2105) მეორე ანდერძები — თვით იოსებ თბილელს.

<sup>3</sup> ზ. დარჩია, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაცია გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბავთა მიხედვით, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXXI სამეცნიერო სესია, 20—21 მაისი, 1971 წ., მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზი-



დაქციული ჭკუფები ამ ნაწილში არსებითად ერთმანეთს მიჰყვება. ძირითადი განსხვავება მათ შორის არის მხოლოდ წაკითხვების მიხედვით.

ტარიელის ანდერძი ამ ხელნაწერებში გაკიანურებულად და გამეორებებით არის გადმოცემული. მაგალითად, მთელი რიგი სტროფები აქვს დათმობილი სოფლის სამღერავს:

ბოლოდ დამდაგა სოფელმან, ნათმან, ფისმან და წეროლმან... (2030, 2)

ნუ მიენლობი სოფელსა, საქმეთა ცუდთა, მუხთალთა,  
არვის მიგიწოდოს, რაჟი ვინ კარგთა უყოფდეთ, უთვალთა,  
ბოლოდ ვაჟს დაგეგმს, შეგიბრკომოს ფერხთა და მართ ნაკუთალთა,  
ყველასა ერთად მოგიყრის მის დღეჩი დანახუთალთა. (2032)

ესე დღე ყოვლთა ზედა აუ, ქვეყანად ვინცა იშობა;  
მუხთალსა ცრუსა სოფელსა სჭირს კაცთა ზუჟა იშობა;  
არ აღირაძხვის სიქჟაფე მისი, ვით ზღვისა ქეიშობა,  
ბოლოდ ასრე იქს, ცუღია ცქნაფეა და მისგან შიშობა. (2033)

ყოველნი დავიხოცებით, სრულად ერთობით და რამად,  
მით დაგიტეობ მცნებასა, მიენდუნეთ, ცუდად, არ ამაღ;  
ვიტყვი მუხთალსა სოფელსა ცრულ და მიუნდოდ, არამად,  
წაუელმან, ნახეთ, რა მიყო, ძმანი არ მაძმნა, და რა მად. (2034).

სოფელი ამაღ გვალორებს, გეღებავს ფერად რამ ინისა,  
ამად გიუხვის, რაც სთხოვი, ესე მთნავს, ესრა მინისა  
ანაზლად გაგეტხს, რა გააღრო კიქისა ან რა მინისა,  
ჩემსა არ ჭერ-ხართ, სახედ გიც ვისისა და რამინისა. (2038)

არ ვაგითადღეს არაეის ესე სოფელი წამიერ,  
ისწრაფის მუნეე მიქცეჲად, მოკვდავი ეს მიწა მიერ... (2039, 1-2)

მიუნდობელი სოფელი, რას ბრუნავ, რას მუხანათობ?  
ოდესმე სწუხ და აბნელებ, ოდესმე არ სწუხ, ანათობ;  
არვის მიგვიწოდოს წან ერთცა, ვამთა არეებ, თუ ხან ათობ,  
დაგვეწეე კვამლურებ ბნელითა, არ ვითა ხე მუხა ნათობ. (2042)

სოფელმან, მსგავსად წყაროსა, სისტილი რუდ დამადინაო... (2046, 3)

ჯაერნი შენნი, სოფელი, მაქამე კელავ სამსალა მე! (2062, 4)

სოფლის უუკუღმართობასა და ამქვეყნიურ არარაობაზე საუბარია ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის გარდაცვალების ამბებშიაც:

სოფელს მყოფსა ყველაქასა ესე არვის არ ასცილდეს.  
მათ სოფლისა შევენებათა წყალ-ჯაერანი გაუწიოდეს... (2068, 1-2)

აზომ არ არის სოფლისა საღამო, არცა დილია,  
სიზნოისა უფრო სიზმარი, ჩრდილისა უფრო ჩრდილია;

არ ამოჰკრეფენ სწაელულნი მათ, მათგან გამოცდილია;  
აეი და კარგი სწორად უჩს, სიცოცხლე თუ სიკვდილია. (2106)

მითქვამს და კელავ ესთქეა სიტრეე სოფლისა კელა და კელაღობა... (2110, 1)

სები, გვ. 15—17; მ ი ს ი ე, ვეფხისტყაოსნის რედაქციები «ხეარაზმელთა ამბის» მიხედვით, კრებ.: ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968, გვ. 179—205.

ხელნაწერები დასახელებულია «ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ჯარიანების» ლიტერების მიხედვით. აქ მათ ემატება: B<sup>2</sup>—Q 768, F<sup>2</sup>—H 422, V<sup>2</sup>—Q 279.

ამავე მოტივს გარკვეული ადგილი უჭირავს ავთანდილის ანდერძშიაც:

ვიტყვი, მსგავსია სოფელი, ეს მუხანათი ჩრდილისა... (2070, 2)

იგიცა კაცი კრულია, ვინცა მიენდოს სოფელსა,  
მოლიზღარსა და მუხთალსა, სიცილით ჰყოცნით სოფელსა,  
პირველ სიციცხლის მჭაღესა, ბოლოდ უარს მყოფელსა,  
მუნ დამპარგავსა კაცთასა, აქაც ხან-დაუყოფელსა! (2074)

შეიწყნარებით, ნაარსნო, მცნებას ვასწავებ არ ავსა:  
ნუ მიყოლიხართ სოფელსა, ნიავსა, ქარსა არავსა;  
ნუ იუნჩებდით, სად ღმერთი დასდგამს სიმაართლის კარავსა,  
საღა ვერ უტებნს მლილი და არ ძალ-უც პარვა მპარავსა. (2075)

ტ, ლ და ნაწილობრივ 'ლ რედაქციის ნუსხებში ბევრად უფრო გაუგებარ შეუსაბამობას ქმნის გამეორებანი ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების შესახებ:

ტარიელის ანდერძში ანდერძის შემდეგ აღნიშნულია ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალება, დასაფლავება და მასთან დაკავშირებული საყოველთაო გლოვა-ტირილი:

ანდერძი სრულ-ყო, გ ა რ და ხ დ ა, ენაუ, დაიყავ, პირო, და-!  
ნესტან-დარეჭან მოსთქმიდა, სისხლის ცრემლითა ტიროდა;  
ი გ ი ც ა მ ო კ ე დ ა, არა თქვა: „სიციცხლე დაეპირო, და-  
შვილნი ტიროდეს, შეიქნა გლოვა, არ სტვირი ყვიროდა. (2058)

ჰგავნდეს, დაბნულდეს თუ მზენი არ ერთგან ორნი მთავარენი;  
ღიოდა მსგავსად ნილოსა მუნ ცრემლნი მონაღვარენი. (2059, 1-2)

მტირალთა, პირ-დახოკილთა მხართა იტირთეს, აიღეს,  
იგ უსახონი მიჯნურნი თ ა ბ უ თ ი ს ა კ ე ნ წ ა ი ღ ე ს... (2060, 1-2)

მღულრად ტიროდეს შვილნიცა, მათნი ძენი და ქალანი,  
მოსთქმულა: „მზენო, სოფელმან ვითარ მოგახდნა ყალანი?“... (2061, 1-2)

იგი სოფელსა აკვარნი ს ა ფ ლ ა ე თ ა მ ი ა ბ ა რ ე ს ა,  
ზ ე დ ა მ ი წ ა ნ ი მ ი ყ ა რ ე ს, მ ი ნ ი ჩ ბ ე ს, მ ი ა ბ ა რ ე ს ა. (2063, 3-4)

მომდევნო, ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების ეპიზოდში ეგვევ ამ-  
ნავი თავიდანვეა მოთხრობილი. ჯერ დინჯად არის აღნიშნული, როგორ დაბერ-  
დნენ ტარიელი და ნესტანი, რამდენი შეილი ჰყავდათ და როგორ დასვეს ისინი  
სამეფო ტახტზე და ბოლოს — როგორ მიიცვალნენ:

ტარიელ და ცოლი მისი სიბერითაა გაუშვერდეს,  
დაყვენს წელნი ოთხშეოცნი, დაბრმეს, დაღრკეს, და-ცა-ბერდეს. (2065, 3-4)

ღლენი მათნი წაიარნეს, დაბერდეს და დაუძლურდეს;  
ტარიელის ლომნი მკლავნი მტად გაუესსრდეს... (2057, 1-2)

ერთი უმა და ერთი ქალი, მართ მათნივე შესაფერნი,  
ღმერთმან მისცნა ესე შეილაღ, საჰვრეტელად შეენიერნი... (2066, 1-2)

ტარიელ და ცოლმან მისმან ტახტოსნობა მოიწყინეს;  
მეფედ დასხნეს შვილნი მათნი, ნაცულად მათად დაღვინეს

ერთსა წელსა დაიხოცნეს, მიწვეს მიწად. მიიძინეს,  
მზესა ლომი არ გაჰყარეს, მასვე თანა დააწვიინეს.<sup>4</sup>  
(2069)

ყველაფერი ეს ისეა გადმოცემული, რომ თითქოს წინ, ტარიელის ანდერძ-ში ამის შესახებ არაფერი იყოს ნათქვამი.

ყურადღებას იპყრობს სხვა წინააღმდეგობაც. ტარიელის ანდერძის მიხედვით ტარიელსა და ნესტანს დასტირიან „ძენი და ქალანი“ (სტრ. 2061,1). შეი-ლები ასევე მრავლობითის ფორმით არის მოხსენიებული ანდერძის 2048,2 ატროფშიაც:

თქსნო, ტომნო, და-ძმანო და შეილნო—ძ ე ნ ო დ ა ა ს უ ლ ნ ო .

ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების ამბის მიხედვით კი მათ ჰყავთ „ერთი უმა და ერთი ქალი“ (სტრ. 2066,1).

სხვა ვითარებას გვიჩვენებს FIH<sup>1</sup>N<sup>1</sup> ხელნაწერთა ჯგუფი<sup>4</sup> (ჩვენი ლიტერით 2 რედაქცია). ამ ხელნაწერებში ტარიელის ანდერძი მნიშვნელოვნად მოკლეა: შეიცავს მხოლოდ 10-ოდე სტროფს (სტრ. 2025—2026, 2028, 2030—2032, 2034, 2043, 2049, 2063). ეს ხელნაწერები არ იცნობს აგრეთვე იოსებ თბილელისეულ ანდერძებს, ხოლო ნანუჩასეული ავთანდილის ანდერძის 16 სტროფიდან (სტრ. 2070—2078, 2050—2056) წარმოდგენილია მხოლოდ 5 სტროფი (სტრ. 2070—2074).

ამგვარი შედგენილობით გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბავთა ტექსტი გაცილებით უფრო გასაგები და გამართულია. ის გამეორებანი და უხერხულობანი, რომლებსაც ადგილი აქვს **ჯ**, **ღ** და **ქ** რედაქციათა ნუსხებში, აქ ნაკლებად შეიმჩნევა. ასე მაგალითად, ამ ხელნაწერებში არის ტარიელის ანდერძის 2063 სტროფი, რომელიც ტარიელისა და ნესტანის დასაფლავებას ეხება. მაგრამ, რადგან წინ აღარ არის აღწერილი ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალება და მასთან დაკავშირებული ტირილი და გლოვა, 2063, 2—3 სტროფის უსობა ტარიელ-ნესტანის დაკრძალვის შესახებ ყრუდ გაისმის და იმ შეუსაბამო გამეორებასა და წინააღმდეგობას აღარ ქმნის, როგორც ეს ვრცელი რედაქციების ნუსხებში იგრძნობა.

გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბები კიდევ უფრო მოკლედ და ლაკონურად არის გადმოცემული E, T, V<sup>1</sup>V<sup>2</sup> და B<sup>2</sup> ხელნაწერებში. ამ ნუსხებში ჩვენთვის საინტერესო ტარიელის ანდერძის არც ერთი სტროფი არ დასტურდება. მათთვის უცნობია აგრეთვე იოსებ თბილელისა და ნანუჩას<sup>5</sup> ანდერძები. ხოლო გმირთა გარდაცვალების ამბები ძლიერ მოკლედ და თავისებური შედგენილობით არის მოცემული. ამ ეპიზოდებიდან (სტრ. 2064—2069, 2106—2110) ხუთივე ხელნაწერში ძირითად ბირთვს ქმნის ის სტროფები, რომლებიც უშუალოდ ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის დაუძლურებასა და გარდაცვალებას ეხება. მხოლოდ რამდენიმე სტროფი ეთმობა სოფლის სამღუროვესა და მსგავს ამბებს.

მიუხედავად ამგვარი მსგავსებისა, ეს ხელნაწერები ერთ რედაქციულ ჯგუფს მიიწი არ ქმნის. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებში, ტარიელის ანდერ-

<sup>4</sup> ამჟამად რედაქციის R ნუსხა ამ ნაწილში ძლიერ დაზიანებულია.

<sup>5</sup> კვეციანი იქნება ნაჩვენები, რომ ნანუჩასეული ავთანდილის ანდერძიდან B<sup>2</sup>-ში იკითხება 2050—2056 სტროფები.

ის წინ და წაკითხვების მიხედვით შემდეგაც, ეს ნუსხები ზემოთ აღნიშნულ რედაქციულ ჯგუფებს განეკუთვნებიან: E ხელნაწერი — ო რედაქციას, T — ო რედაქციას. ამავე რედაქციასთან დგას ახლოს V<sup>1</sup>V<sup>2</sup> ნუსხები. B<sup>2</sup> კი C რედაქციისაა.

თუ ვეფხისტყაოსანში, საზოგადოდ, და მის გაგრძელებებში, კერძოდ, ტექსტის სიმოკლე მის პირველადობას ნიშნავს, როგორც ეს რუსთველოლოგიურ ლიტერატურაშია მიღებული, მაშინ გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბებში ამგვარად უნდა ვცნოთ E, T, V<sup>1</sup>V<sup>2</sup> და B<sup>2</sup> ხელნაწერთა ტექსტი. მის მეორეულ, ნაწილობრივ გაერკობილ ეტაპად ჩათვლება FIH<sup>1</sup>N<sup>1</sup> ხელნაწერთა ტექსტი. ხოლო ამ უკანასკნელის კიდევ უფრო შევსებული და განვითარებული სახე იქნება C, G და L რედაქციების ხელნაწერთა უმრავლესობის ტექსტი.

ამგვარი გაგებით გამოდის, რომ უმოკლეს და პირველად ტექსტს იძლევა თითქმის ყველა ძირითადი რედაქცია: B<sup>2</sup> ხელნაწერის სახით C რედაქცია, T-ს სახით, რომელსაც მხარს უჭერს V<sup>1</sup>V<sup>2</sup> ხელნაწერები, — L რედაქცია და E-ს სახით — ო რედაქცია. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ამ უმოკლეს ხელნაწერებში თითქმის არ იგრძნობა, ან მინიმუმამდე დაყვანილი ის გამეორებები და წინააღმდეგობანი, რაც ვრცელ რედაქციებშია, თითქოს საეკვო აღარ უნდა იყოს E, T, V<sup>1</sup>V<sup>2</sup> და B<sup>2</sup> ხელნაწერთა ტექსტის პირველადობა.

აქედანვე შეგვეძლოს დავესკვნა, რომ ვეფხისტყაოსანს ხვარაზმელთა ამბის (სტრ. 1868—2024) შემდეგ პირველად დაემატა ტარიელ-ნესტანისა და აეთანდილ-თინათინის გარდაცვალების ამბები, ხოლო შემდგომ — ანდერძები. ტარიელის ანდერძიც ერთ-ერთი გვიანდელი დანართია, რომელიც დამოუკიდებელივ, სხვა ავტორის მიერ არის შექმნილი და წინ უსწრებს ნანუჩასა და იოსებ თბილელის მიერ შეთხზულ ეპიზოდებს.

მაგრამ ამ ხელნაწერთა ერთმანეთთან და ძირითად რედაქციულ ჯგუფებთან შედარება ამგვარ დასკვნებს საეჭვოს ხდის.

უპირველესად ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ხვარაზმელთა ამბის მომდევნო ეპიზოდები E, T, V<sup>1</sup>V<sup>2</sup> და B<sup>2</sup> ხელნაწერებში მნიშვნელოვნად განსხვავებულად არის წარმოდგენილი. აი, როგორია მათი სტროფული შედგენილობა:

E—2023, 2069, 2106, 2108—2110, 2064—2063, 2107, 2024, 2024\*, 2111—2120, 2120<sup>1</sup>, 2121—2126.

T — 2024\*, 2061—2068, 2107, 2069, 2106, 2108—2109... 2111—2114...

V<sup>1</sup>—2023, 2064—2068, 2107, 2069, 2106, 2108—2109, 2121—2122, 2124—2126.

V<sup>2</sup>—2023, 2034—2068, 2024\*\*\*, 2107, 2039, 2106, 2108—2109, 2121.

B<sup>2</sup>—2024, 2024\*, 2050—2056, 2106, 2034—2066, 2068—2069, 2111—2122, 2123.1, 2124—2126.

ეს განსხვავებული სტროფული სტრუქტურა შემდეგ შინაარსობრივ განსხვავებას იძლევა:

E-ში ჭერ საუბარია ტარიელ-ნესტანის (სტრ. 2069) და შემდეგ აეთანდილ-თინათინის (სტრ. 2108) გარდაცვალება-დაკრძალვაზე. ეს ამბები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სოფლის სამღურავის შემცველი სტროფებით (სტრ. 2106, 2110, 2064). ამის შემდეგ მოთხრობილია სოფლის უკუღმართობის შედეგად როგორ დაბერდნენ და დაუძღურდნენ ტარიელი და ნესტანი, რამდენი შვილი ჰყავდათ მათ და როგორ გაამეფეს ისინი (სტრ. 2065—2068). ბოლოს, ერთი სტროფით ეგვე აღნიშნულია აეთანდილის მიმართაც (სტრ. 2107).

TV<sup>1</sup>V<sup>2</sup> ხელნაწერებში ამბავთა ეს თანმიმდევრობა შეცვლილია. აქ ჯერ გადმოცემულია ტარიელ-ნესტანისა (სტრ. 2064—2068) და ავთანდილ-თინათინის (სტრ. 2107) დაბერება-დაუძღურება და შემდეგ მათი გარდაცვალება (სტრ. 2069, 2108). E-ს მსგავსად, აქაც თითოეულ ეპიზოდს თან ახლავს სოფლის სამღურავი სტროფები.

სხვა ვითარებაა B<sup>2</sup> ხელნაწერში. მასში ლაპარაკია მხოლოდ ტარიელ-ნესტანის დაუძღურებასა და გარდაცვალებაზე (2065—2066, 2068—2069) და ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ავთანდილი და თინათინი. მართალია, ამ ხელნაწერში არის ავთანდილის ანდერძისა და გარდაცვალების ეპიზოდების 2050—2056 და 2106 სტროფები, მაგრამ ეს სტროფები ზოგადად ეხება ამქვეყნიური სიცოცხლის არარაობასა და წარმავლობას და წარმატებით ესადაგება ტარიელის ამბავსაც.

ამ ხელნაწერებს შორის არსებული ეს განსხვავებანი რამდენადმე თავისთავადაც აყენებს ეჭვის ქვეშ მათ ღედნისეულობას. მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ერთმანეთთან დაშორებისას მათში ცალკეული სტროფების სახით ჩნდება ხოლმე ვრცელი რედაქციების კვალი. მაგალითები (მიეყვებით ბოლოდან):

1. სხვა უმოკლეს ნუსხებში არ არის, B<sup>2</sup>-ში კი იკითხება ვრცელი რედაქციებისათვის კარგად ცნობილი 2050—2056 სტროფები.

2. სამაგიეროდ, B<sup>2</sup>-ში არ ჩანს და ყველა სხვა ნუსხაში, მათ შორის ETV<sup>1</sup>V<sup>2</sup>-შიაც იკითხება 2067 და 2107—2110 სტროფები, რომლებიც ავთანდილისა და თინათინის ამბებს ეხება. როგორც ვთქვით, B<sup>2</sup>-ში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ავთანდილისა და თინათინის ცხოვრების ბოლო ხანაზე, მათ გარდაცვალებასა და დაკრძალვაზე. B<sup>2</sup> ნუსხის წინარე ხელნაწერთათვის კი ეს ეპიზოდი ცნობილი უნდა ყოფილიყო. ეს იქიდან ჩანს, რომ თვით B<sup>2</sup> ხელნაწერში სრულად არის წარმოდგენილი ფრიდონისაგან მეგობართა დატირების ეპიზოდი (სტრ. 2111—2120), რომლის მიხედვით ფრიდონი დასტირის როგორც ტარიელსა და ნესტანს, ისე ავთანდილსა და თინათინს:

ფრიდონ მოსთქმილა ორთავე, ორთა და ორთა ქსტოროდა.  
(2117, 1)

ნურადინ ფრიდონ მოსთქმილა ორთავე მისთა ძმობილთა.  
(2118, 1)  
და სხვა.

3. ვრცელ რედაქციათა უმრავლეს ნუსხებში ხვარაზმელთა ამბის ბოლოს მოთავსებულია 2024<sup>\*\*</sup> (= 1867) სტროფი („ყოვლთა სწორად წყალობასა...“). E, T, V<sup>1</sup> და B<sup>2</sup> ნუსხებში ეს სტროფი ხვარაზმელთა ამბის შემდეგ არ ჩანს. სამაგიეროდ, რამდენადმე გადაადგილებულად ის შემორჩენილია V<sup>2</sup> ნუსხაში.

4. ეპილოგის სტროფებიდან V<sup>2</sup>-ში არის მხოლოდ ერთი, 2121 სტროფი („გასრულდა მათი ამბავი...“), V<sup>1</sup>-ში ყველა არის, გარდა 2123-სა. E-სა და B<sup>2</sup>-ში კი ეპილოგის ყველა სტროფია (T ნაკლულია).

5. V<sup>1</sup>-სა და V<sup>2</sup>-ში ფრიდონისაგან მეგობართა დატირების ეპიზოდიდან (სტრ. 2111—2120) არც ერთი სტროფი არ მოიპოვება. E, B<sup>2</sup>-სა და T-ში ეს სტროფები შემონახულია (T დაზიანებულია და გადარჩენილია 2111—2114 სტროფები).

6. ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში ხვარაზმელთა ამბის ბოლოს იკითხება 2024<sup>\*</sup> (= 1866) სტროფი („ერთმანეთისა მეშველთა...“). ამ სტროფს გაგრძელებათა დასასრულში არ იცნობს V<sup>1</sup> და V<sup>2</sup> ნუსხები. სამაგიეროდ, იგი შემორ-

ჩენილია E, T და B<sup>2</sup> ნუსხებში. T-სა და B<sup>2</sup>-ში იმ ადგილას, სადაც არის ვრცელ ნუსხათა უმრავლესობაში, E-ში კი გადაადგილებულია.

კიდევ უფრო საინტერესოა T-სა და E-ს მონაცემები:

7. ყველა რედაქციის მიხედვით, მათ შორის FIH<sup>1</sup>N<sup>1</sup> ხელნაწერთა მიხედვითაც, გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბებში ჯერ საუბარია ტარიელისა და ნესტანის დაუძღურებაზე, მათ შეილება (სტრ. 2064—2068) და შემდეგ მათ გარდაცვალებაზე (სტრ. 2069). ე. ი. 2069 სტროფი მოთავსებულია 2064—2068 სტროფების შემდეგ. ასეა უმოკლეს რედაქციათა ყველა ხელნაწერში. მხოლოდ E-შია პირუკუ.

8. ასევე, ვრცელი რედაქციების მიხედვით ჯერ აღნიშნულია, ავთანდილმა და თინათინმა რამდენი ხანი იცოცხლეს და რამდენი შეილი ჰყავდათ (სტრ. 2107) და შემდეგ არის მათი გარდაცვალების ამბავი (სტრ. 2108—2110). ე. ი. 2108—2110 სტროფები მოთავსებულია 2107 სტროფის შემდეგ. ამ შემთხვევაშიაც ვრცელ რედაქციებს მიჰყვება TV<sup>1</sup>V<sup>2</sup> ხელნაწერები. E-ში პირიქით არის.

9. ვრცელ რედაქციებში, მათთან ერთად FIRH<sup>1</sup>N<sup>1</sup> ხელნაწერებშიაც, ხვარაზმელთა ამბის ბოლოს არის ამ ეპიზოდის ეპილოგი, 2024-ე სტროფი („ეს ამბავი დარჩომოდა...“), რომელსაც ამავე ნუსხებში ემატება 2024\* (= 1866) სტროფი („ერთმანეთისა მეშველთა...“). ეს სტროფები ვრცელი რედაქციებისებურად ხვარაზმელთა ამბის ბოლოს არის T და B<sup>2</sup> ნუსხებში, E-ში გადატანილია გმირთა გარდაცვალების ამბავთა ბოლოს.

როგორც ვხედავთ, სტროფული შედგენილობისა და თანმიმდევრობის მხრივ ერთმანეთთან დაშორებისას ეს უმოკლესი ნუსხები მიჰყვება ვრცელ რედაქციებს. ანალოგიური ვითარება არის წაკითხვების მხრივაც. E და T ხელნაწერები თავიანთ ჯგუფებთან დაშორებისას წაკითხვებში სწორად ემთხვევა T-სა და მის მიმყოფ ნუსხებს<sup>6</sup>.

ამრიგად, E, T, V<sup>1</sup>V<sup>2</sup> და B<sup>2</sup> ხელნაწერები პოემის გაგრძელებათა სხვა ნაწილებში ძირითადად იმეორებს თავიანთ რედაქციულ ჯგუფთა თავისებურებებს, თავიანთ ჯგუფებთან დაშორებისას, როგორც შედგენილობით, ისე წაკითხვებითაც. სწორად ემთხვევა T რედაქციასა და მასთან მდგომ სხვა ნუსხებს, გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბებში ეს ნუსხები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ერთმანეთთან დაშორებისას ცალკეული სტროფებისა და წაკითხვების სახით ჩანს ვრცელი, კერძოდ კი T რედაქციის კვალი. ყოველივე ეს იმისი დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ დასახელებული ნუსხები განხილულ ეპიზოდში დედნისეულ პარველსაგან არ გვიჩვენებს.

ვითვალისწინებთ რა T რედაქციის ნუსხათა მონაცემებს ხვარაზმელთა ამბავში, სადაც გვაქვს რამდენიმე შემთხვევა ტექსტის განზრახ შემოკლებისა<sup>7</sup>, ასევე საეჭვოდ მიგვაჩნია FIH<sup>1</sup>N<sup>1</sup> ხელნაწერთა პირველადობა გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბებშიაც. მართალია, აქ ტექსტის შემოკლების ისეთი უტყუარი მაგალითები არა გვაქვს, როგორც ხვარაზმელთა ამბავშია, მაგრამ ზოგიერთი რამ აქაც მიგვანიშნებს FIH<sup>1</sup>N<sup>1</sup> ხელნაწერთა სტროფული შედგენილობის ზოგიერთ ცვლილებაზე. როგორც ვთქვით, იოსებ თბილელის ცნობით, რომელსაც იმეორებს სხვა ნუსხებიც, ავთანდილის ანდერძი

\* ამისი ნიმუშები ნაჩვენებია იქნება სხვა ნაშრომში.

<sup>7</sup> ბ. დ. ა. ჩ. ი. ა., ვეფხისტყაოსნის რედაქციითა ურთიერთმიპირებების ზოგიერთი საკითხი | „ხვარაზმელთა ამბის“ მიხედვით, „მაცნე“, 1967, № 4, გვ. 251—263.

ეკუთვნის ნანუჩას. მისივე მოწმობით, იგი შეიცავს 2070—2078, 2050—2056 სტროფებს. F1H1N1 ხელნაწერებში ამ ანდერძის მხოლოდ პირველი ხუთი სტროფი იკითხება (სტრ. 2070—2074), დანარჩენები არა. ცხადია, თუ იოსებ თბილელის ცნობა უტყუარია (მასში საექვო კი არაფერი ჩანს), F1H1N1 ხელნაწერთა რედაქტორს ნანუჩასეული ავთანდილის ანდერძი საგანგებოდ შეუმოკლებია.

ხვარაზმელთა ამბავში სტროფული შედგენილობის მხრივაც E ხელნაწერი თავის ჯგუფთან დამორებისას ემთხვევა ვრცელ რედაქციებს, მათ შორის C-ს<sup>8</sup>. ანალოგიური შემთხვევა გვაქვს პოემის გაგრძელებათა ბოლო ნაწილშიაც: ვეფხისტყაოსნის ეპილოგის ორი სტროფი — 2122 („ქართველთა ღმრთისა დავითის...“) და 2123 („მე ვთქვი ქება თამარისა...“) F1H1N1 ხელნაწერებში მოთავსებულია ხვარაზმელთა ამბის ბოლოს, ტარიელის ანდერძის წინ, 2024\*\* და 2025 სტროფებს შორის. E-სა და C, ლ, ზ რედაქციების ნუსხათა დიდ უმრავლესობაში ეს სტროფები იკითხება ეპილოგის სხვა სტროფებთან ერთად, გმირთა გარდაცვალების ამბავთა ბოლოს, 2121 სტროფის შემდეგ. ჩვენი აზრით, I: ხელნაწერი ამ შემთხვევაშიაც იცავს Z რედაქციის ნუსხათა არქტივის პირველად სახეს.

აი ეს მაგალითები, ვფიქრობთ, საექვოს ხდის გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბებში F1H1N1 ხელნაწერთა შედგენილობის დედნისეულობას.

როგორც ხვარაზმელთა ამბავში, აქაც პოემის ხელნაწერთა ერთმანეთთან შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ უმოკლეს, Z-სა და ნაწილობრივ ლ რედაქციათა ნუსხებში გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბავთა ტექსტები შემოკლებულია ერთი მიზნით: თავიდან აცილებულ იქნეს ის გამეორებანი და წინააღმდეგობანი, რაც C, ლ და ზ რედაქციების ტექსტებშია. ხსენებულ რედაქციათა ნუსხებში ამის მოსაგვარებლად სხვადასხვაგვარი ტექსტობრივი ოპერაციებია ჩატარებული: ლ რედაქციის ქვეჯგუფის GHJQ1U1 ხელნაწერთა რედაქტორს მხოლოდ ერთი, 2058 სტროფი ამოულია და ამით უცდია ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების შესახებ ორჯერ არ ყოფილიყო საუბარი<sup>9</sup>. F1H1N1 ხელნაწერთა რედაქტორს ტარიელის ანდერძიდან ამოულია ყველა სტროფი, რომელიც კი შეუსაბამობას ქმნიდა მომდევნო ეპიზოდთან. ამოულია ზოგიერთი ისეთი სტროფიც, რომელთა შინაარსი წინ ან შემდეგ სხვადასხვა ვარიაციით უფროდებოდა ხოლმე. E, T, V1V2 და B2 ხელნაწერთა რედაქტორები კიდევ მეორე შორს წასულან: ვრცელი რედაქციების ტექსტი მინიმუმამდე დაუყვანიათ.

აღნიშნულ ხელნაწერებში C რედაქციათა ტექსტის შემოკლებისა და დახვეწის ეს ტენდენცია აშკარად შესამჩნევია.

საერთოდ, C1L რედაქციათა ნუსხებში გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბები შინაარსობრივად და მხატვრულად იმდენად ერთფეროვანი და მდარეა, რომ მათგან სტროფების ამოღება და გადაადგილება უმეტეს შემთხვევაში არაფერს ცვლის<sup>10</sup>.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 254—255.

<sup>9</sup> ბ. დარჩია, კიდევ ერთი შემთხვევა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში ტექსტის შემოკლებისა, „საქართველოს სსრ უცნობრებთან აკადემიის მოამბე“, ტ. 66, № 2, 1972, გვ. 497—500.

<sup>10</sup> ამიტომაც არის, ნანუჩასეული ავთანდილის ანდერძის 2050—2056 სტროფები, A, U, M1 და B2 ხელნაწერებში სხვადასხვა ადგილას გადაუტანიათ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბავთა ტექსტები შედარებით პირვანდელი სახით დატული უნდა იყოს სწორედ ვრცელი რედაქციების ნუსხებში. აღნიშნული შეუსაბამობანი ტარიელ-ნესტანის გარდაცვალება-დასაფლავებასა და მათი შვილების შესახებ, რომელიც არსებობს ტარიელის ანდერძსა და ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების ამბავს შორის, ჩვენი აზრით, იმითაა გამოწვეული, რომ ეს ორი ეპიზოდი ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, სხვადასხვა ავტორის თხზულებას უნდა წარმოადგენდეს. რაც შეეხება გაკვიანურებულ თხრობას და სოფლის სამღერავის ტიპის გამეორებებს, ამგვარი სტილი ე. წ. აღორძინების ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელია.

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებში სხვადასხვა ავტორთა მიერ შეთხზული ეპიზოდების ჩართვა ჩვეულებრივი მოვლენაა. პოემის დანართთა ამგვარი ჩანართებია ნანუჩასა და იოსებ თბილელის ანდერძები, აგრეთვე — KOGI-ის ჩანართი — „აქა პირველი ანდერძი ტარიელისაგან თავის შვილს თანა“ (სტრ. 2024<sup>1-18</sup>).

ერთი მხრივ, ტარიელის ანდერძისა და, მეორე მხრივ, ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის გარდაცვალების ამბავთა ავტორები რომ სხვადასხვაა, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტიც, რომ ავთანდილის ანდერძს ქმნის სხვა ავტორი — ნანუჩა. ტარიელის ანდერძი რომ ტარიელისა და ავთანდილის გარდაცვალების ამბავთა ავტორს შეეთხზა, მოსალოდნელი იყო, რომ ავთანდილის გარდაცვალების ამბავს წინ მასვე შეეთხზა მსგავსი ანდერძი ავთანდილის შესახებაც. გარდა ამისა, შესაძრწევია სადავო ეპიზოდთა სტილისტური სხვაობაც: ტარიელისა და ავთანდილის გარდაცვალების ამბავები ორივე მოკლეა და თანატოლი. შინაარსი ორივეში მოკლედ და სხარტად არის გადმოცემული. ტარიელის ანდერძი კი ბევრად ვრცელია, გაკვიანურებულია და საკვია გამეორებებით.

როგორც ვხედავთ, განხილული ეპიზოდები ზუსტად ჩვენი მოსაზრებისებური შედგენილობითაა მოცემული E, T, V<sup>1</sup>, V<sup>2</sup> და B<sup>2</sup> ხელნაწერებში. მაგრამ ეს შემთხვევითი ხასიათის დამთხვევა უნდა იყოს. ზემოთ აღნიშნული მონაცემების გამო ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ ხსენებულ ნუსხათა წინარე ხელნაწერები ტარიელის ანდერძს არ იცნობდნენ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ტარიელის ანდერძი (სტრ. 2025—2049, 2057—2063) და ტარიელ-ნესტანის გარდაცვალების ამბავი (სტრ. 2064—2069) ავთანდილ-თინათინის გარდაცვალების ამბავთან ერთად ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი სხვადასხვა ავტორის თხზულებაა. ამიტომ არის მათში ერთი და იგივე ამბავი ორჯერ მოთხრობილი და ზოგი რამ კიდევ განსხვავებულად წარმოდგენილი. როდესაც ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებში ეს თხზულებანი ერთმანეთის გვერდიგვერდ მოხვდნენ და აღნიშნული შეუსაბამობანი თვალშისაცემი გახდა, უმოკლეს. ო და ნაწილობრივ ო რედაქციის რედაქტორებმა იწყეს მისი გასწორება. ამის შედეგად მივიღეთ ის ტექსტები, რომლებიც დატულია GHJQ<sup>1</sup>U<sup>1</sup>, F<sup>1</sup>H<sup>1</sup>N<sup>1</sup>, E, T, V<sup>1</sup>V<sup>2</sup> და B<sup>2</sup> ხელნაწერებში.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)



## რეზიუმე სირაძე

გრიგოლ ნოსელის „ძიებაჲ სულისათჳს“ ძველ ქართულ  
მწერლობაში და მისი მნიშვნელობა

წარმოჩენილი და გაანალიზებულია ძველ ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ სასულიერო მწერლობაში, პლატონის შეხედულებათა გავრცელების არაერთი ფაქტი. მაგრამ ჭერჭერობით ეს საკითხი არაა შესწავლილი ამომწურავად არც მოცულობით და არც შინაარსობრივად.

გამოსაყოფია ძველ ქართულ მწერლობაში პლატონის მოძღვრების გავრცელების სამი ძირითადი გზა: I. საკუთრივ პლატონის მოსაზრებათა უშუალო გაცნობა; II. ქრისტიანულად გადამუშავებულ პლატონის შეხედულებათა ათვისება და III. პლატონის იდეების გავლენა მხატვრული წარმოსახვის (განსახიზვნების, ძველქართულით — „სახის-მეტყველების“) ფორმებზე.

იმ თხზულებათა შორის, რომელთა საშუალებითაც ჩვენში ვრცელდებოდა ქრისტიანიზებული პლატონის ნაზრევი, უნდა შევიტანოთ ცნობილი ბიზანტიელი მწერლის გრიგოლ ნოსელის (335—394) ნაწარმოები — „ძიებაჲ სულისათჳს“.

გრიგოლ ნოსელი კარგადაა ცნობილი ძველ ქართულ მწერლობაში<sup>1</sup>. მისი ზოგიერთი ნაწარმოები რამდენჯერმეც კი უთარგმნიათ<sup>2</sup>. მის ნაწარმოებებს თარგმნიდნენ ექვთიმე და გიორგი ათონელები, სტეფანე სანანოისძე და სხვანი.

ის მაღალი შეფასება, რომელიც გრიგოლ ნოსელს ეძლევა ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში, გვიჩვენებს მის მნიშვნელობას ძველი ქართული მწერლობისათვისაც. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ „если Василий был церковно-политической главой каппадокийского кружка, то Григорий был его сильнейшим теоретиком; это самый значительный представитель спекулятивной философской мысли в христианском богословии своей эпохи“<sup>3</sup>. „Творчество каппадокийцев—это вершина усвоения языческой философской культуры христианской церковью“.

გრიგოლ ნოსელის თხზულების „ძიებაჲ სულისათჳს“ ქართული თარგმანი ცნობილია რამდენიმე ხელნაწერით A—142, 55, 108 და ათონისა 84/14, ფ. 60—77. კ. კეკელიძე მიუთითებს რა ამ თხზულების ქართულ თარგმანთა ზემოდასახელებულ ხელნაწერებს, ურთავს საერთო შენიშვნას — „ექვთიმეს

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 27—29.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 27—29. ილ. აბულაძე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთაღ დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა ავებულებისათჳს“, შესავალი, თბ., 1964, გვ. 23.

<sup>3</sup> Памятники византийской литературы IV—IX веков. М., 1968, гв. 45, 84.

თარგმანიაო“<sup>4</sup>. გამოდის, რომ ყველა ხელნაწერში ერთი, ექვთიმესეული თარგმანია წარმოდგენილი. ეს კი არ უნდა იყოს მართებული. ჩვენ თარგმანთა რედაქციული ურთიერთმიმართების საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ამჯერად არ ვაპირებთ (ამჯერად ჩვენი მიზანი სხვაა), მხოლოდ რამდენიმე წინასწარ შენიშვნას წარმოვადგენთ.

ჩვენ მიერ გამოყენებული ხელნაწერებიდან A—108-ში საკმაოდ დაზიანებულია სწორედ აღნიშნული თარგმანის შემცველი ნაწილის გვერდები. მისი გამოყენებით გადამტრეული დასკვნების გამოტანა საძნელოა, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თარგმანის ეს რედაქცია საერთოდ უახლოვდება A—55 ხელნაწერისას.

ჩვენ თარგმანთა ურთიერთმიმართების გარკვევას ეამყარებთ A—142 და A—55 ხელნაწერების ურთიერთშეკერებაზე. ბერძნული დედანი შეგვიძლია გავითვალისწინოთ იმ სახით, როგორადაც წარმოდგენილია მინის გამოცემაში<sup>5</sup>.

რამდენადაც წინასწარი შედარება საფუძველს გვაძლევს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრ. ნოსელის A—55 ხელნაწერში არსებული თარგმანი საკმაო სიზუსტით გადმოცემს ბერძნულ ტექსტს. მისგან განსხვავდება A—142 ხელნაწერში წარმოდგენილი რედაქცია. A—142-ის რედაქცია გაცილებით მოკლეა. ზოგიერთი ადგილი, რომელიც პირველშია, მეორეში მთლიანად გამოტოვებულია. საერთო ადგილებიც რედაქციულად ერთმანეთს სხვაობს.

ამრიგად, A—142 და A—55 ხელნაწერებში წარმოდგენილია გრიგოლ ნოსელის თხზულების — „ძიებაჲ სულიათჳს“ ორი სხვადასხვაგვარი თარგმანი და ორივეს მიკუთვნება ექვთიმე ათონელისათვის არასწორია. პირველი მათგანი სწორედ იმ მთარგმნელობითი მეთოდით ჩანს შესრულებული, რომელსაც ექვთიმე იყენებდა და რომლის შესახებაც ეფრემ მცირე ამბობდა: „ქელეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცაო“<sup>6</sup>.

რაც შეეხება მეორე თარგმანს, იგი შეგვიძლია გიორგი ათონელისად ვაღიაროთ, თუკი საერთოდ გავიზიარებთ კ. კეკელიძის ერთ შენიშვნას: „ის თხზულებანი, რომელნიც მოთავსებულია A—55-ში და რომელთა მთარგმნელი აღნიშნული არაა, უნდა ეკუთვნოდეს გიორგი მთაწმიდელსაო“<sup>7</sup>.

რაკილა ეს თარგმანია სრული, ჩვენც საკითხის განხილვას მასზე დავამყარებთ.

ამჯერად, აღნიშნული თარგმანი გვაინტერესებს ერთი გარკვეული ასპექტით, რაც არ ყოფილა ჩვენს მეცნიერებაში ყურადღებულად.

როგორც აღვნიშნეთ, ეს თხზულება პლატონის „ფედონის“ ქრისტიანულ გადამუშავებას წარმოადგენს. ბუნებრივია ინტერესი, — ძველ ქართულ მწერლობას ამ თარგმანით რამდენად შეეძლო გაეცნო პლატონის ერთი კონკრეტული ნაწარმოების შინაარსი. საკითხის კონკრეტულად ამ სახით დაყენება უნდა იქცეს ყურადღების საგნად, სხვა-

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 26.  
<sup>5</sup> I.-P. Migne, Patrologia graeca, t. 46, col. 11—160.  
<sup>6</sup> ეფრემ მცირე, შესავალი იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ქართული თარგმანისა. ს. გორგაძე, ი. დამასკელის „Πηγὴ ὕψιστης“ ქართულ მწერლობაში, მიმოხილვული, თბ., 1926, I, გვ. 187.  
<sup>7</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 29.

მხრივ კი, რომ საერთოდ პლატონის ნააზრევი ცნობილი იყო ძველ საქართველოში, ეს კარგა ხანია გამორკვეულია.

ჩვენს ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ აღნიშნული თარგმანი წარმოადგენს ჭერჭერობით ჩვენთვის ცნობილ ერთადერთ ძეგლს, რომლიდანაც ძველ ქართულ მწერლობას შეიძლოა გაეცნო პლატონის ერთი კონკრეტული თხზულების საქმოდ მიახლოებული შინაარსი. სხვა ასეთი ძეგლი, რომელიც შეიცავდეს ან პლატონის ან არისტოტელეს რომელიმე ნაწარმოების გარდა თქმას, ძველი ქართული მწერლობიდან ჭერჭერობით არაა გამოვლენილი. არსებობს აღორძინების ხანის ცნობა — იოანე პეტრიწმა არისტოტელეს *Μηχανική* და *Περὶ ἀέρος* თარგმნაო. მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევია.

რით უახლოვდება ეს ნაწარმოები „ფედონს“?

— უპირველესად ფორმით. თეორიული საკითხის განსჯა ორივეგან მოწოდებულია დიალოგის საშუალებით. „ფედონის“ დიალოგის მონაწილეებს (მაგალითად, კებესსა და სოკრატეს) გრიგოლ ნოსელის თხზულებაში ენაცვლებიან თვით გრიგოლი და მაკრინა (გრიგოლის დაი და მისი სულიერი მოძღვარი). ორივეგან საუბრის წარმმართველი მოპასუხისაგან მოელის საკითხის გადაწყვეტას (შდრ. ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში მსაჯულისა და წმინდანის დიალოგები). მაშასადამე, ამ ნაწარმოების თარგმანით ქართულ მწერლობას ეძლეოდა ნიმუში იმისა, რომ ფილოსოფიური მსჯელობა გადმოიციეს დიალოგის ფორმით. ბიბლიაშიც ჰქონდა საქრისტიანო მწერლობას დიალოგთა მაგალითი, მაგრამ ეს სხვაა. საქმე ეხება არა საერთოდ დიალოგებს, არამედ თეორიული საკითხის განხილვას, თუ გადაწყვეტას დიალოგის საშუალებით. ეს კი პლატონიდან მოდის. სპეციალურ ლიტერატურაში ეს მიჩნეულია საკუთრივ ბერძნულ აზროვნებაში შემუშავებულ ლიტერატურულ ფორმად და საზოგადოდ ბერძნული აზროვნების თავისებურების წარმომადგინებლად<sup>8</sup>.

მაგრამ შეხვედრათა თვალსაზრისით არსებითია ის, რომ ორივე ნაწარმოებში ერთნაირია განსჯის საგანი და მსჯელობის საბაბი<sup>9</sup>.

განსჯის საგანია — სულის უკვდავების, სიკვდილთან შერიგებისა და მასთან დაკავშირებული საკითხები. „ფედონში“ ამ თემებზე საუბრის საბაბი ხდება სოკრატეს მიახლოებული სიკვდილით დასჯა, გრიგოლ ნოსელის თხზულებაში დიალოგის საბაბად გამოცხადებულია ის, რომ გარდაიცვალა ბასილ დიდი, საუბრის მონაწილეთა — გრიგოლისა და მაკრინას — ძმა. ბასილი იყო პატრისტიკის უმთავრესი მოძღვარი, „საეკლესიო მამა“, ქრისტიანობის და, მაშასადამე, მთელი შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების „მოძღვართ-მოძღვარი“. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ სოკრატეს ადგილს იჭერს ბასილი.

<sup>8</sup> С. С. Аверинцев, Греческая литература и ближневосточная «словесность» (Противостояние и встреча двух творческих принципов), Сб.: «Типология и взаимосвязи литератур древнего мира», М., 1971, гл. 215. Фрейндер, Византийская литература VII—первой половины IX в.: Памятники византийской литературы IV—IX веков, М., 1968, гл. 222.

<sup>9</sup> პლატონი, „ფედონი“, ძველ ბერძნულად თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩაბაბრეგვაძემ, თბ., 1966, გვ. 215.

ლიტერატურული ფორმა აქ ალეგორიულად შეიცავს ისტორიულ შინაარსს: მართლაც, როგორც სოკრატე იყო პლატონური ფილოსოფიის პირველსათავე, ასევე პატრისტიკის მოძღვარი გახდა ბასილ დიდი. პატრისტიკაში პლატონური მოძღვრების შემკვიდრე იყო ბასილი.

ამიტომ თუ სოკრატეს მოწაფეებს მათი მოძღვრის სიკვდილმა განასვენინა სულის უკვდავების საკითხი, ანალოგიურად იქცევიან პატრისტიკის მიმდევრებიც.

ორივეგან ფილოსოფიური მსჯელობის აღძვრას ახლავს ლიტერატურული მოტივირება. ამგვარი ინტერესებითაც უახლოვდება გრ. ნოსელი პლატონს, საკუთრივ მის „ფედონს“. რომ არა ეს უკანასკნელი მომენტი, საერთოდ სულის უკვდავების საკითხების გასარკვევად მას შეეძლო მიემართა პლატონის სხვა დიალოგებისათვის („ფედროსი“, „ტიმაიოსი“ და „სახელმწიფო“).

გრიგოლ ნოსელი იწყებს იმით, რითაც იწყება „ფედონში“ საკითხის განხილვა: ადამიანი არ უნდა ცდილობდეს სიკვდილს (ეს არ შეესაბამება არსებობის ღვთაებრივ არსს), იგი ცხოვრებაზე უნდა ზრუნავდეს<sup>10</sup>.

განსხვავებით ასკეტური თზულებებისაგან (მაგალითად, ეფრემ ასურისა, წმ. ანტონის იდეალები და სხვ.)<sup>11</sup> გრიგოლ ნოსელი პლატონის კვალობაზე ასკენის: „მოსწრაფება კაცთა ესე არს, რაათა ცხოვრებასა ამას შინა ვეგნეთ“<sup>12</sup>. „ზრუნვაჲ ცხოვრებისა უეჭუელად შიშისათვის სიკუდილისა“<sup>13</sup>. „ფედონი“: „მართალია, ამქვეყნად თითოეული ჩვენთაგანი დილეგშია გამოკეტილი, არ უნდა ვეცადოთ ამ დილეგიდან გაქცევას და თავის დაღწევას“<sup>14</sup>; „სიშლეგუა კაცმა თავი მოიკლას მანამ, სანამ ამის აუცილებლობას არ მოუვლენს ღმერთი“<sup>15</sup>.

ასეთ შემთხვევაში გრიგოლ ნოსელისაგან პლატონის გამოყენება „სანქტირებულ“ იყო ბასილ დიდის მიერ, რომელიც წერდა: „არა არს საშინელ კაცთა მბრძოლთათვის არცა მახვლი და არცა ლახუარი, ვითარ — იგი ჟამი სიკუდილისაჲ“<sup>16</sup>.

(ეს თვალსაზრისი შევიდა სასულიეროშიც და საერო მწერლობაშიაც. ამით ქრისტიანული მსოფლგაგება უპირისპირდება სტოელებს; შდრ. რუსთაველი: „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“<sup>17</sup>).

მართალია, კანონზომიერებადაა მიჩნეული, რომ ადამიანი „ებრძვის და წინა-აღუდგების სიკუდილსა“<sup>18</sup>, ან პლატონის სიტყვებით, „გონიერნი უნდა დრტვინავდნენ, როცა სიკვდილი უახლოვდებათ“<sup>19</sup>, მაგრამ ორივეგან ამას უკავშირდება საკითხი: ვის შეიძლება არ აშინებდეს სიკვდილი? პლატონის პასუხი ასეთია: „კაცს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა

<sup>10</sup> „ფედონი“, გვ. 10.

<sup>11</sup> А. Г а р н а к. Монашество, его идеалы и его история, СПб., 1878, გვ. 7 და სხვ.

<sup>12</sup> სჯ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი А—55, გვ. 32r.

<sup>13</sup> А—55, გვ. 31v.

<sup>14</sup> „ფედონი“, გვ. 11.

<sup>15</sup> იქ.ვე. გვ. 12.

<sup>16</sup> Sin — 82, გვ. 62.

<sup>17</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966, სტრ. 117, 3.

<sup>18</sup> А—55, გვ. 32r.

<sup>19</sup> „ფედონი“, გვ. 13.

ფილოსოფიას<sup>20</sup>, ანუ სოკრატეს. გრიგოლ ნოსელის პასუხია: კაცს, რომელიც, მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა ღმერთს, ანუ ბასილ დიდს<sup>21</sup>.

ასე შეცვალა ფილოსოფოსი თეოლოგოსმა. ესაა პლატონის ქრისტიანობის ერთ-ერთი ცხადი მაგალითთაგანი. ფილოსოფოსი სიკვიდის ურიგდება მისი გარდუელობის შეგნებით, თეოლოგოსი — მხოლოდ რელიგიური ოპტიმიზმის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, ძლიერ აახლოვებდა ქრისტიანობასთან „ფედონს“ შემდეგი ნააზრავი: „სულნი, რომელთაც წმიდად და შეურყენებლად განვლეს წუთისოფელი, თავს აღწევენ ქვესკნელის ტყვეობას, ზესკნელის წმინდა სიერცისაკენ აღისწრაფიან და იქ ივანებენ“<sup>22</sup>. პლატონისათვის სულის განწმენდის (კათარსისი და აქედან, მისი საშუალებით, „თეოზისი“ — განღმრთობა) საშუალება იყო ფილოსოფოსობა, გრიგოლ ნოსელისათვის — ღმერთზე ფიქრი (ასე ვთქვათ, „უშუალო განღმრთობა“).

ამას უშუალოდ უკავშირდება საკუთრივ სულის უკვდავების საკითხები.

სულის უკვდავების საკითხი არსებითად ქრისტიანობაში რწმენის საკითხი იყო. მასთან ლოგიკის გზით მისვლა გამორიცხულად უნდა ჩათვლილიყო. მიუხედავად ამისა, გრიგოლ ნოსელის მიერ იგი განსჯის საგანდაა ქცეული და ეს უდავოდ პლატონური აზროვნების, საკუთრივ „ფედონის“, აშკარა გავლენის შედეგია. მაკრინა ეუბნება გრიგოლს: „შენ მიერ იქმნა დაწყება ამით ძიებათა და ესრეთ შემდგომად კითხვისა და მიგებისა გამცხადნეს კემშარიტებაჲო“<sup>23</sup>. იქვე: „დამტკიცნის სიტყუაჲ სულისაჲ ურთიერთარს წინა-აღდგომითა უკუდავებისათჳს სულისა“<sup>24</sup>. მაშასადამე, საწინააღმდეგო აზრთა დაძლევით ფიქრობენ სულის უკვდავების დამტკიცებას.

გრიგოლს მოჰყავს „წინა-აღმდგომნი სიტყუანი“: „ვინაჲთგან კორცნი აგებულნი არიან, უეჭველად, რომელთა მიერ აღეგნეს, მათდა მიმართ განიბნევიან. და რაჲ იქსნენ რაჲამს-იგი ბუნებამან ნიეთთამან თითოეული ნიეთი თავისა თვისისა მიმართ მიიზიდის: მკურვალემან — მხურვალეჲ, და მიწამან-მიწაჲ. და სხუათა მათ ნიეთთა — თჳსნი იგი და მიმსგავსებულნი მათნი ნიეთნი. აწ უკუე ესე რა ესრეთ იქმნეს, სა და და ვ ა წ ე ს ო თ ს უ ლ ი? რამეთუ უკუეთუ ნიეთთა თანა ეინ თქუას ყოფაჲ მისი თჳსებასა მისცემს მათ თანა, რამეთუ უცხოჲ უცხოსა არა შეეზავების და უკუეთუ ესე ესრეთ იქმნეს, იძულებით მრავალ-სახედ საგონებელ იქმნეს იგი და შეზავებულ წინა-აღმდგომთა ნიეთთაგან. და მრავალ-სახე მარტივ არა არს, არამედ აგებულ და ყოველივე აგებულ და ქსნად არს. ხოლო ხრწნილებჲ არს აგებულისაჲ და გახრწნადი უკუდავ არა არს, თუ არა კოცნიცა სამე უკუდავ იწოდენ, ვინაჲთგან, რომელთაგან აგებულ არს და მათვე ნიეთთა მიმართ განიბნევიან. ხოლო უკუეთუ სხუაგან სამე არს და არა ამით შინა, სადა უკუე არს. ვინაჲთგან ნიეთთა თანა შემსგავსებულ არს ყოფაჲ მისი არა მათგან შემზადებისათჳს. და სხუა არა რაჲ არს სოფელსა შინა ბუნებითა მისითა, ხოლო რომელი არასადა არს, განაღა არცა იყოს ყოველადე“<sup>25</sup>.

<sup>20</sup> „ფედონი“, გვ. 15.

<sup>21</sup> A—55, გვ. 31v.

<sup>22</sup> „ფედონი“, გვ. 116.

<sup>23</sup> A—55, 31. 32v. col. 2.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> A—55, გვ. 32v. col. 2—33r. col. 1.

მოტანილ ნაწყვეტში წარმოდგენილი მსჯელობა თანმიმდევრულად, ოღონდ ფორმალური ცვალებადობით, მიჰყვება „ფედონის“ XXV—XXVII თავებს, რომლებშიც აგრეთვე ლაპარაკია, რომ უნდა გამოიყოს საგანთა ორი ჯგუფი: მარტივი (აუგებელი) და აგებული (ანუ ხრწნადი). ორივეგან დასმულია კითხვა, თუ რომელია სული, რომელ მათგანსა შეიძლება განეკუთვნოთ ის. შემდეგ აქ ლაპარაკია სხეულის „ხრწნილებაზე“. აქედან — უშუალო გადასვლა, რომ სული არ შეიძლება ეზიარებოდეს ამქვეყნიურ რაიმეს და ამიტომ აღესწრაფვი-სო ზეცას<sup>26</sup>.

აი, „ფედონის“ შესაბამის ადგილები:

„საგანთა რომელი გვარი განიცდის განფანტვა-განქარებას? რომელ საგანთათვის უნდა ეწიშობდეთ, ვაითუ დაიშალონო ისინი, ან რომელთათვის არ უნდა ეწიშობდეთ ჩვენ? და მერე, საჭიროა გვარაკვიოთ, ამ ორ გვართაგან მაინც რომელს ეკუთვნის სული და ამის მიხედვით დავასკვნათ, მისთვის გემართებს შიში თუ არა?“<sup>27</sup>. სოკრატე განაგრძობს: „რას იტყვი, განა სწორედ ის საგნები არ განიცდიან დაშლას, რომელნიც შედგენილნი ანუ რთულნი არიან ბუნებით? რადგან შედგენილნი რომ არიან, შემადგენელ ნაწილებად იშლებიან კიდევ; ხოლო მარტივი საგნები, რომელთაც შემადგენელი ნაწილები არ გააჩნიათ, დაშლას როდი განიცდიან შედგენილი საგნების მსგავსად. მაგრამ მარტივს ხომ ისეთ საგნებს ეუწოდებთ ჩვენ, რომელნიც არასდროს არ იცვლებიან და ერთი და იგივენი არიან მუდამ, და პირიქით, რთულ საგნებად ვთვლით ისეთ საგნებს, რომლებიც მიწყვი იცვლებიან და არასდროს არ არიან ერთი და იგივე“<sup>28</sup>. მომდევნო თავში (XXVII), ისევე როგორც ნოსელის თხზულებაში<sup>29</sup>, ლაპარაკია, თუ რაოდენ ატყვევებს ხორცი სულს, რომ სული ვერ ეზიარება მას და აღისწრაფვის უცვლელი სამყაროსაკენ, რათა იმას ეზიაროს<sup>30</sup>.

(თუ აღმოსავლეთში ასეთი გაგება უშუალოდ ნოსელის თხზულებას შეეძლო გავერცელებინა, დასავლეთისკენ მან დაახლოებით ასეთი გზა გაიარა: არეოპაგეტიკა, იოანე სკოტ ერიგენა, თომა აქვინელი, და თვით დანტე ალიგიერამდე და შემდეგაც. შლრ.: „Закрты наши умственные очи, пока душа связана и пленена органами нашего тела“<sup>31</sup>. საზოგადოდ სულის ზეალსვლის მოძღვრება, როგორც თანამედროვე დანტოლოგია ამტკიცებს, დანტემ აიღო პლატონიდან. ამ მხრივ თომა აქვინელიდანაც პლატონური გააზრებანი ხდება მისი წყარო და არა არისტოტელური მოძღვრება სულზე<sup>32</sup>, როგორც ამას აღრე მიიჩნევდნენ. რაც მთავარია, პლატონური წარმოდგენები სულის ზე-

<sup>26</sup> A—55, გვ. 33r, col. 2.

<sup>27</sup> „ფედონი“, გვ. 45.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>29</sup> A—55, 33 r, col. 1.

<sup>30</sup> „ფედონი“, გვ. 48—49.

<sup>31</sup> Данте Алигьери, Пир. — Малые произведения. издание подготовил И. Н. Голенциш-Кутузов, М., 1968, გვ. 149.

<sup>32</sup> Bruno Nardi, Saggi e note di critica, dantesca, Milano-Napoli, 1966, გვ. 30. ჩვენთვის საყურადღებო თავები გეთარგმნა მარინა გოგორიშვილმა.

აღსვლის შესახებ დანტეს მხატვრულ აზროვნებაზე ახდენდა გავლენას<sup>33</sup>. თანამედროვე დანტოლოგიის ამ დასკვნას უნდა ვითვალისწინებდეთ, როცა სულის ზეაღსვლის რუსთველურ წარმოსახვებს ვეხებით. მხედველობაში გვაქვს: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შერთიან სულთა სირასა“; „ღმერთსა შემვედრე...“ და სხვ. რუსთაველის მიერ პლატონური მოძღვრების გათვალისწინების შესაძლებლობას ხომ დასახელებული თარგმანიც ქმნიდა).

მაშასადამე, როგორც ზემოთ დავინახეთ, სულის ზეაღსვლის საკითხს გრ. ნოსელი „ფედონის“ მიხედვით აყალიბებს.

ამას უკავშირდება კითხვები, რომლებსაც გრიგოლ ნოსელი უსვამს თავის სულიერ მოძღვარს (მაკრინას): როგორ არ უნდა წუხდესო კაცი (თუნდაც სული ზეაღსვლა მის ბუნებრივ მიდრეკილებად მიაჩნდეს), როცა ხედავს ღვთაებისაგან მინიჭებულ სიცოცხლეწართმეულ ადამიანს? — „ვინაფთვან ბუნებით ესრეთ საშიშარ არს სიკვდილი, ვითარ ვინ თავს იღვას შეუწუხებელად სიკუდილი საყუარლისა თვისისა? — სიცოცხლეო „ვითარცა სანთელი დაშრტის და სრულიად განქარდის“<sup>34</sup>. აქვე დგება საკითხი, თუ რა იწვევს სიკვდილის შიშს და ნათქვამია, რომ „განსრულსა მის სულსა უმეცარ ვართ, თვთ მას და ბუნებასა მისსა“<sup>35</sup>. „ფედონში“ ეს ეპეი ამგვარადაა გამოთქმული: „კაცნი ეკვის თვალთ უყურებენ ერთ რამეს, კერძოდ მას, რაც სულის შესახებ ითქვა: რადგან მათი აზრით, სხეულს რომ ეყრება, სული წყვეტს არსებობას და კაცის სიკვდილისთანავე ისიც იშლება და იღუპება. სხეულს გაყრილი, სხეულს განშორებული სული მყისვე განქარდების სუნთქვისა თუ კვამლის დარად და არარაობას ერთვის“<sup>36</sup>.

„ჩაკუნნი და თორნენი და პირად პირადნი იგი საჭურველნი და ზღუდენი და ბქენი რკინანი და საყოფელთა შეკრძალვანი რაფსათვს იქმნებიან სხსსა, გარნა შიშისათვს სიკვდილისა“, — წერს გრიგოლ ნოსელი<sup>37</sup>.

მაკრინა მიუგებს, რომ ყოველივე ეს არ სჭირდება მას, ვინც არ უშინდება სიკვდილს. მაშასადამე, ესენი სჭირდება მას, ვინც წუთისოფლის ამაოებას ეშურება. ამ მსჯელობას უახლოვდება სოკრატეს სიტყვები, რომლითაც იგი მიმართავს სიმას: „რა ფასი აქვსო (იმისთვის, ვისაც სიკვდილია არ ეშინია, ანუ ფილოსოფოსისათვის. — რ. ს.) ლამაზ ფეხსაცმელს ან სხვა ძვირფას ტანსამკაულს? როგორ გგონია, ფილოსოფოსი რაიმე მნიშვნელობას ანიჭებს ყოველივე ამას, თუ არად ადგებს“<sup>38</sup>.

სხეულისა და სულის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით სულის ფუნქცია ასეა განმარტებული გრიგოლ ნოსელის მიერ: „სული თავით თვსით ცხოველჰყოფს ზორტა“<sup>39</sup>. „ფედონში“ სოკრატე კითხულობს: „რა უნდა გამოვლინდეს სხეულში, რომ ცოცხალი იყოს იგი? — სული, — მიუგო კებესმა“. კებესი დასძენს: „სულს ყოველთვის სიცოცხლე შეაქვს მასში, რაშიც იგი ვლინდებაო“ და სოკრატეს უდასტურებს ნათქვამს<sup>40</sup>.

<sup>33</sup> И. Н. Голенишев-Кутузов, Творчество Данте и мировая культура. М., 1971, гл. 77.

<sup>34</sup> А—55, გვ. 32r, col. 1.

<sup>35</sup> А—55, გვ. 32r, col. 2.

<sup>36</sup> „ფედონი“, გვ. 26.

<sup>37</sup> А—55, 32r, col. 1.

<sup>38</sup> „ფედონი“, გვ. 16.

<sup>39</sup> А—55, გვ. 33r, col. 2.

<sup>40</sup> „ფედონი“, გვ. 101.

მსგავსი შინაარსობრივი შეხვედრები ამ თხზულებათა შორის არაერთია. ერთნაირია შედეგიც: სულის უკვდავების რწმენის შთანერგვა. მაგრამ აქვე დგება განსხვავების საკითხები. პირველი: მეტაფისიზმის თეორია და მისი შემცველი მთელი ადგილები, ცხადია, ვერ შევიდოდა ქრისტიანული კრეაციონიზმის დამცველი ავტორის თხზულებაში. მეორე: პადესის სურათები, რომელნიც საკმაოდ რელიეფურადაა წარმოდგენილი „ფედონში“ (თავი XI), მიუღებელი იყო გრიგოლ ნოსელისათვის. სამოთხის აღმწერი თხზულებანი აპოკრიფულად ითვლებოდა ქრისტიანულ მწერლობაში. ბუნებრივია ისიც, რომ თხზულებანი შინაარსობრივად სხვაობენ ერთმანეთს კონკრეტული რეალიების თვალსაზრისით. ასევე მათ განასხვავებს ანტიკური მითოლოგიის შეცვლა ქრისტიანული წარმოდგენებით. გასათვალისწინებელია ეპნარობრივი მხარეც: „ფედონი“ ფილოსოფიური ლიტერატურული ეპნარის თხზულებაა, „ძიება სულისათეს“ კი — რელიგიურ-დოგმატიკური. გრიგოლ ნოსელის, ქრისტიანობის ნოღეაწის, თხზულება შეიძლება დამსგავსებოდა პლატონის ნაწარმოებს იმდენად, რამდენადაც ამის ნებას იძლეოდა საზოგადოდ მისი რელიგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული მრწამსი. ამ ფარგლებში იგი მართლაც საკმაოდ მიჰყვება პლატონის ნაწარმოებს და შესაბამისად მის შინაარსს გადმოსცემს.

დასასრულ, სპეციალურად უნდა დაისვას საკითხი, რომელსაც ჩვენ რამდენადმე ზემოთაც ვეხებოდით: რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაწარმოების თარგმანს, მასში წარმოდგენილ პრობლემატიკას ძველი ქართული მწერლობისათვის?

ამ თარგმანის საშუალებით ქართული აზროვნება, ძველი ქართული მწერლობა ეცნობოდა იმ საკითხებს, რომლებიც მაშინ მთელ განათლებულ მსოფლიოს აინტერესებდა. სულისა და ხორციელი ბუნების ურთიერთმიმართების საკითხებს სხვა თხზულებებიდანაც ეცნობოდნენ, მაგრამ ზემოხსენებულ თარგმანში წარმოდგენილი იყო ამ საკითხის განსჯის ის უმაღლესი დონე, რაც კი იმდროინდელ აზროვნებას შეეძლო შეეთვისებინა.

ერთი მომენტი გვესახება ჩვენ განსაკუთრებით საყურადღებოდ. ქართული აზროვნება უმთავრესად ფილოსოფიურ პრობლემებს პოეტურ ფორმებში გარდასახავდა, ე. ი. უმთავრესი, ქართული აზროვნებისათვის ორგანული, ფილოსოფიური პრობლემები მხატვრული აზროვნების სფეროში წყდებოდა. ასეთი იყო ძირითადად ჩვენში ფილოსოფოსობის სპეციფიკა. საკითხებში საყურადღებო ფილოსოფიურ ჩაღრმავებაზე, თეორიული სახის კონკრეტული დასკვნის მიღებაზე მეტად მიდრეკილება მქადუნდება იქეთკენ, რომ ამ პრობლემათა მიმართ ინტერესი მათი პოეტიზირებით გამოხატონ. ფილოსოფიურ მჭვრეტელობას ცვლის პრობლემათა პოეტური განსახიზვნებით მათი ამაღლებულობის განცდა (რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება ჩვენში ფილოსოფიური ინტერესები, მის გვერდით გამოიყოფა, ასე ვთქვათ, წმინდა ფილოსოფიური ნაკადი აზროვნებისა).

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა ქართული აზროვნებისათვის პლატონის მოძღვრებას. მისი ნაწარმევი გაცილებით ეგუებოდა პოეტურ წარმოსახვებს, ვიდრე, მაგალითად, არისტოტელეს მკაცრ ლოგიკურ სისტემატიზაციაზე დამყარებული პრინციპები. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ჩვენში ფართოდ ვრცელდებოდა პლატონური



ნააზრევი. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა გრიგოლ ნოსელის თხზულების — „ძიებაჲ სულისათჳს“ ქართული თარგმანიც.

ამრიგად:

1. ძველ ქართულ მწერლობაში სხვადასხვა რედაქციით ყოფილა თარგმნილი ცნობილი ბიზანტიელი მწერლის გრიგოლ ნოსელის „ძიებაჲ სულისათჳს“; ერთი მათგანი ეკუთვნის ექვთიმე ათონელს, სხვა რედაქციის თარგმანი (A—55, გვ. 31v—42r) შესაძლებელია გიორგი ათონელს მიეკუთვნოთ.

2. ამ თხზულების ქართული თარგმანი წარმოადგენს ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილ ერთადერთ ძეგლს, რომლითაც ძველ ქართულ მწერლობას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა პლატონის ერთი კონკრეტული დიალოგის (ამ შემთხვევაში „ფედონის“) მეტ-ნაკლებად მიახლოებულ შინაარსს.

3. ინტერესი ამ თხზულებისადმი შეიძლება მივიჩნათ გამოხატულებად ქართული აზროვნების ტენდენციისა, რომ ფილოსოფიური პრობლემები განასახოვნონ პოეტურ ფორმებში. ამის საშუალებას კი ჰქონდა პლატონის ნააზრევი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ)

## თეარ ბასილავილი

„ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ავტორი და  
წარმომავლობა

ილარიონ დიდი — პალესტინელი (291—371) იყო ცნობილი სასულიერო მოღვაწე. იგი იყო მოწაფე განთქმული ეგვიპტელი მოძღვრის — დიდი ანტონისა (+355 წ.) და მასწავლებელი და სულიერი მოძღვაირი საქრისტიანო ლიტერატურაში ფართოდ ცნობილი ეპიფანე კვიპრელისა (315—403).

მოთხრობა ილარიონზე — „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა ილარიონისი“ სინას მთის ქართულ ხელნაწერთა № 11 კრებულითა მოთავსებული (Sill. 11. 321v—360v)<sup>1</sup>. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ამ თხზულებას სამართლიანად მიიჩნევს ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის უძველესს, ე. ი. კიმენურ ძეგლად<sup>2</sup>. მისი აზრით, ძეგლი თარგმნილია ბერძნულიდან ქართულ ენაზე VIII—IX საუკუნეში სეითის მიერ<sup>3</sup>. მკვლევარი ამ მოთხრობას უცხო ავტორების თხზულებათა შორის ასახელებს. ძეგლის ავტორი მისთვის უცნობია. სხვა რაიმე აზრი „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ავტორზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გამოთქმულა.

ქართული ვერსია „ილარიონ პალესტინელის ცხოვრებისა“ მომდინარეობს ბერძნულიდან. ამ თხზულების ბერძნული ტექსტი გამოსცა პაპადოპულუ-კერამევსმა პეტერბურგში 1898 წელს<sup>4</sup>. ძეგლი გამოცემულია იერუსალიმის ბიბლიოთეკაში დაცული საბაწმიდის მე-11 საუკუნის ხელნაწერის მიხედვით (საბ. 27, ფ. 237—283). გამომცემელი ავტორებად ასახელებს იერონიმეს (330—419) და სოფრონს და სქოლიოში იძლევა განმარტებას თხზულების ტექსტისა და მისი ავტორის შესახებ. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ხელნაწერის ნაწილი თვით მას გადაუწერია, ნაწილი კი, კეთილსინდისიერად გადაწერილი, მისთვის გაუგზავნია მეგობარს იერუსალიმიდან. გამომცემელს გაუსწორებია მხოლოდ გადაწერის შეცდომები, სხვა ცვლილება ტექსტში არ შეუტანია და დაუბეჭდავს იმ სახით, როგორც იყო. პაპადოპულუ-კერამევსი აღნიშნავს აგრეთვე, რომ „ცხოვრება წმიდისა ილარიონისი“ ლათინურ ენაზე დაუწერია იერონიმეს და დაცული ყოფილა ჭერის მონასტრის საეკლესიო კრებულში კუნბულ სამოსზე (Ἐκπαύσεως ἡ Ἐκπαύσεως, 'Ἐκπαύσεως ἡ Ἐκπαύσεως' Ev Ekaú, 1891, გვ. 9). დასახელებული თხზულება გამომცემელს მიაჩნია მის მიერ გამოცემული ბერძნული ტექსტის დედნად. მაგრამ მას შეუნიშნავს

<sup>1</sup> G. Garrile, Catalogue des manuscrits grecs littéraires du mont Sinai, Louvain, 1956, გვ. 42.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, კიმენური რედაქცია, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 128.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1941, გვ. 121. სეითის მიერ ამ ძეგლის თარგმნა ბოლო ხანებში საეკეოდა მიჩნეული: ნ. ვოგუაძე, სეითი — მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 4, გვ. 57—66.

<sup>4</sup> (Ἰερωνίμου καὶ Σοφορόντου) Βίος τοῦ ἁγίου πατρὸς ἡμῶν Ἰλαρίωνος, 'A. Παπαδόπουλος-Κερამεύς, 'Ανάλυσις Ἱεροσολυματικῆς Σταχυολογίας. Τόμος Β'. Ἐν Πειραιῶσι, 1898, გვ. 82—136.

აგრეთვე დიდი სხვაობაც ამ ორ (ბერძნულ და ლათინურ) მოთხრობას შორის: ბერძნული ვარიანტებით უფრო ვრცელია, აქვს ცალკეული ადგილები, რომელიც ლათინურში არ არის.

თხზულების ლათინურიდან ბერძნულ ენაზე თარგმნას და გავრცობას პაპადოპულუ-ეკრამევსი მიაწერს სოფრონს: „*ἡ γὰρ ἀρχὴ ἐστὶν, ἢ τὸ μετὰ τὴν ἀρχὴν ἔστιν, ἢ τὸ μετὰ τὴν ἀρχὴν ἔστιν*“<sup>5</sup> და თავის ამ ვარაუდს ასაბუთებს თვით იერონიმეს სიტყვებით, რომ სოფრონი იყო დიდად განათლებული კაცი, კარგი მწერალი და ორატორი და კარგი მთარგმნელი, რომ სოფრონმა ლათინურიდან ბერძნულად თარგმნა იერონიმეს შრომები და მათ შორის „ილარიონ ბერის ცხოვრება“: „*Sophronius, vir apprime eruditus, laudes Bethlehem ed'uic puer, et nuper de subversioe Serapis insignem librum composuit. de virginitate quoque ad Eustechium, et vitam Hilarionis monachi, opuscula mea, in graecum eleganti sermone transtulit...*“<sup>6</sup>. იერონიმეს ეს განცხადება, ერთი შეხედვით, საკმაოდ მყარი საბუთი ჩანს იმისათვის, რომ პაპადოპულუ-ეკრამევსს ამ მოთხრობის ავტორად იერონიმე დაესახელებინა, მთარგმნელად კი — სოფრონი. მაგრამ ის ფაქტი, რომ ბერძნული მოთხრობა ლათინურთან შედარებით უფრო ვრცელია, აფიქრებს გამომცემელს. სხვაობა იმდენად დიდია, რომ მას უმართებულოდ მიაჩნია თხზულების ავტორად მხოლოდ იერონიმეს დასახელება. ბერძნული მოთხრობის ის ადგილები, რომლებიც მეტია ლათინურთან შედარებით, მას მიაჩნია მთარგმნელის (მისი აზრით სოფრონის) ჩანამატად და, რომ ეს დიდი წვლილი არ დაუკარგოს მას, თხზულების ავტორად იერონიმესთან ერთად სოფრონსაც ასახელებს<sup>7</sup>.

იერონიმეს ზემოხსენებული განცხადება გვარწმუნებს, რომ სოფრონს უთარგმნია მისი „ილარიონ ბერის ცხოვრება“, მაგრამ არის კი პაპადოპულუ-ეკრამევსის მიერ გამოცემული ეს ბერძნული თხზულება სწორედ ის, რომელიც იერონიმემ დაწერა და სოფრონმა ლათინურიდან ბერძნულად თარგმნა? ეს საეჭვოა და მით უფრო საეჭვოა, რომ ამ მოთხრობის ავტორი იყოს იერონიმე ან სოფრონი. რა გვაძლევს ამის საფუძველს, რომ ექვი შევიტანოთ ძველი ბერძნული ხელნაწერების სახელგანთქმული გამომცემლის — პაპადოპულუ-ეკრამევსის ამ ვარაუდში? ამის საფუძველს გვაძლევს თვით ბერძნული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს დედანს.

მოთხრობის სინური ქართული ხელნაწერის კითხვისას ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ავტორი პირველი პირით მოგვითხრობს ნაწარმოების შესავლიდან თითქმის ბოლომდე: „*აღწერად ვიზრახე*“; „*უფალსა ვვედრებო, მომცეს მე სიტყუაჲ და შეუძლო შე... მითხრობად*“; „*წარმემართოს*“; „*ღირსვიქმნე*“ (321v) და სხვ. ეს პირველი პირით მოლაპარაკე ხან მარტოა, ხან კრებულში ურევია და ერთხელაც არ ახსენებს თავის სახელს, თუ ვინ არის ეს „მე“. ბერძნული რედაქციის მიხედვით (პაპადოპულუ-ეკრამევსის აზრით) ავტორი თითქოს იერონიმე და სოფრონია. ამიტომ ვეძებდი ამ თხზულებაში პირველი პირით მომთხრობის სახელს, ველოდი იერონიმეს და სოფრონს, წავა-

<sup>5</sup> იქვე, გვ. 83 (სქოლიო).

<sup>6</sup> S. Eusebii Hieronymi, De Viris illustribus, caput CXXXV, Migne, Patrologiae series Latina, tomus XXIII, Parisiis, 1845, გვ. 715—716.

<sup>7</sup> Ἄνελεττα... გვ. 62 (საბაური).

წყდი კი სხვას. ტექსტზე დაკვირვებამ და ილარიონთან ახლო ურთიერთობაში მყოფ პირთა გაცნობამ მიგვივითა ავტორზე: როცა ილარიონი 63 წლისა იყო, მის მონასტერში დიდი ერმრავლობა ყოფილა, მას „აქუნდა შფოთი და უცალოება“ და ამის გამო გაპარვა გადაუწყვეტია: „ვითარცა ესმა ესე ძმათა, გულისხმა-ყვეს, ვითარმედ წარსლუაჲ ეგვლეჴის (ილარიონს) და ყოველნი სციიდეს მას და უმეტეს ხოლო წმიდაჲ ევსუჴი, რამეთუ უყუარდა იგი წმიდასა ილარიონს, ვითარცა თავი თვისი“ (348v).

აქ ჩვენ გავცეანით ილარიონის ერთ უახლოეს მოწაფეს — ევსუჴის. მივჰყვით თხრობას შემდეგ: ილარიონი ვერ გაიპარა, მაგრამ მაინც წავიდა და ორი ათასმა კაცმა მიაცილა ბიტვილამდე. მან მათგან „ორმოცინი გამოორჩინა“, ვისაც უფრო კარგად იცნობდა, და იახლა. ჩანს, რომ ავტორი ნაწარმოებინა იმ ორმოც კაცში ურევია. თხრობა კვლავ პირველი პირით გრძელდება: „ვითარ გვთხრობდა ჩუენ ნეტარი ილარიონ“ (350v); „საშინელსა მას და ძნელსა უდაბნოსა ვიღოდეთ სამ დღე“ (350r); „ხოლო ღირსად მოკსენებულთა მსმენელთა მიგითხრა, მი-რამ-ვედთ მას ადგილსა, სადა-იგი იყოფოდა მამაჲ ჩუენი ანტონი“ (350v); „და ვიყვენით რამ ჩუენ მუნ, ნეტარმან ილარიონ მოწაფეთა წმიდისა ანტონისთა თანა წარმიყვანნა... სიხარულითა გუიჩუენებდეს ჩუენ მოწაფენი წმიდისა ანტონისნი ისაკ და პლოსიანოს და გვთხრობდეს“ (351r); „და გვჩუენებდეს რამ ყოველსა მას ადგილსა“ (351r); „ხოლო შე-რამ-ვედით ჩუენ მტილსა მას, მიჩუენნეს ჩუენ ხეები მრავალ-სახტ“ (351r); „გვთხრობდეს, ვითარმედ პირველად წყლისა ამისთვის მოვიდის კოლტი კანჯართაჲ“ (351v) და სხვ.

რა თქმა უნდა, ორმოცი კაციდან ავტორის გამოცნობა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ, აი ილარიონი წავიდა ანტონის მონასტრიდან და მივიდა აფროდიტეს ქალაქში, „ორნი ხოლო ძმანი მის თანა დაიყენნა და სხუანი იგი განუტევნა მისლვად პალესტინედ, მონასტრად მისა“ (352r). იმ ორიდან ერთი ნაწარმოების ავტორი იყო, ეს იქედან ჩანს, რომ მოთხრობის ამ ადგილიდან თხრობა კვლავ პირველი პირით გრძელდება, რასაც ქვემოთ დავინახავთ. თხზულება გვაცნობს, რომ კონსტანტინე მეფის სიკვდილის შემდეგ „განდგომილი და უღვთოჲ“ ივლიანე მეფობდა. ერესის მსახურებმა გადაწყვიტეს ღმრთის მსახურთა დასჯა, მივიდნენ ივლიანე განდგომილთან და „მოითხოვეს წიგნი ბრძანებისაჲ ესრტთ, რამათა მონასტერი მისი (ილარიონისი) საფუძველითგან დაარღვონ, ხოლო იგი და ევსუჴი სადაცა იპოვენენ. მთავრისა მისგან მის სოფლისა იტანჯნენ და მოსწყვიდნენ“ (353v). აქედან ჩანს, რომ ილარიონს კვლავ ახლავს ევსუჴი, რომელსაც ისევე სდევნიან, როგორც მის მოძღვარს. აქვეა დასახელებული მეორე მხლებელი ილარიონისა: „ხოლო ნეტარსა ილარიონს მის თანა ჰყვანდა ჴანანონ, მოწაფტ მისი“ (354v). ე. ი. ილარიონის იმ ორ მოწაფეთაგან, რომლებიც წაიყვანა ბიტვილიდან, ერთი არის ევსუჴი, ხოლო მეორე — ჴანანოსი. სხვა პირთა სახელები მის მხლებელთაგან არ არის ხსენებული.

ევსუჴი სამი წლით დაშორებია თავის მოძღვარს: როცა ილარიონი სიკილიას იყო, „მონაჲ იგი ღმრთისაჲ ევსუჴი, მოწაფტ მისი, მიმოვიღოდა ყოველსა ადგილსა და ეძიებდა მას“ (355v); „ესე ვითარცა ესმა ნეტარსა ევსუჴის, მეყსეულად შევიდა ნავსა“ (355v). შემდეგ იპოვა ევსუჴიმ ილარიონი, „შეუვრდა ფერქათა მისთა და ტიროდა ფრიად. ხოლო ბერმან ძლით აღადგინა იგი, რამეთუ უზომოდ ტიროდა და გარდარეულად. შემდგომად სამისა დღისა აზრახა ნეტარმან მან (ილარიონმა) მას და ჴანანოს და ჰრქუა: ... წარსლუაჲ

ეკლირს ამიერ ქუეყანასა წარმართთასა“ (356r). ე. ი. ეს „მას“ არის ევსუქი და ის ორი მოწაფე კი, რომლებიც ილარიონმა გამოირჩია და იახლა — ევსუქი და ზანანოსი. ამ ორიდან ერთი სწორედ ის არის, ვინც მოთხრობას წერდა. მოთხრობის ამ ადგილიდან თხრობა კვლავ პირველი პირით გრძელდება: „და ესე-ვითარი მრავალი წმიდისა მის კაცისა სარწმუნოებითა ვითარცა უმცირესი რამე ვთქუთ, ხოლო აწ უფროასი საკვრეელი ვითხრათ: ვითარ-იგი ჩუენ წარმოვიდოდეთ მიერ და ლელვათა მათ ქალაქთასა წარმოვპლიდით...“ (358r); „წარვლეთ ჩუენ ლელები ქალაქისაჲ მის, მოვედით პამბედ“ (358r). ილარიონი სიკოცხლის ბოლო წლებში „კვპრეს შეეყენა“. მაღალი მთის თხემზე, უდაბურ ადგილას ცხოვრობდა. ევსუქი იქაც თან ჰყავდა: „უხაროდა ნეტარსა ევსუქის, რამეთუ აღსასრულსა ოდენ თჳსა ბერმან ჰოვა ადგილი, რომელი მას უნდა“ (359r); „ჰკითხვიდა ევსუქის და ჰრქუა“ (359r); „ხოლო ევსუქი ჰრქუა მას: ეზოას მოძღურისაჲ მის იყოს, რომლისაჲ არს მტილი ესე, რომელსა ჩუენ ვი-ყოფით“ (359r). აქედან ილარიონი გზავნის ევსუქის პალესტინაში: „მერმე მოექსენენს ნეტარსა მას ძმანი იგი, რომელნი იყვნეს პალესტინეს და წარავ-ლინა ნეტარი ევსუქი ხილვად მათა და მოკითხვად ყოველთა“ (359r). ევსუქის დააგვიანდა დაბრუნება. ილარიონმა იგრძნო სიკვდილის მოახლოება: „და ვითარ დაეყოვნა ნეტარსა ევსუქის პალესტინეს, ცნა (ილარიონმა). ვითარმედ ამის ცხოვრებისაგან განსლვად არს... წიგნი თჳსითა კელითა და-წერა წინაშე ძმათა და დაუტევა ნეტარისა ევსუქისთჳს წმიდაჲ სახარე-ბაჲ, რომელი მას დაეწერა სიჴაბუქესა. და ფიჩჳ და პალეკარტი და კუქუ-ლი, რამეთუ ესე იყო მონაგები მათი და ამისთჳს ნეტარი ხოლო მკვდრ იყო ევსუქი, რამეთუ ნეტარი იგი მსახური მისი ზანანონ უწინარჳს მცირ-ედთა დღეთა განსრულ იყო. და შემდგომად საქმისა ამის დასნეულდა წმი-დაჲ იგი“ (359v). როგორც ამ სტრიქონებიდან ვიგებთ, ილარიონის სიკვდი-ლამდე გარდაცვლილა ზანანოსი და ამის შემდეგ ავად გამხდარა ილარიონი. ილარიონს ანდერძი დაუწერია სიკვდილის წინ და თავისი პირადი ნივთები მისი უკვე ერთადერთი მემკვიდრისთვის — ევსუქისთვის დაუტოვებია. ევსუქის დაბრუნებამდე ილარიონი გარდაცვლილა. ამის შემდეგაც ხშირად არის მო-თხრობაში ნახსენები ევსუქი: „და ვითარცა ესმა წმიდასა ევსუქის პალესტი-ნეს აღსრულებაჲ წმიდისაჲ მის, მეყსეულად მიიწია კვპრედ“ (360r). მას სურ-და, ილარიონის სხეული მოეპარა და პალესტინაში წაეღო: „ხოლო ევსუქის ესე გულს-ედვა ყოფად“ (360r); „დიდითა ღუაწლითა და შიშითა წარმოიპარნა ჰუალნი იგი წმიდისანი და მოიხუნა იგინი მათემდ... სადა-იგი იყო მონასტერი წმიდისაჲ მის“ (ილარიონის).

როგორც ვხედავთ, ევსუქი ზრუნავდა ილარიონზე თავისი მოძღურის სი-კოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც. მან ილარიონის ცხედარი მოიპარა, კვიპრიდან პალესტინაში გადაასვენა და დაკრძალა მაიუშში, ილარიონის მო-ნასტერში. აღსანიშნავია, რომ ილარიონის თანმხლებ პირთა ან მსახურთა სხვა სხეული ევსუქისა და ზანანოსის გარდა მოთხრობაში არ გვხვდება.

როგორც ტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ილარიონს ჰყავდა ორი უახ-ლოესი მოწაფე — ზანანოსი და ევსუქი. მოთხრობიდან ჩანს, რომ ამ ორიდან ერთი წერდა თხზულებას — გვესაუბრებოდა პირველი პირით. ზანანოსი ილა-რიონის სიკვდილამდე გარდაცვლილა. მისი სიკვდილის ამბის შემდეგ მოთხრო-ბა გრძელდება და ვეცნობით ილარიონის დასნეულებას, ანდერძს, სიკვდილს და მის გადასვენებას კვიპრიდან პალესტინაში.

ცნობილია, რომ ქრისტიან მოღვაწეთა უშუალო მიწაფენი და თვით-მზილველი მათი საქმიანობისა აღწერდნენ ხოლმე მათს ცხოვრებასა და მოღვაწეობას<sup>8</sup>. სწორედ ასეთი ჩანს ევსუქი: თვითმზილველი, თანამებრძოლი, მემკვიდრე, ახლობელი — „უყუარდა იგი წმიდასა ილარიონს, ვითარცა თავი თვისი“ (348v). ევსუქი ზრუნავდა თავისი მოძღვრისთვის ილარიონის სიციცხლეში და მისი სიკვდილის შემდეგაც. იგი ილარიონმა ანდერძით თავის მემკვიდრედ ცნო. სწორედ იგი მოგვითხრობს ილარიონის საქმეებზე. აქედან დასკვნა: ამ ნაწარმოების ავტორი ევსუქი ჩანს.

შეიძლება გვეფიქრა, რომ მოთხრობას წერდა ორი პიროვნება — ზანანოსი და ევსუქი (როგორც, მაგალითად, „ეპიფანე კვპრელის ცხოვრება“ დაწერა იოანემ და პოლობიემ. ისინიც ასევე დაპყვებოდნენ ეპიფანეს და, იოვანე რომ გარდაიცვალა, პოლობიემ განაგრძო წერა)<sup>9</sup>. ამ თვალსაზრისით ჩვენ დიდი გულმოდგინებით ვაკვირდებოდით ამ თხზულებას, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი ტექსტში ვერ აღმოვაჩინეთ. ზანანოსი სულ სამჯერ არის ნახსენები, ორჯერ სიციცხლეში და ერთხელ მისი სიკვდილის შემდეგ: „შემდგომად სამისა დღისა აზრახა ნეტარმან მან მას და ზანანოს“, „ხოლო ნეტარსა ილარიონს მის თანა ჰყვანდა ზანანოს, მოწაფე მისი“, „ნეტარი იგი მსახური მისი ზანანოს უწინარეს მკირედთა დღეთა განსრულ იყო“. ის ფაქტიც, რომ ზანანოსი გარდაიცვალა ილარიონის სიციცხლეშივე, ამკარად გამორიცხავს ზანანოსის ავტორობას.

ევსუქი თავმდაბლობს, ერიდება თავისთავის დასახელებას, ამიტომაც, რომ ნაწარმოებში მისი სახელი ყველგან მესამე პირითაა წარმოდგენილი.

ვინ არის ევსუქი?<sup>10</sup> ამ მოთხრობის მიხედვით ევსუქი არ არის უბრალო მსახური ილარიონისა. იგი ცნობილი სასულიერო პირია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასაც ისევე სდევნიან და სიკვდილს უქადიან ერესის მსახურნი, როგორც მის მოძღვარს, ილარიონს. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ივლიანე განდგომილს ბრძანების გაცემა სთხოვეს ილარიონისა და ევსუქის დასასჯელად (ამ ფაქტთან დაკავშირებით ზანანოსი ნახსენებიც არ არის).

ევსუქი თან დაპყვებოდა ილარიონს და დაწერილებით აღნუსხავდა ხოლმე მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ამბებს. და ეს ამბები, წარმოდგენილი ამ თხზულებაში, არ არის უბრალო ჩანაწერები: მოთხრობა კომპოზიციურად შეკრული, მხატვრულად სრულყოფილი და ენობრივად დახვეწილია. მისი დამწერი განათლებული პიროვნებაა. იგი კარგად იცნობს მეოთხე საუკუნეში არსებულ საქრისტიანო ლიტერატურას, კერძოდ, ახალი აღთქმის წიგნებს და უხვად იყენებს მისთვის საჭირო ადგილებს სახარებიდან, მოციქულთა წიგნებიდან, იოანეს გამოცხადებიდან, ფსალმუნიდან და სხვ. მას კარგად ეხერხება თხრობა და ბუნების მხატვრულად აღწერა. ყოველივე ეს ამ მოთხრობის ავტორს გვიჩვენებს, როგორც გამოცდილ მწერალს და არა ფაქტების უბრალო ჩამწერს. ამის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“

<sup>8</sup> კ. კ. კ. ე. ლ. ი. ძე, ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია, თსუ შრომები, XXX—XXXI<sup>b</sup>, 1947, გვ. 19.

<sup>9</sup> „ცხოვრება ეპიფანე კვპრელისაჲ“, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, ი. იმნაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 92—146.

<sup>10</sup> მოთხრობის რუსულ ენაზე გამოქვეყნულს ი. პომილოვსკის შერჩენული აქვს, რომ ნაწარმოებში მოხსენიებული ევსუქი შეიძლება იყოს განთქმული ლეთისმეტყველი ევსუქი იერუსალიმელი: «Палестинский Патерик», выпуск, 4, СПб, 1893, გვ. 25.

ავტორი, მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი — ევსუქი. შეიძლება იყოს ცნობილი ბერძენი მწერალი ევსუქი იერუსალიმელი.

ცნობილია ევსუქი იერუსალიმელის ებზეგეტიკური და ჰომილეტიკური ნაწარმოებები. როგორც ჩანს, მას ჰაგიოგრაფიული ენარიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ და დაუწერია თავისი მოძღვრის — ილარიონის ცხოვრება. ბერძნულ წყაროებში კი ამ მოთხრობის ავტორად იერონიმეა მიჩნეული<sup>11</sup>.

ლიტერატურის ისტორიაში ხშირია შემთხვევა, როცა ერთი ავტორის თხზულება მეორეს მიეწერება მანამ, სანამ არ აღმოჩნდება ზუსტი ცნობები მისი ავტორის შესახებ. ამგვარ ცნობებს უმეტესად გამოუქვეყნებელი ხელნაწერები გვაწვდის: სინურ მრავალთავში შესული საშობაო საკითხავი („საიდუმლოსა უცხოსა და დიდებულსა ვხედავ“) ამ ხელნაწერში ათანასი ალექსანდრიელს მიეწერება, მაგრამ აკად. ა. შანიძემ აღნიშნა, რომ იგივე თხზულება ბერძნულ ხელნაწერში გრიგოლ ნეოკესარიელს მიეწერება, ზოგში — იოანე ოქროპირს<sup>12</sup>. ევსუქის ავტორობა ხშირად ყოფილა დაჩრდილული. საინტერესოა აგრეთვე აკად. კ. კეკელიძის ცნობა იმის შესახებ, რომ „ფსალმუნთა განმარტებაჲ“ მიეწერება ათანასი ალექსანდრიელს, ნამდვილად კი ეკუთვნის ევსუქი იერუსალიმელს<sup>13</sup>. საინტერესოა ფაქტს აღნიშნავს აკად. ა. შანიძე: „სინური მრავალთავის“ მე-17 თავი, რომელსაც წინ აკლია (გვ. 90—93), უ. გარიოს (აგრეთვე ნ. მარსაც) ტომოთე იერუსალიმელის თხზულება ჰგონებია, მაგრამ კ. კეკელიძეს იგი ევსუქი იერუსალიმელის თხზულებათა შორის აქვს შეტანილი (ეტუდები, V, გვ. 45, № 3), და ილია აბულაძეც ამ თავნაკული თხზულების ავტორად ევსუქი იერუსალიმელს ასახელებს<sup>14</sup>. მსგავს შეცდომას უნდა ჰქონდეს ადგილი „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ავტორობის საკითხშიაც.

ტექსტის ანალიზმა გვაფიქრებინა, რომ შეიძლება თხზულების ავტორად ევსუქი მივიჩნიოთ. მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ თვით იერონიმეს განცხადება: ილარიონ ბერის ცხოვრება მე დაწერე და სოფრონმა თარგმნა ლათინურიდან ბერძნულადო. როგორც აღვნიშნეთ, ამ განცხადების საფუძველზე მიიჩნია პაპადოპულუ-კერამევსმა მის მიერ გამოცემული ბერძნული რედაქციის ავტორად იერონიმე და თანაავტორად — სოფრონი. კრებულის Ἄνελεξαις Ἱεροσολιμιτικῆς Σαχυρολογίας მეხუთე ტომის გამოსვლას რეცენზიით გამოეხმაურა ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი ს. პ. შესტაკოვი. რეცენზენტი იზიარებს გამომცემლის აზრს იერონიმეს ავტორობასა და სოფრონის თანაავტორობაზე და ამბობს: «„Житие преподобного отца нашего Илариона“ представляет греческий перевод (с распространением его некоторыми новыми главами, как гл. 24. учительного характера) этого жития, принадлежащего перу блаж. Иеронима. Издатель указывает и на

<sup>11</sup> Halikn, Bibliotheca Hagiographica Graecae, გვ. 248—249.

<sup>12</sup> ა. შანიძე, სინური მრავალთავი, თბილისი, 1959 გვ. 291.

<sup>13</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 433.

<sup>14</sup> შემდეგში კ. გარიომა შეცდომა გამოასწორა, ძველი მთლიანად გამოსცა ოთხი ხელნაწერის მიხედვით: პარსლისა და უღაბნოს ხელნაწერთა ტექსტის მიხედვით (მათი ტექსტი ბელგიელი მეცნიერისთვის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს პროფ. ე. მებრეველს მიუწოდებია) და ქართულთა მონასტრისა და სინის მთის ხელნაწერთა მიხედვით. თარგმანს ახლავს გამოკლევა და ლათინური თარგმანი (L' Homélie géorgienne A' Hésychius de Jerusalem sur l' Hypapante. Le Muséon 84, გვ. 353—372).

вероятного переводчика, Софрония, которого сам автор оригинала упоминает в 131-ой гл. „De viris illustribus“, как переводчика своих сочинений, между прочим и „Жития монаха Иларииона“<sup>15</sup>.

როგორც ვხედავთ, ს. შესტაკოვი, ისე როგორც პაპადოპულუ-კერამევსი, „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ავტორობის საკითხში ეყრდნობა იერონიმეს ზემოხსენებულ განცხადებას.

ს. შესტაკოვის სარეცენზიო წერილში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ საეპეოდ ყოფილა მიჩნეული იერონიმეს „De viris illustribus“ ნაწარმოების თარგმნა სოფრონის მიერ. წერილის ავტორის მიაჩნია, რომ „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ გამოქვეყნებამ შეიძლება გაფანტოს ეს ეკვი. მოუესმინოთ თვით რეცენზენტს: «Издание этого памятника может пролить новый свет на вопрос о подлинности приписываемого Софронию перевода другого произведения Иеронима „De viris illustribus“, подверженное в последнее время сомнению»<sup>16</sup>.

„Византийский вестник“-ის მე-7-ე ტომის გამოსვლა აღნიშნა „Исторический вестник“-მა ბიბლიოგრაფიული ცნობით, რომელსაც ხელს აწერს С. ამ ცნობაში მხოლოდ ჩამოთვლილია აღნიშნულ ტომში შესული მასალები, მათ შორის, შესტაკოვის რეცენზია „Αναλεκτα Ιερονομίου καὶ Σαχρυλογία“ V ტომზე<sup>17</sup>. სხვა რაიმე აზრი „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ბერძნული რედაქციის ავტორზე ს მეცნიერო ლიტერატურაში არ გამოქმულა.

„ილარიონ პალესტინელის ცხოვრება“ ლათინურიდან რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ი. ვ. პომიალოვსკიმ 1893 წელს. ნაწარმოებისა და მისი ავტორის შესახებ იგი ამბობს: „Житие преподобного Иларииона Великого“ принадлежит перу Блаженного Иеронима Стридонского. Оно писано в его Вифлемском уединении, вскоре после кончины Преподобного. Предлагаемый перевод сделан с латинского подлинника, помещенного в „Латинской Патерик“ Миня“<sup>18</sup>.

რომ გავერკვია, რა საფუძველი ჰქონდა პაპადოპულუ-კერამევსის იერონიმეს და სოფრონის ავტორობად გამოცხადებისათვის, ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ ბერძნული (პაპადოპულუ-კერამევსის მიერ გამოცემული) და ლათინური (იერონიმესეულად მიჩნეული) მოთხრობა ილარიონზე. თვალის ერთი გადავლებითაც ცხადი გახდა, რომ ეს ორი მოთხრობა შინააჩსითა და კომპოზიციურად ერთი და იგივეა. ერთნაირია შესავალი, თავებად დაყოფა, ამბავთა თანმიმდევრობა და, რაც მთავარია, თხრობა ორთავე მოთხრობაში სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს ორიოდ გამონაკლისის გარდა, სადაც ბერძნულის დიალოგების ნაცვლად ლათინურში ამ დიალოგების შინააჩსია გადმოცემული.

ბერძნული მოთხრობა ვრცელია, ლათინური კი — მოკლე. ტექსტის ანალიზის მიზანი იყო, პასუხი მიგველო კითხვაზე: ვრცელი რედაქციიდან შეიქმნა მოკლე, თუ — პირიქით? შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ ლათინური თხზულება ბერძნულის შემოკლებული სახეა და არა ბერძნუ-

<sup>15</sup> «Византийский вестник», т. VIII, вып. 1—2, СПб, 1901, гл. 171.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>17</sup> «Исторический Вестник», т. XXIII, вып. 1, 1902, гл. 331—333.

<sup>18</sup> «Палестинский Патерик», вып. 4, СПб, 1893, гл. 1.



ლი — ლათინურის გავრცობილი თარგმანი (როგორც ეს პაპადოპულუ-კერამეცის ჰგონებია). ჩანს იერონიმეს, გარკვეული მოსაზრებით, შემოშოკლებია ბერძნული მოთხრობა. ასეთ შემოკლებას, როგორც ცნობილია, მიმართავდნენ მაშინ, როცა წმიდათა ცხოვრების წიგნებს ადგენდნენ. ლათინურ ტექსტში გამოტოვებულია ის ადგილები ბერძნული მოთხრობისა, სადაც მსჯელობა არის განყენებულ თემაზე: ლეთისმსახურებაზე, წუთისოფლის წარმავლობაზე და სადაც მოცემულია სწავლება-დამოძღვრა ან ნაწარმოების რომელიმე მოქმედი პირის ცხოვრებიდან წერილმანი ამბებია გაზვიადებული. ასეთი ადგილების გამოტოვების ფაქტი ნაწარმოების თითქმის ყველა თავში გვხვდება:

1. ყველაზე უფრო თვალში საცემი ამ მხრივ არის 24-ე თავი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სინურ ქართულ ხელნაწერში 24-ე თავიდან „სწავლაა წმიდისა ილარიონისი“ ცალკე სათაურით არის გამოყოფილი. მას უქირავს 338r შუა გვერდიდან 345r გვერდის ნახევრამდე, ე. ი. ხელნაწერის 15 გვერდი. ამდენივე ადგილი უქირავს 24-ე თავის ამ ნაწილს ბერძნულში იმ განსხვავებით, რომ აქ მას ცალკე სათაური არა აქვს<sup>19</sup>. ლათინურში მთლიანად გამოტოვებულია ეს ნაწილი და 24-ე თავში მხოლოდ რამდენიმე წინადადებაა დარჩენილი<sup>20</sup>. აქ გამოტოვებულია სწორედ სწავლება-დამოძღვრითი ხასიათის მსჯელობა საიქიო ცხოვრების მარადიულობაზე, ხორციელ საქმეთა დაგმობაზე და უხეი ციტირება საქრისტიანო ლიტერატურიდან. ამოკლებდა რა 24-ე თავს, იერონიმემ წინასწარ გააფრთხილა მკითხველი, რომ არ ეყოფოდა დრო ილარიონის მიერ ჩაღწილი ყველა სასწაულის მოსახრობად (გვ. 40): „*Tempus me deficiet, si voluero universa signa, quae ab eo perpetrata sunt, dicere...*“ ეს განცხადება, რა თქმა უნდა, არ არის ბერძნულ ტექსტში.

2. ასეთივე განცხადებაა ლათინური რედაქციის მეშვიდე თავის დასაწყისში (გვ. 32). აქ იერონიმე ამბობს: მრავალრიცხოვანი იყო ილარიონის განსაცდელი და მრავალნაირი — ბრძოლა არაწმიდებთან, და თუ ყველას ჩამოთვლას მოვიწოდებ, მაშინ გავსცდები წიგნის საზღვრებს: „*Multae sunt tentationes ejus, et die rectaque variae daemonum insidiae: quas si omnes narrare velim, modum excedam voluminis*“

3. მე-10 თავის დისკრულს (გვ. 32) იერონიმე აცხადებს, რომ ილარიონის სხვადასხვა დროინდელ სასწაულებს იგი მოკლედ შეკრებს მკითხველის თვალწინ და მერე დაუბრუნდება მოთხრობის წესს: „*Et quia longum est per diversa tempora carptim ascersum ejus edicere, comprehendam breviter ante lectoris oculos, vitam ejus pariter exponens; et deinceps ad narrandi ordinem regrediar*“.

4. მე-11 თავის ბოლოს (გვ. 33) ლაპარაკია, რით იკვებებოდა ილარიონი. იერონიმე არ თვლის საჭიროდ ასეთი წვრილმანების ვრცლად მოთხრობას და აცხადებს, რომ დროა დაუბრუნდეს მოთხრობის წესს: „*Sed jam tempus est, ut ad ordinem revertamur*“

5. 38-ე თავში (გვ. 48) დიალოგების ნაცვლად მისი შინაარსია გადმოცე-

<sup>19</sup> (Ἱερωνύμου καὶ Σηφορίου) Βίος τοῦ ἁγίου πατρὸς ἡμῶν Ἰλαρίωνος. Ἱ. Α. Παπαδόπουλος-Κεραμῆς, ἹΑντιπῆχτα Ἱεροσολυματικῆς Συναγωγῆς. Τόμος Ε'. Ἱν Περουσιῆ, 1898, გვ. 82—136.

<sup>20</sup> S. Eusebii Hieronymi, Vita s. Hilariionis, Migne, Patrologiae ser. Latina, t. XXIII, Parisiis, 1845, გვ. 40—41.

მული და შემმოკლებელი აქაც აცხადებს, არ გავეგრძელებო „ne longum faciam...“.

6. 42-ე თავის დასაწყისშიაც (გვ. 50) იგი აცხადებს, რომ გამოტოვა სასწაულები, რათა ვინმეს არ ეგონოს, რომ იგი აქიანურებს წიგნს სასწაულების მოთხრობით: „*Praetermitto caetera, ne videar in narratione signorum volumen extendere*“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნული და ლათინური რედაქცია მოთხრობისა დაყოფილია თავებად. სულ 47 თავისაგან შედგება თითოეული. ბერძნულისაგან განსხვავებით, ლათინურში ამ თავებს ცალკე სათაურები აქვს, რაც იერონიმეს მიერ არის დამატებული. მართალია, ლათინური მოთხრობა უფრო ნოკლეა, მაგრამ მასში იშვიათი არ არის იერონიმეს მიერ დამატებული წინადადებებიც. ამას იგი მიმართავს უფრო მეტად თხრობის ემოციურობისათვის, ან გამოხატავს მის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი, ან კიდევ აზუსტებს რაიმეს:

1. მე-18 თავის დასაწყისში (გვ. 35) დამატებულია: არ შეიძლება დუმოლი... „*sed nec illud lacendum est...*“.

2. მე-19 თავის დასაწყისშიაც (გვ. 36): ვის შეუძლია მდუმარებით გვერდის ავლა: „*Quis vero possit silentio praeterire...*“

3. 30-ე თავში მოთხრობილი ამბის შესახებ (გვ. 43) იერონიმე გამოხატავს თავის გაკვირვებასა და აღტაცებას ამავე თავის დასაწყისში: უკვირდეთ სხვებს მის მიერ ქმნილი სასწაულები, უკვირდეთ დაუჭერებელი განდგომილება, ცოდნა, თავმდაბლობა. მე არაფერი ისე არ მაკვიფრებს, როგორც ის, რომ მან (ილარიონმა) შეძლო დაეთრგუნა დიდება და პატივი: „*Mirantur alii signa quae fecit; mirantur incredibilem abstinentiam, scientiam, humilitatem; Ego nihil ita stupeo, quam gloriam illum et honorem calcare potuisse*“.

4. 34-ე თავის დასასრულს (გვ. 47), სადაც ლაპარაკია ერთი ბერის ანგარებაზე, იერონიმე ამატებს: რადგან სხვა ადგილას არ შექნება შემთხვევა, მოგი-თხროთ მის შესახებ, მე ვიტყვი მხოლოდ ერთს იმათ შესაშინებლად, რომელთაც ეჭაერებათ დამრიგებელი: „*Super hoc qui locus referendi non est, hoc tantum dixerim in terrorem eorum qui magistros despiciunt*“. შემდეგ კი თხრობა ისევ გრძელდება, როგორც ბერძნულშია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნულ თხზულებაში მოთხრობის დამწერი პირველი პირით გვესაუბრება და ჩანს, რომ იგი მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია. ლათინურ თხზულებაშიაც არის პირველი პირით საუბარი, მაგრამ სწორედ ეს ახასიათებს იერონიმეს, როგორც რედაქტორს და არა ავტორს. ზემოთ მოყვანილი მაგალითები თხრობის შემოკლების შესახებ ამის ნათელი დადასტურებაა.

გვაქვს კიდევ უფრო დამაჭერებელი ფაქტები იმის დასამტკიცებლად, რომ ბერძნულ და ლათინურ თხზულებაში პირველი პირით მოლაპარაკენი სხვადასხვა პიროვნებებია. როგორც უკვე ვთქვით, ბერძნულა მოთხრობის დამწერი ილარიონის თანმხლები პირი იყო და თავისთავს ილარიონთან ერთად იხსენიებდა: „ჩვენ წავედით, ჩვენ მოვედით, ჩვენ გვითხრა“ და სხვ. ცხადია, იერონიმე ასე ვერ დაწერდა, რადგან იგი მოთხრობის შემმოკლებელია და არა ილარიონის თანმხლები. ამიტომ, ყველგან, სადაც ბერძნულ მოთხრობაში პირველი პირითაა ლაპარაკი, ლათინურში თხრობა გადატანილია მესამე პირში ან სულ გამოტოვებულია ის ადგილი:

1. 31-ე თავში მოთხრობის ავტორი ამბობს: „ვიყვენიოთ რაჲ ჩუენ მუნ, ნეტარმან ილარიონ მოწაფეთა წმიდისა ანტონისთა თანა წარმოიყვანნა და მოპვლიდა ადგილსა მას ყოველსა და მრავლითა სწრაფითა და სიხარულითა გუიჩუენებდეს ჩუენ მოწაფენი წმიდისა ანტონისნი ისაჲ და პლოსიანოს და გვთხრობდეს“: „Ἰερομένων δὲ ἡμῶν ἐξεί, ὁ μακάριος Ἰλαρίων μετὰ τῶν μαθητῶν τοῦ ἀγίου Ἀντωνίου παραλαβὴν ἡμῶν περιήγε τὸν τόπον ἐξείων ἕλον καὶ μετὰ πολλῆς γοργῆς ἐπέδεικυσεν ἡμῖν οἱ μαθηταὶ τοῦ ἀγίου, ὁ Πλοσιανὸς καὶ Ἰσαῖα, λέγοντες...“ (გვ. 121,4—8). ლათინურში შს:ბამის ადგილს თხრობა მესამე პირითაა, ნათქვამია, რომ ილარიონმა წაიყვანა თავისი მოწაფეები ანტონიას მონასტერში და ანტონის მოწაფეებს დაჰყავდა ისინი და აჩვენებდა მათ იმ ადგილებს, სდც ანტონი მუშობდა, ცხვენებდა და სხვ.: „Videres senem huc atque illuc cum discipulis beati Antonii discurrere“ (გვ. 45, 19—21).

2. ამავე თავში ვკითხულობთ: „ხოლო შე-რაჲ-ვედოთ ჩუენ მტილსა მას, მიჩუნენეს ჩუენ ხეები მრავალ-სახმ“: „Ἐπισθίνων δὲ ἡμῶν εἰς τὸν κήπον, ἐβείβαν ἡμῖν ὀνόμα ὀνομαζομένων δὲ ἰεροκλή... καὶ φασί...“ (გვ. 121,25—27). ლათინურში აქაც თხრობა გადატანლია მესამე პირში და ნათლად ჩნს, რომ ამ სიტყვების ავტორი არ არის ილარიონის თანხლები, აქ იკითხება: როცა ისინი მივიდნენ მტარე ბაღში: „Postquam autem ad hortulum venerant...“ (გვ. 45, 36—37).

3. 43-ე თავში ლაპარაკია, რომ საპყარი კაცი ნახეს ბაღის კიშკართან, ილარიონი „პკითხვიდა ვესუქის და ჰრქუა: ვინ არს ესე, ანუ ვინ მოილო იგი აქა? ვესუქი ჰრქუა მას: ეზოას-მოძღურისაჲ მის იყოს, რომლისაჲ არს მტილი ესე, რომელსა ჩუენ ვიყოფით“: „Ἰβρωτα οὖν τὸν Ἰσαχίου τὴν ἐστὶ καὶ πῶς ἡνέχθη ἐκεῖ. ὁ δὲ ἔφη τοῦ ἐπιτρόπου εἶναι αὐτὸν, ὃν διαφέρει ὁ τόπος καὶ ὁ κήπος, ἐν ᾧ κατεοικουμένη“ (გვ. 134, 3—5). ლათინურში აქაც ესაჲე პირშია თხრობა, „ჩუენ ვიყოფით“ შეცვლილია სიტყვებით: ისინი მყვენენ“: „Interrogavitque Hesychium quisnam esset, vel quomodo fuisset adductus. Qui respondens, ait, procuratorem se fuisse villulae, ad cuius jus hortulus quoque, in quo ipsi erant, pertineret.“ (გვ. 51, 47—50).

უმეტეს შემთხვევაში ის ადგილები, სადაც ბერძნულ მოთხრობაში პირველი პირითაა საუბარი, ლათინურში გამოტოვებულია:

1. „და გვჩუნებდეს რაჲ ყოველსა მას ადგილსა, მოვიდა ბერი იგი“: „Καὶ ἐπισθίνων τῶν ἡμῶν τὰ ἐν τῷ τῆσφ πάτω, ἐλθὼν ὁ γέρων...“ (გვ. 121, 16—17).

2. „და ესევითარი მრავალი წმიდისა მის კაცისა სარწმუნოებითა, ვითარცა უმციოტსი რაჲმე ვთქუთ, ხოლო აწ უფროასი საკვრველი გითხრათ: ვითარ-იგი ჩუენ წარმოვიდოდეთ მიერ და ლელეთა მათ ჰალაკთასა წარმოვჰლიდით“: „Τὰτα μὲν οὖν καὶ τὰ ταῦτα ἄς πρὸς τῆν τῶ ὁσίου ἐκείνου ἀνδρὸς πίστιν, βραχέα ὄντα, παρέντες, τὸ τῶτων πῶν θιαυμαστέρων διηγοίμεθα. Ἐκείθεν γὰρ ἐρχομένων ἡμῶν καὶ τὰς Κυκλάδας νήσους παραεόντων...“ (გვ. 132, 20—24).

3. „წარვლეთ ჩუენ ლელები ჰალაკისაჲ მის და მოვიდით პამბელ“ „Ἰαρελθόντες δὲ τὰς Κυκλάδας νήσους, ἀπήλθισμεν εἰς Πίζον.“ (გვ. 132, 28—29).

იერონიმეს ჩაურთავს ტექსტში თავისი განმარტებანი, რომ მოთხრობა უკეთ გასაგები გაეხადა მკითხველისათვის:

1. მე-19 თავში ლაპარაკია ერთ მაიუმელ კაცზე, რომელიც ქვას ამტვრევდა და დაშავდა. იერონიმე განმარტავს, რომ ქვის დამუშავება საჭირო იყო სანაპიროს გასამაგრებლად: „Eterim littus quod Palacstinae Aegyptoque praetenditur per iaturam molle arenis in saxa durescentibus asperatur; paulatimque cohaerescens sibi glarea, perdit lactum, cum non perdat aspectum“. (გვ. 36, 37—43).

2. ასეთივე განმარტება ახლავს ლათინურ მოთხრობაში მე-20 თავს, სადაც ლაპარაკია ქრისტიან იტალიკოსზე, ღაზას ერისმთავარზე, რომლის ცხენებს ერთმა კერძაყვანისმცემელმა კაცმა რაღაც ჭადოთი ძალა წაართვა და იტალიკოსის ცხენებს იმ კაცის ცხენებმა აჯობა შეჯიბრის დროს. აქ იერონიმე იძლევა განმარტებას ამ შეჯიბრის შესახებ: „Hec siquidem in Romanis urbibus jam inde servabatur a Romulo, ut propter felicem sabinarum raptum, Conso, quasi cor.siliorum Deo, quadrigae septeno currant circumitu; et equos partis adversae fregisse victoria sit“. (გვ. 37, 1—5).

არის სხვა ჩანამატებიც. ყველას ჩამოთვლა აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

როგორც ტექსტის ანალიზმა გვიჩვენა, იერონიმე არის „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ არა ავტორი, არამედ ბერძნულიდან ლათინურ ენაზე მთარგმნელი და რედაქტორი. მოთხრობის შემოკლება გამოუწვევია იმას, რომ დგებოდა ე. წ. ცხოვრების წიგნი. როგორც დავინახეთ, იერონიმე ბევრჯან აღნიშნავს, რომ ამოკლებს ამბებს, რათა არ გასცდეს წიგნის საზღვრებს. იერონიმე-რედაქტორი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ცხოვრების წიგნი არ იყოს ზედმეტად დატვირთული წვრილმანი ამბებით, არ იყოს დამძიმებული საღვთისმეტყველო, განყენებულ ამბებზე მსჯელობით. აქ უფრო მკვეთრად უნდა ჩანდეს ნაწარმოების მთავარი გმირი და მნიშვნელოვანი ამბები მისი ცხოვრებიდან. რედაქტორის მიერ ჩართული განმარტებანიც თხრობის სიცხადეს ემსახურება. ასე რომ, „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ლათინური რედაქცია არის ბერძნულის გამოკრებილი სახე, შემოკლებელი კი — იერონიმე.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ მცდარია ბერძნული რედაქციის გამომცემლის — პაპადოპულუ-კერამევსის განცხადება, თითქოს იერონიმე იყოს „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ავტორი; ასევე მცდარია მისი ვარაუდიც სოფრონის თანაავტორობაზე. რაც შეეხება თვით იერონიმეს განცხადებას, რომ მისი შრომა „ილარიონ ბერის ცხოვრება“ სოფრონმა თარგმნა ლათინურიდან ბერძნულად, აქ, ვფიქრობთ, ლაპარაკია იმ შემოკლებულ ლათინურ რედაქციაზე, რომელიც ზემოთ გავაანალიზეთ; საფიქრებელია, რომ იგი თარგმნა სოფრონმა ლათინურიდან ბერძნულ ენაზე. მცდარია აგრეთვე ამ მოთხრობის ლათინური რედაქციის რუსულ ენაზე გამომცემლის ი. ვ. პომიალოვსკის განცხადება — „ილარიონის ცხოვრება“ ეკუთვნის იერონიმე სტრიდონელის კალამსო.

ტექსტების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ კიმენური რედაქცია მომდინარეობს არა ლათინურიდან, არამედ ბერძნულიდან. მისი ავტორია ევსუქი.

## უჩა ბინფლიანი

### აკვილასა და სვიმონოსის ვარიანტები ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში

(მარგინალური წაკითხვები)

ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ბერძნულად მოლაპარაკე ებრაელები ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანს — სექტანტას (=LXX) სულ უფრო მეტ უნდობლობას უცხადებდნენ. ამ უნდობლობის მიზეზი, ჯერ ერთი, ის იყო, რომ LXX-ს ქრისტიანები თავიანთ საეკლესიო საღვთისმსახურო პრაქტიკაში იყენებდნენ და, მეორეც, LXX ტექსტუალურად ებრაული ბიბლიის მასორეტული ტექსტისაგან თვალსაჩინოდ სხვაობდა.

გაჩნდა საჭიროება ისეთი ახალი თარგმანისა, რომელიც მასორეტულ ტექსტთან რაც შეიძლება დაახლოებული იქნებოდა<sup>1</sup>. პირველი ასეთი თარგმანი, რომელიც ჩვენი წ. ა. 130-იან წლებს განეკუთვნება, დაკავშირებულია აკვილას სახელთან.

ცნობილია, რომ აკვილა ცდილობს პედანტური სიზუსტით მიჰყვეს ებრაულ ორიგინალს. ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ბიბლიის პირველივე მუხლის აკვილასეული თარგმანი<sup>2</sup>. ამჟამად აკვილას მიერ შესრულებული თარგმანის ფრაგმენტებიდაა შემორჩენილი<sup>3</sup>.

შემდგომში ანალოგიური სამუშაო ჩატარეს თეოდოტიონმა და სვიმონოსმა<sup>4</sup>. სამივე ამ მთარგმნელს სხვაგვარად „უმცროს“ მთარგმნელებს უწოდებენ, ხოლო მათ მიერ ნათარგმნ ტექსტებს — სამთა თარგმანს<sup>5</sup>. ამჟამად სამივე მთარგმნელის მიერ ჩატარებული სამუშაო ძირითადად წარმოდგენილია ხელნაწერების არშიებზე მიწერილი, ე. წ. მარგინალური შენიშვნების სახით. შენიშვნა, როგორც წესი, გვხვდება ძირითადი ტექსტის იმ წაკითხვის გასწვრივ, რომელსაც ეს შენიშვნა ეხება.

რიცხვი ტექსტებისა, რომელთაც „უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტები შემოუნახავთ, მცირეა. პირველ რიგში აქ შეიძლება დავასახელოთ სირო-პეგზაბლა (=Syr), სექტანტის jzy ნუსხები, ძველი აღთქმის სომხური თარგმანი და ორიგენის ცნობილი პეგზაბლები (ქართული ტრადიცია მას „ექუსშათასავლელად“ ანუ „ექუსსეკად“<sup>6</sup> იხსენიებს), სადაც სამივე მთარგმნელმა შესაბამისად III, IV და VI სვეტები დაიკავა<sup>7</sup>.

<sup>1</sup> O. Eissfeldt, *Einleitung in das Alte Testament*, Tübingen, 1961, გვ. 972.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 972; იხ. აგრეთვე: *Septuaginta id est Vetus Testamentum graece iuxta LXX interpretes* editit Alfred Rahlf, Stuttgart 1951, გვ. VIII—X; I. Soisalo-Soininén, *Die infinitive in der Septuaginta*, Helsinki, 1965, გვ. 200.

<sup>3</sup> O. Eissfeldt, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 972.

<sup>4</sup> ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება როგორც სვიმონოსის (მ. ქანაშვილი) ისე სვიმონოსის (ე. კეკელიძე). ჩვენ ამ უკანასკნელ ფორმას ეხმარობთ.

<sup>5</sup> I. Soisalo-Soininén, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 196—207. იხ. აგრეთვე, ა. რაღვსის გამოცემა, გვ. X.

<sup>6</sup> ე. კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, თბ., 1960, გვ. 425.

<sup>7</sup> M. Buchberger, *Lexicon für Theologie und Kirche*, ტ. II, გვ. 307—312 O. Eissfeldt, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 966.

ბოლო წლების ბიბლიურმა სამეცნიერო ლიტერატურამ ძლიერ გაამაზვი-  
ლა ყურადღება „უმცროს“ მთარგმნელთა მიმართ, კერძოდ მათ მიერ შესრუ-  
ლებული ახალი თარგმანების მიმართების შესახებ, ერთი მხრივ, ებრაულ-  
ბერძნულ ტექსტებთან და, მეორე მხრივ, ორიგენეს ჰეგზაპლბთან. საერთოდ  
„უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტების საკითხს თანამედროვე ბიბლიურ  
ლიტერატურაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია<sup>8</sup>. მით უფრო საყუ-  
რადღებოა, რომ აკვილასა და სვიმანოსის ვარიანტები დაცული გვაქვს ძვ. აღ-  
თქმის ქართულ ნუსხებში, A—570-სა და A—646-ში, რომლებსაც შემოუნახავთ  
სამეცნიერო ლიტერატურაში ჯანაშვილისეული რედაქციის სახელით ცნობილი  
ტექსტი<sup>9</sup>. ამათ დაემატა J—113 ნუსხა (XIII—XIV სს.), რომელშიც უმცროს  
მთარგმნელთა ვარიანტების არსებობის შესახებ დღემდე არაფერი ვიცოდით.  
J—113-ის არსებობზე დადასტურებული ოთხი ვარიანტიდან, სამი ემთხვევა  
ჯანაშვილისეული ნუსხის (A—646) ჩვენებას, ხოლო მეოთხე 19<sub>37</sub> ვარიანტი  
მხოლოდ იერ. ნუსხამ იცის. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქარ-  
თული ტექსტის ისტორიისა, ისე ჯანაშვილისეული და იერუსალიმური ნუსხე-  
ბის ურთიერთმიმართების შესწავლის თვალსაზრისით.

სანამ ვუპასუხებდეთ თუ რა სახითაა წარმოდგენილი აკვილასა და სვი-  
მანოსის ვარიანტები ქართულში, საჭიროა უფრო ახლოს გავეცნოთ სხვა პა-  
რალელურ ტექსტებში ამ ვარიანტების გადმოცემის ტრადიციას.

LXX ხელნაწერების არსებობზე, ძირითადი ტექსტის ამა თუ იმ წაკითხვის  
გასწორი, შევხვდებით შენიშვნებს (მინაწერებს) იმის შესახებ, თუ როგორ  
იკითხება ეს ადგილი „უმცროს“ მთარგმნელებთან. „უმცროსი“ მთარგმნე-  
ლის ვარიანტს, ჩვეულებრივ, წინ უძღვის ავტორის სახელის დასაწყისი ასო  
ბერძნულად, რომელსაც თავზე დამატებითი ნიშანი პრიმი (´) უზის. ამისდა  
მიხედვით α´ = აკვილას, θ´ = თეოლოტიონს და σ´ = სვიმანოსს<sup>10</sup>. ამგვარი აღ-  
ნიშვნა ტრადიციულია როგორც LXX, ისე სირო-ჰეგზაპლისთვისაც<sup>11</sup>. გარდა  
ამისა, გვხვდება აღნიშვნები ς´ γ´ (= α´, θ´, σ´ ე. ი. სამნი) და ζ´ (= ი: λειπῶσι,  
ე. ი. დანაჩენები)<sup>12</sup>.

სომხური თარგმანი ბერძნულ-სირიულ ტრადიციას მისდევს ერთი გან-  
სხვავებით: იგი გვაძლევს „უმცროს“ მთარგმნელთა სახელის შემოკლებას, მაგ.:  
ακ. ακ. ამ შემოკლებებს ვენეციური გამოცემის სქოლიო თვითვე განმარტავს:

<sup>8</sup> ამის შესახებ იხ.: I. Soisalo-Soininen, ხს. ნაშრ.; მისივე: Die Textformen den Septuaginta-Überetzung des Richterbuches, Helsinki 1951, გვ. 106—109. W. Baars, New Syro-Hexaplaric Text, Leiden 1968, გვ. 140—143. D. Barthelemy, Les Devanciers D' Aquila, Leiden 1963. A. Schmitt, Stammt der so genannten „B“—Text bei Daniel Wirklich von Theodotion? Göttingen 1966. Bo Johnson, Die Hexaplarische Rezension des erste Samuelbuches des Septuaginta, Lund 1963. Septuaginta Velus Testamentum graecum Auctoritate Academiae litterarum Göttingensis editum, vol. III, Escher, edidit R. Hanhart, Göttingen 1966.

<sup>9</sup> კ. კ. ე. ლ. ძ. ძე. ქართული ლიტერატურის ისტორია და მისი ჯანაშვილი, კრებული: „მ. ჯანაშვილი“, გვ. 47—49, 1956.

<sup>10</sup> W. Baars, New Syro-Hexaplaric Text, Leiden 1968, გვ. 132—193; Soisalo-Soininen, Die Textformen..., გვ. 106—109.

<sup>11</sup> The Old Testament in Greek... edidit by A. E. Brook, N. Mchleen and H. st. John Thakeray, vol. II, Cambridge, 1930.

<sup>12</sup> Soisalo-Soininen, დასახ. ნაშრ., გვ. 106.



ლურ ბერძნულ-სომხურ ტექსტებთან. ამ ვარიანტებს შემდგომში შეეხო კ. კე-კელიძეც, რომელსაც მიაჩნია, რომ აკვილასა და სვიმასოსის ვარიანტები ქართულ ტექსტში ქართული თარგმანის ბერძნულთან შედარებით გვიან შეჭერების ნაყოფია, თუმცა სპეციალური მსჯელობა ამ საკითხზე არც მას აქვს<sup>20</sup>.

დღესდღეობით რაიმე სხვა სპეციალური გამოკვლევა ამ საკითხზე ჩვენ არ გაგვაჩნია. ჩვენი მიზანია დაწვრილებითი ანალიზი ამ ვარიანტებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი ბერძნულ-სომხურ პარალელურ ტექსტებთან მიმართების დადგენა.

იმისდა მიხედვით, თუ ტექსტუალურად რომელ ტრადიციას ემხრობა ქართულში დადასტურებული აკვილა-სვიმასოსის ვარიანტები, ისინი შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ.

ვარიანტების ერთ ნაწილში სომხური ტრადიცია სჭარბობს აშკარად; მეორე ნაწილში სირო-პეგზაბლას, შედარებით იშვიათად — LXX-ის გავლენა შეიმჩნევა, ხოლო მესამე ნაწილში ისეთი ნიმუშები იყრის თავს, რომლებსაც ბერძნულ-სომხურსა და სირიულში პარალელი არ ეძებნებათ<sup>21</sup>. ფაქტობრივი მასალა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, ამ თანამიმდევრობით არის დალაგებული.

10<sub>13</sub>: LXX  $\alpha\sigma\upsilon \alpha\sigma\upsilon\alpha \alpha\zeta\epsilon\varsigma \beta\upsilon\alpha\alpha\alpha\epsilon\varsigma\alpha\tau\eta\varsigma$  სომხურსა და ქართულში გადმოცემულია ასე: *იოჲლიე დიჲახსილიუ*; ძეთა მის განძლიერებულისათა FI. სომხური ბიბლიის სქოლიო ასახელებს აკვილას ვარიანტს: *ի კოს. ი ქირაკი დორავსი სუკა ზუანსიქი ასკ. ა ჯქსარკათიქსიჯი* „დედოფალი“. შდრ.: კემბრიჯის გამოცემა:  $\alpha\zeta\epsilon\varsigma \beta\upsilon\alpha\alpha\alpha\epsilon\varsigma\alpha\tau\eta\varsigma$  | x' regii; ae Arm. ქართული ვარიანტი, რომელიც ასევე აკვილას მიეწერება, ორივე ნუსხაში დაქარაგმებულია — დიდბ<sup>ლ</sup>ლისათა F, დბ<sup>ლ</sup>ლისათა I. ჭანაშვილს შესაბამისად გახსნილი აქვს ასე: დიდებულისათა F, დიდებულისათა I. ეს წაკითხვა აშკარად გადაწერის პროცესშია დამახინჯებული და მომდინარეობს სწორი „დედ<sup>ლ</sup>ფლისათა“ წაკითხვიდან. ფ>ბ აღრევა მრგვლოვანში **Ф**-ს მარჯვენა ნახევარწერის მოშლის ნიადაგზე **Ф**>**Ϛ** სავსებით კანონზომიერი ჩანს. ასე რომ FI ნუსხების დედანში უნდა გვექონოდა „დედ<sup>ლ</sup>ლისათა || დედფ<sup>ლ</sup>ლისათა“ წაკითხვა, რაც შემდგომში გადამწერთა მიერ იქნა დამახინჯებული.

ამგვარად, აკვილას ეს ვარიანტი მხოლოდ ქართულ-სომხურმა იცის და მათი შინაარსობრივი იდენტურობა ექვს არ იწვევს.

10<sub>27</sub>. ამ მუხლის ძირითადი ტექსტის ის ნაწილი, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს

<sup>20</sup> კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 419, განსაკუთრებით გვ. 423.

<sup>21</sup> დროთა განმავლობაში მარკინალური ვარიანტები ამ ვარიანტების ავტორთა სპეციალური აღნიშვნის გარეშე ძირითად ტექსტში შეიჭრებოდნენ ხოლმე და ამგვარად მის კუთვნილებად იქცევიან. „შეუფთა“ წიგნების ქართულ თარგმანში დადასტურებულ ამ ხასიათის მასალაზე საგანგებო მსჯელობა ცალკე სტატიაში გეყენება. აქ კი ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ნიმუშებზე, რომლებიც მიხედვითაჲ 570 და 646 ნუსხების არშიებზე დადასტურებული ვარიანტები A—51 და J—113 ნუსხებში უკვე ძირითადი ტექსტის კუთვნილებას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტი ცხადად მიგვანიშნებს, რომ აკვილა-სვიმასოსის ვარიანტები ჭანაშვილისეულ ნუსხებში (როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ მხარი დაუჭირა XIII ს. იერუსალიმურმა ნუსხამაც) არაა იზოლირებული ხასიათის მოვლენა და შეტყუვლებს „უმცროს“ მთარგმნელთა ტრადიციასთან ქართული თარგმანის დიდი ხნის კონტაქტზე.





წყაითხვა მას იმ ტრადიციულ ტექსტთანაც აკავშირებს, რომელიც FIJS ნუსხებს უღვევს საფუძვლად.

11<sub>4</sub>: LXX თვ ჯჳჳჳჳ ჯჳჳ თვ P $\rho$ αειν სომხურსა და ქართულში გადმოცემულია ასე: *գրոիւն և գոասիւն* ქორრი და რასიმ.

როგორც LXX, ისე ქართულ-სომხური ტრადიცია აქ ასახელებს ჯერ სვიმასოსის, მერე აკვილას ვარიანტს: ამათგან სვიმასოსის ვარიანტი სამივეგან ერთმანეთის შესატყვისია: *σ' τὸς παρὰ τῆς γῆρας* j = *գաւտանգակսն* = წინამორვალნი FI. იმავე ტრადიციას მიჰყვება Syr-ც, რომელიც ავტორის დაუსახელებლად გვაძლევს *et currentes* ვარიანტს. რაც შეეხება აკვილას ვარიანტს, იგი ბერძნულში გადმოცემულია როგორც *τὸν ἄρετῆρας*, რასაც სომხურ-ქართულში საერთო წარმომავლობის სიტყვა *գղղիւսն*, გ ზ ი რ ი შეეფარდება. ეს სიტყვა სხვა ენებშიც დასტურდება: სპარს. *gazir*, სირ. *gazirā*, აობ. *ǰazir*. აკარიანის აზრით, იგი ქართულში სომხურიდანაა შემოსული. „გ ზ ი რ ი“ საბასაც სხვათა ენად მიაჩნია. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ამ სიტყვის მომდინარეობის დადგენას, რამდენადაც იმ ფაქტს, რომ სომხურ-ქართული ტექსტები აქაც ერთი ტრადიციის მატარებელნი არიან.

11<sub>6</sub>: ებრაულს თუ დავემყარებთ, LXX εἰς τὴ σαρῖραბ Abij xy(LxT'z'c<sup>2</sup>, რომელიც სომხურ-ქართულში წარმოდგენილია როგორც *խ սաղկრიօթիւն* საღაროთღ FIJ, უნდა ნიშნავდეს „ალყას, წრეს“, რაც მისი აკვილას ვარიანტითაც დასტურდება: LXX j ნუსხა აქ უთითებს აკვილას ვარიანტს *περὶ τὸς παρῖβλας*, აქ: „წრე, მოსახვევი“, ხოლო სირო-ჰეზაპლა *ad saepia* „შემოღობილიში“. სომხურ-ქართული ტექსტები აკვილას ვარიანტად აქ ერთ და იმავე ლექსიკურ ერთეულს *ჩიოიოვ*: ფოლოცთას ასახელებენ. ამ სიტყვას სომხურში სხვადასხვა შინაარსი აქვს, რომელთაგანაც ამჯერად ჩვენ გვინტერესებს მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა „რივი, მწყრივი“. პროფ. ილ. აბულაძე თავის სომხურ-ქართულ ლექსიკონში *ჩიოიოვ*-ს განმარტავს *თანაც* სიტყვას საშუალებით. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს „ღობეს, შემოღობილ ადგილს, წრეს“. ამავარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ II *παρῖβλας*: *saepius*: *ჩიოიოვ*: ფოლოცი აქ უნდა ნიშნავდეს „მწყრივს, წრეს, ალყას“, რაც კარგად ეხამება ძირითადი წაყითხვის კონტექსტსაც: *ΜΤ* окружите царя со всех сторон... и кто вошел бы в ряды, тот да будет умерщвлен. მასორეტული ტექსტის *в ряды*<sup>25</sup> ბერძნულ-სომხურ-ქართულ თარგმანებში გადმოცემულია *εἰς τὴ ἀδερῖα*: *խ սաղկრიօթիւն* საღაროთღ.

11<sub>12</sub>: LXX *ἐξῆρα*: *գլեղերն*: იეზერი იგი FIJS.

სირიულ-ქართული ტექსტები და LXX j ნუსხა ერთხმად ასახელებს ორ ვარიანტს, რომელთაგანაც ერთი ეკუთვნის სვიმასოსს, მეორე—აკვილას: *σ' σαριετα* Syr: *τὸ ἄγιο*<sup>26</sup> j: სიქშიდე F. *α' Separatum* Syr: *τὸ ἀφῆρα: αἰεσῶ* j: განკუთვნილი F.

სომხური მხოლოდ ერთ ვარიანტს უთითებს, თანაც ავტორის დაუსახელებლად: *խ վիրայ գլեղերն ზჯანასიქ ვიროქ ქან*, რაც ცხადია, სვიმასოსს მიეკუთვნება. აკვილას ვარიანტის ფარდი სომხურში არ ჩანს.

11<sub>18</sub>. ამ მუხლის აკვილას ვარიანტი ცნობილია მხოლოდ ქართულ-სომხურ წყაროებში. ამასთანავე, თუ სომხურ წყაროს დავეყრდნობით, აკვილას

<sup>25</sup> ეიოწმებთ ებრაული ბიბლიის პარალელურ რუსულ თარგმანს.

<sup>26</sup> შტრ. *border* და Thdt წყაროების *τὸ ἄγιο*.





S ნუსხა თავისი „მდღელმან ბრძენმან“, წაკითხვით აქაც კომპრომისულ ძირითად ტექსტს გვთავაზობს, რაც F ნუსხაში წარმოდგენილი არშის წაკითხვის ძირითად ტექსტში შეტანის ნაყოფი უფრო ჩანს, ვინემ  $\text{boc}_2\text{e}_2$  წყაროების გავლენა, სადაც S ნუსხის ანალოგიური სურათი გვაქვს:  $\sigma\upsilon\upsilon\epsilon\tau\acute{\epsilon}\varsigma]+[\acute{\iota}\epsilon\rho\epsilon\upsilon\varsigma$  z:  $\acute{\iota}\epsilon\rho\epsilon\upsilon\varsigma$  xzi...  $\text{boc}_2\text{e}_2$ .

11<sub>14</sub>: LXX  $\sigma\upsilon\upsilon\beta\epsilon\alpha\mu\alpha\varsigma$ ,  $\sigma\upsilon\upsilon\beta\epsilon\alpha\mu\alpha\varsigma$ : *გაა ლ, გაა ლ*; განდგა, განდგა. მხოლოდ Syr და ქართული F ნუსხა ასახელებს აქ სეიმახოსის ვარიანტს: *rebellio*, *rebellio* „აჯანყება, ანჯახება“: ჯღომა, ჯღომა. LXX ნუსხებიდან j (mg)za? არშინაზე, ავტორის დაუსახელებლად, უთითებს  $\acute{\alpha}\nu\alpha\rho\alpha\upsilon\varsigma$ ,  $\acute{\alpha}\nu\alpha\rho\alpha\upsilon\varsigma$ , ხოლო სომხურმა აქ ვარიანტული წაკითხვა საერთოდ არ იცის.

11<sub>10</sub>: LXX  $\tau\omicron\upsilon\varsigma$   $\gamma\omicron\sigma\sigma\epsilon\lambda$  xzi  $\tau\omicron\upsilon\varsigma$   $\epsilon\prime\lambda\alpha\alpha\epsilon\iota\mu$ : *გეოსტს ზ გიასტს*: ქორრი და რასიმ. ისევე მხოლოდ Syr და ქართული უთითებს აკვლას ვარიანტს, სადაც სირო-პეგზაპლის  $\epsilon\gamma\alpha\sigma\alpha\epsilon\iota\mu]+[\times$   $\epsilon'$  *corsaues* ნაცვლად ქართული გვთავაზობს „დასანი იგი და წინამცოროვალნი“ წაკითხვას. თუ ქართული ვარიანტის ერთი ნაწილი „წინამცოროვალნი“ = Syr *corsaues*-ს, მეორე ნაწილი „დასანი იგი და“ სხვაგან პარალელს ვერ პოულობს (მდრ.: 11<sub>4</sub>, სადაც ანალოგიურ ძირითად ტექსტთან ქართულში აკვილასა და სეიმახოსის ვარიანტებად გვაქვს: წინამცოროვალნი, გზირნი).

18<sub>4</sub>: xzi  $\acute{\epsilon}\chi\lambda\acute{\alpha}\sigma\epsilon\alpha\upsilon$   $\acute{\alpha}\nu\tau\omicron\upsilon\varsigma$   $\text{N}\epsilon\sigma\iota\mu\lambda\epsilon$ : ქართულში გადმოცემულია ასე: და უწოდეს მას სახელი ეესთან (იესთან O) FICS, სადაც ქართ. ეესთან =  $\text{boc}_2\text{e}_2$   $\epsilon\epsilon\alpha\mu\epsilon\upsilon\varsigma$ -ს (მდრ.  $\nu\epsilon\sigma\iota\mu\lambda\epsilon$  Aj  $\nu\epsilon\sigma\iota\mu\lambda\epsilon$  NgThdt: *ხსსუქსან*).

სექტანტა j ნუსხაში უთითებს სამთა ვარიანტს:  $\epsilon'$   $\text{N}\alpha\alpha\sigma\alpha\mu\alpha$ ,  $\text{N}\epsilon\sigma\iota\mu\lambda\epsilon$ ,  $\mu'$   $\text{N}\epsilon\sigma\iota\mu\lambda\epsilon$ . ქართული F ნუსხა ასახელებს მხოლოდ და მხოლოდ სეიმახოსის(?) ვარიანტს, რომელიც ასე გამოიყურება: „სახელს დევას ნასთან“. მთლიანად ეს წაკითხვა პრაფრაზირებული ვარიანტი ჩანს ძირითადი ტექსტის „და უწოდეს მას სახელი ეესთან“ წაკითხვისა, სადაც ქართული „ნასთან“ მეტსიახლოვეს ამჟღავნებს აკვილას ვარიანტთან  $\text{N}\alpha\alpha\sigma\alpha\mu\alpha$ , ვიდრე თეოდოტიონისა და სეიმახოსის ვარიანტებთან.

გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქართულში დადასტურებული აკვილა-სეიმახოსის ვარიანტს სხვა ტექსტებში პარალელი არ ვეძებნება.

14<sub>20</sub>: LXX  $\rho\lambda\epsilon\gamma\omega\upsilon\varsigma$ : *აზარია*. მხოლოდ ქართული იცნობს ამ ადგილს „უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტებს: სუმ. ზაქარია, ავჯ. ოზია. არც LXX, არც სომხურმა მთარგმანმა აქ აკვილა-სეიმახოსის ვარიანტები არ იცის, მაგრამ ძირითადი ტექსტის წაკითხვა  $\rho\lambda\epsilon\gamma\omega\upsilon\varsigma$   $\lambda\epsilon\gamma\omega\upsilon\varsigma$   $\text{b}\rho\alpha\sigma\epsilon_2$   $\text{J}\epsilon\upsilon\varsigma$   $\text{A}\rho\iota\omicron\upsilon\varsigma$ : *გადარქა შესაძლოა წარმოშობით სეიმახოსის ეკუთვნოდეს*. ამასზე მეტყველებს სომხური მთარგმანის სქოლიოც, რომელიც სხვა ხელნაწერებისათვის *გადარქა*-ს ნაცვლად *ადარქა* წაკითხვას უთითებს. რაც შეეხება აკვილას ვარიანტს „ოზია“, იგი მხოლოდ და მხოლოდ ქართულისათვისაა ცნობილი და პარალელში არ ვეძებნება.

17<sub>6</sub>: აკვილას ვარიანტი, „მოზღუდე ილთა“, რომელსაც ერთადერთი ქართული ტრადიცია ასახელებს, უნდა ეკუთვნოდეს ამ მუხლის „ვიდრე ქალაქთა მათ ძნელთამდე“ წაკითხვას, რომელსაც LXX და სომხურში შეესაბამება  $\acute{\epsilon}\omega\varsigma$   $\rho\acute{\alpha}\lambda\epsilon\omega\varsigma$   $\acute{\epsilon}\gamma\omega\upsilon\varsigma$ : *ქსნუქს ქ დადაგან ამიორ*. ასევე მხოლოდ ქართულისათვისაა ცნობილი აკვილას ვარიანტი „ეგე განდგომილი“, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ძირითადი ტექსტის 11<sub>15</sub> „და განიყვანეთ ეგე სადერონით“ წაკითხვას = LXX xzi  $\acute{\epsilon}\acute{\nu}\chi\alpha\gamma\epsilon$   $\acute{\alpha}\nu\tau\omicron\upsilon\varsigma$   $\epsilon\epsilon\alpha\mu\epsilon\upsilon\varsigma$

თონ აჰერამ (ἀηράμ B) ომბერამ ANz\*CoThdt: *საჰეროქსაჲ*. კემბრიჯული გამოცემა აქ ძირითადი ტექსტის ომბერამ წაკითხვისათვის სირო-პეტრე-პლასა და LXX j ნუსხაში უთითებს აკილასა და სვიმახოსის ვარიანტებს: α' τών β' ἀηράμ j: α' τών περὶ β' ἰσ j SYR (შდრ.: 11<sub>18</sub> ომბერამ) α' τών περὶ β' ἰσ j: *ჰაჰეროქსა* FI).

განხილული ნიმუშების გარდა, F ნუსხის არშიებზე 10<sub>13</sub>—18<sub>21</sub> მონაკვეთშივე გვხვდება რამდენიმე შენიშვნა თუ ვარიანტი, რომლებიც შესრულებულია იმავე ხელითა და მელნით, როგორც აკილა-სვიმახოსის დასახელებული ვარიანტები, და ექვგარეშე მათი თანადროულიცაა. ეს შენიშვნები წარმოდგენილია ავტორის მიუთითებლად და ჯერჯერობით პარალელი არსად ეძებნება. თუმცა სტილისა და შინაარსის მიხედვით ისინი აშკარად აკილა-სვიმახოსის უკვე განხილული ვარიანტების გვერდით უნდა დავაყენოთ:

**ძირითადი ტექსტი**

**არშის მინაწერი:**

11<sub>14</sub>: აპა დგა მეფე ზე და სუეტსა მას მსგავსად სახისა მის.

თანა სუეტსა მას მსგავსად ჩუეულეებისა.

18<sub>17</sub>: და წარავლინა მეფემან ასურასტანისამან თარათა და რაფსისა.

ამას თარათას აქსენებს ესაია წინასწარმეტყუელი ჩუენებასა მას თვსსა.

18<sub>20</sub>: ვის ესავ და შეურაცხჸყავ მე.

მკლომად აღმიდევ მე.

17<sub>24</sub>: მოიყვანნა... ბაბილონით და ქუთით.

მოქოთით.

ეს შენიშვნები რომ შემთხვევით გაჩენილი არაა, ამას F ნუსხის „მოქოთით“ ვარიანტიც ცხადყოფს: LXX თონ  $\xi\alpha\chi\alpha\sigma\mu\alpha$ -ს ნაცვლად  $\alpha\chi\gamma$  და Jos წყაროებში  $\tau\alpha\chi\alpha\sigma\mu\alpha$  გვაქვს, რასაც ლუკიანეს რეცენზიის  $\beta\alpha\sigma\chi\epsilon_2$  ნუსხებშიც კვლის  $\alpha\alpha\iota\ \xi\alpha\chi\alpha\sigma\mu\alpha$ . ქართულ-სომხური თარგმანების ძირითადი ტექსტი „და ქუთით: *ს ქ კოქსაჲ*“ აშკარად ორი სხვადასხვა ტრადიციის მატარებელია: შდრ., ქუთით: *ს კოქსაჲ*:  $\xi\alpha\chi\alpha\sigma\mu\alpha\ \alpha\chi\gamma\iota\alpha\sigma$ , ერთი მხრივ, და თა)  $\alpha\alpha\iota\ \beta\alpha\sigma\chi\epsilon_2$ :  $\lambda$ : და F, მეორე მხრივ. რაც შეეხება „მოქოთით“ ვარიანტს, იგი აშკარად ლუკიანეს რეცენზიის  $\xi\alpha\chi\alpha\sigma\mu\alpha$  წაკითხვისათვისაა კავშირში, სადაც ქართული „მო“ ბერძნული  $\xi\alpha$  წინდებულის თარგმანი ჩანს, თუმცა ძველი ქართული დონეზე მისი გადმოღება სრულიად მოულოდნელია.

და ბოლოს ყურადღება გვინდა გავამახვილოთ საკითხზე, რომელზედაც 56-ე გვერდზე (სქოლიო 17) გაკვრით გვექონდა ლაპარაკი. გარდა 10<sub>13</sub>—18<sub>21</sub> მონაკვეთისა F ნუსხის არშიებზე სხვაგანაც შევხვდებით გვიანდელი ხელით შესრულებულ მინაწერებს, რომლებიც ფაქტიურად ამა თუ იმ ძნელად გასაგები სიტყვის განმარტებას (გლოსას) წარმოადგენს. განმარტებები თავისი სტილით ხშირად გვაგონებს საბას განმარტების სტილს. მაგალითად:

**არშიაზეა**

**საბას ლექსიკონში**

ხრატუქი კავია ცხვირით გამოსადები.

ხრატუქი (4 მეფ. 19,28) ლატანს შუაკავია, ცხვირს გამოსდებენ და ორი კაცი გაათრევს AB.

დანდალი ლაგამი ან პირის მახე.

დანდალი (4 მეფ. 19,28) ლაგამი თუ პირის მახე AB.

ეტერი ყანის ილოში და სხე.

ეტერი (4 მეფ. 4,42) ყანის ოლოში.

ამ გვიანდელ ხელშიც გამოირჩევა რამდენიმე გლოსა, რომლებიც შედარებით აღრიხდელი ხელთაა შესრულებული და შესაძლებელია, საბას ავტოგრაფიც კი იყოს. მაგრამ ეს საკითხის დასმის წესით. ჩვენ ამჟერად გვიანტერესებს ამ გლოსებისა და ძირითადი ტექსტის ურთიერთკავშირი პირობითი ნიშნების საშუალებით. ამის მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა:



სურ. 1



სურ. 2

1. განსამარტ სიტყვას ტექსტში პირობითი ნიშანი უზის ვარსკვლავი (იხ. სურ. 1) ან ჭვარი †. ეს პირობითი ნიშანი განსამარტ სიტყვასთან ერთად გაღონილია არშიაზე.

2. პირობითი ნიშნის სიტყვა არშიაზე არაა გატანილი.

3. ძირითად ტექსტში განსამარტ სიტყვას პირობითი ნიშანი არა აქვს.

პირობითი ნიშნებიდან ყურადღებას იქცევს ვარსკვლავი (სურ. 1), რომელიც სულ შეიძვერ გვხვდება F ნუსხაში: ოთხჯერ ძირითად ტექსტში, განსამარტი სიტყვის წინ, სამჯერ — არშიაზე. ეს პირობითი ნიშანი შეიძლება კავშირში იყოს ბიბლიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილ ასტერისკთან<sup>29</sup> (იხ. სურ. 2), რომელსაც სირო-პეგზაპლა სწორედ აკვილა-სვიმასხოსის ვარიანტების აღსანიშნავად იყენებს. სიტყვები რომლებთანაც აღნიშნული პირობითი ნიშანი გვხვდება, შემდეგია: ე ტ ე რ ი, ნ ო ი ჰ ი, ა რ ი ო თ ი, მ ა ქ მ ა ნ ი.

ამ სიტყვებს არშიაზე გლოსები აქვთ. მათი აკვილა-სვიმასხოსის ვარიანტებთან ურთიერთმიმართების თვალსაზრისით შესწავლამ გარკვეული შედეგი მოგვცა. ოთხი სიტყვიდან სამს „ნოიჰი, არიოთი, მაქმანი“ პარალელურ ტექსტებში აკვილას ან სვიმასხოსის ვარიანტები აღმოაჩნდათ: IV მფ. 49 ძირითადი ტექსტის „ა რ ი ო თ“ წაკითხვას (=LXX ἀρ.αθ: *ა რ ი ო თ*) არშიაზე გლოსად აქვს „ბ ა ლ ა ნ ბ უ ლ ა ხ ი“. LXX კემბრიჯული გამოცემის თანახმად zThdt წყაროები *οι λουσι* ნიშნით გვაძლევს წაკითხვას *ἀρχία λαχάνα (εργασ.χάνα z)* „ველური მწვანილი“, რასაც ზუსტი ადექვატი მოგვოვება სომხურ წყაროშიც *բանդար վախրի*-ს „ველური ბალახის“ სახით, თუმცა სომხური ტრადიცია ამ ვარიანტს არავის არ მიაწერს. ქართული გლოსა „ბალან-ბულახი“, ცხადია, კავშირშია LXX *ἀρχία λαχάνα*-სა და სომხურის *բանդარ վախրի* ვარიანტებთან და შემთხვევით არ ზის ამ ადგილას<sup>30</sup>. რიგვე შეიძლება ითქვას „მაქმანი“ (IV მფ. 81<sub>6</sub>) წაკითხვის შესახებაც, რომელსაც, გლოსად აქვს

<sup>29</sup> ეს ნიშანი ოდნავი სახეცვლილებით დადასტურებულია კატენიზიანი გელათ-ბიბლიის A—1108 და Q—1152 ნუსხებში. იხ. ლ. ქ ა ჭ ა ი ა, პირობითი ნიშნები ქართულ კონტრაქტთან ხელნაწერებში, კატალოგი, პალეოგრაფიული ძიებანი, 1969, გვ. 40. ხოლო ჩვენ იგი დადასტურებულად 978 წლის ომეგრის ნუსხის მეფეთა წიგნების ტექსტში. ამ ნიშნ-არსებობას ბიბლიის ქართულ ნუსხებში ქართ. თარგმანისა და ჰეგზაპლას ურთიერთობის კვლევისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

<sup>30</sup> აქვე ვაქვს მორე გლოსაც „ი ს რ ი მ ი“, რომელიც ძირითადი ტექსტის „ნოიჰი“ წაკითხვას ეკუთვნის. LXX j ნუსხა ძირითადი ტექსტის *ἀρχίαρχος ἀρχίαρχος* წაკითხვის საცლად აქვს ასახელებს აკვილას ვარიანტს *βουδύχος ἀρχίαρχος* „ველური ბალახი“. ქართული გლოსა „ი ს რ ი მ ი“ ამ შემთხვევაში სომხური ძირითადი ტექსტის *սպիս* „მომწვიფებელი ყურენი“ წაკითხვასთან ამილაუნებს მეთ სიახლოვეს (სომხურმა აქ „უმეოს“ მთარგმნელთა ვარიანტები არ იცის), ვინც მ ნუსხაში დადასტურებულ სვიმასხოსის ვარიანტთან.

„წმინდა ბად“ (შდრ. მაქმანი ბადე წერილად და თხლად ქსოვილი, ვითარცა მკრინი. საბა).

„მაქმანი“ (LXX  $\mu\alpha\chi\mu\alpha$ ) ებრაული Machbar-ის ტრანსკრიპცია ჩანს, საიდანაც იგი გადმოსულია ქართულ-სომხურშიც. LXX-ის ტრადიცია ამ წაკითხვის გადმოცემაში არაა ერთსულოვანი:  $\mu\alpha\chi\mu\alpha$  წაკითხვა დასტურდება მხოლოდ Nz\* ტექსტებში. სხვათა მან ნაკულად გვაქვს  $\chi\alpha\beta\beta\alpha$  B:  $\chi\alpha\chi\mu\alpha$  v:  $\mu\alpha\chi\mu\alpha$  jz (mg) Syr. რაც უკლება  $\text{xlil...za?}$  (txt: c<sub>2</sub> e<sub>2</sub> Thd! წყაროებს, ისინი აქ გვაძლევს  $\alpha\epsilon\omega\mu\alpha$  წაკითხვას, რომელიც აკვილა-სვიმანოსის ვარიანტიდან მომდინარეობს: როგორც LXX-ში, ისე Syr-სა და სომხურში აქ დასახლებულია აკვილასა და სვიმანოსის ვარიანტი  $\alpha\epsilon\omega\mu\alpha$  „საბანი, გადააუარებელი“: *Stragulum Syr-ap-barh*: *ენციკლინ*. ქართული გლოსა „წმინდა ბადე“ არაა დასახლებული ვარიანტების სრული შესატყვისი, მაგრამ სწორედ ამ ადგილას მისი არსებობა „უმცროს“ მთარგმნელთა ტრადიციის გავლენა ჩანს.

ამრიგად ქართულში დადასტურებული აკვილა-სვიმანოსის ვარიანტების უმრავლესობას პარალელები ეძებნება ბერძნულ-სირიულ-სომხურ წყაროებში. ის ფაქტი, რომ ვარიანტების ერთი ნაწილი მეტ საერთო ამეღვენებს ბერძნულ-სირიულ ტრადიციასთან, მეორე ნაწილი კი სომხურ ტრადიციასთან ჭერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას მათი მომდინარეობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩავთვალოთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სომხური ტრადიციის გავლენა ვაცილებით ძლიერია, ბერძნულ-სირიულ ტრადიციასთან შედარებით. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას იმ ნიმუშებზე, სადაც ქართულ-სომხური ტრადიცია „უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტად საერთო სიტყვას ასახელებს (ბ ა გ ი ნ ი, ფ ო ლ ო ც ი, გ ზ ი რ ი), ან ქართული თარგმანი რაიმე ნიშნით სომხურზეა დამოკიდებული (ს ა კ მ რ ი ს კ უ რ ჭ ე რ ი) და სხვ.

ვარიანტების ის ნაწილი, რომელსაც ჭერჭერობით მხოლოდ ქართული წყაროები იკნობენ, აკვილა-სვიმანოსის მემკვიდრეობის შესწავლის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს.

დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმ ფაქტს, რომ ჯანაშვილისეული ნუსხების „უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტებს მხარი დაუჭირა იერ. ნუსხის ჩვენებაშიც, რომლის არსებზე წარმოდგენილი რამდენიმე ვარიანტი (118, 156, 1817) A—646 ნუსხის ვარიანტებს თანხედება. ცალკე უნდა გამოიყოს 1937 მუხლი, სადაც ძირითადი ტექსტების  $\text{?A}\rho\alpha\pi\alpha\text{? B: ?A}\rho\alpha\pi\alpha\text{? Nj}$  (lx) Syr (lxi):  $\text{?A}\rho\alpha\pi\alpha\text{? e}_2$ :  $\alpha\rho\alpha\alpha\alpha\alpha\alpha\alpha$ : არაბათისა FO: არაბატისა JS წაკითხვის ვარიანტად იერ. ნუსხის არსებზე ვკითხულობთ „სომხეთის...“, რომელიც, თავის მხრივ, jSyr და სომხური წყაროების  $\text{?A}\rho\alpha\pi\alpha\text{? v}$  (mg) Syr (mg): *საიცი* წაკითხვასთან პირდაპირ დაკავშირდება.

<sup>31</sup> წინა დებარე წერილი დასაბუთად გამზადებული იყო 1972 წლის ივნისში, 1972 წლის სექტემბერში კი პიოტრე ა. ნ. ბერძნულ-სტრატია «Traces of the Jewish Greek Biblical Versions in Georgian Manuscript Sources». დაბეჭდილი Journal of Semitic Studies-ის: vol. 17, № 1, spring, 1972, რომელშიც მსგავსივე საკითხებია განხილული.



## გიორგი შეთეასური

## თანამედროვე ხალხური პოეტური სემანტიკის საკითხები

(შედარება, მეტაფორა, სიმბოლო)

საბჭოთა პერიოდის ქართული ხალხური პოეზიის სპეციფიკამ მკაფიო განსახიერება პოვა არა მარტო მის თემატიკასა, იდეურ-ემოციურ შინაარსსა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოტივების გაძლიერებაში, არამედ ტრადიციულისაგან განსხვავებული მხატვრული ფორმებისა და ხერხების გამომუშავებაშიც. მშრომელთა ფართო მასების მსოფლმხედველობისა და ფსიქოლოგიის გამომხატველი ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებები საუკუნეების მანძილზე იქმნებოდნენ და ამავე დროს მათში თანდათანობით ყალიბდებოდა და იკვეთებოდა თავისებური პოეტური სტილიც. რადგანაც «ფოლკლორულ ნაწარმოებთა პოეტიკა არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი რამ, რომელიც ცვლილებებს არ ექვემდებარება»<sup>1</sup>, ამიტომაც ყოველ ისტორიულ ეპოქაში ხალხი პოეტური ენის სტანდარტულ ფორმულებს საჭიროებისამებრ ახალ შინაარსსა და გააზრებას აძლევდა; ამასთან ერთად სტერეოტიპული მხატვრული ატრიბუტების გამოყენების პარალელურად გამოსახვის ორიგინალურ სტილისტიკურ ელემენტებსაც მიმართავდა. ამრიგად, ხალხური სახეობრივი აზროვნება, მისი სტრუქტურული ვარიაციები ისტორიულად ვითარდება და იცვლება. ამ საკითხს საგანგებოდ ეხება ა. ნ. ვესელოვსკი და ხალხური პოეტიკის ცენტრალურ ამოცანად მას სწორედ ფოლკლორულ ლექსებში გამოხატული ხალხის პოეტური ცნობიერებისა და მისი ფორმების ევოლუციის შესწავლა მიაჩნია<sup>2</sup>.

ხალხის პოეტური ცნობიერებისა და მისი ფორმების ევოლუციის შესწავლის პრობლემები კი საერთოდ ხალხური სიტყვიერი ნაწარმოების მხატვრული სტილის კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპებითაა შეპირობებული. ეს კი კონკრეტულად ითვალისწინებს იმას, რომ თანამედროვე ხალხური ლექსის პოეტური სტილის სტატიკური ასპექტით ანალიზთან ერთად საჭიროა მისი (ე. ი. ამ სტილის) სტრუქტურულ-გენეტიკური ძირების დაძებნა-გამომხეურება და დღევანდელ ანალოგიურ მხატვრულ აქსესუარებთან მათი მისადაგება და შეპირისპირება. აქვე, კერძოდ, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც: მხატვრული სახის როგორც ესთეტიკური კატეგორიის განვითარების ჩვენება სხვა მომენტებთან ერთად გულისხმობს ერთი მხრივ მისი ფსიქოლოგიური და გნოსეოლოგიური ფესვების წარმოჩენას, ხოლო მეორე მხრივ შემოქმედებითი პროცესის დროს მასში ემპირიულ და ინტელტურ ელემენტთა

<sup>1</sup> ნ. პ. ანდრეევის შესავალი წერილი «Фольклор и его история», Русский фольклор, хрестоматия, составил Н. П. Андреев, М.—Л., 1938, გვ. 22.

<sup>2</sup> А. Н. Веселовский, Историческая поэтика, Л., 1940, გვ. 53.

შეხამების აღნიშვნა-დადგენას. ეს უკანასკნელი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ფოლკლორული მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში ტრადიციულობის „ინერციის“ გვერდით მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხური ავტორის ინდივიდუალური პოეტური ნიჭი და საგნებისა და მოვლენების მისეული გრძობად-კონკრეტული აღქმა-წარმოსახვის უნარი.

ფოლკლორული პოეტიკის განვითარების ზემოაღნიშნული ზოგადი ტენდენციები შესაბამისი კანონზომიერებით აისახება ქართული ხალხური პალიტრის ამჟამინდელ მდგომარეობაზეც. საბჭოთა ეპოქის ქართულ ხალხურ წყობილიტიყვიერ ნაწარმოებთა მხატვრულ სახეთა სისტემას ცოცხალი, ქმედითი კონტაქტი აქვს კლასიკური ფოლკლორის მხატვრულ არსენალთან. ახალი იდეური შინაარსის ლექსებში გვხვდება ტრადიციული პოეტური ფორმულების როგორც უცვლელი, ისე ტრანსფორმირებული გამოყენების შემთხვევები. ამავე დროს ხალხის თანამედროვე მხატვრულ-ესთეტიკური იდეალების შექმნე სდება გამოსახვის ორიგინალური ხერხებისა და საშუალებების რეალიზებაც.

სოციალისტური სინამდვილის ამსახველ ხალხურ პოეტურ ნიმუშთა ზოგიერთი მხატვრული სახე წარმოშობით თანამედროვე ლიტერატურულ პოეზიასთან არის დაკავშირებული (განსაკუთრებით სააგიტაციო დანიშნულების, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილ, რევოლუციური თემატიკისა და სხვა ლექსებში). აქ იგი ან შექანსკურადაა გადმოტანილი, ან „რეკონსტრუირებული“ და ფოლკლორიზებული (თუმცა დღევანდელ ქართულ ინდივიდუალურ საბჭოთა პოეზიაშიც გვხვდება ფოლკლორულ მხატვრულ სახეთა ხმარების ფაქტები).

ხალხური პოეტიკის ელემენტთა იმანენტური ბუნება შექმნის ფსიქიკური პროცესების თანახმად სათანადო ეროვნული კოლორიტითაა შეფერილი. ეს კი აიხსნება იმით, რომ „Психический склад или национальный характер (общественная психология во всей её цельности) откладывают разительные отпечатки на художественные образы фольклора“<sup>3</sup>.

ეროვნული ხასიათის დიდი დანი აზის საკუთრივ ქართულ ფოლკლორულ მხატვრულ სახეობრივ აზროვნებასაც, კერძოდ კი მის თავისებურ უბანს — ტროპულ მეტყველებას. ტროპის სახეებიდან სხვადასხვა ყანრის თანამედროვე პოეტურ ნაწარმოებებში ფართოდ არის გავრცელებული შედარება, რომელსაც როგორც შემეცნებითი, ისე ესთეტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული. მისი შემეცნებითი ბუნება აქვს მხედველობაში ჰეგელს, როდესაც აღნიშნავს: „შედარება... წარმოადგენს დაყოვნებას, ერთსა და იმავე საგანთან ხანგრძლივ შეჩერებას“<sup>4</sup>. ამავე აზრს, ოდნავ განსხვავებული ნიუანსით, იმეორებს ა. ა. პოტებნია<sup>5</sup>.

შედარება თავისთავად ადამიანთა აბსტრაქტულ-ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე მეტყველებს. გამოსახვის ამ სტილისტიკური ხერხის საშუალებით ახალი ეპოქის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები რომანტიკული ზეაწეულობით, მკაფიო პოეტური ფერებითაა დასატული. შედარების მოშველიებით ერთ-ერთი სოფლის ელექტრიფიკირების ფაქტი უმაღლეს პოეტურ ხარისხში არის აყვანილი:

<sup>3</sup> Н. Ф. Бабуркин, О марксистско-ленинских основах народно-поэтического творчества, Томск, 1963, гл. 122.

<sup>4</sup> Гегель, Сочинения, т. XIII, М., 1928, гл. 420.

<sup>5</sup> А. А. Потенция, Мысль и язык, Харьков, 1926, гл. 119—120.

ვარიანის კოლექტივი  
წისქვილებს მართავს წყალზედა,  
ზედელექტრონებს ანათებს  
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა<sup>6</sup>.

აქ ერთი მახლობელი საგანი (ელექტრონები) მეორე შორეულ საგანთან (ვარსკვლავებთან) ორივე საგნისათვის საერთო ნიშნის — ნათების მიხედვითაა შეფარდებული. ამრიგად, პირველი საგნის თვისება უფრო ცხადად, სახიერად, მონუმენტურად არის ნაჩვენები; ამავე დროს გაძლიერებულია წარმოსახვის ექსპრესიულობა. რადგანაც ამ შედარებას გაზვიადება უძევს საფუძვლად, ამიტომ იგი პიპერბოლურ შედარებად გვევლინება. მისი პრედიკატი „როგორც ვარსკვლავნი ცაზედა“ გვხვდება სხვა ლექსებშიც, რომლებიც თანამედროვე თემატიკაზეა აგებული. აქ ის სხვადასხვა ობიექტთანაა შედარებული და, მამასადამე, განსხვავებული მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანითაც არის განსაზღვრული. საილუსტრაციოდ ავიღოთ ორი ნიმუში:

შენდება არხი ძვირფასი,  
სარწყავად მინღვრებ-საო,  
სამგორს ბაღები იქნება,  
როგორც ვარსკვლავნი ცისაო<sup>7</sup>.

ძნაისე არის ასხმული,  
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა,  
ქალი დაკაცი მშრომელი  
მას დასტრილებს თავზედა<sup>8</sup>.

მოცემული პრედიკატი პირველ ნიმუშში სამგორის ბაღების, ხოლო მეორე ნიმუშში პურის მომკილი ძნების სათანადო პოეტიზაციას იძლევა. ოღონდ აქ ის ორივე შემთხვევაში თითქმის უცვლელ სტრუქტურულ ფორმას ინარჩუნებს. ეს მოვლენა ფოლკლორული პოეტიკის ელემენტთა ზოგადი ბუნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ერთი და იმავე ეპოქის ხალხური პოეზიის სხვადასხვა ტექსტში არცთუ იშვიათად წარმოგვხვდება ერთი და იმავე მხატვრული სახის როგორც მექანიკური გამოყენება, ისე მისი შემოქმედებითი რეალიზაციაც. კერძოდ, ეს მხატვრული სახე (მისი პრედიკატი) ეროვნული კლასიკური პოეტური ფოლკლორის მრავალ ძეგლში დასტურდება, რაც მის შორეულ წარმომავლობაზე მიუთითებს. საკუთრივ იგი შესულია საგმირო ბალადის „გიგას და გიორგის“ ფშაურ ვარიანტში (ლოკალური, დიალექტური სახესხვაობით):

ლეკებს დანთოთ ცეცხლები რო მასკვლავები ცაზედა<sup>9</sup>.

უნდა ითქვას, რომ ძველი წარმოშობის მხატვრული კომპონენტები ახალი თემატიკის ლექსებში უხვად მოიძებნება. აქ თავს იჩენს მხატვრულ სახეთა ფოლკლორულ-მემკვიდრეობითი ფაქტორი: ტრადიციულ პოეტურ ფორმულათა გარეგანი სტრუქტურა ან ასე თუ ისე კონსერვატიულ ხასიათს ღებუ-

<sup>6</sup> ნ. კ ა ქ შ ა ძ ე, თანამედროვე ხალხური პოეზია, თბ., 1940, გვ. 166.

<sup>7</sup> ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედ., თბილისი, 1950, გვ. 13.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 201.

<sup>9</sup> ხალხური სიტყვიერება, III, ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ, მ. ჩიქოვანის რედ., თბ.

ლობს, ან მუდმივ განახლებასა და მეტამორფოზას განიცდის<sup>10</sup>. პირველის მაგალითი ჩვენ ახლა ზემოთ გავანალიზეთ, რაც შეეხება მეორე მაგალითს, მას ჩვენ, კერძოდ, ვხედავთ საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილ ლექსში. აქ გაქვავებული შედარების მზა ფორმულა „რეკონსტრუირებულ“ სახით საბჭოთა არმიის ძალასა და ძლიერებას, სოციალისტური სამშობლოსადმი მის უსაზღვრო ერთგულებას ემოციურად, ფიგურალურად გადმოსცემს:

შენ აღიზარებ ჩვენს ირგვლივ,  
როგორც ფლადის ქედელი,  
ახარად ბერი ლომგირი  
და ვეფხე შეების მღრეკელი<sup>11</sup>.

თანამედროვე ქართულ ხალხურ პოეზიაში შედარება სხვა მხატვრულ კომპონენტებს შორის გაცილებით პოპულარულია და ორიგინალურობის ტენდენციებსაც მეტი ინტენსივობით ამჟღავნებს. ამასთან ერთად მის შემოქმედებითს პროცესში ყველაზე მკაფიოდ იგრძნობა ემპირიულ და ინტუიტიურ მომენტთა სინთეზირება. ეს მომენტები თავისებური თანაფარდობით ფოლკლორული ლექსის ტრადიციულობისა და ნოვატორობის საწყისებთანაა გადახლართული.

ანალოგიური ფაქტი შეინიშნება ლექსში „მეშახტის სიმღერა“. მართალია, ამ ლექსში სიტყვიერი ფაქტურის, რიტმული მოდულაციებისა და შინაგანი იმპულსების მხრივ აშკარად თვალში საცემია ლიტერატურული პოეზიის იმიტაცია, მაგრამ მასში ნახშიარი შედარება გარკვეული თავისთავადობით ხასიათდება:

შახტის ქონგურზე დროშა ჩანს,  
როგორც ყაყაჩო მანისი,  
და შორს ევება მთის გულშიც  
შვიდობის ჰიმნი გაისმის<sup>12</sup>.

ჩვენ აქ მოვიტანეთ რამდენიმე საილუსტრაციო ნიმუში, როდესაც გრამატიკული კავშირი „როგორც“ შეპირისპირებას ამყარებს შედარების ორ წევრს — შესადარებელსა და შედარებულს — შორის, მაგრამ იგი შეფარდებას ქმნის რამდენიმე შესადარებელ ობიექტს შორისაც. ამ დროს გვაქვს ე. წ. გავრცელებული (გაშლილი) შედარება:

ლექსს იტყვის მთაში ფშველი,  
პოეტებთან აქვს ნაწილი,  
მთიდან დაჰყურებს არაგვისა,  
როგორც მტკეპარს ბარათაშვილი<sup>13</sup>.

უნდა ითქვას, რომ „როგორც“ კავშირი მოცემული ფუნქციით თანამედროვე თემატიკის ხალხურ ლექსებში უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე კლ-

<sup>10</sup> В. Виноградов, Стилистика. Теория поэтической речи. Поэтика. М., 1963, გვ. 173.

<sup>11</sup> ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1950, გვ. 249. ავტორ-მთქმელი ლ. თბილავილი, ჩამწ. ა. მოლაშვილი.

<sup>12</sup> სახალხო მთქმელები, კრებული პირველი, თბ., 1956, გვ. 138. ავტორ-მთქმელი პ. ლეთოლიანი.

<sup>13</sup> ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1950, გვ. 52. ავტორ-მთქმელი ნ. ბულაღური.

სიკური პოეტური ფოლკლორის ძეგლებში. ეს, ჩვენი აზრით, ახალი ეპოქის ენობრივი განვითარებითა და მწიგნობრული პოეზიის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული, რადგანაც ამ უკანასკნელში იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით იხმარება.

სოციალისტური ხანის ქართული ხალხური ლექსის მხატვრული სტილის თავისებურებებს როდესაც ვიხილავთ, მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ დღევანდელ ეტაპზე შედარებაში შეფარდების შემქმნელი ელემენტებიდან ფართო გავრცელებას პოულობს თანდებული „ვით“. მაგალითად, საბჭოთა კონსტიტუციისადმი მიძღვნილ ლექსში „ვით“ თანდებულიანი შედარების საშუალებით ჩვენი ქვეყნის ქარტიის სიბრძნე და სილიაღე მარადმანათობელ მზესთანაა გატოლებული:

თავისუფლების კერა ხარ,  
ტბილი ცხოვრების მზღებელი,  
ხალხთა აზრის და გონების  
მ ზ ე ს ა ე ი თ გამშუქებელი<sup>14</sup>.

მზე როგორც მხატვრული ატრიბუტი უძველესი დროიდან მომდინარეობს. მას ხოტბითს პოეზიაში, განსაკუთრებით კი სატრფიალო ხასიათის ლექსებში, სახალხო მთქმელები სისტემატურად მიმართავენ. იგი ტიპური სახეობრივ-მონაიკური ორნამენტი ქართული საბჭოთა პოეტების შემოქმედებაშიც, სადაც აქა-იქ მზის შემეველი ფოლკლორული მხატვრული სახის აშკარა სტილიზაციის შემთხვევებიც შეიმჩნევა.

ზოგიერთ პოეტურ კონტექსტში მოცემული თანდებული რამდენიმე ადგილასაა გამოყენებული. კერძოდ, ქვემოთ ციტირებულ სალექსო სტრიქონებში მას ბოლონმოვანი ემფატიკური „ა“ ემატება:

კომბანი ყანასა მკის,  
გული ხალხით გრიალებს,  
ცელი ვადის და გამოდის,  
ს ა რ კ ე ს ა ე ი თ ა პ რ ი ა ლ ე ბ ს,  
თეთავს სკრის, მალა უგზავნის,  
ჩ ა ლ ა ს ა ე ი თ ა შ რ ი ა ლ ე ბ ს,  
კომბანის ბარაბანი  
ც ი ბ რ უ ტ ი ვ ი თ ა ტ რ ი ა ლ ე ბ ს<sup>15</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ აღნიშნულია ფაქტები, როდესაც „ვით“ თანდებულიანი შედარების წევრი ამავე დროს სარითმო ცალდაც გვევლინება. ზოგჯერ კი ესა თუ ის ლექსი მთლიანად ასეთი კატეგორიის რითმითა სისტემაზეა დაფუძნებული.

რადგანაც ლექსის ორკესტრიანობის ემოციური აქცენტი რითმის ემყარება, ამიტომაც კადენციის ადგილზე იზრდება არა მარტო რითმის მულოდოურ-ექსპრესიული შინაარსი, არამედ მისი სემანტიკური დანიშნულებაც. ამრიგად, ასეთი სტრუქტურის რითმა მკვეთრ რელიეფურ და სკულპტურულ სახესღებულობს, რაც ლექსის დეკლამაციის დროს, საარტიკულაციო თვალსაზრისით, მკაფიოდ გამოიკვეთება.

<sup>14</sup> ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1950, გვ. 118.

<sup>15</sup> ქიზიური პოეტური ფოლკლორი, თბ., 1940, გვ. 119. ავტორ-მთქმელი ხეთისო ბენაშვილი, სოფ. ზემო მაჩხაანი.

ვით თანდებულის შემცველი რითმა (შედარების ობიექტი) დღევანდელ ხალხურ ლექსებშიც მოიპოვება. მას, უპირატესად სატირულ-იუმორისტული ფუნქცია ახლავს (აქაც არაიშვიათად თანდებულს ერთვის ხმოვანი „ა“).

ქვემოთ დამოწმებული ლექსი საღალატო დანიშნულებისაა, ის მეგობრის ხუმრობის კილოთი გალექსებას, თვით მეგობრის წერილზე ლექსად გაცემულ პასუხს წარმოადგენს. აქაც იუმორის სიმძიმის ცენტრი „ვით(ა)“ თანდებულის რითმაზე (შედარების ობიექტზე) გადადის:

იმით მიყვარს ყველაშვილი კობტა რაა ქ ა ლ ი ვ ი თ ა,  
ყველგან იმედია, აჟოღებულ ხ მ ა ლ ი ვ ი თ ა,  
მივღუ შენი წერილი დაწყობილი ლ ა რ ი ვ ი თ ა,  
ჩემს ჩანთაში ჩავალავე მარგალიტის ც ა ლ ი ვ ი თ ა<sup>16</sup>.

ძველ ქართულ ხალხურ პოეტურ ქმნილებებში ეს თანდებული „ვითა“ ფორმით შედარებული ობიექტის წინ და შემდეგ განცალკევებით არის წარმოდგენილი. შაირის ტიპის ოთხტაეპიან ლექსში იგი შედარებული ობიექტის წინ არის მოქცეული:

სიყვარულსა შალვა უნდა,  
ვითა ცხენსა ნაპარავსა,  
თუ გამჟღავნდა გლოვა უნდა,  
ვითა ძმასა საყვარელსა<sup>17</sup>.

ქართული ხალხური ეპოსის „ამირანის“ ერთ-ერთ ვალექსილ ეპიზოდში კი ეს თანდებული შედარების წევრს მოსდევს და მასთან ერთად სტრიქონთა ადენციურ დაბოლოებას (რიტმას) ქმნის:

ბადრო, მათხოვე თეთრონი ზღვაში გავიდე ნგრევითა,  
გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი მ ზ ე ვ ი თ ა,  
თან ყურძენ გამოვიყოლო, ტბილია დედის რ ძ ე ვ ი თ ა<sup>18</sup>.

ეს თანდებული განცალკევებით იშვიათად თანამედროვე ხალხურ ლექსებშიც გვხვდება, ოღონდ მოკვეცილი აქვს ბოლოხმოვანი და ჩვეულებრივ მარტოოდენ შედარებული ობიექტის წინ იხმარება. მას ერთგვარად არქაულობის იერი დაჰკრავს:

მთის ბალახებზე ჯიხები  
ღალი ბუნებით ტუბებიან,  
ხან მაღლა მწვერვლებზედა  
ე ი თ ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა დ გუბაან<sup>19</sup>.

შედარების წვერებს შორის შეფარდების შემქმნელ ელემენტად ამჟამად ძალზე ნაკლებად გამოიყენება უძველესი წარმოშობის თანდებული „ებრა“. იგი დღევანდელი ცოცხალი სალაპარაკო ენიდან გამოდევნილია, ხოლო მთიუ-

<sup>16</sup> აქტორ-მთქმელი ვიორჯი აფციანოვი, ს. ახალსოფელა, თეთრი წყაროს რაიონი, გაზ. „ლენინური გზა“, 1965, № 86.

<sup>17</sup> საკუთარი მასალებიდან. მთქმელი მარია მინდიკაური, თანეთის რ., ს. ნაღოკრა.

<sup>18</sup> ხალხური სიბრძნე. ტ. III, გვ. 19; მ. ი. ქოქანი, მიქაქეული ამირანი, თბ., 1947, გვ. 260—261.

<sup>19</sup> ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 230.

ლეთში ჩაწერილ ლექსში მისი ხმარება უმეტესად ემოციურობის ფაქტორით არის ნაკარნახევო:

მე შეყვარს კოლექტივები,  
წეროსებრ დაწყობილია,  
მანქანა-იაჩალთა  
ყველაფრით მოწყობილია<sup>20</sup>.

ადრეული ხანის ქართული ხალხური წყობილსიტყვიერი ძეგლებისათვის იგი ქარბად იყო დამახასიათებელი. ასე, მაგალითად, თავიდან ბოლომდე ამ თანდებულის შემცველ რითმებზეა აგებული სატრფიალო ლექსი „ქალო, ისებრო, ისებრო“, რომლის ერთ-ერთი ადრეული ვარიანტი ა. ჭანდიერის მიერ 1869 წელს კახეთში არის ფიქსირებული<sup>21</sup>.

შედარების წევრები შეფარდებას ქმნიან ვითარებითი ბრუნვის ნიშნითაც:

იქ ეიშვი, სადაც მწვერვალებს  
ნისლს ახურავთ ნაბადად,  
სადაც სახელი დათესეს  
და იმყეს მამა-პაპათა<sup>22</sup>.

გვაქვს უკავშირო შედარებაც. აქ პირიანი ზმნა შესადარებელ მოვლენათა შეფარდების შემქმნელი ელემენტის როლს ასრულებს ლიტერატურულად ორგანიზებულ ლექსში:

ჩემო ტურფა საქართველოვ,  
აყვავებულ ნუშსა ქვევხარ,  
ზამთარ-ზაფხულს სულ ჰყვავიხარ,  
დიდი მთების გვერდით დგებარ<sup>23</sup>.

მოცემულ მხატვრულ სახეში სატრფიალო ლექსების შორეული რემინისცენციები იგრძნობა. აი, საილუსტრაციო მასალებიც:

ქალო, გეხარ ალვის ხესა, ბაღჩაშია ამოსულსა, |  
ტანი, მკლავი ლერწამს გიგავ, ზღვისა პირსა ამოსულსა<sup>24</sup>.

ტანა-წერილთ აღზრდლო, ემზგავსები საროსა,  
მშვენებით აღმსილი ხარ, არეინ არ გედაროსა<sup>25</sup>.

ნაკლებადაა გავრცელებული უარყოფითი შედარება. თუშეთში ჩაწერილ ლექსში ასეთი ტიპის შედარებით მოცემულია მთელი რიგი მოვლენების თვისებათა უგულვებლყოფა (მხატვრული იგნორაცია) ერთ-ერთი მოვლენის დადასტურების მიზნით: ყურადღებას იქცევს ხმაურის სხვადასხვა ნიუანსურ ასოციაციათა რთული კომპლექსი:

<sup>20</sup> ქართულ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვირსალაძის რედ., თბ., 1958, გვ. 410.

<sup>21</sup> პ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1964, გვ. 32.

<sup>22</sup> ავტორ-მთქმელი კობა ჭინჭარაული, გარდაბნის რაიონი, ს. გამარჯვება, ფოლკ. არქივი, კრ. 156, გვ. 46.

<sup>23</sup> ავტორ-მთქმელი იოსებ აფთიაური, თეთრი წყაროს რ., ს. დიდი ნამტვირანა, გაზ. „ლენინური ვით“, 1965, გვ. 86.

<sup>24</sup> პ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, გვ. 49.

<sup>25</sup> იქვე.

მწყემსმა ყინულის ქარაფზე  
 ხმა გავიგონე წკრიალა,  
 თუშეთის ყინულოვანი  
 ქედები შეგზრიალა;  
 ვიფიქრე, ნეტავ ვისია  
 ეს სანატრელი ხმაური?  
 არ იყო მთების კალთებზე  
 ფრინველთა აურხაური,  
 არ იყო ციესა ნიაფთან  
 ეერხვის ფოთლების შრიალი,  
 არ იყო ალაზანისა  
 ცელქი ტალღების თქრიალი,  
 არ იყო ღილის ბინდ-ჟამზე  
 შურთხების შემოძახილი,  
 არც მწყემსის სალაშურის ხმა  
 არც არწივების ძახილი,  
 ვნახე ნათელი სხივები,  
 კლდეზე რო გადმომდ გარიყო?<sup>26</sup>

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შედარების დროს ადგილი აქვს ლექსის ინტონაციის შენელებას, ფაბულური თხრობის რეტარდაციას, რაც მოტივირებულია ამ მხატვრული კომპონენტის გნოსეოლოგიური ბუნებით. ტრადიციული პოეტიკის კანონიკური ნორმებიდან შედარება თანამედროვე ხალხურ ავტორთა რეპერტუარში საკმაოდ გავრცელებულ სახვით სამკაულადაა მიღებული.

მეტაფორის სემანტიკური და სტილისტიკური ფუნქცია ე. წ. კონვენციონალურ (პირობით) ხასიათს განსაკუთრებული აქცენტირებით ატარებს. იგი, როგორც მხატვრული სტილის ფერმენტი, ალევორიული შინაარსისა და მკითხველში წარმოშობს მდიდარ ასოციაციებს, რომელიც რეალურ სინამდვილეზე მის ცოდნას აფართოებს<sup>27</sup>. ეს მხატვრული აქსესუარი ერთი საგნის თვისებების მეორეზე გადატანა და ხალხური ლექსის უძველეს პოეტურ ხერხად წარმოგვიდგება.

ქართული საბჭოთა ხალხური მთქმელები ხშირად იშველიებენ მეტაფორიზაციის მეთოდს, რაც ლექსის ხატოვანებას ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს. ცალკეულ საგნებსა და მოვლენებს შორის მყარდება რთული თუ მარტივი ასოციაციები, ანალოგიები, კავშირები.

ერთ-ერთ ლექსში სამგორი ცოცხალ არსებადაა გამოყვანილი. მხატვრული სახე, რომელიც თავისთავად მაღალი დონით შეიცავს ფსიქიკურ, განცდილთს მომენტებს, აქ ასასახავი მოვლენისადმი ავტორის ინტიმურ დამოკიდებულებას ხაზგასმით გამოხატავს:

ს ა მ გ ო რ ო, გ ე ი ნ დ ა შ ე ნ ს მ ე რ დ ს ა  
 გაღავატაროთ კვლია,  
 ს ა უ კ უ ნ ო ბ ი თ მ წ ყ უ რ ე ა ლ ს ა  
 დ ა გ ა ლ ე ე ი ნ თ წ ყ ა ლ ი ა<sup>28</sup>.

<sup>26</sup> ავტორ-მთქმელი კობა ჩაპრაძე, ს. ზემო ალვანი, ახმეტის რ., გვზ. „კომუნისტი“, 1962, № 16.

<sup>27</sup> В. М. Е й л а х, Вопросы литературы и эстетики, М., 1958, გვ. 203.

<sup>28</sup> მთქმელი ს. ქარუაშვილი, ახმეტა, ჩამწერი ი. ლონგიშვილი, 1961, ფოლკლორული არქივი, კრ. 24, გვ. 69. ხალხური სიტყვიერება, 1, 1950, გვ. 12.



ეს მეტაფორა თავისებური ტრანსფორმაციით ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსებშიც დასტურდება, კერძოდ სამგორის ციკლის პოეტურ ნიმუშებში. ვრიგოლ აბაშიძის ლექსში იგი უფრო განზოგადებულ ხასიათს ღებულობს:

ღგება გრივალი, მათ ღროშებს არხევს,  
მათი ცაც წითლად დაწინწყულია,  
თავისუფლება სწყურია ხალხებს  
ვით უღაბნოებს წყალი სწყურია<sup>29</sup>.

ალექსანდრე აბაშელის ამავე შინაარსის ლექსში „ზღვის დაბადება“ ზემო-სენებელი მხატვრული ხერხი ლოკალიზებულია, მითითებულია მისი კონკრეტული რეალური საფუძველი:

თითქოს სუნთქავდა მწყურვალ მიწა  
და თან მადლობას უთვლიდა იმას,  
ეინც გზა გაღუხსნა წყალსა და წვიმას  
და განზმარ ფესვებს სინელუ მისცა<sup>30</sup>.

მაშასადამე, აქ განხილულ ხალხურ და ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსებში ანალოგიურ მეტაფორულ სახეებს შორის შეინაშნება შემხები წერტილები, მაგრამ მათ გარკვეული თვითმყოფობაც ახასიათებთ. ეს თვითმყოფობა კი, უპირველეს ყოვლისა, მათს სიტყვიერ-კომპოზიციურ ქსოვილში მდგომარეობს. ეს ფაქტი კი ერთხელ კიდევ ადასტურებს ფოლკლორული და ინდივიდუალური პოეზიის მხატვრული არსენალის მკვიდრო შემოქმედებით ურთიერთობას. თუმცა ამ თვალსაზრისით ფოლკლორული და ლიტერატურული ნაწარმოებები არსებითი ხასიათის სპეციფიკური ნიშნებით არის აღჭურვილი. ეს გარეგნობა აქვს მხედველობაში რუს მკვლევარს ნ. პ. ანდრეევს, როდესაც იგი სამართლიანად აღნიშნავს: „... მაინც შესაძლებელია ფოლკლორული პოეტაიკის ზოგიერთი ძირითადი ზოგადი ნიშნის დადგენა, კერძოდ ისეთი ნიშნებისა, რომლითაც თითოეულ განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში ფოლკლორული ნაწარმოებები ამავე ეპოქის ლიტერატურული ნაწარმოებებისაგან განსხვავდებიან“<sup>31</sup>.

ვებრუნდებით რა ზემოთ გაანალიზებულ ხალხურ ლექსს, შეიძლება დავაკენათ, რომ მასში გამოყენებული მეტაფორის ესთეტიკურ ფუნქციას ორგანულად ეხამება იდეური ფუნქციაც — სოფლად და ქალაქად სოციალისტური ეპოქის სიკეთით გამოწვეული პროგრესული გარდაქმნების პროპაგანდა და პოპულარიზაცია. ასეთივე ვითარება გვაქვს სხვა ლექსშიც. ძველი პრიმიტიული ხის გუთნისა და ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანის — ტრაქტორის კონტრასტული დაპირისპირების ფონზე მოცემულია ამ უკანასკნელის პერსონიფიკაციის ფაქტი:

დაუნგდა ძველი სახნისი,  
ტრაქტორთა იწყეს მღერანი,  
ბანს აძლევს მთა და ბარიცა,  
კმაყოფილია ყველანი<sup>32</sup>.

<sup>29</sup> გრ. აბაშიძე, ლექსები, პოემები, თბ., 1953, გვ. 47.

<sup>30</sup> ალ. აბაშელი, ერთგომეული, თბ., 1955, გვ. 172.

<sup>31</sup> ნ. პ. ანდრეევის დასახელებული შესაჯავი წერილი.

<sup>32</sup> საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, თბ., 1935, გვ. 119.

ეს ლექსი კოლექტივიზაციის დამთავრების შემდეგ, 1935 წელს დაიბეჭდა. იგი ავტორ-მთქმელ დ. დემეტრაშვილს ეკუთვნის.

ზოგჯერ უსულს საგნის თვისება გადატანილია სულიერ საგანზე:

...საზღვარი გადმოვიღა<sup>23</sup>, |  
მაგრამ კ ლ დ ე დახვდა ს ა ლ ი ა,  
წინ დახვდა წითელ არმიას,  
დღე დააყენა შეიას<sup>24</sup>.

ლექსის ციტირებულ ფრაგმენტში ინტერპრეტირებულია თვით მეტაფორის რეალური მნიშვნელობაც. აქ მეტაფორული გამოთქმით „სალი კლდე“ (მისი დამახასიათებელი თვისებებით: მყარი, გაუტეხელი, გადაუღაზავი) მარჯვედაა ნაგულისხმევი საკუთრივ მეტაფორის ასასახავი ობიექტის — წითელი არმიის თვისებები.

„სალი კლდე“, როგორც მამაცი, შეუდრეკელი, უტეხი სულის ვაჟკაცის აღმნიშვნელი აღგვორიული ფრაზა, კლასიკურ ხალხურ წყობილსიტყვიერებაში სხვადასხვა ვარიანტებით არის შესული. ივანე ბუქუტაულის მიერ გაზნე „მოამბის“ 1896 წლის № 10-ში გამოქვეყნდა ხევსურული ლექსი „წინის ემის გმირი“, სადაც ერეკლე მეორის ფსიქოლოგიურ-პეროიკული პორტრეტი ამ სიტყვებითაც არის გამოკვეთილი:

ერგლე ბატონიშვილი გმირია წინის ემისაო,  
შიგალი გული რკინისა, გარედი ს ა ლ ი ს კ ლ დ ი ს ა ო<sup>25</sup>. ||

ე. ი. აქ ეს გამოთქმა ეპითეტური დანიშნულებისაა: იგი ერეკლე მეფის „გარედი გულის“ თვისებას აღნიშნავს.

ხევში ჩაწერილ საგმირო-სამგლოვიარო ლექსში ამ გამოთქმით მაღალი მხატვრულ-ემოციური ეფექტია მიღწეული:

როგორ გარევა სიკვდილი,  
ნაშალო სალის კლდისაო,  
მთის ფალაქაო ვაჟკაცო,  
ვეფხო არწივო მთისაო<sup>26</sup>.

ამ მხატვრული სახის სხვადასხვა ვარიანტათა აბსოლუტური უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ხალხური პოეტური ტექსტების წილად მოდის. პოეტური სახის წარმოშობა-ფორმირებაში და მისი ბუნების განსაზღვრაში, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ ეროვნულ კოლორიტთან ერთად, გეოგრაფიულ გარემოსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მთის რელიეფის ნაწილი — კლდეები ტერიტორიულად მასთან ახლოს მცხოვრებ ადამიანებში ურყევობისა და სიმტკიცის ასოციაციებს იწვევდნენ. ეს კი საფუძვლად დაედო გამოსახვის ამ ელემენტს, მის გენეზისს. ამ უკანასკნელმა სათანადო განსახიერება პოვა მთის თემატიკასთან დაკავშირებულ ტრადიციულ საგმირო და სამგლოვიარო ლექსებში, შემდეგ კი საერთო ეროვნული ხალხური პოეტიკის კუთვნილებად იქცა.

<sup>23</sup> ლაპარაკია ჰიტლერზე.

<sup>24</sup> ფშე-ხევსურული პოეზია, შედგენილი ივ. ხონაულის მიერ, თბ., 1949, გვ. 49.

<sup>25</sup> ა. შ ა ნ ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931, გვ. 22.

<sup>26</sup> მოხვედრი ლექსები, ალ. გომიაშვილის რედ., თბ., 1939, გვ. 96.

ამრიგად, აქ თავს იჩენს სინამდვილის მხატვრული ასახვის შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკა, ხალხურ ავტორთა მხატვრული პრაქტიკის თავისებურება, რაც განპირობებულია გარემომცველი სამყაროს აქტიური პოეტური ჰერეტიკით, ლექსის ხატოვანების ჩამოყალიბებაში გეოგრაფიულ-ლანდშაფტური ფაქტორის უშუალო მონაწილეობით.

კლდე-სიმაგრის სიმბოლო მეტაფორულ სახედ არის გამოყენებული ლიტერატურულ პოეზიაშიც. იგი მეტწილად ქართული საბჭოთა პოეტების სამამულლო ომის თემაზე დაწერილ ლექსებში გვხვდება.

ზოგიერთი ლექსი მთლიანად მეტაფორულ სახეებს შეიცავს. საბჭოთა კონსტიტუციისადმი მიძღვნილ ლექსში პირველად ჭერ მეტაფორის რეალური ობიექტია დასახელებული, შემდეგ კი მოცემულია ამ რეალური ობიექტის ნაირსახოვან მეტაფორათა მთელი სისტემა. აღსანიშნავია ლექსის მკაოროული ტონი. აქ მხოლოდ პოზიტიური ხასიათის მეტაფორებია შერჩეული, რაც თავისი ქვეყნის ქარტიისადმი ხალხური მძქმელის გულთბილ სუბიექტურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს:

წიგნი კი არა, ოქრო ხარ,  
 მზის შუქით განათებული,  
 კრემლში გაზრდილი ვარდი ხარ,  
 ათასწრად აყვავებული,  
 განუზომელი ყანა ხარ,  
 მინდვრებზე დახაეებული,  
 ფესვებად გული მუხა ხარ,  
 მტკიცე მარჯენით დარგული,  
 ხალხის გულების ექმა ხარ,  
 სიმღერა გამარჯვებული,  
 თავისუფლების ყერა ხარ,  
 ტყბილი ცხოვრების მხლებელი<sup>37</sup>.  
 და ა. შ.

მეტაფორის სახეებს შორის ფართო გასაქანე ეძლევა ასტრალურ სხეულთა პოეტიზირებას, სადაც მონაწილეობას ღებულობენ მზე, მთვარე, ვარსკვლავები და სხვ. ეს ასტრალური მეტაფორები ხალხის პოეტური აზროვნების სხვადასხვა ეტაპზე მხატვრული გამოსახვის პოპულარულ ფორმებად გვევლინებიან. მათი შორეული საწყისები იკარგება უძველეს ანიმისტურ წარმოდგენებში, როდესაც ბუნების საგნები და მოვლენები ადამიანის ცნობიერებაში პერსონიფიციკრებული იყო, შემდეგ კი მათ წმინდა ესთეტიკური ფუნქცია შეიძინეს.

დღეს მეტაფორას მხატვრულ-სახეობრივი ამოცანა აქვს განკუთვნილი. მსგავსი ვითარება დასტურდება ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ პოეტურ სტრიქონებში. აქ მიმართვის აღრესატია მზე, — იგი ადამიანური თვისებებითაა მომადლებული და, მამასადამე, მისთვის ბუნებრივია ტყვილისა და სიხარულის განცდები:

მზეო, ნუსტირი, ილიჩი  
 შეგვიმოსევი სხივებით.  
 შენი მეგობრის ცხედარი  
 მოფინე მარგალიტებით.

<sup>37</sup> ხალხური სიტყვიერება, I, 1950, გვ. 228.

ერემლები დაღვრილიც კმარა,  
ვერ იტყვს ოკანები,  
შენ მაინც შეეშო გეცი ნეეი,  
ტირილით ნუ გვებანებია<sup>39</sup>.

აქ გამოყენებული გაპიროვნება — უსულო საგანზე ადამიანის თვისებების გადატანა — მეტაფორის ერთ-ერთი სახეობაა. იგი ზემოთ ზოგიერთ სხვა მეტაფორაშიც იყო ნახმარი.

გაპიროვნების რთულ სისტემას შეიცავს გაბაასების ქანრის თანამედროვე ხალხური პოეტური ნაწარმოები „კალოს იარაღები“. აქ არნადს, ნიჩაბს, ფიწალს, კევრს მინიჭებული აქვთ ადამიანური მეტყველების უნარი და ერთმანეთს ეჭიშვებიან: თითოეული მათგანი ცდილობს სხვებთან შედარებით საკუთარი ამაგის უპირატესობის დამტკიცებას<sup>39</sup>.

თანამედროვე ხალხური მხატვრული არსენალისათვის სტილისტური ფიგურა — სიმბოლო ნაკლებადაა დამახასიათებელი. იგი მეტწილად სამგლოვიარო ხასიათის ლექსებშია გავრცელებული და აქ მისი მნიშვნელობა ემოციურ-ექსპრესიული შთაბეჭდილების გააღვირვებით, მეტალოგიური (მხატვრული) ფუნქციით შემოიფარგლება. სიმბოლოს „მხატვრული ბიოგრაფია“ შორეული ეპოქიდან იღებს სათავეს, როდესაც საზოგადოების განვითარების უძველეს ეტაპზე პირველყოფილი მითოლოგიური აზროვნება ანიმისტური იდეებით იკვებებოდა. ანიმისტური რწმენის საფუძველზე კი, როგორც მეტაფორის განხილვის დროს აღვნიშნეთ, გარემომცველი სამყაროს ყველა საგანი და მოვლენა გასულდგმულებული იყო და მათ ადამიანური თვისებები ჰქონდა მიწერილი. ეს იყო მაშინდელი საგანი-სიმბოლოს რეალური შინაარსი, სოციალური ფუნქცია. საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ საფეხურზე სიმბოლომ დაკარგა თავისი თავდაპირველი დანიშნულება და მისი როლი მარტოოდენ მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანით შემოისაზღვრა<sup>40</sup>. ამ მომენტს, კერძოდ მხატვრულ სახეთა შინაარსობრივ-ფუნქციონალური მეტამორფოზის ფაქტებს, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური პოეტიკის ცალკეულ ელემენტთა ევოლუციური ასპექტით შესწავლის დროს.

ფოლკლორის დეფინიციური ბუნების ერთ-ერთი ნიშანი ითვალისწინებს მუდმივად განახლებადი და განვითარებადი ტრადიციების მემკვიდრეობითობას და უწყვეტლობას<sup>41</sup>, რაშიც, რასაკვირველია, ხალხური სიტყვიერ-შემოქმედებითი პალიტრაც არის ნაგულისხმევი. ასეთი ხასიათის ტრადიციების მემკვიდრეობითობა და უწყვეტლობა კერძოდ თავს იჩენს ახალი თემატიკის ფოლკლორულ პოეტურ ნიმუშებში ხალხური სიმბოლიკის ცნობილი სახეების გამოყენებისას.

მსგავსი მოვლენა შეინიშნება 1961 წელს ს. მარტყოფის მცხოვრებ ო. ახალკაციშვილის რეპერტუარიდან ფიქსირებულ ლექსში, რომელიც სამამულო ომის ეპიზოდებს ასახავს:

ომი რომ ნახოთ კრემლისა,  
დარჩებით გაკვირვებული,

<sup>39</sup> სახალხო მთქმელები, კრებული პირველი, გვ. 3. ავტორ-მთქმელი მიხეილ ჭიბლაძე.

<sup>40</sup> მთქმელი ანდრო ჭიბლაშვილი, თელავის რ., ს. იყალთო, ჩამწერი იოსებ მქველიშვილი, ძურხ. „ჩვენი თაობა“, 1938, № 3, გვ. 48.

<sup>41</sup> ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, I, თბ., 1958, გვ. 267.

<sup>42</sup> В. Е. Г у с е в, Проблемы фольклора в истории эстетики, М.—Л., 1963, გვ. 184.

იღვა ზარბაზნის გრიალი,  
როგორც ცა დაქუხებული,  
ბევრი ვაჟაკი დარჩება  
მწვანეზე დაძინებული,  
წ ი თ ლ ი ს ა არყით დამთვრალი,  
თითქოს წყალმოწყურებული,  
ველარ მიუვა დედსა  
კარებზე გაცინებული<sup>42</sup>.

აქ „წითელი არაყი“ სისხლის სიმბოლოა, ხოლო „წითლისა არყით დამთვრალი“ კონკრეტულ შემთხვევაში მრავალი მტრის სისხლის დამქვეცი (დამღვრელი) და ფრონტის ხაზზე ვაჟაკურად დაღუპული მეომრის სიმბოლურ სახედ წარმოგვიდგება. ეს სიმბოლური გამოთქმა ამავე შინაარსით გვხვდება კლასიკური პოეტური ფოლკლორის ქმნილებებში, სადაც საგმირო ამბავი ან ბატალური სცენებია აღწერილი. ამ სიმბოლოს შეიცავს, მაგალითად, თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავეში ჩაწერილი ლექსი „თინბექაის სიკვდილი“:

ქალაში ჩამეგება აღექს უნცროსი რძალი,  
რძალი:  
— რა უყავ მამამთილათ, თინბექ ჩემი ქმარიო?  
მამამთილი:  
— გავწირე მუჰის დღესა წ ი თ ლ ი ს არაყით მთვრალი<sup>43</sup>.

სიმბოლურ სახეთა მრავალპლანიანობითა და მონუმენტურობით, მკვეთრი მინორული ტონლობითა და საყოველთაო-სახალხო სევდის კოსმოსური მასშტაბურობით გამოირჩევა სამგლოვიარო ლექსი, რომელიც ლენინის გარდაცვალებისადმი არის მიძღვნილი. მთელი ბუნება, ბუნების მოვლენები, ცა თუ დედამიწა, სულიერი თუ უსულო არსებანი მწუხარების საერთო ანსამბლში არიან ჩაბმულნი და ლენინის სიკვდილს ადანიანებევით განიცდიან:

მოულოდნელად დაჯვიდა  
სამგლოვიარო ხანა,  
და ბ ნ ე ლ ა მ თ ე ლ ი ქ ე ე ყ ა ნ ა,  
შ ა ე ი ჩ ა ი ც ე ა ც ა მ ა,  
კიდევ იქნა და ჭეცხნალ  
ცეცქლები გადმოყარა,  
თ ი თ ქ ო ს გ ლ ო ვ ი ს ა ა მ ბ ე ბ ი  
ც ა მ ა ც კ ი მ ო გ ვ ი ტ ა ნ ა,  
მაღლა მოაშია ს ე ე ბ მ ა  
ტ ო ტ ე ბ ი დ ა ი ხ ა რ ა,  
ფ რ ი ნ ე ე ლ თ შ ე ს წ ყ ვ ი ტ ე ს გ ა ლ ო ბ ა,  
ი შ ა თ ა ც ი გ რ ძ ნ ე ს გ ა ნ ა.  
...რუსეთთ ცნობა მოვიდა  
ლენინი გარდიცვალა<sup>44</sup>.

კოსმოსური მასშტაბის გლოვის სურათებსა და მასთან დაკავშირებულ ელემენტურ სიმბოლოებს უხვად შეიცავენ ძველი წარმოშობის ხალხური ლექსე-

<sup>42</sup> ხალხური სიბრძნე, ტ. IV, ქს. სიხარულიძის რედ., თბ., 1965, გვ. 490.

<sup>43</sup> ხალხური სიტყვიერება, III, გვ. 72.

<sup>44</sup> სახალხო მთქმელები, კრებული ჰირველი, თბ., 1956, გვ. 29. მთქმელი ილო მათიაშვილი, ჩაწერა მ. ჩიქოვანმა 30. VIII. 1934, თბილისი.

ბი „ხახარე“ და „ხოგაის მინდი“. მათში თავისებური ვარიაციებით არის გაფანტული საანალიზო ლექსის სიმბოლური სახეები.

სიმბოლური სახე გვაქვს სიღნაღის რაიონის ს. არბოშკის მკვიდრ ი. ლამაზოშვილის ლექსში „შენი ჭირიმე, სამშობლოვ“, რომელიც 40-იანი წლების დასასრულს არის შექმნილი:

შენი ჭირიმე, სამშობლოვ,  
ჩვენო ძვირფასო არეო,  
...აქშორდა ბნელი, შ ა ე ი დ ლ ე,  
გულს ვარდი დიფარეო<sup>48</sup>.

ამ ლექსში „ბნელი, შავი დღე“ წარსულის ბედუქუღმართი დუხჭირი ცხოვრების სიმბოლური გამოხატულებაა.

ქართულ კლასიკურ ფოლკლორულ ლექსებთან შედარებით სიმბოლო თანამედროვე ხალხურ პოეტურ ნაწარმოებებში ნაკლებად იხმარება. ეს მომენტი უმთავრესად აიხსნება იმ მიზეზით, რომ დღევანდელ ეტაპზე შექმნილ ხალხურ წყობილიტყვიერ ტექსტებში ერთი მხრივ გარკვეული დოზით არის შემცირებული ფანტასტიკურ-ალეგორიული დანაშრეები, ხოლო მეორე მხრივ მათში მკვეთრადაა გაძლიერებული პუბლიცისტურ-რეალისტური ტენდენციები. ეს ფაქტორი კი თვით ასახავი სოციალისტური ეპოქის სათანადო შინაარსითა და მისი იდეური თავისებურებებითაა შეპირობებული.

თანამედროვე ქართული ხალხური პოეზიის მხატვრულ სახეთა სისტემაში აქტიური მონაწილეობით ხასიათდება აგრეთვე პოეტური სემანტიკის სხვა ელემენტებიც, როგორცაა: ეპითეტი, ჰიპერბოლა და სხვ., მათზე აქ ამჟერად აღარ შევჩერდებით, ოღონდ შევნიშნავთ, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული ხალხური პოეტური ნიმუშებისათვისაც მხატვრულობა ერთ-ერთ ორგანულ მოვლენას წარმოადგენს. ამ საკითხების ფართო ესთეტიკური ასპექტით შესწავლა საერთოდ ხალხური პოეტური მეტყველების შესწავლასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ხოლო ხალხური პოეტური მეტყველების, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის, სპეციფიკური ფორმის შესწავლა, ხალხის სიტყვიერ-მხატვრული შემოქმედების სტილისტიკისა და პოეტიკის ცალკეული პრობლემების გაშუქება თანამედროვე ეტაპზე ფოლკლორმცოდნეობის აქტუალურ საკვლევ ობიექტთა რიგს განეკუთვნება. ხალხურ პოეტურ ნაწარმოებთა მხატვრული სტილი გენეზისისა და სტრუქტურული ფორმირების თვალსაზრისით ერთ კომპლექსურ მთლიანობაში გვესახება. ყოველივე ამაში კი, ცხადია, იგულისხმება ხალხური ლექსების მხატვრულ სახეთა მუდმივი აქტივიზაციის პროცესი, ანუ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული მხატვრულ სახეთა ფოლკლორულ-მემკვიდრეობითი ფაქტორი. როგორც მიუვითეთ, ეს გარემოება თავს იჩენს საბჭოთა თემატიკის ხალხური პოეტური ნიმუშების მიმართაც. აქ დასტურდება როგორც ტრადიციული, ისე ორიგინალური მხატვრული კომპონენტების გამოყენების ფაქტები. ეს კი, საზოგადოდ ფოლკლორული პოეტიკის სპეციფიკურ ნიშანს შეადგენს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ზემოთ გაანალიზებულ თანამედროვე ხალხურ ლექსებში პოეტური სემანტიკის ელემენტთა რეალიზაციის შემთხვევებიც.

<sup>48</sup> ქიზიის პოეტური ფოლკლორი, გვ. 122.

## ლია ბაგულია

## აბუ ალი ალ-ფარისის „ათ-თაქვილა“

X საუკუნის არაბი გრამატიკოსის აბუ 'ალი ალ-ფარისის „ათ-თაქვილა“ („დამატება“) იმდროინდელი გრამატიკული ანროენების ნიმუშს წარმოადგენს. თხზულება განეკუთვნება არაბული ენათმეცნიერების იმ სფეროს, რომელსაც არაბი გრამატიკოსები „გრამატიკის საფუძვლებს“ ეწოდებენ. „ათ-თაქვილა“ გამოცემული არ არის. იგი გაერცელდა და გამოსმაურება პოვა აღმოსავლურ სამყაროში სელნაფერი ნუსხების საშუალებით. ე. ტრუპო ასახელებს ამ ტრაქტატს ისეთ თხზულებათა შორის, რომელთა გამოცემა საშუაო საქმეა<sup>1</sup>.

„ათ-თაქვილას“ ჩვენამდე მოღწეული ნუსხები დატულია კაიროს, სტამბოლის, მადრიდის და ბერლინის წიგნსაცავებში<sup>2</sup>. ლიტერატურაში სშირად არის მოტანილი მისი კომენტარები და გლოსები<sup>3</sup>.

„ათ-თაქვილა“ ავტორს შეუთხნავს თვისი მეცენატის 'ადედ აღ-დავლას<sup>4</sup> თხოვნით. აქედან მომდინარეობს ამ ნაწარმოების სახელწოდების მეორე ვარიანტი — „აღ-აღდღმეჟ“<sup>5</sup>.

ჩვენ გავეცანით აღნიშნული ტრაქტატის ერთ ნუსხას, რომელიც დატულია ლენინგრადის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 914 ნომრით<sup>6</sup>. მისი მოკლე აღწერილობა მოცემული აქვს აკად. ე. კრაჩკოვსკის<sup>7</sup>. ნუსხა წარმოადგენს იმ ხელ-

<sup>1</sup> G. Troupeau, La grammaire à Bagdad du IXe au XIIIe siècle, Arab.ca, 1962, გვ. 402.

<sup>2</sup> იხ. C. Brockelmann, GAL, Weimar, I, გვ. 114, S I, გვ. 175; اسماعيل شلي, أبو علي الفارسي, القاهرة, 1958, გვ. 539.

<sup>3</sup> იხ. معجم الأدباء، القاهرة، 1936—1938, გვ. 232—261; მისივე, Irshad al-Arif ila ma'rifat al-adib, Leiden, 1911, I, გვ. 130—135, II, გვ. 256; وفيات الأعيان، ابن خلكان، القاهرة، 1948, I, გვ. 361—364; A. F. L. Amer, Nuzhat al-Alibba d'al-Anbarj, Stockholm, 1963, გვ. 187—189; G. Flügel, Die Grammatischen Schulen der Araber, Leipzig, 1862, გვ. 104—110, შტკ.; J. Hamner-Purcell II, Literaturgeschichte der Araber, Wien, 1853, VII, გვ. 579, შტკ.; В. Ф. Гиргас, Очерк грамматической системы арабов, СПб., 1873, გვ. 16, შტკ. და სხვ.

<sup>4</sup> أعضاء أدولة (936—983 წწ.) — ბიურების შთავარი, ცხოვრობდა შირაზში, იყო მეცნიერთა და პოეტთა შეჯამელი.

<sup>5</sup> იხ. O. Rescher, Mitteilungen aus Stambuler Bibliotheken, II, ZDMG, Leipzig, 1910, V, 64, II, III, გვ. 490; شلي, ხს. შტკ., გვ. 514, შტკ.

<sup>6</sup> იხ. Список персидским, турецко-татарским и арабским рукописям Библиотеки императорского С.-Петербургского университета, Оттиск из ЗВО, II—III, СПб., 1888, გვ. 27.

<sup>7</sup> И. Ю. Крачковский, Восточные рукописи из собрания В. Ф. Гиргаса, Избранные сочинения, М.-Л., 1960, VI, გვ. 505.

ნაწერის პირს, რომელიც ინახება კონსტანტინოპოლში დეფთერდარ 'ანტიქ ექენდის ბიბლიოთეკაში (№ 856)<sup>8</sup>.

ალ-ქარისის ამ თხზულებიდან რამდენიმე ციტატა მოტანილა ვ. გირგასის შრომაში „Очерк грамматической системы арабов“<sup>9</sup>.

არაბი მეცნიერი ი. შელები ქარისისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში განიხილავს სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებებს „ათ-თაქმილას“ შესახვის, შინაარსისა და ნუსხების შესახებ; შელების აზრით, ალ-ქარისის ამ შრომაში მთლიანად არის წარმოდგენილი არაბული ენის მორფოლოგია<sup>10</sup>.

წინამდებარე წერილის მიზანია აღნიშნული ტრაქტატის შინაარსის განხილვა.

ლენინგრადის უნივერსიტეტის ხელნაწერი № 944 შეიცავს 276 გვერდს და რომელიც ციფრებით პაგინირებულ ცხრაგვერდიან სარჩევს. აქედან „ათ-თაქმილას“ ეთმობა 103—276 გვ. ხელნაწერის ზომაა 23×14; ტექსტის ზომა — 18,5×9; თითოეულ გვერდზე 19 სტრიქონია; ქაღალდი — მოყვითალო, კვირნიშნინანი; ყდა — ევროპული; დაცულობა — კარგი. არშიებზე ფანქრით მინაწერები და შესწორებებია ვ. გირგასის ხელით. ხელნაწერი შესრულებულია XIX საუკუნის ყაზანურ-თათრული ტიპის ნასხით; ტექსტი ნაწილობრივ გახმონებულია; მელანი — შავი: დასათაურება, მაგალითები, წინადადების დასრულება და ახალი საკითხის დასაწყისი აღნიშნულია წითელი მელნის რგოლებით ან სტრიქონზედა ხაზგასმით; სათაურები გამოყოფილია; ყოველი ფურცლის ბოლოს კუსტოსია<sup>11</sup>.

ხელნაწერის უკანასკნელ გვერდზე გადაწერის ანდერძია; აქ აღნიშნულია, რომ ორიგინალი გადაწერია ვინმე 'ალი ალ-მაკდისის 1190 წლის 24 სექტემბერს (პ. 586 წ.)<sup>12</sup>. „ათ-თაქმილას“ არა აქვს თავფურცელი და სათაური. იგი იწყება შემდეგი სიტყვებით: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობელისათა! დიდება ალაჰს, უფალს სამყაროთა... დიდება 'ადლდ ად-დავლას, გაუხანგრძლივებს ალაჰი არსებობას, უხვად დააფრქვევს წყალობას“ და ა. შ.

შესავლის შემდეგ ავტორი გადადის თავის კვლევის საგანზე; განსაზღვრავს ნაქვს, ასახელებს მის ორ ნაწილს და ჩამოთვლის საკითხებს, რომელთა ერთიანობა გრამატიკის საგანს შეადგენს. ამ თავის ბოლოში ალ-ქარისი ამბობს, რომ სიტყვის დაბოლოებაში მმართველით გამოწვეული ცვლილებები განხილული აქვს წიგნში, რომლის სათაურია „ალ-რდჰჰ“, დანარჩენი საკითხები კი წინამდებარე ნაშრომში<sup>13</sup>.

შემდეგი ოთხი თავი ეთმობა ორი თანხმონის თანხვედრას სიტყვაში ან სიტყვათა შორის. ავტორი ამბობს, რომ ორი ერთნაირი თანხმონის ასიმილა-

<sup>8</sup> В. Ф. Гиргас, В. Р. Розен, Арабская хрестоматия, СПб., 1875—1876, гв. 7.

<sup>9</sup> В. Ф. Гиргас, ხს. შრ., გვ. 36, 46, 47.

<sup>10</sup> شلى, ხს. შრ., გვ. 511.

<sup>11</sup> შეად. აკად. ე. კრაჩოვსკის ხს. ნაშრომი.

<sup>12</sup> ხს. ლენინგრადის უნივერსიტეტის ხელნაწერი № 944, გვ. 276.

<sup>13</sup> ხს. التكملة, გვ. 104.



ცია ხდება ბანუ თამიმელთა<sup>14</sup> მეტყველებაში<sup>15</sup> და ყველა სხვა არაბულ დიალექტში, გარდა ჰიჯაზისა<sup>16</sup>. ამ ცვლილებებს ადგილი აქვს ჭაზმსა და ვაკჟში<sup>17</sup>.

ალ-ჟარისის მიერ მითითებული მაგალითები ცხადყოფს, რომ იგი გული-სხმობს გემინირებულ ზმნებს და იმპერფექტივის სუქუნთან ფორმებში გემინაციისა და სხვადასხვა ხმოვნის არსებობას სახელის ფლექსიას უკავშირებს<sup>18</sup>. ხსენებული ფორმების შესახებ ავტორი შემდეგ აზრს გამოთქვამს: გემინირებული ზმნის ბოლო თანხმოვანი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სამივე ხმოვნით იმის მიხედვით, თუ რომელია წინამავალი ხმოვანი, ან ძათჰით ყველა შემთხვევაში, ანდა — ქესრით<sup>19</sup>. ალ-ჟარისის ყველა ეს შემთხვევა კანონზომიერად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ ალ-ხალელი ადასტურებს „რადღანა“ და „მარანა“ ფორმებს ბაქრ იბნ ევ'ლის<sup>20</sup> ხალხთა მეტყველებაში, მაგრამ ესენი გამონაკლისს უნდა წარმოადგენდნენ. ჰიჯაზელთა მეტყველებაში კი „რადღანა“ ფორმა გვაქვს, ეს კი ცხადყოფს, რომ ასიმილაცია აქ შეუძლებელია.

ერთ სიტყვაში ორი განსხვავებული თანხმოვნის ასიმილაციის შემთხვევას ალ-ჟარისი განიხილავს პირობითი კილოს და ბრქანებითი ფორმების იმ ზმნების მაგალითებზე, რომელთა შუა ძირეულად ვაეი ან აოტა<sup>21</sup>. თვისი დებულების დასამტკიცებლად ავტორი იმოწმებს ალ-ხალელის, აბუ ზადისა და სიბავაჰის ციტატებს<sup>22</sup>.

<sup>14</sup> تَمِيمٌ بَنُو — არაბთა ერთ-ერთი ტომის სახელი.

<sup>15</sup> فان الساكنين يلتقيان في الكلمة على — სიტყვის ალ-ჟარისი აღნიშნავს ო ასოთი: **ل** ასოთი: **على** **الكلمة** **في** **التقيان** **في** **الكلمة** **على** — „ათ-თაჰმილა“, გვ. 104.

<sup>16</sup> الحجاز — მხარე არაბეთში.

<sup>17</sup> جزم — ზმნის პირობითი კილო, **وقف** — პაუზა, იგულისხმება ბრქანებითი კილოს დაბოლოება, მაგალითად: **لَمْ تَرَهُ** — 'არ დაუბრუნებია', **لَمْ تَقْرَأْ** — 'არ გაქცეულა', ან **رَدَّ** — 'დააბრუნე!'

**فَرِي** — 'გაიქცეო!' (შეად. მარდულ, იქრირ და ა. შ.).

<sup>18</sup> ავტორი ცდილობს ამით ახსნას აღნიშნული ფორმის ვარიანტთა არსებობა, რადგან მისთვის ზმნის ეს კილოები უფლექსიო (მაბნ უნ) ფორმებს წარმოადგენს.

იგულისხმება ისეთი მაგალითები, როგორცაა **رَدَّ الْقَوْمَ** 'დააბრუნე ხალხი'.

**غَضَّ الطَّرْفَ** 'ყურადღებას ნუ მოიქცევ!' და სხვ.; იხ. „ათ-თაჰმილა“, გვ. 105—106.

<sup>20</sup> بكر بن وائل — ტომის სახელია.

<sup>21</sup> იგულისხმება ე. წ. ცარიელი ზმნები. ავტორის მსჯელობით აჯაჟულ ფორ მანში ვაეი ხურავს მარკვალს, რის გამოც პირობით და ბრქანებით კილოებში სუქუნთან შესაძებ ძირეული ხელდა უსმოენო ვაეის თუ აოტის მეზობლობაში და იკვეცება; შედეგად მივიღებთ ფორმებს **قُلْ** 'თქვი!',

**بَعْ** 'გაყიდე!', **خَفَّ** 'გეშინოდეს!', „ათ-თაჰმილა“, გვ. 106.

<sup>22</sup> الخليل (გარდ. 790 წ.), سيويه (გარდ. 796 წ.), أبو زيد الأنصاري (გარდ. 830 წ.) — არაბი ფილოლოგები.

III და IV თავებში ავტორი ეხება თანხმოდანთა ისეთ შეერთებას, რომელიც ხდება ორ მეზობელ სიტყვაში<sup>23</sup>.

შემდეგი თავი ეძღვნება სიტყვათა დასაწყისს. ალ-ქარისის აზრით, პირველი ბგერა, რომლითაც იწყება ყოველი სიტყვა, აუცილებლად ხმოვნია; გამოწვევისა ის შემთხვევები, როდესაც საწყისი ჰამზის ხმოვანი წინა სიტყვის უკანასკნელ ბგერას გადაეცემა<sup>24</sup>.

მომდევნო ექვს თავში განხილულია პაუზალური ფორმები; გარჩეულია „სწორი“ და „სუსტფუძიანი“ სახელები, პირის ნაცვალსახელები<sup>25</sup> და კითხვითი ნაცვალსახელი ۞ 'ر ?

„სწორფუძიანი“ სახელებში აღნიშნულია ვაკფის ოთხი სახეობა: უხმოვნობა, ლაბიალიზაცია, „ხმოვნის წარმოთქმის სურვილი“ და დასუსტება<sup>26</sup>.

შემდეგ სამ თავში დაწვრილებითაა განხილული ჰამზის წარმოთქმა და მართლწერის წესები; ჰამზის „შემსუბუქება“ სხვადასხვა პოზიციაში და წინამავალი ხმოვნის გათვალისწინებით, ორი ჰამზის შეერთება და სხვ.<sup>27</sup>

რამდენიმე თავი ეთმობა სახელთა ორობითი და სწორი მრავლობითის ფორმებს. ავტორი შენიშნავს, რომ ამჟერად საუბარი ექნება სუსტფუძიან სახელთა რიცხვზე, რადგან სწორფუძიანი სახელები თავის პირველ წიგნშია გარჩეული<sup>28</sup>.

სუსტფუძიან სახელებს იგი აჯგუფებს ალიფით და ჰამზით დაბოლოებულ ტიპებად. ალიფიან სახელებს ყოფს ორ ნაწილად: სამ და სამზე მეტთანხმოვნინაზებად, პირველის ნიმუშად თელის: 'ა' ან — 'ასავანი 'ჯოხი', რაჰან — რაჰამანი 'ხელის წისქვილი', რაჰან — რაჰაენი 'ნაპირი', ჰამან — ჰამამანი 'წვიმა, ბალახი' და ა. შ., მეორე ჯგუფს მიაკუთვნებს შემდეგ სახელებს: ა'მა — ა'მამანი 'ბრმა', ა'შა — ა'შამანი 'კულდადმხედველი', მუსტაჰან — მუსტაჰამანი 'რჩეული' და სხვ. ცალკეა გამოყოფილი სახელები, „რომელთაც ბოლოში იოტი აქვს, ხოლო მის წინ — ქესრა“, ასეთებია: ა'მინ — ა'მიმანი 'ბრმა', შაჰინ — შაჰიმანი

23 მაგ. مِنْ أَنْتِكَ 'მეველი ეძებდა', بَتِ الْأَمَّةُ 'ერთადერთია ალაჰი', وَأَحْسِنِ اللَّهُ 'შენი ძისაგან', يَغْزُو الْجَيْشُ 'თავს დაესხა ლაშქარი', لَأَنْتَسُو الْفَضْلَ 'ნუ დაივიწყებთ სიკეთეს' და სხვ.

24 მაგ. كَمْ أَبْلِكَ — რამდენია შენი აქლებები? (შდრ. W. Wright, A Grammar of the Arabic Language, Cambridge, 1955, v. II, გვ. 126—127), ან კაემირთან ნახშირი პირის ნაცვალ-

სახელები ه و მაგ. فَوْ خَيْرٌ 'და იგი კარგია'; იხ. „ათ-თაქმილა“, გვ. 25—26.

25 ტერმინი الْأَسْمَاءُ الْمَكْنِيَّةُ, რომელშიც პირის ნაცვალსახელების გარდა ნაცვალსახელორი სუფიქსებიც იგულისხმება, საეტილოგურ ლიტერატურაში არსად შეგვხვედრია. ალ-ქარისიმ აქ გამოიყენა كُنَى 'აღნიშნა რაიმე ნიშნით' — ზმნის ვნებითი გვარის მიმღობის ფორმა, შდრ. كُنَايَةٌ 'პირის ნაცვალსახელი'.

26 „ათ-თაქმილა“, გვ. 113; შდრ. W. Wright, სს. შრ., ტ. I, გვ. 89, 276.  
 27 „ათ-თაქმილა“, გვ. 111—112.  
 28 იგულისხმება ალ-ქარისის თხზულება الْإِبْصَاحُ 'განმარტება'.

'დამწუხრებული', კაღინ — კაღინა 'მსაჯული', მუჰთადინ — მუჰთადინა 'სწორი გზით მავალი'.

შენიშნულია, რომ ალიფიანი სახელების სწორი მრავლობითის წარმოებისას „იკვეცება ალიფი, რომელიც ვაგის წინაა, სიტყვის დანარჩენი ნაწილი კი უცვლელი რჩება“<sup>29</sup>. აქ დასახელებულია შემდეგი მაგალითები: მუ'ანან — მუსანანა 'გაორკეცებული', მუ'ალან — მუ'ალანა 'ამაღლებული'; საკუთარ სახელთაგან: მუსა — მუსანა 'მოსე', 'ისა — 'ისანა 'იესუ', 'საქარინა — 'საქარინანა 'საქარია' და ა. შ. ბოლოოტიანი სახელებთან განხილულია კაღინ, ღაზინ 'მებრძოლი', ღაზინ 'მომწოდებელი' ტიპის სახელები. ამათან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ სწორ მრავლობითში „იკვეცება იოტი, რადგან ვაგის წინ ესაჭიროება მას დამმა, ხოლო როდესაც ხმოვანს მოვაცილებთ, მრავლობითის ვაგი და უხმოვნო იოტი შეხვდება ერთმანეთს, მოიკვეცება ეს უკანასკნელი და დამმა მეორე ძირეულზე გადაინაცვლებს“. ასეთი ცვლილებების შედეგია კაღუნა, ღაზუნა და ღაზუნა ფორმები.

ცალკეა გარჩეული ორობითში და სწორ მრავლობითში დასმული მუბჰამაჰ.

21-ე თავი შეიცავს წესებს, რომლებიც უკავშირდება მანკუჰის და ღაღრუ მანკუჰის<sup>31</sup> პირველი პირის ნაცვალსახელიან ფორმებს. აქ გამოყოფილია ორი ჯგუფი: სწორფუძიანი და სუსტფუძიანი სახელები (იოტი და ვაგი დაბოლოებით) და ალიფით დაბოლოებული სუსტფუძიანი სახელები. პირველის მაგალითია ღულამი 'ჩემი მსახური', სამსავე ბრუნვაში, ან ზაბრ 'ჩემი ქურციკი', 'აღფ 'ჩემი სირბილი' და სსე., მეორისა — 'ასაჰა 'ჩემი ჯოხი', ბუშრაჰა // ბუშრაჰა 'ჩემი სასისარულო ცნობა', ჰუღაჰა // ჰუღაჰა 'ჩემი ხელმძღვანელობა'. ორობით რიცხვში ალ-ჰარისი აღნიშნავს „პარალელურ ფორმათა უქონლობას და მხოლოდ ბატულაჰა 'ჩემი ორი ტყუილი' ტიპის წარმოებას“. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ისეთი სახელები, რომელთაც ბოლოში იოტი აქვს, მის წინ კი ქესრა, მაგ., კაღინა, ღაზინა და ა.შ.<sup>32</sup>

მომდევნო თავები ეხება წარმომავლობის სახელებს, ანუ ნისბას. ავტორი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში „სახელს ერთგის ორი იოტი და პირველი მათგანი შეერწყმის მეორეს, წინამავალი თანხმოვანი კი იღებს ქესრას. ასეთი სიტყვა სახელის ნაცვალად იქცევა ზედსართავად და იმართვის მის მსგავსად“<sup>33</sup>. ნისბას საწარმოებლად სახელში მომსდარი ცვლილებები ორ ჯგუფად იყოფა. პირვე-

<sup>29</sup> „ათ-თაჰმილა“, გვ. 125—126.

<sup>30</sup> أسماء مبهمة გრამატიკული ტერმინია, აღნიშნავს ისეთი ზოგადი მნიშვნელობის სიტყვებს, როგორიცაა: ჩვენებითი ნაცვალსახელი, მიმართებითი ნაცვალსახელი, ადგილის, დროისა და რაოდენობის აღმწერელი ზოგადი ცნებები. აქ განხილულია მხოლოდ ზნ 'ეს' და ალლაჰ 'ის, რომელიც' ნაცვალსახელები. შდრ. Б. М. Г р а н д е, Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, Москва, 1973, გვ. 557.

<sup>31</sup> مقوص 'ნაკვლი' და مقوص غير გრამატიკული ტერმინებია. პირველი აღნიშნავს ისეთ სახელს, რომელსაც ფუძის ბოლო თანხმოვანი სუსტი აქვს, ხოლო სახელობითში და ნაიფსაობითში — ერთნარი ფორმა; მეორე — პირველის საპირისპიროა. მაგ., عَصَا 'ჩემი ჯოხი', قَصِي 'ჩემი მსაჯული'.

<sup>32</sup> „ათ-თაჰმილა“, გვ. 128—129.

<sup>33</sup> „ათ-თაჰმილა“, გვ. 130.

ლი მოიცავს ისეთ ცვლილებებს, რომლებიც არაა კანონზომიერი და არც თანამიმდევრულად მეორდება. ასეთებია: 'ალაფნაჟუნ' 'ალის მომხრე', ბადაფნაჟუნ 'ბედლინი', ჰუზალნაჟუნ 'ჰუზალიტური', საკაჟნაჟუნ 'საკიფის გვარის წარმომადგენელი', უმაფნაჟუნ 'ომეადური', უნაჟნაჟუნ 'გრძელცხვირა', აბარნაჟუნ 'ჟის' და სხე.<sup>34</sup> ამას უპირისპირდება თანამიმდევრული ცვლილებები ამა თუ იმ ტიპის ყველა სახელში. ესენია: ჟამუნ 'პირი', შათუნ 'ცხვარი', დავან 'ავადმყოფობა', ზარმან 'შიზანი', აგრეთვე მდებრობითი სქესის სახელები -ათ დაბოლოებით, სამზე მეტთანხმოვნიანი ფუძის მქონე სახელები და მათგან ნაწარმოები მიმართებითი სახელები<sup>35</sup>.

შემდეგ სამ თავში მოთხრობილია რიცხვითი სახელების წარმოების შესახებ. დაწვრილებითაა აღწერილი მათი ხმარების წესები, განსხვავებულია ცალკე-მდგომი რიცხვითი სახელები და ზედსართავად გამოყენებული რიცხვითი სახელები<sup>36</sup>.

ვრცლადაა განხილული ალიჟ მაქსურა და ალიჟ მამლუდა<sup>37</sup>, თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ ხსენებულ საკითხს „აქ გაკერით ეხება, რადგან ამის შესახებ სპეციალური წიგნი აქვს დაწერილი“<sup>38</sup>.

სახელთა მდებრობითი სქესის საკითხს ეთმობა თექვსმეტი თავი (35 გვერდი). ავტორი მიიჩნევს მდებრობით სქესს მეორეულად. იგი ასახელებს „ნამდვილ“ და „არანამდვილ“ მდებრობითს. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებს „ბუნებრივი მდებრობითის გამომხატველ“<sup>39</sup> სახელებს, მეორეს კი ტიპებს, რომელ-

<sup>34</sup> აღნიშნული ფორმები წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის სახელთა ნისბას, ან მიმართებით სახელებს. მათი წარმოება არ ხდება სხვა სახელთა ანალოგიით. ჩამოთვლილი ფორმების ძირეულ სახელებად ავტორი თვლის ალ-წლია (და არა ალ-ალნაჟუნ), ალ-ბადაფნა (და არა ბადაფნა), ჰუზალი, საკაჟ, უმაჟა, ნაჟა (მხ. ანჟი), ნაჟარ (მხ. ბირ) სიტყვებს. შტრ. W. Wright, სს. შრ., ტ. I, გვ. 149—165.

<sup>35</sup> „ათ-თაჰვილა“, გვ. 131—138.

<sup>36</sup> რაოდენობითი რიცხვითი სახელი ალ-ფარისისათვის არის **اسم**, რიგითი რიცხვითი სახელისათვის კი იგი ხმარობს ტერმინს—**المدد المشتق من اسم** (ქვილ ტიპის სახელ ნაწარმოები რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან), „ათ-თაჰვილა“, გვ. 141.

<sup>37</sup> ავტორის მოკუმული აქვს შემდეგი განმარტება: მაქსურა არის სახელთა ისეთი დაბოლოება, სადა სიტყვის დასასრულს დასმული ალიფი მომდინარეობს იოტისაგან ან ეპიგისაგან, ან „ღანა-

მატა“ მდებრობითი სქესისა თუ სუფიქსისა, მაგ. **عَرِيٌّ** 'ეკური' (მხ. **عَرِيٌّ** 'ეკური').

**طَوِيٌّ** 'თიმილი'; მამლუდა კი ისეთი დაბოლოებაა, როდესაც "ღნა:მატა" ალიფი შემდეგ დასმულია იოტი ან ეფი, რომელთაც ენაცვლება ქანზა, შედეგად მიიღებთ "მამლუდას". რადგან

ალიფი გრძელდება და ბოლოდება ქანზით, მაგ. **عَاءٌ** 'მოწოდება', **بُكَاءٌ** 'ტირალი', **شِرَاءٌ** 'ყიდ-

ვა'. შტრ. B. M. Гранд, სს. შრ., გვ. 305—306; W. Wright, სს. შრ., ტ. I, გვ. 11. 25, 179, 183 და შტრ. **الحرف الزائد** ისეთი თანხმოვანია, რომელიც **الحرف الاصلی** საპირისპირო შედის აფიქსის შემადგენლობაში.

<sup>38</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ალ-ფარისის მიუწერება ნაშრომა სიათურით **المقصود والمدود** (იხ. Al-Maqṣūr wa 'l-mamdūd d'al-'Anbūrī, Stockh., 1966; G. Flügel, სს. შრ. და სხე.).

<sup>39</sup> შტრ. ალ. ლეკიაშვილი, სახელთა სქესისა და რიცხვის წარმოება სემანტურ ენებში, თბილისი, 1963, გვ. 51, შტრ.

თაც მდედრობითის ფუნქცია აქეთ<sup>40</sup>. გარდა ამისა, ალ-ქარისი გამოყოფს მდედრობითი სქესის ნიშნის მქონე და უნიშნო სახელებს. მდედრობითი სქესის ნიშნად მას მიაჩნია ალიფი და -ათ, რომელიც პაუზაში გვაძლევს -აჰს. ალიფის

მქონე სახელთა შორის გვაქვს ქუ'ლან ტიპი; ქუ'ლან ორგვარია: كَلْمٌ, რომლის მამრობითია აქ'ალ (ქუბრან — აქბარ 'უდიდესი', ეუსტან — ავსატ 'შუა, საშუალო', ღუნჯან — აღნან 'უახლოესი' და სხვ.) და كَلْمٌ, რომელსაც არა აქვს მამრობითი (რუ'ჯან 'ხილვა, სიზმარი', ჰუმმან 'ციებ-ცხელება', ბუჰმან 'ველური ქერი'<sup>41</sup> და ა. შ.).

ამას მოსდევს საერთო სქესის სახელები (ჰუდან 'სწორი გზით წარმართვა', მათუნ 'ზურგის ნაწილი...', ჯადუნ 'ხელი', რიჯლუნ 'ფეხი', უნუჟუნ 'კისერი', სუჟუნ 'ბაზარი' და სხვ.)<sup>42</sup>.

შემდეგი საკითხი (ხელნაწერის 20 თავი) ეხება მსხვერუელ მრავლობითს. ავტორი შენიშნავს, რომ ეს არის მრავლობითის ისეთი სახეობა, რომელშიც მხოლოდობითის ფორმის „დამსხვერევა“ ხდება სამი საშუალებით: ბგერათა მომატებით, დაკლებით და ხმოვანთა შეცვლით<sup>43</sup>. მრავლობითის ეს ფორმა სპეციფიურია სამ, ოთხ და ხუთთანხმოვნიან სახელთათვის<sup>44</sup>. საინტერესოა, რომ აბუ'ალნი გამოყოფს მსხვერუელი მრავლობითის მქონე სამთანხმოვნიანი სახელის ათ ტიპს: ქა'ალ, ქა'ილ, ქა'ილ, ქა'ულ, ქუ'ალ, ქა'ილ, ქა'ლ, ქა'ლ, ქუ'ულ, ქულ'. შემდეგ ჩამოთვლილია შესაბამისი მსხვერუელი მრავლობითის ტიპები „სიმცირის“ თუ „სიმრავლის“ გამოსახატავად. ხსენებულ ტიპებში ავტორი განასხვავებს მამრობითი და მდედრობითი (უნიშნო და ნიშნიანი) სქესის სახელებს და მთელ ჯგუფს ყოფს არსებით სახელებად და ზედსართავებად<sup>45</sup>. ასევე იქცევა იგი ოთხთანხმოვნიანი სახელის გარჩევისას. აქ გამოყოფილია ოთხი ტიპი: ქა'ნლ, ქა'ნლ, ქუ'ნლ, ქა'ნლ. ასეთ სახელთა „სიმცირის“ მრავლობითს აწარმოებს აქ'ილან', „სიმრავლე“ კი რამდენიმე ტიპით გადმოიცემა, რომელთაგან

<sup>40</sup> აქ ალ-ქარისის მოაქვს შემდეგი ნიმუშები: بَشْرٌ 'სასიხარულო ამბავი', صَحْرٌ 'უდაბნო', شَمْسٌ 'მზე', دَارٌ 'ადგილსამყოფელი' და სხვ. ამ ჯგუფს მიეკუთვნება მდედრობითი სქესის ყველა სახელი. გარდა ბუნებრივი მდედრობითისა.

<sup>41</sup> سِتْرٌ სიტყვის შესახებ სინაგოგის ამბობს, რომ ზოვიერთნი ამ ფორმის ნაცელად ხმარობენ سِتْرَةٌ სიტყვისა და ეს არ არის მოსაწონიო. „ათ-თაქმილა“, გვ. 157.

<sup>42</sup> ამ თავის სათაურია بَابُ الْأَسْمَاءِ الَّتِي تَنْكُرُ وَتَوْنُتُ („ათ-თაქმილა“, გვ. 185); შტრ, აღ-ლ-ე-კ-ა-შ-ე-ი-ლი, ხს. ნაშრ., გვ. 56; E. M. Γ p a u l e, ხს. შრ., გვ. 270.

<sup>43</sup> მაგალითად: 'აბლ—'აბილ 'მონა', იზარ—უზურ 'ტანზე შემოსახვევი ნაქერი', საყდ—სუჟდ 'ქერი' და ა. შ.

<sup>44</sup> ხუთთანხმოვნიან სახელს აბუ'ალნი უწოდებს بَنَاتُ الْخَمْسِ ან خُمَاسِي და დასძენს, რომ ამათი მსხვერუელი მრავლობითი იშვიათად გვხვდება.

<sup>45</sup> „ათ-თაქმილა“, გვ. 187—202.

ყველაზე ხშირად ქუთულ იხმარება ოთხთანხმოვნიაანი სახელის პირველი ორი სახეობისათვის, ხოლო დანარჩენისათვის — ფი'ლან და ქუთ'ლან<sup>46</sup>.

ქან'ალ და ქან'ილ ფორმის სახელთა მსხვერუელი მრავლობითი ქაევ'ილ ტიპს მისდევს<sup>47</sup>.

შემდეგი თავი ეთმობა ოთხთანხმოვნიაანი ძირის<sup>48</sup> მქონე სახელებს. ალ-ქან-რისი ამბობს, რომ ასეთი სახელები ორგვარია: „ერთია, რომელთაც არაფერი აქვს დამატებული, მეორეს კი მეოთხე ძირეულთან ემატება სუსტი თანხმოვანი<sup>49</sup>“<sup>50</sup>.

„ათ-თაქმილაში“ აღნიშნულია ანომალიური სახელები, ორმაგი მრავლობითის (جمع الجمع) ზოგიერთი ტიპი, უცხო სახელთა მრავლობითი -ათ დაბოლოებით, კრებითი სახელები („რომელთაც ფორმა მხოლოდობითის აქვს, შინაარსი კი მრავლობითის“), ზედსართავ სახელთა ტიპები<sup>51</sup>.

სახელთა მორფოლოგიის შესწავლას აბუ 'ალე ამთავრებს კინოობითის საკითხით. მისი სიტყვით: „თასღირი ნიშნავს სახელის განსაზღვრას სიმცირის მიხედვით. სიტყვა ჰუჯაჰრ იგივეა, რაც პატარა ქვა“. ამას მოსდევს სხვადასხვა ტიპის სახელთა კინოობითის ფორმები მათი აგებულებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით<sup>52</sup>.

მომდევნო ხუთი თავი ეხება ზმნას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. განხილულია მასდარი, მიმლეობა, ღროისა და ადგილის სახელები. აღსანიშნავია, რომ ზმნის ფორმა ალ-ქანრისის მიხედვით მასდარისაგან არის ნაწარმოები. „ეს რომ ასე არ იყოს, — ამბობს ავტორი, და მასდარი ზმნისაგან მომდინარეობდეს, მაშინ ანალოგიის ძალით მასდარებს უნდა ემართა გარემოებები და მიმლეობათა მსგავსად თითო ფორმა ექნებოდა და არა მრავალი“<sup>53</sup>.

ამ დებულებას აბუ 'ალე იმით ასაბუთებს, რომ მასდარის ფორმის სახელებს არა აქვს მოქმედების და ღროის გაგების შინაარსი, განსხვავებით ზმნებისა და მათგან მომდინარე მიმლეობებისაგან.

<sup>46</sup> მაგალითად: ჰუმარ-ჰპირას-ჰუმურ 'სახედარი', კანალ-აკხილან-კუხულ 'კეფა', ღურან-აღრიბან-ღირბან 'ვაეი', რალიჰ-არლიჰან-რულჰან//რულჰ 'ვერი'; აქვე შემოდის ჰა'ულ ტიპი, რომლის მსხვერუელი მრავლობითის ფორმები წინა ტიპების მსგავსად იწარმოება გა'ულ-აქ'ილან-კი'ლან//კუ'ულ 'ახალგაზრდა აქლემი'.

<sup>47</sup> მაგალითად: ხათამ-ხაევთიმ 'ბეჭელი', ჰნატ-ჰენატ 'ზღუდე' და ა. შ., „ათ-თაქმილა“, გვ. 206—207.

<sup>48</sup> نبات الربة — ისეთი მოდელის სახელია, რომელშიც ოთხივე თანხმოვანი ძირეულია, ან მეოთხეს წინ სუსტი თანხმოვანია დამატებული.

<sup>49</sup> ივარაუდება ალიფი, იოტი და ვაეი, რომელთა საერთო სახელიا حروف العلة // حروف اللين;

როდესაც ეს თანხმოვნები ხმოვნის გასაგრძელებლად იხმარება, მათ ეწოდება حروف المد.

<sup>50</sup> „ათ-თაქმილა“, გვ. 208. ოთხთანხმოვნიაანი ძირის მქონე სახელისაგან განსხვავებით, ოთხთანხმოვნიაან სახელად ავტორი მიიჩნევს სამთანხმოვნიაან სახელს ერთი გრძელი ხმოვნით, სამთანხმოვნიაან კი მოკლებოვნიაან სახელებს. შდრ. B. M. P r a u e e, ხს. შრ., გვ. 79—83. W. W r i g h t, ხს. შრ., ტ. I, გვ. 110—112.

<sup>51</sup> „ათ-თაქმილა“, გვ. 209—222.

<sup>52</sup> მაგ., რაჟულ-რუჰაჰ 'კაცი', ტალჰა-ტულაჰა 'ტალჰა, მამაკაცის საე. სახელი', კადამ-კულამა 'ფეხი', ზინა-ელზანა 'წონა', სანა-სუნამა 'წელიწადი', ჰა'ჰარ-ჰუ'აჰარ 'ჰაფთარი', ჰანაჰარ-ჰუნაჰარ 'ჰელა ღრუბელი' და სხვ.

<sup>53</sup> „ათ-თაქმილა“, გვ. 231; შდრ. W. W r i g h t, ხს. შრ., ტ. I, გვ. 110, §195; იხ. H. F l e i s c h . Traité de philologie Arabe, v. I. Beyrouth, 1961, გვ. X, შმდ.

ზმნასთან დაკავშირებით „ათ-თაქმილაში“ განხილულია აგრეთვე ნაწარმოები თემები და გარდამავლობის საკითხი<sup>54</sup>.

დასასრულ, ალ-ქარისი ეხება ფონეტიკურ საკითხებს: იმალეს, სიტყვის ბგერით შედგენილობას და ილღამს. აღსანიშნავია, რომ იმალესა და ილღამის თითოეულ კერძო შემთხვევას ავტორი ცალკე თავში განიხილავს, ხოლო სიტყვაში შემავალ ბგერებს ყოფს ორ ნაწილად: ძირეულ და დამატებით ბგერებად. „დამატებითია ის თანხმოვნები, რომლებიც ჩამოშორდება სიტყვას სიტყვაწარმოებისას, ის კი, რაც განუყრელია მისგან — ძირითადია“, — ასკენის იგი. დამატებით ბგერათაგან გამოყოფილია სუსტი თანხმოვნები და ვრცელადაა შესწავლილი მათი მონაცვლეობა<sup>55</sup>.

ასეთია შინაარსი და განლაგება იმ საკითხებისა, რომლებსაც მოიცავს აბუ 'ალე ალ-ქარისის გრამატიკული თხზულება „ათ-თაქმილა“. იგი დაწერილია იმ მეთოდით, რომელიც ფხს იკიდებს ბაღდადში IX საუკუნის გრამატიკოსთა ნაწარმოებებში და განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს მეორე თაობის გრამატიკოსთა ნაწარმოებში. სწორედ ამ თაობას მიეკუთვნება ალ-ქარისი<sup>56</sup>.

ალ-ქარისის კვლევის საგანია სიტყვა (كَلِمَةً) ან სიტყვათა ცვლილებები (تَغْيِيرُ الْكَلِمَاتِ). „ათ-თაქმილა“ შეეხება ორი სახის ცვლილებებს: სიტყვის დაბოლოებაში 'ამილის არსებობის გარეშე და სიტყვის ფუძეში. პირველი მოიცავს ფონეტიკის სფეროს, მეორე კი აერთიანებს მორფოლოგიის თითქმის ყველა ძირითად საკითხს.

„ათ-თაქმილაში“ ეხდებოდა ალ-ქარისის მრავალი წინამორბედისა და თანამედროვის გამონათქვამს თუ პოეზიის ნიმუშს. ბევრი მათგანის ნაშრომი დაკარგულია, ზოგიერთი კი საერთოდ უცნობია.

ალ-ქარისის შენიშნული აქვს დიალექტური ფორმების რამდენიმე ნიმუში. მათი შედარების საფუძველზე იგი ცდილობს გამოიტანოს სათანადო დასკვნა.

„ათ-თაქმილა“ დაწერილია არაბული ენის კანონების ღრმა ცოდნით და თვით ამ „Arabiyya“-ს სრულყოფისათვის. ამ თხზულების ძირითადი ნაკლები მდგომარეობს, რომ ავტორს არაბული ენა უცვლელად მიაჩნია და არ ითვალისწინებს ენობრივი მოვლენების განვითარების აუცილებლობას<sup>57</sup>.

აღნიშნული ტრაქტატის გაცნობა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ არაბთა გრამატიკული აზროვნების დონეზე, მნიშვნელობასა და განვითარების გზებზე. იგი გვაწვდის მდიდარ მასალას, რომლის ცოდნა აუცილებელია არაბული ენის მორფოლოგიის ძირითადი საკითხების შესასწავლად.

<sup>54</sup> „ათ-თაქმილა“, გვ. 232—239. მიუხედავად თავისი დებულებისა, მასჯარის ფორმება კანონილია ადგილისა და დროის სახელებთან, ზნის შემდეგ, როგორც მისგან ნაწარმოები.

<sup>55</sup> „ათ-თაქმილა“, გვ. 239—276.

<sup>56</sup> იხ. G. T i o u p e a u, ხს. შტ., გვ. 399.

<sup>57</sup> შტრ. H. F l e i s c h i, Esquisse d' un historique de la Grammaire Arabe, Arabica, IV, 1957, გვ. 19.

### ლაბაშრა ღვაჭაძე

## „მსორებად და მოქალაქობად და ამისსა შეედგომად წამებად წმიდისა ვლადიმერწამისა გრიგოლი პართეველისადს“ ქართული ხელნაწერები და მათი შრომითმომხარტება

### ორი სრული ხელნაწერის მიხედვით

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ შემცველი 14 ხელნაწერი, ხოლო სამი — ქუთაისის საისტორიო მუზეუმში ინახება. ამ ხელნაწერთაგან ზოგი აპოკრიფული მოთხრობებია, ზოგი სვინაქსარია, ზოგი კი სადღესასწაულო კრებულები. ყველა ამ ხელნაწერიდან მხოლოდ ორია გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების სრული ტექსტის შემცველი. ესენია: XI—XII სს. მეტაფრასების კრებულში შესული S № 384 ხელნაწერი, რომლის მიხედვით ტექსტი გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა<sup>1</sup>, ხოლო მეორე ქუთაისის საისტორიო მუზეუმში დაცული XVI საუკუნის № 437 ხელნაწერი. დანარჩენ ხელნაწერებში ტექსტი ან ძლიერ შემოკლებულია, ან შეცვლილია და მხოლოდ საერთო შინაარსია გადმოცემული. ესენი ძირითადად XVII—XIX საუკუნის ხელნაწერებია.

პაგიოგრაფიული თხზულებების თარგმნისას ამ ძეგლისათვის, ჩანს, თავის დროზე ყურადღება მიუქცევიათ, რადგან იგი ორჯერ უთარგმნიათ ბერძნულიდან. ერთი თარგმანი ეკუთვნის XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეს, გიორგი მთაწმინდელის მოწაფეს თეოფილე ხუცესმონაზონს, ხოლო მეორე თარგმანის ავტორი უცნობია<sup>2</sup>. თეოფილე ხუცესმონაზონს მთლიანად უთარგმნია სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასების კრებულიდან სექტემბრის თვის საკითხავები, რომელშიც შესულია გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება<sup>3</sup>.

ათონის მთის ქართული ხელნაწერების აღწერილობის დროს ცაგარელსა<sup>4</sup> (№ 20) და რ. ბლეიქსა<sup>5</sup> შეტანილი აქვთ თავის კატალოგში თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანი, რომელსაც, სამწუხაროდ, საქართველომდე არ მოუღწევია<sup>6</sup>.

საქართველოში ბატონობა მოუპოვებია მეორე თარგმანს, რომელიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას დამზალბულ ხელნაწერებში გვხვდება.

1 ლ. მელიქსეთ-ბეგი, ცხოვრება წმიდა გრიგოლ პართელისაჲ, ტფალისი, 1920.

2 კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. V, გვ. 156—157.

3 იქვე, გვ. 143.

4 А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, вып. 1.

5 R. P. Blake. Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de Lauré d'Iviro au mont Athos, Par.s. 1932. გვ. 34.

6 კ. კეკელიძე, დასახ. შრ., გვ. 157.



ველაზე ძველი და სრული ნუსხა ამ ძეგლისა, როგორც აღენიშნეთ, არის XI—XII საუკუნის S № 384 ხელნაწერი. მუშაობის დროს ამოსავლად ჩვენ სწორედ ეს ხელნაწერი ავიღეთ და მას შევეუდარეთ როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ გამოცემული ტექსტი, ისე ქუთაისის საისტორიო მუზეუმში დაცული № 437 ხელნაწერი.

როგორც ხელნაწერების ერთმანეთთან, ისე გამოცემულ ტექსტთან შედარების დროს გამოვლინდა განსხვავებები.

ძეგლის გამოცემისას ლ. მელიქსეთ-ბეგს სიტყვებში აღუდგენია მარცვლები, რომლებიც მან საკიროდ მიიჩნია ტექსტისათვის. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საისტორიო მუზეუმის ხელნაწერში დადასტურდა ლ. მელიქსეთ-ბეგის გასწორებანი:

ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემა

№ 437

- |   |  |
|---|--|
| 1. ივლტოდეს იგინი] აღმკედრებულნი ცხენთა. 9,9.         | ივლტოდეს იგინი აღმკედრებულნი ცხენთა.         |
| 2. იხილა იგი უფროჲსლა აღსავსე საღმრთოთა შურითა. 13,7. | იხილა იგი უფროჲსლა აღსავსე საღმრთოთა შურითა. |
| 3. ძისა მხოლოდ-შობილისა. 13,32.                       | ძისა მხოლოდ-შობილისა.                        |
| 4. ამისსა შემდგომად. 15,20.                           | ამისსა შემდგომად.                            |
| 5. მძუნვარესა] სატანჯველსა. 15,24.                    | მძუნვარესა სატანჯველსა,                      |
| 6. არამედ ეგრეთცა მიხარის] 22,17.                     | არამედ ეგრეთცა მიხარის.                      |
| 7 ფრიად უზემთაეს არს სხუთა დელათასა. 22,25.           | ფრიად უზემთაეს არს სხუთა დელათასა.           |
| 8. იკითხვიდა მეფისაგან და ეტყოდა. 27,7.               | იკითხვიდა მეფისაგან და ეტყოდა.               |
| 9. ბრძოლასა მათსა ურთიერთას და]მშვლებდა. 44,6.        | ბრძოლასა მათსა ურთიერთას და]მშვლებდა.        |

ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ აღდგენილ ზოგ მარცვლებს არ დაეძებნა შენატყვისი არც ერთ ხელნაწერში, თუმცა გასწორება საესებით მისაღებია:

- |  |  |
|--|--|
| 1. განფენილ[ნი] იგი საკურთხეველნი მოასწავებენ ყოვლით კერძო ეგუტერთა აღშენებასა. 34,32. | განფენილ იგი საკურთხეველნი მოასწავებენ ყოვლით კერძო ეგუტერთა აღშენებასა. |
| მიწვენულ ვიდრე მის ჰასაკა[დ]მდე. 23,1.   | მიწვენულ ვიდრე მის ჰასაკამდე.  |
| 3. მოგვთხრობდ[ა]. 15,30.   | მოგვთხრობდ.  |
| 4. პატიოსნად და დიდებულად წარმოგზაუნა იგი. 41,30.                                      | პატიოსნად და დიდებულად წარგზაუნა იგი.                                    |
| 5. ძნიალ მისახედველი სიმრავლითა წყალთაჲ[თა]. 33,7.                                     | ძნიალ მისახედველი სიმრავლითა წყალთაჲ.                                    |
| 6. მი[ი]ზიდვიდეს. 23,6.  | მიზიდვიდეს.  |
| 7. ვითარ ესე მასწავებენ მე მოქცე[ა]-ნი ვარსკულავთანი. 4,7.                             | ვითარ ესე მასწავებენ მე მოქცეუნი ვარსკულავთანი.                          |

დასტამბულ ტექსტში არის რამდენიმე მაგალითი, რომელშიც ლ. მელიქსეთ-ბეგს ხმოვანი აღუდგენია, თუმცა ეს ხმოვანი S № 384 ხელნაწერში დადასტურდა:

1. იოანე წინამორბედ[ი]სა და ნათლის-მცემელისაჲ. 42, 13.
2. სიტყუათ[ა] მოვლინებულთა მისსა. 23, 2.
3. მოაველინა ოხაჲ მოწამეთა[ჲ]. 37, 12.

გასასწორებელია ზოგი ადვილი გამოცემულ ტექსტში, რომელიც ხელნაწერის არასწორად ამოკითხვითაა გამოწვეული:

1. რაჟამს იგი მეფობაჲ სპარსთაჲ პართთადმი იცვალა. 3,5.
2. და აიკადა მის ზედა მახვლი. 6,21.
3. რომელნიცა ჭეროვანი განზრახეაჲ განაზრახოს საქმისა მის-თჳს. 7,30.
4. და და[ხ]შოს საყნოსელი მისი. 13,15.
5. ხოლო თრდატს უძლიერესად ცემასა მისსა წინაშე მდგომელთა უბრძანებდა. 15,6.
6. რომლითაცა ქალწულებით აღზარდეს ასულნი თჳსნი. 20,20—21.
7. ამისთჳსცა ბრძანა დადგინებაჲ მისი გარეშე კართა [ა]იძულებდა მსახურთა მიერ. 24,32—25,1.
8. მიზიოდა სხუათა მათ თანა ქალწულთა. 25,28.
9. ერთისა მის გუამსა ეძიებდეს. 26,31.
10. განაკურენა სულნი მათნი შურად და მსგავსებად თჳსსა. 32,3.
11. ხოლო გამო-რამ-ვიდა კართა ზედა და იხილა მუნ მდებარე იგი ნივთი სათნო და გულს-მოდგინებაჲ მომღებელთაჲ მათ. 36,31.
12. რომელიცა ვინ იყო ვითარცა ბოროტითა სენითა შეპყრობილთაგანი, ყოველნი იგინი კურნეს. 38,24.
13. რამეთუ ჭერეთ ჩჩვლთა იყო. 40,16.
14. ვითარ იგი სათნო და წმიდასა მას. 43,24.
15. ხოლო დადაცათუ ღმრთის-მეცნიერებად მოყვანებისა-თჳს ყოველთაჲსა ესრეთ მოსწრაფე იყო. 43,31.
16. ამიერთგან უკუე შემოკრებებოდეს წმიდისა ყოვლით-კერძო. 38,29.
17. შეძრწუნებულო და ყოვლად ზარგანკდილნი. 39,21.
18. რომელმან არცაღა სულსა თჳსსა ჰრიდა მიცემად. 44,8.

- რაჟამს იგი მეფობაჲ სპარსთაჲ პართთად მიიცვალა.  
და იკადა მის ზედა მახვლი.  
რომელმანცა ჭეროვანი განზრახეაჲ განაზრახოს საქმისა მის-თჳს.  
და დაყოს საყნოსელი მისი.  
ხოლო თრდატ უძლიერესად ცემასა მისსა წინაშე მდგომელთა უბრძანებდა.
- რომელთაცა ქალწულებით აღზარდნეს ასულნი თჳსნი.  
ამისთჳსცა ბრძანა დადგინებაჲ მისი გარეშე კართა და იძულებად მსახურთა მიერ.  
მიზიოდა სხუათა მათ მიმართ ქალწულთა.  
ერთისა ხოლო გუამსა ეძიებდეს.  
განაკურენა სულნი მათნი შურად ღამსგავსებად თჳსსა.  
ხოლო გამო-რამ-ვიდა კართა ზედა და იხილა მუნ მდებარე იგი ნივთი სთნდა გულს-მოდგინებაჲ მომღებელთაჲ მათ.
- რომელიცა ვინ იპოვა ბოროტითა სენითა შეპყრობილთაგანი, ყოველნი იგინი განკურნეს.  
რამეთუ ჭერეთ ჩჩვლდა იყო.  
ვითარ იგი სთნდა წმიდასა მას.
- ხოლო დადაცათუ ღმრთის-მეცნიერებად მოყვანებისა-თჳს ერთაჲსა ესრეთ მოსწრაფე იყო.
- ამიერთგან უკუე შემოკრებებოდეს წმიდისა ყოვლით-კერძო.  
შეძრწუნებულნი და ყოვლად ზარგანკდილნი.  
რომელმან არცაღამცა სულსა თჳსსა ჰრიდა მიცემად.

19. არიან ორნივე ქრისტეანე თავით თვსით და ნათესავეთა. 20,28. არიან ორნივე ქრისტეანე თავით თვსით და ნათესავეთ.
- S № 384 ხელნაწერი უფრო სრულია, ვიდრე № 4 ან:
1. მოქალაქობა და ამისა შემდგომად წამება. 3,1. მოქალაქობა და წამება.
2. განგება ერთისა მიერ რომელიცა და ვინცა იყოს. 3,11. განგება ერთისა მიერ.
3. ძმა და შემდგომი პირველისა. 3,17. ძმა.
4. მიიღო მთავრობა ზემოკსენებულთა მათ. 3,18. მიიღო მთავრობა ზემოკსენებულთა.
5. დიდება და კეთილსა შინა საწუთრომასა წარმატება. 3,20—21. დიდება.
6. განისუენებდა ცხედარსა ზედა ზოლო თხრობა იგი ესე იყო. 4,6—7. განისუენებდა ცხედარსა ზედა.
7. და გულსმოდგინე ჰყოფდა საქმისა მიმართ და სიტყუასა მოჰკვიდა. 4,22. საქმისა მიმართ და სიტყუასა ჰყოფდა.
8. მიემადლა ძლევამ არტაშირს და წარიოტა არტაევან. 5,24. მიემადლა ძლევამ არტაშირს.
9. ვიდრედა თვთ არტაევან ძლით განერა. 5,26. ვიდრედა არტაევან ძლით განერა.
10. დაიპყრა რამ მეფობამ. 6,29. დაიპყრა მეფობამ.
11. და ეუწყა რამ ყოველი ესე ყოფილი. 7,2. და ეუწყა ყოველი ესე ყოფილი.
12. შემდგომი მეფისა მიენიჭოს პატივი და დიდება ღირსად სიტყუსა და საქმისა, რომელიცა აჩუენოს ღონიერება. 7,32. შემდგომი მეფისა მიენიჭოს პატივი და დიდება.
13. არა ცხად არს ოხჰანი საქმისამ. 8,11. არა ცხად ოხჰანი საქმისამ.
14. თანაწარიყვანეს... ყოველნი სასლელულნი თვსნი. 8,17. თანაწარიყვანეს... ყოველნი სასლელულნი.
15. მოიკითხნა იგინი ნიქთა და მისაცემელთა სიმრავლითა. 8,19. მოიკითხნა ნიქთა და მისაცემელთა სიმრავლითა.
16. რამეთუ ჟამსა ზამთრისასა და განძლიერებასა სომხეთს და განფრიად განისუენებდიან ყინელისასა მათ ჩასტრონისათა. 8,27. რამეთუ ჟამსა ზამთრისასა და განძლიერებასა სომხეთს ყინელისასა.
17. ივლტოდეს იგინი აღმკედრებულნი ცხენთა დაუყენებელად და დაუშვირველად. 9,10. ივლტოდეს იგინი აღმკედრებულნი ცხენთა დაუყენებელად.
18. ნეტარი გრიგოლ სატანჯველთა სასტიკთა შთააგდო და მოუთმენელთა გუემითა განცადა. 10, 8—9. ნეტარი გრიგოლ სატანჯველთა სასტიკთა შთააგდო.

- |   |  |
|---|--|
| <p>19. ხოლო ჭერეთ არა მიახლებულ იყვნეს ურთიერთას. 11,6.</p>   | <p>ხოლო ჭერეთ არა მიახლებულ ურთიერთას.</p>                         |
| <p>20. და ესრეთ წარავლინა წყობად და მარტოებით ბრძოლად .11,22.</p>   | <p>და ესრეთ წარავლინა მარტოებით ბრძოლად.</p>                       |
| <p>21. ხოლო იწყეს რაჲ ბრძოლად. 11,24.</p>   | <p>ხოლო იწყეს ბრძოლად.</p>   |
| <p>22. და შემდგომად აღსრულებისა მის შუღთა დღეთაჲსა. 13,13.</p>  | <p>და შემდგომად აღსრულებისა.</p>                                   |
| <p>23. რომელნი ესე სრულიად უმადლო. 14,2.</p>  | <p>რომელნი სრულიად უმადლო.</p>                                     |
| <p>24. სამშუქალნი რკინისანი განმშუქალნეს ქუეჲ ფერჳთა მისთა. 14,28.</p>  | <p>სამშუქალნი რკინისანი განმშუქალნეს ფერჳთა მისთა.</p>             |
| <p>25. და ვითარჲცა არა სტკიოდა. 14,31.</p>  | <p>და ვითარჲცა სტკიოდა.</p>  |
| <p>26. რომელთანი სულნი სავსე იყვნენ უზომოებითა სიბნელისაჲთა და სიმრავლითა ბოროტთა საქმეთაჲთა. 16,18—19.</p>                                   | <p>რომელთანი სულნი სავსე იყვნენ სიმრავლითა ბოროტთა საქმეთაჲთა.</p> |
| <p>27. იწყო მეფემან განცდად და რწმუნებად მისსა და იტყოდა მისსა მიმართ. 16,20.</p>   | <p>იწყო მეფემან განცდად და რწმუნებად მისსა.</p>                    |
| <p>28. ვფუცავ საყუარელსა მას ძალსა მათსა, ვითარმედ ბოროტად წარგვყმიდო. 16,22.</p>   | <p>ვფუცავ საყუარელსა მას ძალსა მათსა, ბოროტად წარგვყმიდო.</p>      |
| <p>29. ესმა რაჲ ესე თრდატს, განიპებოდა და დიშთეებოდა. 16,29.</p>  | <p>ესე რაჲ ესმა თრდატს, განიპებოდა დიშთეებოდა.</p>                 |
| <p>30. ამისთვისცა კუალად საპყრობილესა შეიყენა, ვითარცა უქმად გამომაჩინებელი მათ ყოველთაჲ და ზემთა ქმნილი მტერისა მანქანებათაჲ. 17, 13—15.</p> | <p>ამისთვისცა კუალად საპყრობილესა შეიყენა.</p>                     |
| <p>31. ვერცა ვეფხმან სიჭრელე განიძარცვს, ვგრეთვე იგი არა შეიცვალა პირველისა მის უკეთურებისაგან. 17,22—24.</p>                                 | <p>ვერცა ვეფხმან სიჭრელე განიძარცვს.</p>                           |
| <p>32. იყო ჭურღმული იგი საშინელი სმენით და უსაშინელესი საქმით. 19,15.</p>   | <p>იყო ჭურღმული იგი საშინელი საქმით.</p>                           |
| <p>33. რათა არა სრულიად მოაკლდეს ცხორებისაგან. 19,30.</p>   | <p>რათა არა მოაკლდეს ცხორებისაგან.</p>                             |
| <p>34. ვინაჲთგან ყოველივე ქვაჲ აღძრა მათ ზედა სიტყვისა მის-ებრ, რომელი ითქუმის იგავად, ეუწყა. 22, 4—5.</p>                                    | <p>ვინაჲთგან ყოველივე ქვაჲ აღძრა, ეუწყა.</p>                       |
| <p>35. მსწრაფლ წარმოავლინე იგი ჩემდა. 22,15.</p>  | <p>მსწრაფლ წარმოავლინე ჩემდა.</p>                                  |
| <p>36. თქუენ თანა ვარ და დამიძარხენით მე თავნი თქუენნი. 23,6.</p>   | <p>თქუენ თანა ვარ, დამიძარხენით მე თავნი თქუენნი.</p>              |

37. მოაკსენებდა მას საკვრელებათა ზღვსა მის მეწამულისათა. 24,2.
38. დასცა წინააღმდგომი თვისი. 25,30.
39. რაოდენ ძალ ეღვა წარივლტოდეს საწნეხელთა მათ-გან და მიივლტოდეს მახლობელად ადგილთა ამჟომლისათა. 25,31—32.
40. ღუაწლით-შემოსილმან მან აღასრულა სერობაჲ. 26,18.
41. ვითარცა ეშმაკეული ბორგდა და სრულიად უფლებულ იყო. 28,30.
42. რამეთუ ნათელი რაჲმე სახითა კაცისაჲთა შეცვალებულ იყო და რეცა ეტყოდა მას. 29,19—20.
43. ხოლო წმიდამან უპირატეს ყოვლისა იძინა ნაწილნი წმიდათანი. 30,26.
44. საშინელ სახილველად და აღმავსებელ სასმენელთა სახარებითა ცხორებისაჲთა. 32,9.
45. წყალნი გაყინულნი იმიერ და ამიერ განყოფილ იყვნეს და ეგნეს დამტკიცებულად. 32,13.
46. ხოლო რომელსა იგი კუერთხი ოქროსაჲ კელთა აქუნდა. 34,12.
47. მიმიძლუა ჩუენ ნათლისა მიმართ ქეშმარტებისა და მისსა მიმართ ცნობისა. 41,15—16.
48. ასწავა მათ სიტყუაჲ ჭეროვანი და თანაწარმოიყვანნა იგინი. 42,1.
49. ხოლო ჰმსახურებდა საკმარსა ეკლესიათასა მეფეცა თრდატ. 43,15.
50. თითოსახეთა ადგილთა მონასტრებსა აღიშენებდეს და დაყუდებასა შეიყუარებდეს. 44,16.
- მოაკსენებდა მას საკვრელებათა ზღვსა მეწამულისათა.
- დასცა წინააღმდგომი.
- რაოდენ ძალ ეღვა წარივლტოდეს მახლობელად ადგილთა ამჟომლისათა.
- ღუაწლით-შემოსილმან აღასრულა სერობაჲ.
- ვითარცა ეშმაკეული ბორგდა სრულიად უფლებულ იყო.
- რამეთუ ნათელი რაჲმე სახითა კაცისაჲთა შეცვალებულ რეცა ეტყოდა მას.
- ხოლო წმიდამან უპირატეს ყოვლისა იძინა ნაწილნი წმიდათანი.
- საშინელ სახილველად აღმავსებელ სასმენელთა სახარებითა ცხორებისაჲთა.
- წყალნი განყინულნი იმიერ და ამიერ განყოფილ და ეგნეს დამტკიცებულად.
- ხოლო კუერთხი ოქროსაჲ კელთა აქუნდა.
- მიმიძლუა ჩუენ ნათლისა მიმართ ცნობისა.
- ასწავა მათ სიტყუაჲ ჭეროვანი თანაწარმოიყვანნა იგინი.
- ჰმსახურებდა საკმარსა ეკლესიათასა მეფეცა თრდატ.
- თითოსახეთა ადგილთა მონასტრებსა აღიშენებდეს დაყუდებასა შეიყუარებდეს.

ამის პარალელურად, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება შემთხვევები, როდესაც ქუთაისის საისტორიო მუზეუმის № 437 ხელნაწერის ტექსტი უფრო სრულია, ვიდრე S № 384:

- 1 თანა ზრდილი. 4,12.
- 2 და მიავლინეს მოციქულნი არტავანისსა. 5,8—9.
3. შეიყვანა იგი ციხესა შინა. 5,20.
- თანა ზრდილი კორცთა ზრახვითა კაცისა ვისიჲმ.
- და მიავლინეს მოციქულნი არტავანისსა სწავლად.
- შეიყვანა იგინი ციხესა შინა მაგარსა.

4. ამისა შემდგომად მიუვლინა. 5, 31—32.
5. და ესრეთ შემოკრბეს ყოველნი ერნი. 6,27.
6. ესევეთართა წარმატებითა და სიქველითა საკვრეელ იყო თანამბრძოლთაგან. 7, 22—23.
7. მსწრაფლ გამოვიდა სომეხთა ზედა. 9,31.
8. და მრავალნი მათგანნი მოსწყვდა. 9,32.
9. და ღმერთ-მოყუარედ გამოჩნდებოდა. 12,11.
10. იყო ადგილი იგი ფრიადისა მის სიფიცხისა სომეხთაჲსა - საშინელ. 19,18.
11. დაიდგა გვრგვნი მეფობისაჲ. 20,18.
12. ეგრეთვე კორციელისა სახისაჲ ყოველით-კერძო განსმენილ არს. 20,30.
13. იგინიცა აღსავეს იქმნეს ეშმაკეულებითა. 29,11.
14. წარდგა პირსა ზედა მღვმისა მის. 30,9.
15. მან ნეტარმან უწყოდა სიმაღლე იგი საყდრისაჲ. 40,15.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ამ ხელნაწერების პარალელური წაკითხვები, რომლებიც თითქმის არ ცვლიან ტექსტის შინაარსს:

1. მღვდელმოწამისა გრიგოლი პართეველისაჲ. 3, 1—2.
2. თვისისა სამთავროჲსა. 3,9.
3. და მძიმე იყო ესოდენთა ამათ სამთავროთა პყრობაჲ. 3,10.
4. ოთხად განყევს. 3,13.
5. თანაზიარ ნებისა მისისა. 5, 2—3.
6. ხოლო მეფემან ფრიადი. 6,27.
7. და წარვიდეს სახითა რეცა განდგომილთაჲთა. 8,15.
8. მოიკითხნა იგინი ნიჭთა და მისაცემელთა სიმრავლითა. 8,19.
9. შეუნიერებაჲ იგი არეთაჲ. 8,28.

ხოლო დასასრულისა ვინაჲთგან ორკერძონივე იგი ბანაკნი ურთიერთას მიეახლნეს, თქმულ არს, ვითარმედ მაშინ მიუვლინა.

და ესრეთ შემოკრბეს ყოველნი იგი ერნი.

ესევეთართა წარმატებითა და სიქველითა კუსარ საკვრეელ იყო თანამბრძოლთაგან.

მსწრაფლ გამოვიდა აღმფოთებულთა სომეხთა ზედა.

და განლაღებულმან ძლევეთა მრავალნი მათგანნი მოსწყვდნა.

და ღმერთ-მოყუარედ მისდა გამოჩნდებოდა.

იყო ადგილი იგი ფრიადისა მის სიფიცხისა სომეხთაჲსა საშინელ მრავლით ეამითგან.

დაიდგა გვრგვნი ბერძენთა მეფობისაჲ.

ეგრეთვე კორციელისა სახისაჲ ყოველით-კერძო განსმენილ არს აღმატებაჲ.

იგინიცა აღსავეს იყენეს მითვე ეშმაკეულებითა.

წარდგა პირსა ზედა მღვმისა მის ღრმისასა.

ხოლო მან ნეტარმან უწყოდა სიმაღლე იგი საყდრისაჲ.

მღვდელმოწამისა გრიგოლი დიდი სომხითარისა.

თვისისა კელმწიფებისა.

ვინაჲთგან მძიმე იყო ესოდენთა მათ სამთავროთა პყრობაჲ.

ოთხად განიყევს.

თანაზიარ ნებასა მისსა.

ხოლო მან ფრიადი.

წარვიდა სახითა რეცა განდგომილთაჲთა.

მოიკითხნა იგინი ნიჭითა და მისაცემელთა სიმრავლითა.

შეუნიერებაჲ იგი არისაჲ.

10. მიიცვალის მეფე მთასა არარატისასა, რათა განერეს სიციხისაგან და იელტოდის და მიერ კუალად ჟამსა სთულისასა მიიცვალეობდის. 8, 30—32.
11. მაქუს რაამე საიღუმლოდ თხრობად შენდა. 9,6.
12. უკუანაჲსენელსა აღმოფშვნეასა ესე ხოლო აღმოთქუა. 9,18.
13. რომელნი იგი წარყვანნეს მუნ მყოფთა ვითმე მკედართა. 9, 24—25.
14. იდევენობდა ნათესაისა-გან გუთთაჲსა. 11,1.
15. და ეციებდა თუ ვინ იპოვოს, რათა სახე მეფისაჲ შემოსოს. 11,10.
16. მცირედნი მათგანნი მიიწინეს თუსთა მათ თანა თხრობად. 12,15.
17. ესმა რაჲ ესე მეფესა. 12,27.
18. და ესრეთ დაკიდებულად უტევეს შვდთა დღეთა. 13,2.
19. შემდგომად აღსრულებისა მის დღეთაჲსა. 13,3.
20. სკორე მყრალი დაუფინეს ქუეშე — კერძო მისსა და ცეცხლისა მიერ აღაკუმოლეს, რათა კუამლითა მით საყნოსელნთა მისთა შემავალთა დაღაცათუ მცირე რაამე ნუგეშინის ცემაჲ იქმნებოდის ტკივილთა მისთაჲ ყნოსითა ჰაერისაჲთა, აზა-მედ კუამლმან აღავსოს და დაყოს საყნოსელი მისი და სიმყრალე იგი კუამლისაჲ შთაქდეს ნაწლეეთა მისთა. 13, 12—15.
21. გუპოვენეს საწყალობელნი ესე, რომელთა კსენებისათჳს ჰ ჩემდა თუ ვითარ. 13, 28.
22. ნეფსით ჩუენ-თჳს თავს-დებაჲ სიკუდილისაჲ. 14,3.
23. დასასრულსა ამათ ყოველთასა. 14,4.
24. ვითარმცა არა სტიკოდა, რომლისა მიერ სურვილი ღმრთისაჲ მის შორის გამოჩნდებოდა. 14, 28—29.
- მიიცვალის მეფე მთასა არარატისასა სადა იგი ზაფხულ ყოველ ვითარცა გაზაფხულსა შინა შეზავებით აქუნდის სიტყვოდ და სივრილედ.
- მაქუს რაამე საქიროდ თხრობად შენდა.
- უკუანაჲსენელსა აღმოფშვნეასა ესე ხოლო აღთქუა.
- რომელნი იგი წარიპარნა მუნ მყოფმან ეინმე თუსთაგანმან და წარგზავნნა.
- იდევენობდა ნათესავთაგან გუთთაჲსა.
- და ეციებდა თუ ვინ იპოვოს, რათა სახე მეფისაჲ შეიმოსოს.
- მცირედნი მათგანნი მიიწინეს თუსთა მათთა თხრობად.
- ესმა რაჲ ესე თრდატს.
- და ესრეთ სიმწარით ტანჯვად უტევეს შვდ დღე.
- შემდგომად მეშვდისა დღისა.
- რათა დაღაცათუ ზედამს ზედა წარმონერწუევად წყლულთა მათგან იძულებოდის კუამლმან დაყოს იგი და დაყენოს და არა უტეოს ყნოსად ჰაერისა და სიმყრალე სკორისაჲ შთაქდეს ნაწლეეთა მისთა.
- გუპოვენეს საწყალობელნი ესე რომელთა შემდგომად მათგან კუებულებისა ჰ ვითარ.
- ნებსით სიკუდილი.
- დასასრულსა ამის ყოვლისასა.
- თვნიერ ტკივილთა გამოჩნდა მის შორის სურვილი ჰრისტესი.

25. და მოწამისა სიტყუანი ესე იყვნეს და ამათ გალობდა აღსავეს სიხარულითა სულისაჲთა. 15, 4—5.
26. მოვედ მიერ. 26,1.
27. ვითარმედ მიეცევალო შემდგომად მცირედისა და ღირს ვიქმნა მეცა დადგომად ქამსა მას. 16,4.
28. განზრახვათა გულისათა. 16,7.
29. და გამოეძიებდეს ვიღრე ნაწევართამდე. 16,8.
30. ყოვლად-ქებული იგი. 16,23.
31. ითრევედეს წმიდასა მას ყოვლითურთ განშიშულეზულსა. 17,4.
32. განკვრდა თავსა შორის თვსსა და ზარცემულ იყო. 17,19.
33. არამედ ვინაჲთგან იქედნემან გესლი არაოდეს განიშორის, ვერცა ვეფხმან სიკრელე განიძარცვს. 17, 21—22.
34. და ვინაჲთგან გარეშე სახე მისი ესევეთარი იყო, არცა შინაგანი მისი სხუად შეცვალეზულ იყო. 17, 25—26.
35. რომელი იგი არს მოწყალე. 18,11.
36. რამეთუ იყო ადგილი იგი ფრიადისა მის სიფიცხისა სომეხთაჲსა საშინელ. 19,18.
37. დედაკაცი ვინმე იყო ქურივი მასვე ქალაქსა არარატისასა. 19,26.
38. ხოლო მათ ქამთ მიიღო მეფობაჲ ბერძენთაჲ დიოკლიტიანე და არა ღირსებით, არამედ ფრიადცა უღირსებით შეიმოსა სამოსელი იგი პორფირი. 20, 16—18.
39. იყვნეს სადგურად მათდა. 21, 28.
40. ბოროტად აღივსო ტრფიალებითა. 22, 3.
41. ვერ თავს-იღვა მოთმინებად. 22,3.
42. ხოლო მან უბრძანა დაკუეთაჲ ენისა მისისაჲ და ესე ყვეს და ბრძანებული იგი სიტყვთ მყის აღასრულეს და დაჰკუეთეს ენაჲ მისი. 26, 9—11.
43. ვითარცა მან წარმიწყმიდა სიტკბოებაჲ იგი სულისა ჩემისაჲ. 27,24.
- და ამათ მოწამე გალობდა აღსავეს სიხარულითა სულისაჲთა.
- მოვედ მუნით.
- ვითარმედ მოვიდე მეცა დიდებითა მისისა შემდგომად მცირედისა.
- განზრახვათა გონებისათა.
- და მისწუთებოდის ვიღრე ნაწევართამდე.
- ყოვლად-ქებული გრიგოლი.
- ითრევედეს განშიშულეზულსა ყოვლად ქვე შემოსილსა მას.
- განკვრდა თავსა შორის თვსსა და უღონოებად.
- გარნა იქედნემან გესლი არაოდეს განიშორა, ვერცა ვეფხმან სიკრელე განიძარცუა.
- და ესრეთ რაჲ მქონებელად ხედვიდა მას, არცა ეგრეთ განსწირვიდა შეცვალეზებასა მისსა.
- რომელი იგი არს მწე.
- რამეთუ იყო თხრილი იგი ფრიადისა მის სიფიცხისა სომეხთაჲსა საშინელ.
- დედაკაცი ვინმე იყო ქურივი მასვე ციხესა არარატისასა.
- მათ ქამთა დიოკლიტიანე არა ღირსებით შეიმოსა სამოსელი იგი პორფირი.
- იყვნეს სადგურ მათდა.
- ბოროტად აღსავეს იყო ტრფიალებითა.
- †
- ვერ თავს-იღვა დათმენად.
- და უბრძანეს აღმოყოფად ენისა, და ვითარცა უმყინეს სიტყვსა სრულყო მან ბრძანებული მისდა, აღმოჰკუეთეს იგი.
- ვითარცა მან წარწყმიდა სიტკბოებაჲ იგი სულისა ჩემისაჲ.



44. ხოლო სასჯელმან არა დაიყოვნა. 28,29. ხოლო სასჯელმან არა ყოვნა.
45. მათცა სახე ღორებისაჲ ზედა ეღვა, გარნა უსუბუქეს სენსა მეფისასა იყო სენი მათი. 30, 23—24. ყოველი სიმრავლე რომელთა დაღათუ არა ღორებრივი სახე ზედა ეღვა; არამედ იგინიცა სენისა მისგან ბორჯდეს და განიჭრებოდეს.
46. და სუეტი ცეცხლისაჲ ფერთა ოქროვანთა და მწთოლვარე წინაშე მათსა ეიდოდა. 32, 20. და სუეტი ცეცხლისაჲ ხარისხთა ზედა ოქროვანთა დამყარებული წინაშე მათსა ეიდოდა.
47. ჯერ არს თუ რწმუნებაჲ სმენილსა მრავალთა მიერ მოწაფეთა წმიდისათა. 43, 11—12. ჯერ-არს თუ რწმუნებაჲ სმენილსა მრავალთა მიერ მოწაფეთა ღმრთისათა.

S № 384 ხელნაწერის ტექსტი საშუალებას იძლევა გასწორდეს ქუთაისის საისტორიო მუზეუმის № 437 ხელნაწერის რამდენიმე ადგილი:

1. მიიღონ. 5, 13. მიღონ.
- 2 არავე. 5, 27. არავევე.
3. შემდგომი მეფისაჲ მიენიჭოს პატივი და დიდებაჲ. 7, 30—31. შემდგომი მეფობისაჲ მიენიჭოს პატივი და დიდებაჲ.
4. ძლევაშემოსილი კუალად უკუმოიქცა. 10, 2. ძლევაშემოსილი კუალად უკმოიქცა.
5. შემდგომად სიკუდილისა კუსარ სომეხთა მეფისაჲთა. 10,16. შემდგომად სიკუდილისაჲ კუსარ სომეხთა მეფისაჲთა.
6. შეიკრნეს ფერკნი მოწამისა. 16, 3. შეიკრნე ფერკნი მოწამისა.
- 7 უკმობდა მას თრდატ და ეტყოდა. 18, 4. უკმობდა მას თრდატ და იტყოდა.
8. რამეთუ შენ-თვს მოესწყდებით დღითი-დღე და შევირაცხებით შენ-თვს. 28, 11. რამეთუ შენ-თვს მოესწყდებით დღითი-დღე და შევირაცხებით შენ-თვს.
9. ვითარცა აღიხუნეს იგინი მიერ, განძარცუნეს შესამოსელთა-გან თვსთა. 30,31. ვითარცა აღიხუნეს იგინი მიერ. განძარცუნა შესამოსელთა-გან თვსთა.
10. ხოლო სუეტნი იგი ღრუბლისანი მოასწავებენ ქუეყნით აღსლვასა. 35, 19. ხოლო სუეტნი იგი ღრუბლისანი მოასწავებდენ ქუეყნით აღსლვასა.

გეორგს მზრივ ქუთაისის საისტორიო მუზეუმის № 437 ხელნაწერის მონაცემებით შეიძლება გასწორდეს რამდენიმე ადგილი S № 384, ხელნაწერისა:

1. და დაიწუებოდა კსენებითა მის და აღთქუმულთა მათ ნიჭთაჲთა. 9, 3—4. და დაიწუებოდა კსენებითა მისდ; აღთქუმულთა მათ ნიჭთაჲთა.
2. და შთააკუა მეფემან შესამოსელი თვისი... რათა საგონებელ იყო ყოვლითურთ მეფედ. 11, 20—22. და შთააკუა მეფემან შესამოსელი თვისი რათა საგონებელ იყოს ყოველითურთ მეფედ.
3. სადა არს ღმერთი შენი, გრიგოლი, რომელსა შენ ესევედ. 17,10. სადა არს ღმერთი შენი, გრიგოლი. რომელსა შენ ესავ.

- 4. ამისთვისცა ჭერეთ მე ვასწავო და-შრეტადისა ამის-გან. 18,19.
- 5. შეაცთუნეს სიტყვთა გრძნებისათა. 22,10.
- სულთქუმათა განამრავლებდა სიბო-როტისა-თვს საქმისა მის და სიძესა თვსსა ქრისტესა მოუწოდა. 24, 19.
- თანაწარაყევანნა ნეტარსა გრიგოლის. 40,25.

- ამისთვისცა ჭერეთ მე გასწავო დაშრე-ტადისა ამის-გან.
- შეაცთუნეს სიტყვთა გრძნებისათა.
- სულთქუმათა განამრავლებდა სიბო-როტისა-თვს საქმისა მის და სიძესა თვსსა ქრისტესა მოუწოდა.
- თანაწარაყევანნა ნეტარსა გრიგოლის.

გამოცემულ ტექსტში სამი ადგილი ლ. მელიქსეთ-ბეგს მრავალწერტი-ლოთ აქვს აღნიშნული, თუმცა ხელნაწერს აქ არც სიტყვები აკლია, არც პურკვევლად დაწერილი. ეტყობა მას ეს ადგილები აზრობრივად გაუმარ-ავად მიუჩნევია და მრავალწერტილით იმიტომ აღუნიშნავს:

- 1. „და სუეტი ცეცხლისაჲ ფერთა ოქროვანთა... და მწთოლვარე წინაშე მათსა ვიდოდა“. 32, 20.
- „რომლისა თუალით ხილვამ... ხოლო კათოლიკედ სახელ სდებს“. 37, 32--38,1.

- 1. „ფრიადის... ღირს იქმნეს ღიდსა მასცა საყდარსა მღვდელთ-მოძღურებისა-სა“, 44,21.

ამ ბოლო მაგალითში ხელნაწერში „ფრიადის“ ნაცვლად იკითხება „ვიდ-ჩუჰის“ და მაშინ აზრი საესებით გასაგებია:

- „ესოდენსა სისრულესა სათნოებათასა მოიყვანნა ივინი, ვიდრემღის ღირს-ქმნეს ღიდსა მასცა საყდარსა მღვდელთ-მოძღურებისასა“.
- „ესოდენსა სისრულესა სათნოებათასა მოიყვანნა ივინი, ვიდრემღის ღირს-ქმნეს ღიდსა მასცა საყდარსა მღვდელთ-მოძღურებისასა“.

დასტამბულ ტექსტში ორ ადგილას არა სწორად არის გახსნილი ქარაგმა: კავშირი რ ერთხელ გახსნილია „რომელი“-თ. მეორეჯერ „რათა“-დ.

- 1. რამეთუ ძლეულ იყო მწუხარებითა.
  - 2. რამეთუ არა სოლო ჯორცთაჲ, არამედ სულთაჲცა მიიღეს კურნებაჲ. 38, 28.
- სამი შემთხვევაა, როდესაც დასტამბულ ტექსტში ერთი კავშირია ნახმა-რი, ხოლო ხელნაწერებში — მეორე:

- 1. რამეთუ. 20, 28. ხოლო.
- 2. ხოლო. 35, 18. რამეთუ.
- 3. ხოლო, 46, 24. რამეთუ.

„გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ ქართული ხელნაწერების წარ-ბმავლობისა თუ შედგენილობის თვალსაზრისით საგულისხმო მასალას იძ-ლევა აპოკრიფული კრებულები და სვინაქსარები. მართალია, ხელნაწერები ძირითადად XVIII—XIX საუკუნეებისაა და უფრო არასრულიც, მაგრამ სა-ეურადლებო და საინტერესოა ზოგიერთ მათგანში დაცული ცნობები. რო-გორც ამ ხელნაწერებიდან ირკვევა, აშკარად უნდა არსებულებო გრიგოლის ცხოვრების სხვა ნუსხებიც, მაგალითად, XI—XII საუკუნის S № 334 ხელ-ნაწერში, სადაც მოთხრობილია როგორც გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრე-ბა, ისე მაშინდელი სომხეთის პოლიტიკური ვითარება, აგრეთვე წმინდა მო-

წამე ქალწულთა მთელი ისტორია, არ არის ნახსენები, რომ საბერძნეთში თრდატ მეფის გამზრდელი ყოფილა ბურდარი, რომ გრიგოლი გაუზრდია ქრისტიან ქალს — სოფიას, ხოლო მისი მეუღლე ყოფილა მარიამი, აგრეთვე Q № 750 ხელნაწერში მოხსენიებულია გრიგოლის დედის სახელი: „ამის მამას ერქვა ანაკ და დედას ვომოხე“.

სადღესასწაულო კრებულებში, როგორც საერთოდ ამ ხასიათის ნაწარმოებებში, ძუნწი ცნობებია მოცემული გრიგოლის შესახებ. ამ ხელნაწერებში ზემკული და შექებულია როგორც წმინდა გრიგოლის, ისე წმინდა მოწამე ქალწულთა რიფსიმესი და გაიანეს ღვაწლი და გადმოცემულია ის სასახელო საქმენი, რომლისთვისაც მათ ამდენი ტანჯვა-წამება აიტანეს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ალმოსაელემენტოლოგიის ინსტიტუტმა)

**შეშუა შეიძრივნილი**

**კ ა უ შ ა ტ ი უ რ ზ მ ნ ა თ ა მ ე ს ა მ ე ს ა რ ი ის ფ ო რ მ ე ბ ი ა ხ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი**

შუალობითი კონტაქტის, ანუ კაუზატივის საკითხი პირველი და მეორე სერიის ფორმებთან შედარებით თურმეობითებსა და კავშირებით მესამეში თავისებურია. ერთი შეხედვით, აქ კაუზატივი არც უნდა გვექონდეს, რადგან „მოქმედებითის ფორმები მესამე სერიაში მთლიანად ემთხვევა სტატიკური ვნებითის ფორმებს, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოშობით ისინი ერთია“<sup>1</sup>. სტატიკური ზმნაკი არ განასხვავებს შუალობითსა და უშუალო გზას<sup>2</sup>. საერთოდ, გარდაუვალნი ზმნებიდან შუალობითის ფორმები მოეპოვება მხოლოდ ორპირიან ე-თი ნაწარმებ ვნებითებს, ისიც იშვიათად. ეს მოვლენა უმთავრესად ახასიათებს აღმოსავლურ ქართულ კილოებს<sup>3</sup>.

გარდა ამისა, კაუზატივი ჩვეულებრივ გულისხმობს სამპირიან ფორმას, რომელშიც მოქმედების ხელმძღვანელია სუბიექტი, რეალური შემსრულებელი — ირიბი ობიექტი, ხოლო მოქმედების საგანი — პირდაპირი ობიექტი. გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში, წესისამებრ, სამპირიანი ფორმა არ გვხვდება: ირიბი ობიექტი უბრალო დამატებადა ქცეული და ამის გამო ზმნაში პირის ნიშნით არაა აღნიშნული. ორპირიანი ზმნაკი არ შეიძლება იყოს შუალობითი გზისა, ანუ კაუზატიური ფორმისა<sup>4</sup>.

მაგრამ ახალი სალიტერატურო ქართულის მასალებით ცხადი ხდება, რომ კაუზატივის ფორმები შეიძლება შეგვხვდეს საანალიზო სერიაშიც, სადაც თანდებულნი უბრალო დამატება ისევე ჩანს მოქმედების რეალურ შემსრულებლად, როგორც ირიბი დამატება I და II სერიაში: შდრ.: ბეგლარი ქ ა ლ ი შ ე ი ლ ე ბ ს ს ი მ ლ რ ა ს ს ი მ ლ რ ა ზ ე ა თ ქ მ ე ვ ე ი ნ ე ბ დ ა (დ. კლდ.<sup>5</sup> 533). მოსაუბრემ გასწყვიტა სიტყვა, რომ უარესები არ ე თ ქ მ ე ვ ე ი ნ ე ბ ი ნ ა მ ა ნ ა ნ ა ს ა თ ვ ი ს (დ. კლდ. 494). ამას გარდა, კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსები აქაც აშკარად არის წარმოდგენილი.

ამგვარად, მესამე სერიაში<sup>6</sup> შეიძლება განვიხილოთ კაუზატივის წარმოება, რომლის ნიმუშები არცთუ იშვიათია თურმეობით პირველსა და, განსაკუთრებით, თურმეობით მეორეში, მაშინ როცა ძველი ქართულის შესაბამის ფორმებში ეს კატეგორია არ იყო გამოხატული. თანაც დღეს კაუზატივის წარმოების ტიპი მხოლოდ ორგანულია ყველა სერიაში, ძველში კი გვხვდებოდა

1 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 446.  
 2 ა. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 080.  
 3 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრ., გვ. 371.  
 4 ა. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, დასახ. შრ., გვ. 079.  
 5 მწერალთა დასახელებში შიღებული გვაქვს ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში გატარებული შემოკლება.  
 6 ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს გარდამავალი ზმნები. გარდაუვალთაგან მხოლოდ ერთი მაგალითი შეგვხვდა კაუზატიური („პაპა ციკანს გამოსდგომია და ის წყეულიც დაჰქვინებია“: მელან. 17).

ორგანული წარმოების გვერდით აღწერილიც — ეთიარებით ბრუნვაში დასმულ საწყისი და „ცემა“ ზმნის პირიანი ფორმა<sup>7</sup>.

ძველ ქართულში კაუზატივის ძირითადი მაწარმოებელი იყო -ევ, იშვიათად გამოიყენებოდა აგრეთვე -ინ, -ეინ კი საერთოდ არ გვხვდებოდა<sup>8</sup>. ახალმა სალიტერატურო ქართულმა გააბატონა -ინ, სამაგიეროდ, შემეცირდა -ევ სუფიქსის გავრცელების არე, ხოლო ზმნათა გარკვეული ჯგუფისათვის კაუზატივის მაწარმოებლად მოგვევლინა რთული -ევ+-ინ სუფიქსი.

-ინ სუფიქსი, პირველი თვჩეობათა: მჰ ხინთჳარს რუგორ მ ო უ ჰ ა რ ე ნ ე ბ ი ა<sup>9</sup> (ილია, 401). [საბუგას] ის გაუყენია: დაფხუ, რალაჲ და უ წ ე რ ი ნ ე ბ ი ა (აკაი, 383). [ინსპექტორს] სკოლისათვის რუსული წერა-კითხვის სწავლება და უ წ ყ ე ბ ი ნ ე ბ ი ა პირველსავე წელში (ი. გოგებ. 208). სულ მარცხალ-მარცხალ უ ა მ ი რ ი ე ე ნ ე ბ ი ა უ ჯ რ ე ნ ა (რ. ერისთ. 415). ვმალობ, რომ ამ ბავშვისათვის ასლავ ჩენი ზნეწყები შე გ ი თ ვ ი ს ე ბ ი ნ ე ბ ი ა (ქუარ. 411). სიჭიჭის ყოფნის ამავეს არაერთხელ მ ო მ ი ყ ო ლ ი ნ ე ბ ი ა ლეგანსათვის (დ. კლდ. 15). მას სიტყვა არ შე უ წ ყ ე ვ ე ტ ი ნ ე ბ ი ა ჩუთოს (დ. კლდ. 122). მეფეს ექვსი ოქრო მძარცველისათვის წ ა უ რ თ მ ე ე ი ნ ე ბ ი ა (ე. ჭაყაი. 99). ამ გარკუთვას... გა უ ბ ე დ ე ი ნ ე ბ ი ა ეჭვითვისთვის ეთარგმნა... ეს კაუზული (ე. კუ. 197). ჩუხს ზღუძი არაერთხელ მიწე ე ნ ი ნ ე ბ ი ა (ნ. ლორთქ. 422). იგი ისე დაეფლდება მეფის გონებას..., რომ... ტახტისათვის ზრუნავდო სანახევროდ სელი ა უ ლ ბ ი ნ ე ბ ი ა (გრ. აბაშ. 293). რომ ვაჟარა დღეს ეს ხალხი, წამალი ხომ არაივს და უ ლ ე ე ი ნ ე ბ ი ა (რ. ჭაყაი. 319). ელფეთერს მწუხარება არ გაზეთის საშუალებით შე უ ტ ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ი ა... მეგობრებო საათის (რ. ჭაყაი. 371). ეს მისთვის გადაეკრათა არ მი გ რ ძ ნ ო ბ ი ნ ე ბ ი ა (რ. კუტ. 311). მამაკაცს თავის გვერდით უნახესი ქალი და უ მ ა რ ხ ე ი ნ ე ბ ი ა (გ. ჭაჭ. 381). მას უხაროდა, რომ დედოფალმა აწახლოდა დაიწყო, მაგრამ არ შე უ რ ი შ ე ე ი ნ ე ბ ი ა (დ. კასრ. 225). ამ ლაწილას... გაზონებში ცხერები შეურევა და ბალახი ერთიანად მ ო უ მ ო ო ი ნ ე ბ ი ა (ი. მოსაშ. 178).

მეორე თურმეობით: ალი-ყული-ხანა ბრძანა, რომ ეს ქანდღერასათვის შე ე ტ ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ი ა თ (აკაი, 458). ფარანმა ბრძანა, რომ ებრაელებისათვის... ა ე გ ე ბ ი ნ ე ბ ი ა თ დიდი ქალაქები (ი. გოგებ. 111). ჭორა ჭრა თვის უტუხა; და [ქაშალი]. რომ სი, გა ე წ ყ ე ვ ე ტ ი ნ ე ბ ი ა (ი. რ. რაზი. 384). მიწოდდა შალენსათვის. სიტყვა შე მ ე გ წ ყ ე ვ ე ტ ი ნ ე ბ ი ა (მ. ვარკ. 225). ამხანაგები ფიქრობდნენ, სოლომონისათვის ის უხერხეო აზრი ამ ო ე ლ ე ბ ი ნ ე ბ ი ა თ (ს. მგალობ. 257, 282). ქეთეს ზაქროსათვის ჩინჩხუარა შე ე ზ ი დ ე ი ნ ე ბ ი ა (ს. მგალობ. 466). მიწოდდა არჩილისათვის ეს შე გ რ ძ ნ ო ბ ი ნ ე ბ ი ა (მ. არაგვ. 6). რომ ცხენის სიძაბუნე არ შე ე ნ ი შ ე ე ი ნ ე ბ ი ა იანესათვის, [პლატონმა] ორიოდ წეკალი გადაქრა (დ. კლდ. 294). ოტიას თავისი შვილი უნდა მ ო ე ნ ა თ ე ლ ი ნ ე ბ ი ა სამადაისათვის (დ. კლდ. 528). ჭოლორიამ... სმალი მოუქნია თავხედ ყმას, რომ თავი წ ა ე გ ლ ე ბ ი ნ ე ბ ი ა (ფ. დგებ. ფული. 129). — რა უნდა ჩ ა გ ე ე წ ე რ ი ნ ე ბ ი ა თ (ა. ფურც. 397). ვასილი ცდილობდა ფიქრები არ შე ე ე მ ჩ ნ ე ე ი ნ ე ბ ი ა დეუ-მამასათვის (ა. ფურც. 324). არ მომეწონე... დეინო რომ არ მო გ ე ტ ა ნ ი ნ ე ბ ი ა (ა. ფურც. 447). ყაენს მეხრეუბა და ე ჭ ე რ ი ნ ე ბ ი ა (ე. ბარნ. 325). ვეჭილები ათასნაირ ზრის იგონებდნენ, ოღონდ მათი ჰატირის საქმე გა და ე ლ ე ბ ი ნ ე ბ ი ა თ (მ. ჭაყაი. 169). არჩილს განზრახვა ჰქონდა ხუმრობით გა ე ე ბ ი ნ ე ბ ი ა მშობლებისათვის გვარს გადმოემუღო ამაგი (ლ. ქაჩა. 59). ხოსროს არც სიმამრისათვის უნდოდა წ ყ ე ე ნ ი ნ ე ბ ი ა (რ. გუგუ. 190). ბევრი ხვეწნა მპრედოდა, რაჯა ოჩოაუე სიტყვა და მ ე ე ლ ე ნ ი ნ ე ბ ი ა მისთვის (ე. ლორთქ. 260). მეშინოდა [შვილებს] ასლა ბორანზე არ ა ე ლ ე ბ ი ნ ე ბ ი ა თ ხელი (დ. შენგ. 184). რუსულანმა მამას სთხოვა, მაქსიმე სკოლაში მი ე ლ ე ბ ი ნ ე ბ ი ა (ლ. მრულ. 317). მამ ის საწყალი გოგო გა ე გ ლ ე წ ი ნ ე ბ ი ა (ლ. მრულ. 426). თველმ აბგა ამოაფარა კაბის ნაყეს, რომ არ შე ე ხ ე ლ ე ი ნ ე ბ ი ა მახლისანებისათვის (დ. კლდ. 439). ლაშხისათვის... ბიყენის მამას ჩ ა მ ო ე ხ რ ო ბ ი ნ ე ბ ი ა თავი (რ. ჭაყაი. 372). განა ჰქონდა იმის უფლება დიღეს, რომ... უფლანსულისათვის და ე კ ა რ გ ე ი ნ ე ბ ი ა საქართველოს სამეფო ტახტი? (გრ. აბაშ. 311). პირი კი და ე ბ ა ნ ი ნ ე ბ ი ა ბავშვისათვის

<sup>7</sup> ე. ი. მ. ნ. ი. ლ. კ. კაუზატივი ძველ ქართულში: თსუ სტუდენტთა სამეცნ. შრ., კრებ., ტ. X, 1970, გვ. 114—117.

<sup>8</sup> ა. შ. ა. ნ. ი. დ. დასახ. შრ., გვ. 370; ე. გ. უ. რ. ქ. ო. ვ. კაუზატივის წარმოება ქართულში და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში: მაქცნე, 1971, № 2, გვ. 101.

გურამს (ლ. ავალ. 435). თავებმა გადაწყვიტეს შებრძოლებოდნენ მელიებს... და თავები ე წყ ე ე - ლ ი ნ ე ბ ი ნ ა თ (გ. ნატრ. 245). მოხუცა ელოლებოდა, ეიწე მოხუცა და წყალი იმას დ ა ე - ლ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა (ს. შანშ. 150). ის წაპოღა, რათა ე გ რ ძ ნ ი ნ ე ბ ი ნ ა ჩემთვის, რომ ნამუსი კარგი საქმეა („საქართველოს ქალი“, 1972, № 1, გვ. 5).

-ეინ სუფიქსი, პირველი თურმობითი: გეგონებათ... ნაწლავები გა დ მ ო უ ყ რ ე ე ი ნ ე - ბ ი ა (ავაქ, 353). თითქოს [ქონისათვის] ეილაცას გულ-ღვიძლი ჩ ა უ ე რ ე ე ი ნ ე ბ ი ა ო (ნ. ლომ. 156). აბა თუ გა ღ ა გ ი ხ დ ე ე ი ნ ე ბ ი ა ფილასათვის რამე (ს. მგალობ. 383). ბა-ტონშილის ისეთი რამ უ თ ქ მ ე ე ი ნ ე ბ ი ა ჩემი სახელით (მ. ქავახ. არს. 93). ყოველი წეთი ცრემლი, მამასახლისს რომ ჩემთვის უ ლ ე რ ე ე ი ნ ე ბ ი ა, სულ სათითაოდ მახსენდება (ლ. შენგ. 276).

მეორე თურმობითი: მინდვრები და ქალები გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ე ც კ ლ ე - ე ი ნ ე ბ ი ნ ა (ილია, 495). ყმებმა იყოდნენ, რა უნდა გადაეხადათ, ბატონებმა—რა უნდა გა ღ ა - ხ ღ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა თ (ავაქი, 355, 362). იმედი მომეცა გა მ ო მ ე თ ქ მ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა რამე (ილია, 311). სახლის ბატონი ბევრს ეცადა ე თ ქ მ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა ბავშვისათვის, თუ რის ჩაფრი აწუხებდა (ი. გოგება. 70). გაგვიგვირდით რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა, მაგრამ ისე კი, რომ თავისი ცხენისათვის უწინდელი კვალი არ წ ა ე შ ლ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა (ა. ყაზბ. 23). პატრონს ფანჯრებისათვის დიდი ადგილი არ გ ა მ ო ე ქ რ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა (უიარ. 62). როსტომმა განიძ-რახა... გიორგი... მ ო ე ე ე ლ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა (ა. ფურც. 291). იმას რო არ შ ა ე დ გ მ ე ე ი ნ ე - ბ ი ნ ა ალალოსათვის მათ ამსანავგაბაში ფეხი... ჩემი ბიჭი დღესაც ცოცხალი მეყოლებოდა (მელან. 178). მოკვდა ის... დრო, როცა გასართობად შენ შეგეძლო მოზერისა და ადამიანი-სათვის თავები ხმელი დ ა გ ე ყ რ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა (რ. გვეტ. 75). ზურაბი შეეცადა სოლომონი-სათვის საუბრის კოლო შ ე ე ც კ ლ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა (ა. ბელ. 165). მანამ ისეთი სიტყვა ვადაუგ-დო, რომ ბიჭისათვის ენა ა მ ო ე ღ გ მ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა (გ. ნატრ. 47).

-ეუ სუფიქსი, პირველი თურმობითი: თუ თქვენ პატრიე მეცით, არც მე ე მ ქ მ ე ე ი ა, ბიჭე-ბო, თქვენდა სირცხვილი (პ. ლომთ. 349). ქალს... ბოთფერასათვის სალაფევი არ უ ქ მ ე ე ი ა (ლ. მრგლ. 39). დედაკაცს ბიჭისათვის წაპალი უ ს მ ე ე ი ა (დ. მარხ. 76). არც ზედაპირისათვის ჩ ა უ ე ე ი ა თ ჩერ გულრონის პერანგი (ბ. ჩხ. 75).

მეორე თურმობითი: პური მაინც ე ქ მ ე ე ი ნ ა თ. რომ დაწოლილიყავ (რ. ერისთ. 502). ვერც იმას მოვიტყენდი, რომ ჩემთვის ტალამაშები ე ქ მ ე ე ი ნ ა თ (მელან. 357). ნინო ცდილობ-და, თამარისათვის პირი ვაღლებინებინა, რომ წვეთები შ ე ე ს მ ე ე ი ნ ე ბ ი ნ ა (ი. ლისაშ. 274). ბეგლარს კიდევაც წაეძრო ხელიდან ბეჭედი, ძალათი ნინოსათვის წ ა მ ო ე ე მ ე ე ი ნ ა თითხე დ. კლდ. 535).

-ევ სუფიქსიანი კაუზატიური ფორმები დღეს თითქმის აღარ იხმარება. ზემოდასახელებული რამდენიმე მაგალითიდანაც ზოგიერთი — ეჭმევიანა, წა-ნოცმევიანა — დიალექტურ წარმოებად იქცა. მათ ნაცვლად სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია ეჭმია, ჩაეცმია:

თქვენებს ასე ვგონებთ, ვერაფერი ვერ უშოვეს, რომ ე ქ მ ი ა თ ო (დ. კლდ. 525). შე ქალო... დღეს ჩ ა გ ე ე მ ი ა მაინც ბავშვებისათვის (დ. კლდ. 439).

მაშასადამე, თურმობითის ფორმებშიც -ინ, -ევიან, -ევ სუფიქსები ისე-თივე შეფარდებით გვხვდება, როგორც პირველ და მეორე სერიაში, კერ-ძოდ, ზმნათა დიდი უმრავლესობა კაუზატივის -ინ სუფიქსით აწარმოებს, შედა-რებით ნაკლებად გამოიყენება -ევიან, -ევ კი მხოლოდ რამდენიმე შემთხვევით განისაზღვრება.

კაუზატივის მაწარმოებელ აფიქსებთან დაკავშირებით არსებობს მოსაზ-რება, რომ ძველ ქართულში ნიშანდობლივია კაუზატივის წარმოების ორი ტი-პი: ოდენპრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური, სადაც პრეფიქსი ა უტე-ვლელია, სუფიქსებად კი განსხვავებული ოდენობებია გამოყენებული. პრე-

<sup>9</sup> ანალოგიური წარმოებისა და ე რ ქ მ ი ა, წ ა ე რ თ მ ი ა, ამ უკანასკნელთა აწმყოფი იქნეს თავს კაუზატივის-ევ სუფიქსი (არქმევს, ართმევს), თუმცა შუალობითი კონტაქტის გაგება დავარდული აქვთ (ა. შ ა ნ ი ძ ე, დსახ. შრ., გვ. 370).

ფიქსული წარმოება ძველი ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილებაა<sup>10</sup>. ამ მიმართებით ქანურ-მეგრულისა და ქართულის ერთმანეთთან შედარებაც გვიჩვენებს, რომ მათთვის საერთოა ა პრეფიქსი, განსხვავება მხოლოდ კაუზატივის აორისტის მაწარმოებელ სუფიქსებშია<sup>11</sup>.

ჩვეულებრივ, უშუალო კონტაქტის შემთხვევაში -ებ, -ობ სუფიქსებით წარმოდგენილი მეორე თურმეობითი კაუზატივის გაგებას რომ შეიძენს, მაშინ იგი კვლავ რთულდება -ებინ სუფიქსით:

კალისტრატე დაწინაურებულ ხარს შუბლზე აწევბოდა, რათა როგორმე ფეხი მოეცა ცუღებინებინა (რ. ჭადარ. 124). ალბათ იმერტომ დაგვიბარა მაიამ, რომ ეს გაეგებინებინა ჩვენთვის (ფ. დგებ.-ფულ. 158). გიორგი აპირებდა ამ ხანჯლით მოყვლას, თუ ხელახლ არ გაეგღებინებინათ როსტომი იმისათვის ხელადან (ა. ფურც. 272). ნინო ცილოლბა თამარისათვის პირ-გაელღებინებინა (ი. ლისაშ. 274). დემეტრე ჯღერსწახილი ჩააქრო, რომ საცოდავი ცოლისათვის არ ეგრძნობინებინა (ს. მგალობ. 487). პლატონს უნდოდა ეხლავე შეეცეოებინებინა არისტოსათვის თავისი გადაწყვეტილება (დ. კლდ. 405).

ეს მაგალითები მოგვაგონებენ ე. წ. „მრჩობლ-სხმით-გარდასლვით“ ფორმებს, რომლებზედაც მიუთითებდნენ ძველი ქართველი გრამატიკოსები. მათი აზრით, ზმნის სახე მრჩობლ-სხმით-გარდასლვითია მაშინ, როცა სხმით-გარდასლვით ზმნას (ვაწერინებ) დაესხმის კულად მეორედ მარცხული ესე -ინებ და დაწინაინავს სხვასა მოქმედებასა ანუ ჰვენებასა (ვაწერინებინებ)<sup>12</sup>. მსგავსი ფორმები დასახელებულია ბ. რუდენკოს „ქართული ენის გრამატიკაში“ (თუმცა აქვეა შენიშნული, რომ პრაქტიკულად იგი ნაკლებხმარებულია)<sup>13</sup>. დიალექტებიდან კაუზატივის ორმაგი წარმოება გამოვლენილია ქვემოთმეორულში და მას თვლიან ცალმაგი წარმოებიდან მომდინარედ<sup>14</sup>, ხოლო ქართულში საერთოდ საანალიზო ფორმები ხელოვნურ წარმოებადაა მიჩნეული<sup>15</sup>.

კაუზატივის შემთხვევაში ზმნით გამოხატული მოქმედება ჩვეულებრივ სრულდება ხელმძღვანელი პირის ბრძანებით, იძულებით (მამაჩემის ნასახლარი ბატონს დაუბარვინებია: გრ. აბაშ. 116; ბევრს ეეცადენით, დაგვეგღებინებინა ქორისათვის დედაჩემი: ვაჟა, 363), ანდა სუბიექტის დახმარებითა და რჩევით (სონიამ გადაწყვიტა ქმრისთვის გაებედვინებინა სოფლის მიტოვება: დ. კლდ. 546).

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან კაუზატივი ასეთი შინაარსის მატარებელია ადიღურშიც, სადაც ხშირად გვხვდება ორმაგი ფორმის კაუზატიური ზმნები<sup>16</sup>.

ჩვენს საანალიზო კონსტრუქციაში (მოენაცვლებინებინა მას მისთვის ის) რეალური შემსრულებელიცა და კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსიც ერთია (შდრ. უშუალო კონტაქტის ფორმა — მოენაცვლებინა მას ის). წარმოების ასეთი გართულების მიზეზი კი, როგორც აღვნიშნეთ, ისაა, რომ, წესისამებრ, კაუზატიური ფორმა აწყყო-მყოფადში -ებ სუფიქსს დაირთავს და ამ ფუძეს ეყრ-

<sup>10</sup> ე. გ. ე. რ. კ. ვ. ა. დასახ. შრ., გვ. 105.

<sup>11</sup> ა. ჩ. ი. ბ. ა. ე. ა. ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 159.

<sup>12</sup> ანტონ I, ქართული ლრამატიკა, 1885, გვ. 37—39; გაიოზ რექტორი, ქართული ლრამატიკა, 1970, გვ. 69.

<sup>13</sup> Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, Л., 1940, гв. 204.

<sup>14</sup> ე. კახაძე, შუალობითი კონტაქტის წარმოება ქართულ დიალექტებში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1971, № 2, გვ. 52.

<sup>15</sup> ა. შანრიძე, დასახ. შრ., გვ. 379.

<sup>16</sup> Г. В. Рогова, З. И. Керашева, Грамматика адигейского языка, 1966, гв. 257—259.

დნობა სხვა -ებ თემატურნიშნიან ზმნათა მსგავსად თურმეობითებში (წერს — აწერიანებს — დაუწერიანებია — დაეწერიანებინა). მაგრამ ასეთ კონსტრუქციაში -ებ სუფიქსიანი უშუალო კონტაქტის ფორმა ორმაგ -ებინ დაბოლოებას უჩვენებს (აკეთებს — აკეთებინებს — გაუკეთებინებია — გაეკეთებინებინა), სადაც კაუზატივის -ინ და თურმეობითი მეორის -ებინ დაბოლოების -ინ სხვადასხვა დროინდელი ოდენობები უნდა იყოს (შდრ. გააკეთ-ებ-ინ-ა მან მას ის და გაეკეთ-ებინა მას ის).

სალიტერატურო ქართულში ზემოგანხილული წარმოების საპირისპირო ვითარებაც იჩენს თავს. კერძოდ, იშვიათად მაინც შეინიშნება კაუზატივის შემთხვევაშიც გარდამავალ ზმნათა თურმეობითი მეორის არქაული წარმოება (ებ სუფიქსის გარეშე):

მზარდვლობამ დადწყვიტა, რომ რომელიმე განყოფილებულ პირისათვის გადაეთარგმნინა... სსელმძღვანელონი (ი. გოგებ. 194). ოსმა დადწყვიტა, რომ მთავრობისათვის შეატყობინა მისი აზრები აზრების ყოფნა, ან დაეკვირინა და ან დაეხოცეინა (ა. ყაზბ. 365—65). მეთხევს უნდა ამოვამოვქვეყნა [გმირისეულისათვის] რაჟე (ს. შავლობ. 455). ეს წარმოდგებოდა მხოლოდ ჩემი ამპარტავანის გულისაგან, რომ არ შეემეძინა ეინა ამისათვის. მიზნობ ჩემი აქ ხორაღ ყოფნისა (ა. ფურც. 311). კალია უნდა ეკებინა მისი სთვის, რომ როგორმე ხელი გადაეგებინა (თ. რაზიკ. 270). პლატონი... გვერდევანისისს გაიტკა, რომ საქმე მოესობინა (დ. კლდ. 423). მწვევე სტყუებს განგებ ვეძებდი, რომ მისთვის... ჩემ ქალაქს გაგზავნავ ხელს როგორმე ამ ეღებინა (დ. შენგ. 60). ახლა თვით ტელმარში ცდილობდა ხმა ამოვღებინა<sup>17</sup> უბედურისათვის (ი. მაკვაარ. თარგმ. 218).

კაუზატივის -ინ, -ევინ სუფიქსები ზოგიერთ კილოში იხმარება გამართივლებული სახით: წარმოდგენილი არაა ნ, ზოგჯერ — ვ<sup>18</sup>. ასეთი ფორმება შემოტანილია მწერლობაშიც, თუმცა დიალექტურია და უმართებულო<sup>19</sup>. შესაბამისად შეგვიძლია ახალი სალიტერატურო ქართულიდან დავიმოწმოთ მავალითები, სადაც დაკარგულია: ა) კაუზატივის -ინ მაწარმოებელი: ღმერთს ამ სიტყვებით უნდა ვგრძნობებინა ადამისათვის (შ. არაგ. 195); ბ) არ ჩანს კაუზატივის -ინ სუფიქსი და თურმეობითი მეორის -ებინ დაბოლოების -ნ: სამჯერ რომ შეემელოცებია, მომირჩებოდა (ე. ნინოშ. 484); გ) გამქრალია კაუზატივისეული სუფიქსის ნ თანხმოვანი: ხომ არავის უწყენიებია შენთვის (დ. კლდ. 268). დ) არაა წარმოდგენილი კაუზატივისეულ ნ თანხმოვანთან ერთად თურმეობითი მეორის -ებინ დაბოლოება, თანაც ამ შემთხვევაში თურმეობითის ფუძე არქაული წარმოებისაა: სახლის პატრონი მილაქუტებდა, რა არის... ლუკმა არ დამეკარგვია (ვაჟა, 345).

ფონეტიკურ ცვლილებებს უჩვენებს აგრეთვე -ევინ სუფიქსიანი კაუზატივის ფორმები. აქაც იკარგება -ევინ მაწარმოებლის ვ თანხმოვანი:

იმპერატორს დაუკვირენებია მის კუბოს ფიქარზე მედლი (გრ. ორბ. 234). საცა სამართალია, შენთვის ათიოღე კვლი უნდა მომეხენენებინა (მ. ჯავახ. აზრ. 269).

<sup>17</sup> სპეციალურ ლიტერატურაში კაუზატივის ამ უკანასკნელ ფორმებს ავთენებენ უპირატესობას შედარებით ამოღებინებინა წარმოებასთან, რომელიც „არაა ადვილად გასაგები და გამოსათქმელი“ და აღსწვლია სავთხი — ჯადარისის კაუზატიურ ფორმათა მეორე თურმეობითის წარმოების წესი: იბ. ივ. იმნაიშვილი. ენა-ფსიქოლოგია და ძველი ქართული ენა. 1968, გვ. 119.

<sup>18</sup> ა. შანაძე, დასახ. შრ., გვ. 370; შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970, გვ. 157, 207; ე. ახახაძე, დასახ. შრ., გვ. 52.

<sup>19</sup> ე. თ. ფურიცა, აქაი და ქართული სალიტერატურო ენა: ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, თვ. 147; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970, გვ. 219; გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1961, გვ. 84.



მსგავს კონსტრუქციაში თურმეობითი მეორის ფორმა ემყარება ნამყო წყვეტილის ფუძეს, მოსალოდნელი აწმყოს თემის ნაცვლად: მამამთილს ძალიან სურდა როგორმე მოეშლეინა იმათთვის დილის ძილი (თ. რაზიკ. 328).

ზოგჯერ კაუზატივის მაწარმოებლები სრული სახითაა წარმოდგენილი, საზავიეროდ, დაკარგულია ფუძისეული ან თემატური აფიქსის თანხმონენბი:

არ ვიცი რა მიწვენიწბნი აწმენთის (ე.წინონო. 242). ვისაც ვისთვის უწყენენბი იარამ, ამ დროს გაახსენდება (უიარ. 78). მინდოდა მწყემსისათვის ღვინო გადმომეტაინენბინა<sup>20</sup> (თ. რაზიკ. 125). შევლათუა რაყის გრილა ქვემოთ ზინენბი ი (ვ. შატბ. 158). თავმჯდომარეს შევეთათ შინც არ შეეკერინენბინა<sup>21</sup> ეს ჩექმები (ლ. მრელ. 226).

ჩანს, კაუზატივის წარმოების ეს გვიანდელი წარმონაქმნი დიალექტური ერთეულები კვლავ მძლავრობენ ენაში და გამოდიან ლიტერატურული ფორმის მეტოქედ.

ამრიგად, კაუზატივი XIX—XX სს. სალიტერატურო ქართულის მიხედვით დამახასიათებელია მესამე სერიისთვისაც. გარდა ამისა, XV—XVIII სს. მხატვრული და ისტორიული ძეგლები იშვიათად მინც გვიჩვენებენ ამ ფაქტის არსებობას (აქაც კაუზატიური ფორმები ისეთსავე თავისებურებებს ამჟღავნებენ, როგორც თანამედროვე მწერლობის ენას ახასიათებს).

პირველი თურმეობითი: ახლათ ჩენი სამაგიეროდ... მიტროპოლიტი გვიკურთხებინენბინა (საეკლ. საბუთ. I, 113 (1714)). დალაქს ფერხი სალაროსა ზედა სდგმია და იმას უთქმევიენბიო (საბა, 63). ;

მეორე თურმეობითი: თუ ინდოეთში წარსულის კაცისათვის მამული გაგვესყიდვიინა სლოკმენტ. I, 101 (1697)). ჩენი ჭირსუფლოზა იმისათვის უნდა გადაგვეხდვიენბინა საქ. სიძე. II, 222 (1707)). მეფეს იმათთვის ის ბოსლუვის ადგილი დავეტოვებინენბინა (საეკლ. აბუთ. II, 94 (1789)). მეცხუარჯს ბაშეუები მხეცათთვის დავყრევიინა დავაზებრდა (რუსულ 421).

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საერთოდ ქართულში კაუზატივის კატეგორია დრო-კილოთა მესამე სერიის ფორმებში შედარებით ახალი გაჩენილი უნდა იყოს. მართალია, დღეს ამ სერიაშიც მისი არსებობა ხელშეშახები ფაქტია, მაწარმოებელი აფიქსებიც ჩვეულებრივი წესითა და თანაფარდობით მოიხმარება, მაგრამ მინც არაა ფართოდ გავრცელებული და არც უჩანს განვითარების ტენდენცია, რადგანაც თანამედროვე მეტყველებაში მესამე სერიის კაუზატიურ ფორმებს ადვილად ენაცვლება აღწერიითი გამოთქმები (I ან II სერიით გადმოცემული), მაგალითად:

ინსპექტორმა თურმე სკოლის რუსული წერა-კითხვის სწავლება დააწყებინა პირველსავე წელში (ინსპექტორს სკოლისათვის რუსული წერა-კითხვის სწავლება დაუწყებინებია პირველსავე წელში: ი. გოგებ. 208) თურმე პატრონმა ყვანჩრებისათვის დიდი ადგილი არ გამოაჭრეინა (პატრონს ფ.წერებისათვის დიდი ადგილი არ გამოაჭრეინებინა: უიარ. 62).

აღნიშნულ გარემოებას ხელს უწყობდეს ისიც, რომ თურმეობითებში კაუზატივის ძნელ და რთულ წარმოებას (შიულღებინებია, გაეკეთებინებინა...) გარკვეულად ერიდება ენა.

<sup>20</sup> შტრ: წყენა-აწყენინებს; გადმოტანა-გადმო-ატანინებს. ;

<sup>21</sup> ავ და ავ სუფიქსიანი ზმნების კაუზატივის ფორმებში დაცულ უნდა იქნეს ე: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. I, თბ, 1970, თვ. 16.

## ვივი მაჰაპარიანი

ენგებობის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხის  
ქართულურ ენაში<sup>1</sup>

ქართულში ენგებობის წარმოების სამი ტიპი გამოიყოფა: 1. პრეფიქსული ტიპი (ი-წერ-ებ-ა, ე-წერ-ებ-ა), 2. სუფიქსური ტიპი (შენ-დ-ებ-ა, მდიდრ-დ-ებ-ა), 3. ე. წ. „უნიშნო ენგებითი“ (თბ-ებ-ა).

ამათგან პირველ და მესამე ტიპს შესატყვისი მოეპოვება სხვა ქართველურ ენებში: ზან.-მეგრ. ი-პარ-უ-(ნ) „იწერება“, ა-პარ-უ-(ნ) „ეწერება“; სვან. ი-რდ-ი „იზრდება“, ხ-ე-რდ-ი „ეზრდება“ (პრეფიქსული ტიპი). ზან.-მეგრ. ტიბ-უ-(ნ) „თბება“, სქიდ-უ-(ნ) „რჩება“; სვან. კედ-ნი „მოდის“ (შდრ. ძვ. ქართ. გარდა-ქდ-ებ-ის), სედ-ნი „რჩება“ (უნიშნო ენგებითი)<sup>2</sup>.

რაც შეეხება ენგებობის მეორე ტიპს (სუფიქსიანი ენგებითი), მისი შესატყვისი წარმოება სვანურში ამჟამად საერთოდ არ დასტურდება, ხოლო ზანურში ენგებობის ამ ტიპის გამოყენების არე გაცილებით უფრო შეზღუდულია, ვიდრე ქართულში.

სუფიქსიანი ენგებითი ქართულში გვხვდება ნასახელარ ზმნებთან და აგრეთვე ისეთ ზმნებთან, რომლებიც სტატიკური შინაარსის ზმნათაგან არიან ნაწარმოები.

ძველ ქართულში ენგებობის სუფიქსად გამოყენებულა არა მარტო -დ, არამედ აგრეთვე -ენ ფორმანტიც. პირველი ჩვეულებრივ ნ, რ, ლ ფონემებით დაბოლოებულ ფუძეებთან გვხვდება, მეორე — სხვა შემთხვევებში: მდიდარ-ი — გან-მდიდრ-დ-ა, მალალ-ი — აღ-მალლ-დ-ა, მწუანე — გან-მწუან-დ-ა... კაც-ი — გან-კაც-ნ-ა (პირველი პირი: გან-ვ-კაც-ენ), გლახაკ-ი — დაგლახაკ-ნ-ა (პირველი პირი: და-ვ-გლახაკ-ენ)... წუხ-ს — შეწუხ-ნ-ა (შე-ვ-წუხ-ენ), ღუმ-ს — ღუმ-ნ-ა (ვ-ღუმ-ენ), ზორგ-ი-ს — აღ-ზორგ-ნ-ა // აღ-ზორგ-დ-ა, ა-კლ-ს — მო-ა-კლ-დ-ა, ჩან-ს — გამო-ჩნ-დ-ა, ბრწყინ-ა-ენ-ს — აღმო-ბრწყინ-დ-ა<sup>3</sup>, უ-კვრ-ს — და-უ-კვრ-დ-ა.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, -დ სუფიქსის დართვა იწვევს ფუძისეულს ზმონის სინკოპას (თუ საერთოდ კუმშვადი ფუძეა): მდიდარ — გან-მდიდრ-დ-ა, ჩან-ს — გამო-ჩნ-დ-ა...

<sup>1</sup> წაითხვლია მოხსენებად 1961 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ხელნაწერი ინახება გივი მაჰაპარიანის არქივში.

<sup>2</sup> „უნიშნო ენგებითი“ შესახებ იხ. ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ე. თ. ბ. ე. ბ. ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იყე, IV, თბილისი, 1953, გ. შ ა კ ა ე ა რ ი ა ნ ი, „უნიშნო ენგებითი“ ქართველურ ენებში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959, გვ. 101—130.

<sup>3</sup> შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ტფ. უნ. შრ., I, 1918.

ეს გარემოება და აგრეთვე სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მოსაზრებანი, იმის სასარგებლოდ მეტყველებენ, რომ -დ სუფიქსის სრული სახე უნდა ყოფილიყო \**-ედ*<sup>4</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია დაისვა საკითხი \**-ედ (>-ლ)* და *-ენ* სუფიქსთა ურთიერთმიმართების შესახებ. ა. შანიძე ვარაუდობს, რომ *-ლ<-ნ* დისიმილაციის გზით: \**გან-მწუან-ნ-ა>გან-მწუან-ლ-ა*, \**გან-მდიღრ-ნ-ა>გან-მდიღრ-ლ-ა* და მისთ. მაგრამ საყურადღებოა, რომ ამავე ფონეტიკურ გარემოებაში ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელი *-ნ (<-ენ)* სუფიქსი უცვლელად შემოგვენახა: *გან-კურნ-ნ-ა* (და არა \**გან-კურნ-ლ-ა*), *ალ-ი-ყვან-ნ-ა* (და არა \**ალ-ი-ყვან-ლ-ა*), *შე-ი-პყრ-ნ-ა* (და არა \**შე-ი-პყრ-ლ-ა*)... ივინი. გარდა ამისა, გვხვდება ისეთი შემთხვევები, სადაც *-ლ* დასტურდება არა *ნ, რ, ლ* ფონემათა მომდევნო პოზიციაში, და პირუკუ — *-ნ* დასტურდება *ლ*-ს მომდევნო პოზიციაში: *გან-სთქ-ლ-ა*, *გან-ტყ-ლ-ა*<sup>5</sup>, მაგრამ *ალ-ყუავეილ-ნ-ა*. გვაქვს დუბლეტები: *ალ-ბორგ-ნ-ა // ალ-ბორგ-ლ-ა*, *ალ-ყუავე-ნ-ა // ალ-ყუავე-ლ-ა* და მისთ.

ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ \**-ედ* ელემენტი *-ენ*-ისაგან არ გამოიყვანება ფონეტიკურად. აღნიშნული ელემენტები მატერიალურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოდენებებს წარმოადგენენ, როგორც ამას ვარაუდობს ვ. თოფურია<sup>6</sup>.

ხსენებული ავტორის აზრით, ვნებითობის *-ედ* სუფიქსი გამოიყოფა აგრეთვე ე. წ. „უნიშნო ვნებითის“ ცალკეულ ფუძეებში: *ქართ. ქედ-; ქედ-; ქუედ-; შედ?* (შთ-ებ-ი-ს)... *სვან.-სედ* (ლი-ს ედ „დარჩენა“), *-წედ* (ლი-წედ „დანახვა“), *-ჭედ* (ლი-ჭედ „მოსვლა“) და მისთ.<sup>7</sup>

იმ შემთხვევაშიც, თუ მივიღებთ, რომ *ჭედ-ტიპის* ფუძეთა შემადგენლობაში ნამდვილად გამოიყოფა *-ედ* სუფიქსი (რაც ყოველ ცალკეულ ფუძესთან სპეციალურ დასაბუთებას მოითხოვს), მაინც სადავო იქნება ამ *-ედ* სუფიქსის ვნებითი გვარის საწარმოებელ ფორმანტად მიჩნევა.

მართლაც, ვნებითი კორელაციურ დამოკიდებულებაშია მოქმედებითთან. ამ კორელაციის ერთ-ერთი წევრი (თუ ორთავე არა) აუცილებლად მარკირებული უნდა იყოს. თუ რომელიმე *ჭედ-* ფუძის შემადგენლობაში გამოიყოფა *-ედ* სუფიქსი როგორც ვნებითი გვარის სპეციალური მაწარმოებელი, მაშინ უნდა არსებობდეს (ან ისტორიულად არსებუდიყო) არამარკირებული (resp. უსუფიქსო) *ჭ-* ფუძე, რომელიც მოქმედებითი გვარის მნიშვნელობით იქნება (ან იქნებოდა) აღპურვილი. შდრ. *წედრ-ს* (მოქმედებითი — არამარკირებული), *ი-წედრ-ებ-ი-ს* (ვენებითი — მარკირებული).

<sup>4</sup> შდრ. ე. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, ენიშნის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 534—536.

<sup>5</sup> *გან-სთქ-ლ-ა < \*გან-სთქ-ლ-ა* (შდრ. ზეთქ-ს), *გან-ტყ-ლ-ა < \*გან-ტბ-ლ-ა* (შდრ. ტბ-ს) (ა. შანიძე).

<sup>6</sup> იხ. ვ. თოფურია, ჰატიველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, გვ. 534—536. გ. მაქავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, I, საკანდიდატო დისერტაცია (მანქანაზე ნაბეჭდი), თბილისი, 1953, გვ. 208. ფ. ერთუღლიძე, დ-ილ-ნ (ენ) ვნებითობის სუფიქსთა გვეზისის საკითხისათვის, თსუ შრომები, 93, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1960, გვ. 78—79.

<sup>7</sup> \**შედ- < \*შუედ*. შდრ. ზან-ჭან. სქუდ-, სვან. სედ- (<\*სგედ- < სგუედ-). თ. გამყრელიძე, სიბილიანტა შესატყვისობანი და ქართულურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959, გვ. 66—67.

<sup>8</sup> ე. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, გვ. 536.

ვ. თოფურია ცდილობს დაძებნოს ასეთი უსუფიქსო მარტივი (არამარკირებული) ფუძეები. კერძოდ, ჩვენთვის საინტერესოა ჟ- ფუძეს ის პოულობს თანამედროვე ქართული ენის დასავლურ კილოებში გავრცელებულ ჟ-ის ფორმაში? მაგრამ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს ჟ-ის ფორმის უთუო არქაულობაში. აღნიშნული ფორმა არ დასტურდება ძველ ქართულში და თანამედროვე ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში. ეს, რა თქმა უნდა, არ არის გადამწყვეტი არგუმენტი ჟ-ის ფორმის მეორეულობის დასამტკიცებლად, მაგრამ ეს არის ფაქტი, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

უფრო მარტივი იქნებოდა გვევარაუდნა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჯდ-ის ფორმის ფონეტიკურად შეცვლილ სახეობასთან. ეს უკანასკნელი (ჯდ-ი-ს, აგრეთვე ჯდ-ი-ა) დასტურდება ქართლის ზოგ დასავლურ რაიონში (მაგალითად, დაბა სურამში). რაც შეეხება ჩვენ მიერ ნაგარაუდევ ფონეტიკურ პროცესს (ჯდ-ი-ს > ჟ-ი-ს), აქ შეიძლება აქცესიური (ამასთან ქართულში მეტად იშვიათი) ჯდ კომპლექსის სუპერაციის ერთ-ერთი გზა დაეინახოთ<sup>9</sup>.

ჟ-ის ფორმა ნამდვილადაც რომ არქაული იყოს და, მამასადამე, ჟედ- ფუძეში მართლაც ჟ- ძირი და -ედ სუფიქსი გამოიყოფოდეს, -ედ ფორმანტის როგორც ვნებითი გვარის მაწარმოებლის კვალიფიკაცია მინც სადავო დარჩებოდა. -ედ სუფიქსი, თუ ის ვნებითი გვარის მაწარმოებელია, მოქმედებითი გვარის ფუძეს უნდა ერთვოდეს. ჟ-ი-ს ზმნა კი საშუალო გვარისაა და, მამასადამე, ვნებითი გვარის წარმოებას საფუძვლად ვერ დაედებოდა.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: სუფიქსიანი ვნებითი საერთოდ მოქმედებითი გვარის ფუძეს არ ვარაუდობს ამოსავლად. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე იქნება, თუ საკითხს დიაქრონიულ ასპექტში განვიხილავთ. შ ე-წ უ ხ-ნ-ა, შ ე-წ უ ხ-ნ-ე ბ-ი-ს წარმოებისათვის ამოსავალია არა აქტივი ა-წ უ ხ-ნ-ბ-ს, არამედ მედიუმი წ უ ხ-ს. შდრ. კიდეც დ უ მ-ნ-ა და დ უ მ-ს ერთი მხრივ, ა-დ უ მ-ე ბ-ს მეორე მხრივ. ასევე, რომელიმე გ ა ნ-მ დ ი დ რ-დ-ა, გ ა ნ-მ დ ი დ რ-დ-ე ბ-ი-ს წარმოებისათვის ამოსავალია არა მოქმედებითი გვარის ზმნა ა-მ დ ი დ რ-ე ბ-ს, არამედ უშუალოდ სახელი მ დ ი დ ა რ- და ა. შ.<sup>11</sup> თავის მხრივ მოქმედებითი გვარის ფორმები ა-წ უ ხ-ნ-ბ-ს, ა-დ უ მ-ე ბ-ს... კაუზატიურ წარმონაქმნებს წარმოადგენენ და ამოსავლად იმავე საშუალო გვარის ზმნებს (წ უ ხ-ს, დ უ მ-ს), ან სახელთა ფუძეებს (მ დ ი დ ა რ-...) გულისხმობენ.

ამგვარად, გენეტური თვალსაზრისით ა-წ უ ხ-ნ-ბ-ს და შ ე-წ უ ხ-ნ-ე ბ-ი-ს, დ ა-ა-დ უ მ-ა და დ უ მ-ნ-ა, (გ ა ნ)-ა-მ დ ი დ რ-ე ბ-ს და გ ა ნ-მ დ ი დ რ-დ-ე ბ-ი-ს... ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფორმებია. ისინი ერთმანეთისაგან არ გამოიყვანებიან და ერთმანეთზე არ დაიყვანებიან. თითოეული ამ წყვილისათვის ამოსავალია სათანადო მედიალური ზმნა, ან სახელის ფუძე. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ასე იქნება, თუ საკითხს გენეტურ (resp. დიაქრონიულ) ასპექტში განვიხილავთ. სინქრონიულად კი, ძველი ქართულის დონეზე, ზემოთ წარმოდგენილი წყვილები ერთმანეთთან კორელაციურ დამოკიდებულებაში არიან გვარის კატეგორიის მიხედვით, სხვანაირად რომ ვთქვათ, უკვე ძველი ქართულის

<sup>9</sup> იქვე, გვ. 534—536.

<sup>10</sup> შდრ. გ. ა ხ ე ლ დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 334—352. H. V o g t, Structure phonémique du Géorgien, Norsk Tidsskrift for Sprøgvitenskap, B. XVIII, Oslo, 1958, გვ. 39.

<sup>11</sup> გან-ტ-დ-ა, გან-ს-ტ-დ-ა, და-ჰ-ს-ნ-დ-ა ფორმებისათვის შესაბამისი აქტიური ფორმებია ამოსავალი (ტ-ხ-ს, ხ-ე-ს, და-ჰ-ს-ნ-ი-ს). მაგრამ ეს სპორადული მოვლენაა და არ შეიძლება ტ-პ-ურად იქნეს მიჩნეული ვნებითის სუფიქსური წარმოებისათვის.

დონეზე დამოკიდებულება ა-წ უ-ხ-ე ბ-ს — შე-წ უ ხ-ნ-ე ბ-ის, დ-ა-ა-დ უ მ-ა — დ უ მ-ნ-ა, (გ ა ნ)-ა-მ დ ი დ რ-ე ბ-ს — გ ა ნ-მ დ ი დ რ-დ-ე ბ-ის... ფორმათა შორის იგივეა, რაც დამოკიდებულება შემდეგს წყვილებს 'შორის: მო-კ-ლ-ა — მო-ი-კ-ლ-ა, დ-ა-წ ე რ-ა — დ-ა-ი-წ ე რ-ა, ა-დ-ა-ვ-ს-ო — ა-დ-ი-ვ-ს-ო, ა-დ-ა-შ-მ-ნ-ა — ა-დ-ე-შ-მ-ნ-ა და მისთ.

თუ ვ. თოფურიას მოსაზრების თანახმად, მივიღებთ, რომ ჯ-ის ფორმა არქაულია (და არა მეორეული, როგორც ზემოთ ვცდილობდით გვეჩვენებინა), მაშინ ბუნებრივად მიაღწევთ შემდეგ დასკვნამდე: ჯ-ის და ჯ-დ-ე ბ-ის (აორისტი I პირი — დ ა-ვ-ჯ-ე დ) ფორმებს შორის იგივე დამოკიდებულებაა, რაც წ უ ხ-ს და შე-წ უ ხ-ნ-ე ბ-ის (აორისტი I პირი — შე-ე-წ უ ხ-ნ) ფორმებს შორის. მეორე მხრივ ჯ-ის და ა-ჯ-ე ნ-ს ისევე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც წ უ ხ-ს და ა-წ უ ხ-ე ბ-ს. თუ ასეა, მაშინ ა-ჯ-ე ნ-ს — ჯ-დ-ე ბ-ის (ჯ-დ-ე ბ-ა) ისეთივე კორელაციური მიმართება გვარის კატეგორიის მიხედვით, როგორცაა ა-წ უ ხ-ე ბ-ს — შე-წ უ ხ-ნ-ე ბ-ის და მისთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ა-ჯ-ე ნ-ს უპირისპირდება ჯ-დ-ე ბ-ის (resp. ჯ-დ-ე ბ-ა) ფორმას როგორც აქტივი პასივს და, მაშასადამე, -დ (\*-ედ) სუფიქსი ვნებითი გვარის სპეციალური მაწარმოებელია.

მიღებული დასკვნა ერთი შეხედვით სავსებით ლოგიკურია. მიუხედავად ამისა, ისტორიული (გენეტური) თვალსაზრისით, ის მინც უმართებულოა. მართლაც ჯ ე დ- ტიპის ფუძეთა შემადგენლობაში გამოყოფილი -ედ სუფიქსის კვალიფიკაცია ემყარება სინქრონიულ მიმართებებს: ძველი ქართულის დონეზე -ენ, -დ (<\*-ედ) სუფიქსები შე-წ უ ხ-ნ-ე ბ-ის, გან-მდიდრ-დ-ე ბ-ის ტიპის ფორმებში ნამდვილად ვნებითი გვარის ფორმანტებია. ამიტომ რომელსაღე იმერულ დიალექტში ა-ჯ-ენ-ს -- ჯ-დ-ე ბ-ა დაპირისპირება სავსებით კანონზომიერად შეიძლება განვიხილოთ როგორც კორელაცია აქტივსა და პასივს შორის და, შესაბამისად, გამოვეყოთ -დ სუფიქსი როგორც ვნებითის მაწარმოებელი.

მაგრამ დიაქრონიული თვალსაზრისით განხილვისას სურათი იცვლება.

როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, შე-წ უ ხ-ნ-ე ბ-ის, გან-მდიდრ-დ-ე ბ-ის ტიპის ფორმებისათვის ისტორიულად ამოსავალია არა სათანადო აქტიური ფორმები (ა-წ უ ხ-ე ბ-ს, (გან)-ა-მდიდრ-ე ბ-ს), არამედ საშუალო გვარის წმინდები (წ უ ხ-ს...) ან სახელთა ფუძეები (მდიდარ-...); აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა: არამცთუ ჯ ე დ- ტიპის ფუძეებში ნავარაუდევია -ედ სუფიქსი არ იყო წარმოშობით ვნებითის სპეციალური მაწარმოებელი, არამედ თვით შე-წ უ ხ-ნ-ე ბ-ის ტიპის ფორმებში დადასტურებული -ენ, -ედ სუფიქსები ისტორიულად ვნებითი გვარის წარმოებასთან არ უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული<sup>12</sup>.

თუ ეს დასკვნა მართებულია, მაშინ ბუნებრივია დავსვათ კითხვა: რა უნდა ყოფილიყო -ენ, \*-ედ სუფიქსების ადრინდელი ფუნქცია? ფ. ერთელიშვილის სტატიის მიხედვით წარმოადგენილია საინტერესო ცდა პრობლემის გადაწყვეტისა.

ავტორის ჰიპოთეზა ემყარება შემდეგს საგულისხმო ფაქტს: ქართულში (როგორც ძველში, ისე ახალში) დასტურდება მთელი წყება დონიანი ვნებითე-

<sup>12</sup> დაწვრილებით აღარ ეჩერებოდა პ. ბ. ლეონის მეორე მხარეზე, რომელიც ზემოთ მოკლედ იყო განხილული. მხედველობაში ვვაქვს ჯ-ის, ა-ჯ-ენ-ს ტიპის ფორმათა არქაულობის საკითხს. კერძოდ, თუ ჯ-ის < ჯ-ის, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ა-ჯ-ენ-ს < ა-ჯ-დ-ენ-ს (მდრ. ქართლის დასავლური ზონაში (დაბა სურამში) გავრცელებული ა-ჯ-დ-ენ-ე ბ-ს, და-ა-ჯ-დ-ენ-ა და მისთ.). -ედ სუფიქსის შესახებ ჯ ე დ- ტიპის ფუძეებში დამატებით იხ. გ. მაჭავარიანი, ზნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართულურ ვნებში, გვ. 210—211.!

ბისა, რომელთა აორისტი სათანადო საშუალო გვარის ზმნათა ნამყო უწყვეტ-ლისაგან ფორმალურად მხოლოდ პრევერბის დართვით განსხვავდება:

დუღ-ს	დუღ-ღ-ა	ღ-დუღ-ღ-ა <sup>13</sup>
ეჭუ-ს	ეჭუ-ღ-ა	შე-ეჭუ-ღ-ა
უ-ყუ-არ-ს	უ-ყუ-არ-ღ-ა	შე-უ-ყუ-არ-ღ-ა
ა-კლ-ს	ა-კლ-ღ-ა	მო-ა-კლ-ღ-ა
უ-კვ-არ-ს	უ-კვ-არ-ღ-ა	ღა-უ-კვ-არ-ღ-ა <sup>14</sup>

აღნიშნულ ფორმალურ მიმართებათა ანალიზის საფუძველზე ფ. ერთელიშვილი მიღის ნამყო უწყვეტლის -ღ სუფიქსისა და ენებითის -ღ სუფიქსის გენეტური იგივეობის იდეამდე. ავტორის აზრით, -ღ სუფიქსი თავდაპირველად ნამყოობის ფორმანტი იყო. საშუალო გვარის ზმნებში ნამყოს ფუძეზე პრევერბის დართვა უსრული ასპექტის ფორმას სრული ასპექტის მნიშვნელობას ანიჭებდა (უ-ყუ-არ-ღ-ა — შე-უ-ყუ-არ-ღ-ა).

ამ გზით მიღებული სრული ასპექტის ფორმები (შე-უ-ყუ-არ-ღ-ა, მო-ა-კლ-ღ-ა) ენებითად გადააზრიანდა და თანდათანობით დრო-კალოთა სრული სისტემა ჩამოყალიბდა: შე-უ-ყუ-არ-ღ-ა — შე-უ-ყუ-არ-ღ-ებ-ი-ს — შე-უ-ყუ-არ-ღ-ებ-ო-ღ-ა და ა. შ.<sup>15</sup>

ანალოგიური წარმომავლობისაა, ფ. ერთელიშვილის აზრით, -ენ სუფიქსიანი ენებითაც: რომელიმე დუმ-ნ-ა ნამყო დროის უსრული ასპექტის ფორმაა, სადაც -ენ სუფიქსს ისტორიულად ნამყო დროის გამოხატვა ეკისრებოდა. პრევერბის დართვით სრული ასპექტის ფორმა მივიღეთ: და-დუმ-ნ-ა. უფრო გვიან ენებითად გაგებული და-დუმ-ნ-ა ტიპის ფორმათა საფუძველზე ნაკვთა ახალი სისტემა ჩამოყალიბდა: და-დუმ-ნ-ა — და-დუმ-ნ-ებ-ი-ს — და-დუმ-ნ-ებ-ო-ღ-ა და სხვა<sup>16</sup>.

რაც შეეხება ნასახელარ ზმნებს (აღ-მალღ-ღ-ა. გან-მდიღ-ღ-ა და მისთ), ისინი ფ. ერთელიშვილის აზრით შე-უ-ყუ-არ-ღ-ა, მო-ა-კლ-ღ-ა ტიპის ფორმათა ანალოგიით უნდა იყვნენ ჩამოყალიბებული უკვე მას შემდეგ, რაც უკანასკნელთ ენებითი გვარის გაგება შეიძინეს<sup>17</sup>.

წარმოდგენილ ჰიპოთეზას ზოგი სირთულე ახლავს. ავტორი ცდილობს მათს განმარტებას თავისი თეორიის პოზიციებიდან. მაგალითად, ჰ-შუენ-ი-ს ზმნის ნამყო უწყვეტელია ჰ-შუენ-ო-ღ-ა, სრული ასპექტის ფორმა, ფ. ერთელიშვილის ვარაუდის თანახმად, უნდა ყოფილიყო გან-შუენ-ო-ღ-ა, მაგრამ ამ თეორიულად პოსალოდნელი ფორმის ნაცვლად დასტურდება გან-შუენ-ღ-ა. ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ჰ-შუენ-ი-ს ფორმის გვერდით აწმყოს უსუფიქსო ფორმა (\*ჰ-შუენ-ს) აღადგინოს. შესაბამისად უნდა გვექონდეს ნამყო უწყვეტელი \*ჰ-შუენ-ღ-ა და აქედან გან-შუენ-ღ-ა. ამგვარ რეკონსტრუქციებს ავტორი საკმაოდ ფართოდ მიმართავს. მაგალითად, გან-ძუნ-ღ-ა ფორმის მიხედვით ის აღადგენს აწმყოს \*ძუნ-ს და ნამყო უწყვეტლის \*ძუნ-ღ-ა ფორმებს. გან-ცუბრ-ღ-ა ფორმის მიხედვით ის აღადგენს აწმყოს \*ცუბრ-ს და ნამყო უწყვეტლის \*ცუბრ-ღ-ა ფორ-

<sup>13</sup> -ღ და არა -ენ (> -ს) სუფიქსი ფუძესთან, რომელიც ნ, რ, ლ ბგერებით არ ბლოკდება!

<sup>14</sup> ფ. ერთელიშვილი, -ღ II-ს (-ენ) ენებობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის, გვ. 81.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 86—89.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 86.

მებს. შე-ცბუნ-ღ-ა ფორმის მიხედვით — \*ცბუნ-ს და \*ცბუნ-ღ-ა ფორმებს და ა. შ.<sup>18</sup>.

ჩვენი აზრით, ავტორის მიერ რეკონსტრუირებულ ფორმათა მეტი წილის ოდინდელი არსებობა ეკვს იწვევს, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ავტორის შეეძლო გან-ძენ-ღ-ა ტიპის ფორმათა წარმოშობა ვნებითის უკვე ჩამოყალიბებული სუფიქსური წარმოების ანალოგიით აეხსნა, როგორც ის იქცევა. აღ-ფრინ-ღ-ა, შე-ზრუნ-ღ-ა ტიპის ფორმათა ახსნისას<sup>19</sup>.

შეიძლებოდა ეპვი გამოგვეთქვა ღუმ-ნ-ა ტიპის ფორმათა ავტორისეული კვალიფიკაციის გამო: მართლაც, ძველ ქართულში, ისევე როგორც თანამედროვე ქართულში წუხ-ს, ღუმ-ს ტიპის ფორმათა ნამყო უწყვეტლის ოდინარული ფორმებია წუხ-ღ-ა, ღუმ-ღ-ა. საერთოდ ნამყო უწყვეტლის მაწარმოებლად ქართულში, როგორც ცნობილია, -ღ (ზაგრეთვე -ოდ) სუფიქსი ითვლება; -ნ (-ენ) სუფიქსი ამ ფუნქციით არა ჩანს<sup>20</sup>. მაგრამ არც ეს არის გადაულახავი დაბრკოლება. საქმე ის არის, რომ ფ. ერთელიშვილი ცდილობს ვნებითის სუფიქსური წარმოების გენეზისი ქართულის ფარგლებიდან გაუსვლელად გაარკვიოს. სვანურის მონაცემები რომ გაეთვალისწინებინა, იგი შეძლებდა დამატებითი მასალა მოეპოვებინა თავისი დებულების დასამტკიცებლად. როგორც ცნობილია, ნამყო უწყვეტლის წარმოება სვანურში დიდი სირთულითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. კერძოდ, გარდა -ღ სუფიქსისა, რომელიც ამავე ფუნქციით ქართულ და ზანურ სუფიქსებს შეესატყვისება, სვანურს სხვა სუფიქსებიც მოეპოვება, მათ შორის სუფიქსები, რომელთა თანხმონების ნაწილს ნ ელემენტი შეადგენს. შდრ. მაგალითად, ბზ. ხ-ა-ლჷტ „უყვარს“ — ხ-ა-ლტ-ჯნ-ღ-ა „უყვარდა“, ხ-ა-გჷღ „მართებს“ — ხ-ა-გღ-ჯნ-ღ-ა „მართებდა“, ხ-ა-ჩ-ჩა „უხარია“ — ხ-ა-ჩ-ჩნ-ღ-ა „უხაროდა“, ხ-უ-ლჷჷ-ა-ე „აქვს“ — ხ-უ-ლჷჷნ-ღ-ა „აქვინდა“ და სხვა<sup>21</sup>.

თუ დაეუშვებთ, რომ -ნ ელემენტის შემცველი ნამყო უწყვეტელი სვანურში ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქიდან მომდინარეობს, მაშინ არაფერი შეგვიშლის ხელს ამგვარი ნარ-იანი იმპერფექტის არსებობა უძველეს ქართულშიც ვივარაუდოთ. ეს კი ცხადია, დამატებითი არგუმენტი იქნებოდა ფ. ერთელიშვილის ჰიპოთეზის სასარგებლოდ.

მეტიც შეიძლება ითქვას. სვანურის მონაცემთა გათვალისწინება თითქოს არავითარ ეპვს არ ტოვებს, რომ პრობლემის გადაწყვეტა სწორედ იმ მიმართულებით უნდა ვეძიოთ, რა მიმართულებითაც ფ. ერთელიშვილი ეძიებს.

ის, რაც ხსენებულმა მკვლევარმა ივარაუდა ქართულისათვის, გარკვეულ მასთან მეტად არსებით ნაწილში, რეალობაა სვანურისათვის. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია (და ეს დავას არ იწვევს), რომ სვანურს მოეპოვება

<sup>18</sup> იქვე. გვ. 82—85.

<sup>19</sup> თუმცა ავტორი არც აქ გამოიხატავს \*ფრინ-ს—\*ფრინ-ღ-ა, \*ბრუნ-ს—\*ბრუნ-ღ-ა ტიპის ფორმათა არსებობის შესაძლებლობას. იქვე, გვ. 84—85.

<sup>20</sup> ნ. მარი ცდებოდა. როდესაც არ-ნ, ვალ-ნ ტიპის ფორმებში შესაძლებელია სუბ. პირის ნეშანი -ნ ნამყო უწყვეტლის ფორმანტად მიჩნია. იხ. Н. М а р р, Грамматика древне литературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 159. შდრ. არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, რეცენზია ნ. მარის ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკისა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმოძიებელი, I, 1926, გვ. 320—321; მისივე, შესაძლებელია პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართულურ ენებში, ენოქმის მოამბე, V—VI თბილისი, 1940, გვ. 20.

<sup>21</sup> ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 85—86, 256.

აორისტის ერთი მოდელი, რომელიც ნამყო უსრულის ფუძეზე პრევერბის დარჩევით მიიღება. აორისტის წარმოების ეს წესი სწორედ საშუალო გვიანდელ ხანათვის არის ნიშანდობლივი. მაგალითად<sup>22</sup>: ხა-ლტ „უყვარს“ — ხა-ლტ-გნ-და „უყვარდა“ — ლა-ხ-ლატ-გნ-და „შეუყვარდა“, ხა-სდკ „სწყინს“ — ხა-სდკ-გნ-და „სწყინდა“ — ათ-სანტკ-გნ „ეწყინა“, ხა-ჩ-ა „უხარია“ — ხა-ჩ-ონ-და „უხაროდა“ — ათ-ჩ-ონ-და „გაუხარდა“, ხა-ფგნ „სწყურია“ — ხა-ფგნ-და „სწყუროდა“ — ა-ხ-ფგნ-და „მოსწყურდა“, ხ-ო-ხალ „იყის, ჰგონია“ — ხ-ო-ხალ-და „იყოდა, ეგონა“ — ლ-ო-ხ-ხალ-და „ეგონა“, სკურ „ზის“ — სკურ-და „იჭდა“ — ჩუტეს-სკურ-და „დაჭდა“ და მრავალი სხვა<sup>23</sup>.

აქ თითქოს ქართულთან სრული პარალელიზმი დასტურდება. შდრ.

სვან. ხა-ლტ — ხა-ლტ-გნ-და — ლა-ხ-ლატ-გნ-და,

ქართ. უ-ყვარ-ს — უ-ყვარ-და — შე-უყვარ-და.

განსხვავება თითქოს მხოლოდ ის არის, რომ ქართულში შე-უ-ყვარ-და ტიპის აორისტის საფუძველზე აწმყოს წყების ნაკეთებიც იწარმოება — შე-უ-ყვარ-დ-ებ-ი-ს, შე-უ-ყვარ-დ-ებ-ო-დ-ა... სვანურში კი ლა-ხ-ლატ-გნ-და ტიპის აორისტი ასეთ დერივატებს არ იძლევა. მაგრამ ეს სხვაობა არა ჩანს არსებითი. ადვილად შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ სვანური შერჩა იმ საფეხურს, რომელსაც ენ-// -ი-დ (სვან. -ფ, -დ) სუფიქსები ჯერ კიდევ ვნებითის ფორმანტებად არ იყენებ გადააზრინებელი, იმ დროს, როდესაც ქართულში მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ეს განსახილველი ჰიპოთეზის ავტორს წარმოუდგენია.

ჩამგვარად, თითქოს არაფერი არ გვიშლის ხელს გავიზიაროთ ფ. ერთელი-შვილის ვარაუდი ვნებითის -ენ, \*-ედ სუფიქსთა და იმპერფექტის მაწარმოებელთა გენეტური იგივეობის შესახებ.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც, ჩვენი აზრით, გადამწყვეტ დაბრკოლებას უქმნის საანალიზო შეხედულებას.

როგორც გაარკვია ა. შანიძემ, ასპექტის გამოხატვის სისტემა ძველ ქართულში ფუნდამენტალურად განსხვავდებოდა ახალი ქართულის სათანადო სისტემისაგან. ახალ ქართულში სხვაობა უსრულ და სრულ ასპექტს შორის ფორმალურად უპრევერბო და პრევერბიან ფორმათა დაპირისპირებით გამოიხატება: წერ-ს — და-წერ-ს, წერ-ა — და-წერ-ა, უ-წერ-ი-ა — და-უ-წერ-ი-ა... ძველ ქართულში პრევერბი მაპერფექტივებული ელემენტის როლს არ თამაშობდა. ასპექტური შინაარსი უშუალოდ ზმნურ თემებთან (resp. ნაკეთებთან) იყო დაკავშირებული. კერძოდ, დრო-კილოთა პირველი ჯგუფი უსრულ ასპექტს გამოხატავდა, მეორე ჯგუფი — სრულ ასპექტს<sup>24</sup>.

ამ მწყობრ სურათს კორექტივი მხოლოდ ერთ პუნქტში ესაპიროება: არნ. ჩიქობავამ ნათელყო, რომ ხოლმეობითი (პერმანსივი) თავისი ასპექტური შინაარსით დრო-კილოთა პირველ ჯგუფთან ერთიანდება, თუმცა წარმოებით აორისტის ჯგუფს ეკუთვნის<sup>25</sup>. მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარი მაინც ნეგატიური ხასიათის მტკიცებაა: ძველ ქართულში პრევერბს სრული ასპექტის გამოხატვა

<sup>22</sup> მაგალითები ჩვეულებრივ ბალსზემოური კილოდან მოგვყავს.

<sup>23</sup> ი. ბ. ე. თ. ო. უ. რ. ი. ა, სვანურა ენა, გვ. 151—155

<sup>24</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ.

274—284, 333—340.

<sup>25</sup> არნ. ჩიქობავა, ენგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ ენაში, I, ნომინატივი და ენგატიული კონსტრუქციის ისტორიკული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი, 1948.



არ ეყისრება: აღ-აშშნებს ისეთივე აწმყოა, როგორც აშშნებს, უპრევერბო ს-თნ-ღ-ა ისევე გადმოსცემს სრული (resp. მომენტობრივი) ასპექტის შინაარსს, როგორც პრევერბიანი შე-უყუარ-ღ-ა და ა. შ.

თუ ასეა, მაშინ ვერ გავიზიარებთ ფ. ერთელიშვილის ვარაუდს იმის შესახებ, რომ უ-ყუარ-ღ-ა — შე-უ-ყუარ-ღ-ა ტიპის წყვილებში მეორე წევრი მიღებულია პირველისაგან პრევერბის დართვის გზით. ძველ ქართულში პრევერბის დართვა უსრული ასპექტის ფორმას სრული ასპექტისად ვერ გადააქცევდა.

რაც შეეხება სევანურს, აქ სურათი სხვაგვარია. ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით სევანური არსებითად არ განსხვავდება ახალი ქართლისაგან და უპირისპირდება ძველ ქართულს. სევანურში ზმნურ ფორმაზე პრევერბის დართვა უსრული ასპექტის სრული ასპექტით შეცვლას იწვევს. სწორედ ამიტომ ხდება შესაძლებელი რომელიმე ხ-ა-ლტ-ღ-ნ (ნ. უწყვეტ.) ფორმისაგან აორისტის ლ-ს-ლატ-ღ-ნ ფორმის მიღება. მაშასადამე, ხ-ა-ლტ-ღ-ნ — ლ-ა-ხ-ლატ-ღ-ნ ტიპის წყვილები სევანურში პრინციპულად განსხვავდება უ-ყუარ-ღ-ა — შე-უ-ყუარ-ღ-ა ტიპის წყვილებისაგან ძველ ქართულში. სევანურ-ქართული პარალელიზმი ამ შემთხვევაში ილუზორულ ხასიათს ატარებს, რაზედაც სამართლიანად მიუთითა ვ. თოფურიამ ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ<sup>26</sup>.

როგორც ცნობილია, ნამყო უწყვეტლის -ღ სუფიქსის დართვა ფუძის რედუქციას არ იწვევს განსხვავებით ვნებითის \*-ღ სუფიქსისაგან: წერ-ს — წერ-ღ-ა, ტეხ-ს — ტეხ-ღ-ა და სხვა. შდრ. მეორე მხრივ გან-ტყ-ღ-ა < \*ტხ-ღ-ა, სადაც ვნებითის \*-ღ სუფიქსის დართვამ ტეხ-ღ ფუძეზე უკანასკნელის რედუქცია გამოიწვია. ისეთ მაგალითებში, როგორიცაა ჩნ-ღ-ა (აწმყო ჩან-ს), -ღ სუფიქსის დართვას შედეგად ფუძისეული ხმოვნის ამოღება მოსდევს. ეს ფაქტი გვიძღულებს ვივარაუდოთ, რომ ჩნ-ღ-ა აორისტია და არა ნამყო უწყვეტელი. ჩან-ს ზმნის ნამყო უწყვეტლის ფორმა უნდა ყოფილიყო ჩან-ღ-ა, რომელიც არ დასტურდება ძველ ქართულში, მაგრამ რეალიზებულია ახალ ქართულში. თუ ასეა, რა განსხვავებაა ჩნ-ღ-ა ფორმასა და გამო-ჩნ-ღ-ა ფორმას შორის? მხოლოდ ის, რომ ჩნ-ღ-ა უპრევერბოა, ხოლო გამო-ჩნ-ღ-ა პრევერბიანი. ასპექტურ სხვაობას მათ შორის თავდაპირველად არ უნდა ჰქონოდა ადგილი. თუ ძველ ქართულში ჩნ-ღ-ა ფორმა ნოკჯერ შეიძლება უსრული (resp. განგრძობითი) ასპექტის ფორმად გაეიგოთ, ამას გარკვეული მიზეზი აქვს. მართლაც, როგორც უკვე შევნიშნეთ, ჩან-ს ზმნას ძველ ქართულში ნამყო უწყვეტელა არ ეწარმოება. აორისტის ფორმა ჩნ-ღ-ა კისრულობს ნამყო უწყვეტლის ფუნქციას, რასაც ხელს უწყობს ჩან-ს ზმნის სტატიკურ-დიუარატიული შინაარსი. შდრ. ზი-ს — ჯღ-ა, წევ-ს — წე-ა, დგ-ს — დგ-ა, არ-ს — იყო... ჯღ-ა, წე-ა, დგ-ა, იყო... დინამიკურ გარდაუვალ ზმნათა აორისტის ფორმებია (შდრ. აწმყო ჯღ-ებ-ი-ს, წე-ებ-ი-ს, დგ-ებ-ი-ს, ი-ყოფ-ი-ს...), მაგრამ სტატიკური აწმყოს ზეგავლენით დიუარატიული ასპექტის შინაარსი შეიძინეს.

ს-თნ-ავ-ს ზმნის ნამყო უწყვეტელი უნდა ყოფილიყო \*ს-თნ-ვ-იდ-ა, მაგრამ ეს ფორმა არ დასტურდება. სამაგიეროდ, გვხვდება ს-თნ-ღ-ა. თუ ს-თნ-ღ-ა ფორმას გავიგებდით როგორც ნამყო უწყვეტელს, მაშინ უნდა აღგვედგინა აწმყოს ფორმა ს-თნ-ს, რაც ცხადია, გამორიცხულია. ამგვარად, ს-თნ-ღ-ა აორისტია და არა ნამყო უწყვეტელი და, შესაბამისად, ს-თნ-ღ-ა ზმნის -ღ სუფიქსი, ისევე როგორც ჩნ-ღ-ა ზმნის -ღ სუფიქსი არ არის გენეტურად იგივე, რაც ნამყო უწყვეტლის -ღ სუფიქსი.

<sup>26</sup> ვ. თოფურიამ, სევანური ენა, გვ. 162

თუ ეს მსგელობა სწორია, მაშინ მენ-დ-ა, ჰ-რწმ-ენ-ა, ღუმ-ნ-ა, შე-წუხ-ნ-ა... ფორმებში გამოყოფილი -დ-, -ენ სუფიქსები აგრეთვე არ უნდა დაეუქავშიროთ ნამყო უწყვეტლის სათანადო მაწარმოებლებს. ვნებითის -დ არ არის იგივე, რაც ნამყო უწყვეტლის -დ. შესაბამისად, ვნებითის -ენ სუფიქსს არაფერი აქვს საერთო ნამყო უწყვეტლის -ნ ფორმანტან, რომელიც სეანურშია დატული. აქ უბრალო ომონიმიასთან უნდა გვეკონდეს საქმე.

ჭნებითი \* -ედ-, -ენ სუფიქსთა გენეზისის კვლევა ზოგ ანომალურ ფორმათა ანალიზით უნდა დაეწყოთ. ამ ფორმათა ნაწილი ფ. ერთელიშვილის დაკვირვების საგანიც იყო, მაგრამ ჩვენ ვეცდებით საანალიზო ფაქტების სხვაგვარი ინტერპრეტაცია წარმოვადგინოთ.

ჰ-რწამ-ს ზმნის აორისტის ფორმად ძველ ქართულში ჰ-რწმ-ენ-ა გვევლინება<sup>27</sup>. უეჭველია, აქ იგივე -ენ სუფიქსი გვაქვს, რომელიც ღუმ-ნ-ა (ვ-ღუმ-ენ), შე-წუხ-ნ-ა (შე-ვ-წუხ-ენ), და-გლახაკ-ნ-ა (და-ვ-გლახაკ-ენ) ტიპის ფორმებში გამოიყოფა. ფ. ერთელიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ძნელია -ენ სუფიქსის ვნებითი გვარის მაწარმოებლად მიჩნევა ჰ-რწმ-ენ-ა ფორმაში<sup>28</sup>. მაგრამ, რასაკვირველია, აქედან თავისთავად არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ -ენ სუფიქსი ნამყო დროის საწარმოებელი ფორმანტია<sup>29</sup>.

განსახილველი ზმნის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ -ენ სუფიქსით გართულებული ფუძისაგან აწმყოს ნაკეთი არ იწარმოება: გვაქვს ჰ-რწმ-ენ-ა, მაგრამ არა გვაქვს \*ჰ-რწმ-ენ-ებ-ი-ს. შდრ. წუხ-ს — შე-წუხ-ნ-ა — შე-წუხ-ნ-ებ-ი-ს და მისთ.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ -ენ სუფიქსი აქ სრულ გახმოვანებას ინარჩუნებს, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევებში ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას ნულ საფეხურზეა წარმოდგენილი. შდრ. ჰ-რწმ-ენ-ა (და არა \*ჰ-რწმ-ნ-ა), ჰ-რწმ-ენ-ეს (და არა \*ჰ-რწმ-ნ-ეს), მაგრამ ღუმ-ნ-ა, ღუმ-ნ-ე-ს, შე-წუხ-ნ-ა, შე-წუხ-ნ-ე-ს. ეს გარემოება აიძულებს ჰ. ფოტს დასვას კითხვა: ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰ-რწმ-ენ-ა ზმნის -ენ სუფიქსი ისტორიულად გრძელ ხმოვანს შეიცავდა?<sup>30</sup> საკითხის დასმა უთუოდ კანონიერია და საყურადღებო, მაგრამ აქ მისი დეტალურად განხილვა არ იქნებოდა მიზანშეწონილი<sup>31</sup>.

ჰ-რწამ-ს — ჰ-რწმ-ენ-ა ზმნის ანალოგიურია ს-თნ-ავ-ს — ს-თნ-დ-ა. ანალოგია იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაშიც აორისტის ფუძისაგან შესაბამისი აწმყო — \*ს-თნ-დ-ებ-ი-ს არ იწარმოება. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში აორისტის ფუძე აწმყოს ფუძისაგან სპეციალური სუფიქსით (-ენ, -დ) განსხვავდება. ის ფაქტი, რომ სუფიქსი ერთ შემთხვევაში აწმყოს ფუძეს ერთვის (ჰ-რწმ-ს — ჰ-რწმ-ენ-ა), ხოლო მეორე შემთხვევაში — ზმნის წმინდა ფუძეს (ს-თნ-ავ-ს — ს-თნ-დ-ა), არსებითად არაფერს არა ცვლის. ჰ-რწამ-ს ზმნაში აწმყოს ფუძე ზმნის წმინდა ფუძეს ემთხვევა, ამიტომ ორსავე შემთხვევაში უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ სუფიქსი ზმნის წმინდა ფუძეს დაერთვის.

<sup>27</sup> შდრ. ბრძანებითი გ-რწმ-ენ-ი-ნი

<sup>28</sup> ფ. ერთელიშვილი, დასახ. შრ., გვ. 87.

<sup>29</sup> შდრ. იქვე, გვ. 87.

<sup>30</sup> H. V o g l, Suffixes verbaux en Géorgien ancien: Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, B. XIV, Oslo, 1947, გვ. 63.

<sup>31</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხ. თ. გამყრელიძე, გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 261. (რედ.).

შეიძლება დავსვათ კითხვა: შემთხვევითია თუ არა ის გარემოება, რომ ჰ-რწმ-ენ-ა, ს-თნ-დ-ა აორისტის შესაბამისი აწმყო \*ჰ-რწმ-ენ-ებ-ი-ს, \*ს-თნ-დ-ებ-ი-ს არ დასტურდება. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ -ენ // -დ სუფიქსიანი აწმყო ამ ზმნათაგან საერთოდ არ იწარმოება.

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ საქმის ვითარება სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო.

რა მიმართებაში არიან საანალიზო წყვილთა წევრები ერთმანეთთან შინა-არსობრივი თვალსაზრისით?

ჰ-რწამ-ს, ს-თნ-ავ-ს სტატიკური შინაარსის ზმნებია. ეს ზმნები გამოხატავენ არა პროცესს, არა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას, არამედ უცვლელ მდგომარეობას. განსხვავებით აწმყოს ფორმებისაგან, აორისტის ფორმები ონანიტურ შინაარსს გადმოსცემენ: ჰ-რწმ-ენ-ა, ე. ი. „დაეჭრა, და მარწმუნებლად ეჩვენა“, ს-თნ-დ-ა, ე. ი. „მოეწონა“. ეს ბუნებრივად არის: აორისტულობა (resp. წყვეტილობა. მომენტობრიობა) სტატიკურობას გამოირიცხავს. იმისთვის, რომ სტატიკურმა ზმნამ აორისტის ფორმა აწარმოოს, ის (სტატიკური ზმნა) უნდა დინამიკური გახდეს. ჩვენს შემთხვევაში ამგვარი „დინამიზაცია“ სპეციალური სუფიქსების დართვის გზით მიიღწევა.

ამგვარად, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ -ენ, \*-ედ სუფიქსებს ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე „მადინამიკურებელი“ ფორმანტების როლი ეკისრებოდათ. სტატიკურ ზმნათა ერთი ჩვეუი მომენტობრივი ასპექტის ნაკვთებს (აორისტს, მეორე კავშირებითს) მხოლოდ ამ „მავრცობი“ ელემენტების საშუალებით აწარმოებდა. სუფიქსიანი ენებისთვის სათავე აქ არის: -ენ, \*-ედ სუფიქსების საშუალებით ნაწარმოები აორისტის ბაზაზე ქართულში ჩამოყალიბდა დინამიკურ-გარდაუვალი შინაარსის აწმყო და დრო-კილოთა პირველი წყების ნაკვთები: წუხ-ს — შე-წუხ-ნ-ა — შე-წუხ-ნ-ებ-ი-ს და ა. შ.

ამ გზით მიღებული დინამიკურ-გარდაუვალი პარადიგმა დაუპირისპირდა კლასიკურად ნაწარმოებ და, მაშასადამე, გარდამავალი შინაარსის პარადიგმას, როგორც ვნებითი — მოქმედებითი: შე-წუხ-ნ-ებ-ი-ს — შე-წუხ-ნ-ა: ა-წუხ-ებ-ს — შე-ა-წუხ-ა... შდრ. ი-წერ-ებ-ი-ს — და-ი-წერ-ა: (და)-წერ-ს — (და)-წერ-ა...

ენებისთვისა და მოქმედებითის დაპირისპირების ეს მოდელი გამოყენებულ იქნა აგრეთვე ნასახელარ ზმნათა სისტემაში: გან-დიდ-ნ-ებ-ი-ს — გან-დიდ-ნ-ა: ა-დიდ-ებ-ს — (გან)-ა-დიდ-ა...

ამ პროცესს უთუოდ იმანაც შეუწყო ხელი, რომ სტატიკური შინაარსის ზმნათა გარკვეულ ნაწილს სასიარო ფუძეები ჰქონდა სახელბთან<sup>32</sup>.

-ენ, \*-ედ სუფიქსების ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული ინტერპრეტაცია შესაძლებლობას გვაძლევს გავიღეთ ქართული ენის ფარგლებიდან და შესატყვისი სტრუქტურული მოდელი სხვა ქართულურ ენებშიც ვეძიოთ.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ენებისთვის სუფიქსური წარმოება სვანურისთვის უცხოა. მაგრამ თუ სწორია დებულება, რომ -ენ, \*-ედ სუფიქსების აღრიხდელი ფუნქცია ქართულში სტატიკური შინაარსის ზმნათა „დინამიზაციაში“ მდგომარეობდა, მაშინ გვაქვს უფლება ანალოგიური „მადინამიკურებე-

<sup>32</sup> აქ გადმოცემული თვალსაზრისა მოკლედ<sup>1</sup> და სპეციალური დასაბუთების ვარკვე წარმოდგენილი იყო ჩვენს შრომაში „ქართულურ ენათაზმნის სისტემა ისტორიულ-შეჯარებულ ასპექტში“, რომელიც შესრულდა თბილისის უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის სამეცნიერო-საეკლავო მუშაობის გეგმით 1958 წ. შრომა არ გამოქვეყნებულა.

ლი“ ფორმანტების არსებობას სევანურშიც მოველოდეთ. სევანური ენის მონაცემები ამგვარ მოლოდინს ამართლებენ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ლი-ხჷი-ე „შეხვედრა“ ზმნის უღვლილების პარადიგმა. საანალიზოდ ავიღებთ ბალსზემოური და ლაშხური დიალექტის ფორმებს:

ბზ. აწმყო. ხ-ე-ხჷ-ა „ხედება“ (ლშხ. ხ-ე-ხჷ-ი // ხ-ე-ხრ-ო), აორ. ლა-ხჷ-ხჷიდ „შეხვედი“. ლა-ხ-ხჷიდ „შეხვედი“. ლა-ხ-ხჷიდ „შეხვედა“ (ლშხ. ლა-ხ-ხჷიდ-ა)<sup>33</sup>.

შდრ. კიდევ ლშხ. ხ-ა-ხჷიდ-ა „ხედა“.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, აორისტის ფუძე აწმყოს ფუძისაგან -ღ ელემენტით განსხვავდება. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ -ღ ელემენტის აღრინდელი სახე იყო \*-ედ. მასდარისა და თურმეობითის ფორმათა განხილვა გვარწმუნებს, რომ ამ ზმნაში ძირეული ელემენტია ხჷი (პოზიციურად ხ ჟ ა-). მაგალითად: მასდარი, ბზ. ლი-ხჷი-ე, ლშხ. ლი-ხჷა-ე „შეხვედრა“, პირველი თურმეობითი ბზ. ეს-ხჷა-ენ-ა „დახვედრია“, ლშხ. ას-ხჷა-ენ-ა // ას-ხჷ-ენ-ა „დახვედრია“, ლა-ხ-ხჷა-ენ-ა // ლა-ხ-ხჷ-ენ-ა „შეხვედრია“<sup>34</sup>. უნდა ვიფიქროთ, აწმყო ბზ. ხ-ე-ხჷ-ა < \*ხ-ე-ხჷა-ა ძირეულ მორფემად ხ ჟ ი-ღ ელემენტის მიჩნევა შესაძლებლობას გვაძლევს გავანალიზოთ ჩვენთვის საინტერესო ზმნის აორისტის ფუძე: ჩვენი ვარაუდით ხ ჟ ი-ღ- < \*ხჷა-ე-ღ-, შესაბამისად ხჷიდ- < \*ხჷა-ე-ღ-<sup>35</sup>. შდრ. გეზლ-ნრ < \*გეზლ-იჯრ „შვილები“ (გ ე ზ ა ლ „შვილი“) და მისთ.

თუ ეს ანალიზი სწორია, მაშინ ნათელი ხდება, რომ აორისტის ფუძე აქ იწარმოება „მადინამიკურებელი“ \*-ედ სუფიქსის დართვით ზმნის წმინდა ფუძეზე (ხ ჟ ი-ღ) სწორედ ისე, როგორც ძველ ქართულში ს-თნ-ღ-ა იწარმოება თნ-ფუძეზე იმავე \*-ედ სუფიქსის დართვით და ჰ-რწმ-ენ-ა იწარმოება რ წ ა მ-ფუძეზე -ენ სუფიქსის დართვით. სევან. ხ ჟ ი-ღ- ფუძის ზემოთ წარმოდგენილი გენეტური ანალიზის სისწორეს ადასტურებს შედარება სხვა ქართველურ ენებთან. შესაბამისი ზმნის ფუძე ახალ ქართულში გარკვეულ შემთხვევებში უხმოვნოდ გვევლინება: ხედ-ებ-ა, შე-ხედ-ა, შე-ე-ხედ-ი...<sup>36</sup>, მაგრამ სხვა შემთხვევებში წმოვნიან ვარიანტებსაც ვადასტურებთ: შე-ხედ-რ-ა, შე-მ-ხედ-რ-ი-ა... აქედან ჩანს, რომ სრული გახმოვანებით ამ ზმნის ფუძე ქართულშიც არის — ხ ე ე-ღ-ასეთი სრულხმოვანი ვარიანტები განსახილველი ფუძისა ძველ ქართულში სპორადულად იქაც იჩენს თავს, სადაც მათ თეორიულად თითქმის არ მოველით: შე-ჰ-ხუედ-ა, შე-მ-ხუედ-ა და მისთ.

ქართ. ხ ე ე-ღ- ფუძის ზანურში კანონზომიერად შეესატყვისება ხ ვ ა-ღ-ჰან. ქო-მო-ხვად-უ „შეხვედა“, მეგრ. ქჷ-მო-ხვად-უ „მოხვედა“<sup>36</sup>. მეგრულში ხ ვ ა-ღ-ფუძის პარალელურად ხ ვ ა-ღ-ფუძეც დასტურდება: ხვალ-ამ-ა, ღო-ხვალ-ამ-ა „შეხვედრა, დახვედრა“<sup>37</sup>. ხ ვ ა-ღ- და ხ ვ ა-ღ- ფუძეთა შეპირისპირებით ირკვევა, რომ -ად და -ალ სუფიქსებია, ხოლო ძირეულ ელემენტად ზე-

<sup>33</sup> ე. თ. ო. ფ. რ. ი. ა., სევანური ენა, გვ. 163—164.

<sup>34</sup> თურმეობითის ლაშხური ფორმები მოგვეყვას ალ. ონიანის ჩვენების მიხედვით.

<sup>35</sup> აორისტის შესაბამე პირის ფორმებში ფუძისეული (resp. სუფიქსისეული) ხმოვნის დაგრძელება სევანურ წინათა ერთი ქვედა თარგმანებას შეადგენს.

<sup>36</sup> არს. ჩ. ი. ქ. ბ. ა. ვ. ა., კანონ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 424.

<sup>37</sup> И. К и п ш и д з е, Грамматика мнигрельского (иберкско) языка, СПб., 1914, გვ. 401.

რჩება. ეს კი თავის მხრივ შესაძლებლობას გვაძლევს ქართული ხუეღ-ფუძეც დავშალოთ და მის შემადგენლობაში ხუ- ძირი და -ედ სუფიქსი გამოვყოთ<sup>38</sup>. ახლა, თუ ქართ. ხუ-ელ- და ზან. ხუ-ად- ფუძეს შინაგანი რეკონსტრუქციის გზით მიღებული სვან. \*ხუჲ-ელ- ფუძეს შევედარებთ, ვნახავთ, რომ სუფიქსურ ნაწილში სრულ შესატყვისობას აქვს ადგილი: ქართ. -ელ: ზან. -ად: სვან. \*-ელ (ს. -ქართველ. \*-ელ). რაც შეეხება ძირეულ ნაწილს, იქ სვანურს „ზელმეტი“ ჯ მოეპოვება. საკითხი მარტივად გადაწყდება, თუ ვივარაუდებთ, რომ ჯ ქართულ-ზანურშიც გვექონდა და დაიკარგა. ეს მით უფრო ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ხუჲ- (resp. ხუჲ-ჲ) ძირი სვანურშიც მარტივდება სწორედ ჯ'ს მოკვეცის გამო: ბზ. ხე-ხუჲ-ა < \*ხე-ხუჲ-ა „ხვდება“, ლზხ. ას-ხუჲ-ენ-ა < ას-ხუჲ-ენ-ა „დახვედრია“ და მისთ.

თუ ჩატარებული ანალიზი სწორია, მაშინ ჩვენთვის საინტერესო ფუძის საერთო-ქართველური არქეტიპი ამ სახით უნდა წარმოვადგინოთ: \*ხუჲ-ელ<sup>39</sup>.

მაგრამ დრო-კილოთა რომელი წყების ფუძე უნდა ყოფილიყო ეს აღდგენილი \*ხუჲ-ელ- საერთო-ქართველურ დონეზე? სვანურის მონაცემებით ირკვევა, რომ ეს უნდა ყოფილიყო აორისტის ფუძე. აწმყოს ფუძე \*-ელ სუფიქსით არ იყო გაფორმებული. ქართულმა და ზანურმა \*-ელ (ზან. -ად) სუფიქსი ამ ზმნის სხვა ნაკეთებზეც გაავრცელეს. მეგრულში მინც შემოგვენახა ამ მდგომარეობის კვალი, როდესაც \*-ელ (ზან. -ად) სუფიქსი ამ ზმნის ფუძეს მთელ პარადიგმაში არ გასდევდა. ამას ადასტურებს ხე-ალ- ფუძის არსებობა. უნდა ვიფიქროთ, მეგრ. ხე-ალ- წარმოშობით არის აწმყოს ისეთივე გავრცობილი ფუძე, როგორსაც დიალექტურად სვანურშიც ვხვდებით: ლაშხურში აწმყოს ხე-ხუჲ-ი ფორმის პარალელურად ხე-ხოლ-ი ფორმაც მოგვეპოვება.

ქართულში \*-ელ სუფიქსი მთლიანად შეუხორცდა ძირეულ მორფემას, ხოლო თვით „შეხვედრა“ ზმნა ე. წ. „უნიშნო ვნებითა“ კლასში გადაირიცხა: ჰ-ხუღ-ებ-ი-ის — შე-ჰ-ხუღ-ა, როგორც ტფ-ებ-ი-ის — გან-ტფ-ა, კმ-ებ-ი-ის — გან-კმ-ა...

ამგვარად, აორისტის წარმოების თავისებური ტიპი, რომელიც ხასიათდება ძირეულ მორფემაზე „მადინამიკურებელი“ -ელ (resp. -ენ) სუფიქსის დართვით, არის არა მხოლოდ ქართული მოვლენა, არამედ სტრუქტურული მოდელი. რომლის არსებობა უკვე საერთო-ქართველურ დონეზე შეიძლება ვივარაუდოთ.

როგორც ენობილია, სტატიკური შინაარსის ზმნა ჩვეულებრივ გარდაუვალია. აქამდე ჩვენ მხოლოდ გარდაუვალ ზმნებთან გვექონდა საქმე. მაგრამ არს. ჩიქობავამ საესებით დამაჯერებლად აჩვენა, რომ პრინციპში გარდამავალი ზმნაც შეიძლება იყოს სტატიკური. სტატიკური გარდამავალი ზმნის კლასიკური ნიმუშებია თუ ასთული ი-ც-ი-ის და უ-წყ-ი-ის ზმნები<sup>40</sup>.

თუ ასეა, გამოირჩეული არ არის შესაძლებლობა აორისტის -ენ, \*-ელ სუფიქსიანი წარმოება გარდამავალ ზმნებთანაც დავადასტუროთ.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ვ-ი-ც-ი ზმნის აორისტის ფორმად ვ-ც-ან გვევლინება (მესამე პირი ცნ-ა). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს -ან ელემენტი წარმოშობით იგივე „მადინამიკურებელი“ სუ-

<sup>38</sup> შლრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, 'შედარებითი' ლექსიკონი, გვ. 424.

<sup>39</sup> შლრ. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტო ქართველურ ენებში, გვ. 258—260. (რედ.).

<sup>40</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, 'ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში' გვ. 109.

ფიქსია, რომელიც სხვა შემთხვევაში -ენ ვარიანტის სახით დასტურდება<sup>41</sup>. ე- და ა ხმოვნების მონაცვლეობა ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში საკმაოდ ტიპური ქართულისათვის და საერთოდ ქართველური ენებისათვის. უფრო გვიანდელ საფეხურზე ც ა ნ- ფუძის ბაზაზე ხელახლა იწარმოება აწმყო, უკვე დინამიკური შინაარსისა: ვ-ცნ-ობ. შღრ. ვ-წუხ — შე-ვწუხ-ენ — შე-ვ-წუხ-ნ-ებ-ი. ქართული ც ა ნ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისი ჩ ი ნ- ზანურშიც მოიპოვება: ქან. ი-ჩინ-უ, მეგრ. ქი-ჩინ-უ „იენო“<sup>42</sup>. მარტივფუქიანი ვ-ი-ცი ზმნის შესატყვისი ფორმების დაკარგვის გამო ზანურში სუფიქსი მორფემას შეეზარდა<sup>43</sup>. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაშიც -ან სუფიქსიანი აორისტის წარმოება ქართულის ფარგლებს სცილდება და ყოველ შემთხვევაში ქართულ-ზანურ ერთიანობის პერიოდს მიეკუთვნება.

უფრო საინტერესო სურათს იძლევა ვ-ი-ქმ ზმნის უღვლილება. ქართ. ვ-ი-ქმ ზმნას აწმყოში ზუსტი შესატყვისები მოეპოვება ყველა ქართველურ ენაში.

ქართ. ვ-ი-ქმ (დიალექტ. ვ-ი-ქამ): ქან. ბ-ი-ქომ: მეგრ. ვ-ი-ქუნ-ქ (< \*ვ-ი-ქუმ-ქ), სვან. ხჷ-ი-ჩო (< \*ხჷ-ი-ჩომ).

აორისტს ეს ზმნა ძველ ქართულში -ენ სუფიქსის დართვით აწარმოებს: ვ-ქმ-ენ (მესამე პირი ქმ-ნ-ა). ესეც შესატყვისს პოვებს მეგრულსა და სვანურში<sup>44</sup>: მეგრ. ფ-ქიმ-ინ-ი (მესამე პირი ქიმ-ინ-უ), სვან. ბჷ. ჩჷემ-ნ (მესამე პირი ჩჷემ-ინ, ლშხ. ჩომ-ინ).

უეჭველია, სამივე ქართველური დიალექტის ერთობლივი ჩვენება იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აქაც დიდი სიძველის მოვლენასთან გვაქვს საქმე<sup>45</sup>.

„მადინამიკურებელი“ - ელ. -ენ სუფიქსებით ნაწარმოები აორისტის არსებობა ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ხანაში დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს.

დასასრულს, უნდა დავემატოთ შემდეგი: ეს ჰიპოთეზა, თუ მას გაეიზიარებთ, შეგვეძლო ზანურის მონაცემთა გასაშუქებლად გამოგვეყენებინა. მართალია, სუფიქსიანი ენებითი ზანურში ისე ფართოდ არ არის გავრცელებული, როგორც ქართულში, მაგრამ ის მაინც გარკვეულ გამოყენებას პოვებს ამ ენაში, ჩვეულებრივ ზმნათა იმავე კლასებში, რომლებსთვისაც ქართულში ენებითის სწორედ ეს ტიპია დამახასიათებელი.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ენებითის სუფიქსური წარმოება ზანურს ქართულიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული<sup>46</sup>. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ღონიან წარმონაქმნებს ზანურში ამჟამად არაქაული ელფერი აქვთ<sup>47</sup>. ზოგჯერ ხერხდება ფონეტიკური შესა-

<sup>41</sup> შღრ. ჯ. ჯ ა ზ ვ ა რ ი ა ნ ი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში ოსუ შრომები, 1958, გვ. 69.

<sup>42</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შელარებითი ლექსიკონი, გვ. 376—377.]

<sup>43</sup> შღრ. \* ხ ზ ა - ე ლ - ფუძის ევოლუცია ქართულ-ზანურში.

<sup>44</sup> ჰანურში ეს ფუძე აორისტის ფორმებში საერთოდ არ დასტურდება, რაც მეორეულ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული.

<sup>45</sup> თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჰ ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაღტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 260. (რედ.).

<sup>46</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 114.

<sup>47</sup> შღრ. მეგრ. ჯო-ქოთონ-ღუ გწიოლდა ქან. დო-შქურ-ღ-უ, მეგრ. დო-შქურ-ინ-ღ-უ „და-შინდა, შეშინდა“ და სხვა.

ტყვისობის დადგენა ამა თუ იმ ზანურ დონიან პასივსა და შესაბამის ქართულ ფორმას შორის. მაგალითად, მეგრ. დო-მ-ო-კორ-დ-უ — ქართ. და-მ-ა-კლ-დ-ა<sup>48</sup>. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს საკითხი სხვაგვარად დავყენოთ.

ენებითი სუფიქსური ტიპი ქართულიდან არ უნდა იყოს შეთვისებული ზანურის მიერ<sup>49</sup>.

ენებითი წარმოების ამ სისტემის ჩამოყალიბება (სათანადო საერთო-ქართველური მოდელის საფუძველზე)<sup>50</sup> უნდა დაწყებულიყო ჯერ კიდევ იმ ეპოქაში, როდესაც ქართულ და ზანურ დიალექტურ არეალებს შორის არსებობას განაგრძობდა მკიდრო კავშირი, ხოლო სვანური უკვე განკერძოებული განვითარების გზაზე იყო დამდგარი<sup>51</sup>. დონიანი ენებითი არის იზოგლოსა, რომელიც აერთიანებს ქართულსა და ზანურს. ეს არის საერთო სიახლე, რომლითაც ეს ორივე ქართველური დიალექტი უპირისპირდება მესამეს — სვანურს. უკანასკნელი ამ თვალსაზრისით არქაულ ვითარებას ინარჩუნებს. მას შემდეგ, რაც გაწყდა მკიდრო კონტაქტი ქართულსა და ზანურს შორის, ქართულში ენებითი სუფიქსურმა წარმოებამ ფართოდ გაიკაფა გზა და რეგულარულ, მასთან უაღრესად პროლუქტულ სისტემად ჩამოყალიბდა. ეს პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო ძველ ქართულში. როგორც დამაჩვენებლად აჩვენა ლ. ნოზაძემ, დონიანი ენებითი ხვედრი წონა ახალ სალიტერატურო ქართულში მნიშვნელოვნად გაიზარდა ძველ ქართულთან შედარებით<sup>52</sup>.

<sup>48</sup> შტრ. სტატ. აწმყო: ძვ. ქართ. ა-კლ-ს, ზან-მეგრ. ო-კო-(ნ) < ო-კორ-ნ (ნ. უწყვეტ-ო-კო-დ-უ) (ო-კორ-დ-უ) „უნდა“ (ეტიმოლოგიურად „სპირიტუზა“).<sup>5</sup>

<sup>49</sup> გ. მაქავარიანისაგან დამოუკიდებლად იმავე დასკვნამდე მივიღა „ქ. და ნ. დ. ი. ა.“ 1969 წლის 17 დეკემბერს ძველი ქართული ენის კათედრის საქარო სტრუქტურული წესდების მიხედვით: ენებითი დგარის წარმოებისათვის კოლხურში, გვ. 14—15. მოსვენება იმეპყდება წ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომების მე-13 ტომში. ავტორის დასკვნა შედგება: კოლხურის დ. სტრუქტურული საერთო უნდა იყოს ქართულთან. ამას გვაფიქრებინებს ორი გარემოება: 1. იმ ძალზე მკერძოვანი ზმნებში, რომელთაც კოლხურში ენებითი დონით ეწოდება, ზოგჯერ ქართულთან საერთო ფუძე წარმოადგენს, მაგრამ ქართულში ენებითი დონით ისინი არ არის. მაგალითად, მეგრ. შტრ-დ-უ-(ნ): ქართ. შტრ-დ-უ-(ნ) (აღივლება). დონ-დ-უ-(ნ): დონ-დ-უ-(ნ) (აღივლება); ქან. მო-მ-წონ-დ-უ-(ნ): ქართ. მო-მ-წონ-ს. ბ. კოლხურში დონით ეწოდება ისეთ ზმნებს ეწოდებათ, რომლებიც უძველესი ხმარებისა და კანონზომიერად სასცელელი ქართულთან მიმართებით: მეგრ. თან-დ-უ-(ნ), ქან. თან-დ-უ-(ნ): ქართ. თან-დ-უ-(ნ); მეგრ. შინ-დ-უ-(ნ): ქართ. სინ-დ-უ-(ნ). ქანურში უფრო შეზღუდულია დონის მხარდა. შტრ. მეგრ. ეპოთონ-დ-უ-(ნ) „წარდებო“, ქან. ეპოთონ-დ-უ-(ნ) (ეპოთონ-დ-უ-(ნ)). მეგრულს მეტი დონიანი ფორმები შერჩა: შინ-დ-უ-(ნ) „სივდება“, თან-დ-უ-(ნ) (შტრ. ქან. თან-დ-უ-(ნ)), ჩრ-დ-უ-(ნ) „ჩრდება“, სე-დ-უ-(ნ) „სედება“. ეპოთონ-დ-უ-(ნ) „ეპოთდება“ (შტრ. ქან. ეპოთონ-დ-უ-(ნ)), ჩონ-დ-უ-(ნ) „ჩონდება“, „სედება“, „გოსოსონ-დ-უ-(ნ)“. გოპოთონ-დ-უ „ძლიერ გაბრაზდა“ (შტრ. გურ. „გაპოპოლია გულზე“), გოპოთონ-დ-უ „ძლიერ გასმა, გასიხინდა“. ლოფეიან-დ-უ „გაიბერა, გაფიქტება“. გუსეიონ-დ-უ (თოლენე) „გაუბრაყინდა“ (თვლები), გოლფეიონ-დ-უ „მოიღუპა, გაბრაზდა“. გოპოპოთონ-დ-უ „თმა გაუხუცდა დაუდგა (შეშისაგან)“. შტრ. არს. ჩი ქო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 114. (რუს.).

<sup>50</sup> იხ. ზემოთ.

<sup>51</sup> შტრ. G. Deeters. Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.

<sup>52</sup> Л. М. Нозадзе, О взаимоотношении прификсального и суффиксального образования глагола страдательного залога в грузинском языке (სავანდობო დონეტიკის ავტორეფრატი), Тбилиში, 1956. გვ. 8—9; მისივე პრეფიქსული და სუფიქსული ენებითი ურთიერთობისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის ანალიზი, ტ. II, თბილისი, 1961, გვ. 63—68.

ზანური თვით ძველ ქართულთან შედარებითაც განვითარების ადრინდელ საფეხურს შერჩა და ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილო იქნეს როგორც გარდამავალი რგოლი ქართულსა და სვანურს შორის.

შეიძლება დავასკვნათ:

ენებითის მაწარმოებელი სუფიქსები (-ენ, \*-ედ) წარმოშობით საერთო-ქართველური მორფოლოგიური სტრუქტურის ელემენტებს წარმოადგენენ. საერთო-ქართველურ დონეზე ამ ელემენტებს „მადინამიკურებელი“ აფიქსების როლი ეკისრებოდათ: -ენ (resp. \*-ედ) სუფიქსის დართვით შესაძლებელი ხდებოდა „სტატიკურ-დიურატიული“ შინაარსის ზმნურ ფუქეთაგან „დინამიკურ-მომენტობრივი“ შინაარსის ნაკვეთების (პირველ რიგში აორისტის) მიღება. უფრო გვიან ამ წესით ნაწარმოები აორისტის ბაზაზე ქართულსა და ზანურში ჩამოყალიბდა დინამიკურ-გარდაუვალი შინაარსის აწმყო და დრო-კილოთა პირველი სერიის სხვა ნაკვეთები. ეს ახალი დინამიკურ-გარდაუვალი პარადიგმა დაუპირისპირდა კალხატიური წარმოშობის (გარდამავალი შინაარსის) პარადიგმას, როგორც ენებითი — მოქმედებითის.

ენებითისა და მოქმედებითის დაპირისპირების ეს მოდელი ქართულში (ნაწილობრივ ზანურში) გამოყენებულ იქნა აგრეთვე ნასახელარ ზმნათა სისტემაში.

Г. И. МАЧАВАРИАНИ

## К ВОПРОСУ О ГЕНЕЗИСЕ СУФФИКСАЛЬНОГО ТИПА СТРАДАТЕЛЬНОГО ЗАЛОГА В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

### Резюме

Возникновение суффиксального пассива относится к периоду после распада картвельского языкового единства, точнее, к эпохе после обособления чанского языка. Тем не менее можно утверждать, что суффиксы пассива унаследованы от общекартвельской эпохи. На общекартвельском уровне эти суффиксы выполняли функцию «динамизирующих» элементов, с помощью которых статические глаголы определенной категории образовывали формы аориста. На базе аористных форм на \*-en//ed в грузинском и занском возникли формы настоящего времени с непереходным динамическим значением. Эти формы стали восприниматься как пассивные в противопоставление каузативным образованиям типа груз.: a-dum-eb-s «заставляет молчать».

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა)



ეთერ მახარობლიშვილი

ქახურის ზოგიერთი თავისებურება ყვარლის  
მეტყველების მიხედვით

ყვარლის რაიონი კახეთის შუაგულშია. რაიონის უძველესი მოსახლეობა ადგილობრივი, კახელებია. არიან აგრეთვე შემდეგში ჩამოსახლებული რაქველები, იმერლები და ფშაველები, ხოლო არაქართველთაგან — ოსები და უღები. ყველა ამათი მეტყველება კახური კილოს მძლავრ გავლენას განიცდის. წარმოდგენილ ენობრივ თავისებურებათა ანალიზი ემყარება ჩვენ მიერ ადგილობრივ (ყვარლის რაიონის სხვადასხვა სოფელში) ჩაწერილი ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალების ანალიზს, აგრეთვე მეტყველებაზე ყოველდღიური უშუალო დაკვირვების შედეგებს.

**ფ ო ნ ე ტ ი კ ა.** სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ყვარლის მეტყველებაში არსებითი, რასაკვირველია, არაფერია, მაგრამ შეიმჩნევა კ, ზ და ჭ ბგერების ხმარება (უპირატესად ძველი თაობის მეტყველებაში).

კ თანხმოვანი თითქმის იმგვარადვე იხმარება, როგორც ძველ ქართულში გარკვეულ ფუძეებში ან სათანადო ბგერათმომდევრობის დროს<sup>1</sup>: კელით ეაზნე თესლ. ოქროჲ კელი ჯქონდა. კელნა ჯქეია ტაქკი უბეებ. ქელიძაფი სხვილია. როცა ფეკებით მოდის (ე. ი. უკულმა იზადება) კბორი, მამიბრუნებია, მიშეელნია. კორცი ხინკალ ეუკეთებდიკე მუშებ. კარები გეყვანდა ბევრი. კარებობა დღეობაა. ქეეგალმა თიხაა. ოკერტიალი წლები იყო. კარგ საქონელ საქრე არ უნდა.

ა გვხვდება სახელებშიც და ზმნებშიც. ერთ შემთხვევაში ის ღუძის ხმოვნისა და ბრუნვის ნიშნის შეხვედრის დროს დიფთონგის დასუსტების შედეგია, სხვა შემთხვევაში კი ს და ჰ თანხმოვანთა ბგერის ნაცვალი, როცა ს პირის ნიშანია (ისევე, როგორც კ) ან ბრუნვის აღმნიშვნელი, ან კიდევ ფუძისეული კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. ანალოგიურ შემთხვევაშია ჯ ქიზიყურშიც<sup>2</sup>.

ამგვარად, ყვარლის მეტყველებაში ჯ არის შემდეგ კონტექსტებში: თანჯარაჲ მოაჯღდა. ლობეჲ აკეთებს. ხეჲ მოაჯრის. მიწაჲ მოაჯნავს. წყაროჲთან მივიდა. იმაჲ ახარა. ოქროჲ კელი ჯქონდა. წყაროჲ წყალი დააღვეინა. ვენახ შაჯონავს, როდის მოაწამლაჲ ვენახ? ლაჲტი (ლასტი), მეჲტი, კომბოჲტი, ბოჲტიანი, ნაჲწავლი, საჲწორი, კრიჲტეშობითვე...

შედარებით უფრო იშვიათია ჭ ბგერის ხმარება. ის გვხვდება სალიტერატურო ენის ვ თანხმოვნის ნაცვლად: ჩჭრით (მჩერით) ამოეწურათ ქვეკერში დარჩენილ წყალ. მასკუღავი, კუღავ (გაისად), შარჭალო, ლჭია (ღვია)...

<sup>1</sup> ე. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, კ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, 1927, გვ. 175.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავაჲ, ხ ბგერის დასუსტება ქიზიყურში: ენიქის მოამბე, I, 1937, გვ. 66—77.

ყვარლის მეტყველებაზე დიდია სალიტერატურო ენის გავლენა, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში მაინც საკმარისად შეინიშნება ბგერათცვალებადობის სხვადასხვა შემთხვევა. დავიწყოთ ბგერათა დაკარგვის დახასიათებით. იკარგება მ და გვაქვს: სხალი, ტკველი, ტვერი, სხილი, რგვალი, ჩატე, ჩტარი, ტკივანა, სხმოიარე, ხრივა (მხრივ-ა), ქონიარე, ყრალა, ცურავი, ქავანა... დაკარგულია ვ თანხმოვანი სიტყვებში: ამლელ-ჩამლელი, გირგეინი, ნაწლები, მზითი... სხვადასხვა პოზიციაში იკარგება აგრეთვე ნ სონორი: მაქალობა, მეჭი, ჩიჩაყვი, საქალმე. ხშირია რ და განსაკუთრებით ს ბგერათა დაკარგვის ფაქტები: ტაქანი, ტვირი, ტუმარი, წორე, მამწრე, იმითეინ, ნიკარტი, მასკულავი, ბილი, ჩილილი, ფჩნილი, იზღება...

რაც შეეხება ხმოვნებს, მათი დაკარგვა ემორჩილება რედუქციის ცნობილ წესს და გვაქვს: საქალმე, საარყე. სატრე... არის რამდენადმე თავისებური შემთხვევებიც, როცა ხმოვნის დაკარგვა ამგვარი მიზეზით არ აიხსნება: ფეხშველა (—ფეხშიშველა), ცარელა (—ცარიელა), სვის (—სვიის), აკოკლება (—აკოკლ(ა)ება).

ყვარლის რაიონის მეტყველებაში ჩვეულებრივია ბგერის განვითარებაც, განსაკუთრებით სონანტებისა და ხშული თანხმოვნებისა, აგრეთვე უკანანისმიერთა ჩართვა: განვითარებულია მ, ნ, რ, ლ, ვ, ს: გოგრამბალი, მბალი, მქკდე (—ქდე), ამზნევეს, მწყნარი, უმწყალო, მგლოვნა, მხევეანი (—ხეივანი), მხსნილი, ნამლელა, მშველი, მჩვილი, მცხედარი, მტქვიტი...

ხშულ თანხმოვანთა წინ, როგორც ცნობილია, ხშვის გადალაგვის გასაადვილებლად ვითარდება ნაზალური ნ და გვაქვს: ანგრემც, ჭიანყელა, ბრუნდე, ლინცლინცრ... სალიტერატურო ენის შესაბამის მაგალითებთან შედარებით მეტია ლ: სათამაშლო, თქვლეფს, ბლეყვა, უარესლივ (უარესად), უკეთესლივ<sup>3</sup> (უკეთესად), შაბროწლებული (შებრაწული). ასევე მეტია დღევანდელ სალიტერატურო ფორმებთან შედარებით ვ: ტყევია, შერივა, არ ვარგვა (არ ვარგა), დამყარება (დამყარება), ყვარტლიანი და ა. შ.

ზემოთ აღნიშნავდით, რომ რიგ სიტყვაში დაკარგულია რ და ს. ამის საპირისპიროდ ეს ბგერები სხვაგან განვითარებულია: დრინჯი<sup>4</sup>, აფთრიაქი, აბლარტუნებს, ბოღლორწო, ბღლერძვა, ფარიფური (ფაიფური), სკინკილი (კინკილი), სანესტარი (სანეტარი), სპასპორტი.

საინტერესოა ამასთან ერთად აგრეთვე კ, ქ, ლ უკანანისმიერთა გაჩენა და ვარკვეული მიმდევრობის კომპლექსთა წარმოქმნა: დონდღლე (დონდლო), ცქრუნვა, თქვლემავეს (თელემს), წყნევა (წნევა), ქკდე.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ხმოვანთა განვითარებაც თანხმოვანთა კომპლექსების გასაყარად. ვითარდება ი: ზიმარტლი, ჩირჩილი, თირთვილი; უ: ღრუმა, ბრუმა. უკანასკნელი ფორმები სხვა დიალექტებშიც არის (ხევესურული, ინგილოური).

ყვარლის მეტყველებაში შესამჩნევია აგრეთვე ბგერის გადასმის შემთხვევები. ეს ეხება ვ, რ, ლ ბგერათა მეზობლობას, ზოგჯერ აგრეთვე მთელ მარცვალსაც: ძრიელი, ცარიელი (ცარიელმა თითმთა პირი გამამთინთლაო. — ანდა-

<sup>3</sup> ეს უკანასკნელი გვხვდება მთიულურშიც: ლ. კ ა ი შ ა უ რ ი, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, 1967, გვ. 10.

<sup>4</sup> ლადასტურებული აქვს აგრეთვე გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე ს: კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით: იკე, ტ. XV, 1955, გვ. 106.

ზა), ათვარიელებს, აუქვარებს (ე. ი. აუწვევს ტვირთს, შეუმსუბუქებს), გული აუყუჩდა, მუცელი მირუყრუყვებს... ცალკეული შემთხვევებიდან საინტერესოა ასევე: რღმა, რემლი, სქუნთვა (←სუნთქვა), ფხურთი (←ფურთხი), აბჰყკრია-ლებს და ა. შ.

როგორც სხვა დიალექტურ მეტყველებაში, ყვარლის სოფლებშიც ხშირია ბგერათჩანაცვლების შემთხვევები: კბილბაგისმიერი ვინი იცვლება მანით<sup>5</sup>: მი-თომ, მასკულავი, მზითები... საინტერესოა ვ-ს ადგილზე რ-ს გამოვლენა: მართული (←მავთული). გვაქვს ასევე მ//ნ საურთიერთო მონაცვლეობა: მაგრანა (მაგრამ), რონა (რომ), რანამ (რანან), კუკუმეთი (უკუნეთი); ლ//ნ: სრონა, საწენე; რ//ლ: როქი (←ლოქი←ლექი), რამისაა (ლამის არაა), ზოლტი, ბწყალი. გვხვდება აგრეთვე წინაენისმიერ-ბაგისმიერთა და უკანაენისმიერ ხშულთა მონაცვლეობის ფაქტები: გუნება: გამჩენ გუნებასა ვთხოვ; დექტარი (←გექტარი „ქექტარი“), დადრეცა (←დაბრეცა), კაჰკა (რუს. „ტაჩკა“), ეანლი (←ქანგი); ლოჰი, ღრიფი (←გრიპი). კენჭი-ქენჭი: ქენჭი ყრამი არ შამხვდა მწავლა.

კახურ მეტყველებაში საერთოდ არის შენიშნული ე//ჯ მონაცვლეობა<sup>6</sup>. დასტურდება იგი ყვარლის მეტყველებაშიც: ეონეოლი, ინჯირლები. ხშირია უკანაენისმიერთა ურთიერთმონაცვლეობა: ყოჩივარდა→კოჩივარდა→კოკივარდა; ციკნიყურა→ციყნიყურა (მხალია ერთგვარი).

ხმოვან და თანხმოვან ბგერათა შენაცვლება ფართოდ არის გავრცელებული ხმაბაძვითსა და ექსპრესიული რიგის სიტყვებში: წეწკვა//ძეძკვა, ჩაქჩაქი//ჩაქჩაკი, ამოტარტლური//ამოყარტლური, აჩაჩული//აჩაჩული, ღვინოს აყლურწუნებს//აყლარწუნებს... მაგრამ ეს მარტო კახურის თავისებურება არაა და აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

ყვარლის მეტყველებაში და საერთოდ კახურში ისე სისტემებ არაა გატარებული ვა, ვე კომპლექსთა ცვლილება, როგორც მთის კილოებში, მაგრამ მაინც საკმაოდ შეინიშნება მათ ადგილას ო-ს გამოვლენა, რაშიც კბილბაგისმიერი თანხმოვნის პროგრესული ასიმილაციური მოქმედება არის ნაყარადღევი<sup>7</sup>: თუ რამე სო<sup>8</sup> და ქმა. დიდი ქობი გამოიტა (პარალელურად გვხვდება ქვობიც). ნუ დაიჭრებ სხვითა ნათქმისა. გაღვივდა ნაყორჩხალი. იშვიათად ვი→უ: საკურველი; ნუ გაისაკურველბთ!

მეორე მხრივ, ო და უ ხმოვნების ნაცვლად გვაქვს ვა, ვი და ვე კომპლექსთა გამოყენების შემთხვევებიც: ფეშხვა, ჰიგვა, ბებრიყვანკვა, ქვენვა (←ქონვა), მძღველი, სვისტი (სუსტი), დასვისტებული.

ყვარლის სოფლების მეტყველებაში ცალკეულ სიტყვებში შესამჩნევია ბგერათა გამჟღერებისა და დაყრუების მოვლენები. ბგერათა ცვლილების ეს სახეები ან სპონტანურია, ან უფრო ხშირად გარკვეული პოზიციით არის განპირობებული. ქვემოთ გაანალიზებულ მაგალითებში ყრუ ფშინიერიცა და აბრუპტივთა გამჟღერება ერთგვარად დისიმილაციური და ასიმილაციური ხასიათისა

<sup>5</sup> ა. მარტიროსოვი, ე. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1955, გვ. 43.

<sup>6</sup> გ. შალამბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

<sup>7</sup> შდრ. ი. ქავეთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს., 1, 1964, § 51, გვ. 303.

<sup>8</sup> ასეთი ფორმები გვხვდება ილიას პროზაშიც: ო. ურიღია, ენობრივი დაკვირვებანი ილია ქვეყანის მხატვრულ თხზულებათა ავტოგრაფებზე: თსუ შრ., ტ. 71, 1958, გვ. 164.

ჩანს: შაბართხელა (←შაფართხელა), აბარატი (აპარატი), ბჟკალი: ბჟკალით გამოეღო ვაზი რქა მართულს...

ამვე კანონზომიერებით უნდა აიხსნებოდეს ბგერათა დაყრუების ფაქტები: აპლარტუნებს (←აბლატუნებს), იუპკა (რუს. იუბკა), ლაფაფი (←ლაბაბი), ბიტონი (←ბიდონი), ლვეტკეცი (←ლვედეცი), ყიპი (←ლიპი), აემჩურა (← აი ამ ჭურა „ამნაირი“): აემჩურა სახლი ედგათ. გაფშეინვიერებული სახით გვხვდება ვითარებითი ბრუნვის ნიშანიც: ქალათ, ბიპათ...

გარკვეულ პოზიციაში, როცა ხმოვნებს შორის იკარგება თანხმოვანი (ეს თანხმოვანი, ჩვეულებრივ, არის ვ), სხვა დიალექტების მსგავსად, ყვარლის მეტყველებაშიც შესამჩნევია ხმოვანთა ურთიერთგაუღენა და ცვლილება. კერძოდ, ეს ეხება -ოვა კომპლექსს: -ოვა—ოა—უა: ამოვა—ამუა, ათხოვა—ათხუა. გროვა—გრუა: გრუა-გრუა ვკრეფდით თავთავს. მაწოვარი—მაწუარი: მაწუარი ქალია და ბალღებ თავი გაანება. მძოვარა—მძუარა: ბოლომძუარა გაუჩნდა თმაში. მთხოვარა—მთხუარა: მთხუარამ ჩამაიარა.

აქვე შეიძლება განგვეხილა ასიმილაციის შედეგი თანხმოვნის დაკარგვის შემდეგ: დედაჩემი—დეეჩემი, ედაეება—ედეება, ნაწლავები—ნაწლეები.

ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის ამ მაგალითებს გარდა საყოველთაო აგრეთვე ა+ე→ეე და ო+ე→ეე შემთხვევები: რაერთი—რაეერთი „რამდენი“, მოექეცი—მეექეცი. ასეთ შემთხვევაში ე თითქმის ყოველთვის იმსგავსებს წინამაუალ ა, ო ხმოვნებს.

ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია საყოველთაოდ იშვიათია და ყვარლის მეტყველებაშიც ორად ორია: კელექტარი, ფურუსულა. ასიმილაცია გვხვდება თანხმოვნებშიც. ის შენიშნულია უპირატესად ახლო მეზობლობაში, თუმცა შორეულ მეზობლობაშიც არაა უცნობი. დისიმილაციის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ: უნფროსი, მუზენი, მარიანობა, ტრანვაი, ლაგანი (←ნაგანი), წყრული, დაწყრულებული, ლინკილო (←ლილ+კილო), აქერცნილი (←აქერცილი).

ხმოვანთა განმსგავსების ნიმუშები უნდა გვეპოვდეს სიტყვებში: ქარხალი—ქარხილი, თალამი—თალიმი, აჯაჯვა—აჯოჯვა, რაც შეეხება ორგვარ ფორმებს: აშალარა/აშულარა, სოდომი/სოდუმი. აქ შეიძლება მოქმედებდეს იმ ენის გამოთქმის ოდინდელი წესი, საიდანაც ეს სიტყვები შემოსულია ქართულ მეტყველებაში.

**მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა.** კახური დიალექტის საერთო მორფოლოგიურ თავისებურებას მეტ-ნაკლებად იმეორებს ყვარლის მეტყველება. ახალ სალიტერატურო ქართულში გავრცელებული უ ფუძიანი სახელები აქ ვ-ი დაბოლოებით გვხვდება: ბუვი<sup>10</sup>, ენაბლუვი, ყრუვი, ღრუვი, რუვი, დღლუვი: დღლუვია ეს ლეღვი. ზოგჯერ ვ არ ჩანს: ცრუვი, დღლუვი (შდრ. აქვე: დღლუვი-ი).

თანხმოვანფუძიანი ზოგი სახელი ყვარლის მეტყველებაში იჩენს უჩვეულო მიღრეკილებას რედუქციისადმი, გვაქვს: ფიქლი მაშინა („ფიქლის საზიდავი მანქანა“), ჭანგნი (ჭანგანის) გამგე, ლუმლები დადგეს, ეზოა კრებზე (ეზოს კარებზე) ვიდექი, თოხნი ტრები (ტარები) გავათლიენე. ჩვეულებრივია აგრეთვე: თავჯდომარის, მანქნის და მისთ.

გვხვდება -ივ მაწარმოებლიანი ბრუნვა, რომელსაც ხან მოქმედებითი მნიშვნელობა აქვს, ხანაც — ვითარებითისა: ოთხსაე კუთხივ ჭვარი გწერია!

<sup>10</sup> ა. მ. ა. რ. ო. ს. ო. ვ. ი. მ. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. დ. ს. ხ. ნ. შ. რ. ო. მ. გ. ვ. 52.

10 იქვე, გვ. 68.

სხვაგვანო კარგია. სხვაფრივ რა მოგახსენო? ჩემგანაც ეგ არ მოახდება... იხმარება როგორც შენგანი, ისე შენგანით. - ივ მაწარმოებლიანი ფორმა ვითარებითის მნიშვნელობით გვაქვს შემდეგ სიტყვებში: უარესლივ (უარესად), უკეთესლივ (უკეთესად), დოჰტორლივ (ჩვეუფად, ჩვეუფურად).

მრავლობითი რიცხვის -ვბ სუფიქსის დართვისას ზოგჯერ ფუქსიებული ხმოვანი შენარჩუნებულია, ოღონდ მომდევნო ხმოვანთან ასიმილაციას განიცდის: ტახტებში ედგათ (შდრ. ტახტ-ა). მაღლა ტაფებში (ტაფობებში) ნაქვევრალუბია. ფრჩხილებში (მარხილის ხელნები) გააკეთა. ნაწლებში დაკლანძა.

მრავლობითის ფორმით იხმარება: ღვიძლები მტკიცია. ასევეა ზოგი ტოპონომი: მლაშეებში დამარხეს. ორმოცებში მიახვეწებენ.

თვლის სისტემაში შეინიშნება ცხრა რიცხვის ხშირი გამოყენება: ორი ცხრა, სამი ცხრა (სამჭერ ცხრა), ოთხი ცხრა და ა. შ.

ზმნებში შესამჩნევია -ავ თემის ნიშნის ფართოდ გავრცელება: აბავს, დავდგავთ, ისხავს, რას იზავ. გაათონავს, ამაღლრუტნავს, გრეხავს და მისთ.

გარდაუვალ ზმნათა აწმყო-მყოფადში იკარგება მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი ხ: არი, დგა, აღვიძავ, ძინავ, მყავ, მგავ. ინვერსიულ ზმნებს მრავლობითში ერთის -ან//--ნენ ნიშანი: მიყვარან, მუვანდნენ. ეს -ან ხშირად დაცლილია მრავლობითის ფუნქციისაგან: მცალიან, მშვიან, მიხარაინ, მრცხვენაინ.

ზმნებში მრავლობითის გამოხატვა სხვა მხრივაც იქცევის ყურადღებას. ზოგი სხვა დიალექტის მსგავსად, კახურშიც მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად იხმარება -ყე//--კე: ყველაა გამაუტანეყე ყურძინი. ხილ მოგიტანეყე და გავმეყეყე. მალე გაგაღვიძებეყე. ჩემ შვილებ ხელ მივეხვიეყე. აპატივეყეყე. სამი დღე ედგაყე ლეყებ. დაუძახეყე სამიეყე.

ეს ნაწილაკი სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის სიმრავლესაც აღნიშნავს: ბიკები შენ წაიყვანეყე ვენახში. ბერეკამ ბალები შააშინაყე. ეგ გოგოები ვენახში გარეყეყე.

მაგრამ სალიტერატურო ენის გავლენით -ყე ნაწილაკის ადგილს იკავებს -თ ნიშანი: ძალიან გაუჟვირდათ ხალხს. ღმერთი ისეე შაახვდათ სამიეყეს. გზაზე შამაყუარათ ოფოფი, ის მათ შეუერთდათ. თან გაყვდათ. მეღამ ისინი თავის სოროში შეიყვანათ.

ანალოგიით მრავლობითი რიცხვის ეს თ შეიძლება მეტყველების სხვა ნაწილსაც დაერთოს: ჰარჩიათ, ფრთხილად იყავით! აბათ, წამოღით! ჩქარათ, ბიკებო (აქ თ არაა ბრუნვისეული!).

-ლა ნაწილაკი და -ვით თანდებული გვხვდება ზმნის ფორმებთან და თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებს! მათ: ვეღარა ვწირა, დავიღალე! მოვლენდა ისინი? ადგილი დახაფრულია და ვერაფერი დაგვიწყვიდა. დაგძახებენდა თქვენ? დამცხასავით, გაქვავდასავით, მობრუნდასავით.

ზოგიერთ ზმნიზედას შენარჩუნებული აქვს ბრუნვის ფორმა: მაღლათ იდგა. ნელად წაიღე (შდრ. ნელად მოხეურში: ახლახან). წაღმათ ატრიალე. უკულმათ აკეთებ. ადგილის ზმნისართები და ჩვენებითი ნაცვალსახელები ხშირად დიართავს მითითებითს ა, ე ნაწილაკებს: ე-მანდ, ა-ემეჭურა (—აი ამ ქურა).

სიტყვა ზუსტი, მოსალოდნელი ვითარებითის ნაცვალად, სახელობითშია: ზუსტი ეგრე იყო. ზუსტი ამდენი დავთვალე.

11 ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84; ზ. ჭაფარიძე, -ვით თანდებულის ხმარებისათვის: ჟართელურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963, გვ. 96—97.

**სინტაქსური თავისებურებანი.** ქვემდებარე, რომელიც კრებითი სახელითაა გადმოცემული, შემასმენელს აზრობრივად ითანხმებს მრავლობით რიცხვში: **ლაპარაკობენ ხალხი.** ხალხმა კერა გაახურეს. **გამოცვივდნენ** ჩარი. სახლებს თოვლი კოლტ-კოლტად ეცემოდნენ...

ორცნებიანი კომპოზიტის მხოლოდობითი რიცხვის ფორმაც მრავლობითში ითანხმებს შემასმენელს: დედ-მამამ **უთხრეა**, შავილნენ მამა-შვილი ქონში. იყვნენ ერთად ცოლ-ქმარი. **შენი ცოლ-შვილი დაიხოცნენ**.

მრავლობით რიცხვში ითანხმებს შემასმენელს აგრეთვე ნაცვალსახელები **ყველა**, **ზოგი**: ყველამ ჯიბეში ჩაიყვებს ხელი. **ემ** საცერში ყველა თითო ლუკმა ჩააგდებენ. **ზოგი** იძახოდნენ, **ზოგი** ყვიროდნენ. **ზოგმა** მაიყვანეა ბალები. **ზოგი** ქვებსა ძკრეფავდნენ.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზოგჯერ მოსალოდნელი სახელობითის ნაცვალად ვითარებითშია: ისე მაქციეთ, რო ნახევარი წელს ზევით ცოცხალი ვიყო, ქვემოთ — ქვად ვიყო ისევო. ასევე, მოსალოდნელი სახელობითში დასმული ნამყოს მიმღეობის ნაცვალად, გვხვდება მასდარის მოქმედებითი: ხალხი იყო **თავმოყრით**. აკაკი **მოწყენით** იყო.

ზეპირნეტყველებაში ეკონომიის მიზნით ირიბი სხვათა სიტყვის კონსტრუქციაში გამოტოვებულია შემასმენელი: დედამ ორი პური მასესხეო — დედამ შემოგიტვალა (რომ) ორი პური მასესხეო. დედამ ჩემთან ამოდიო... ასეთ შემთხვევებს წინ უძღვის სხვა კონტექსტი და ამგვარი გამოტოვება გასაგები ხდება. იგი დამატებითი დამოკიდებული წინადადების თავისებური შემოკლებაა.

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში არაა გარჩეული კავშირი და კორელატი, სხვა დიალექტების (მაგ. ფშაურის) მსგავსად მთავარშიც და დამოკიდებულშიც მეორდება: **მინამ, მანამ, სანამ** (ან სანამდისინ): **სანამ** ღორი არ გავაფეშხვაე, **სანამ** ფეხი არ ჩამოადგი დაბლა; **სანამდისინ** ის არ გავიდა, **სანამდისინ** არ გვაეაჭრა; **მანამ** სასაფლაოდან მოვლენ, **მანამ** გაამზადებენ ტაბლამ; **მინამ** ეგ მოვა, **მინამ** შაქმული ექნებათ ყველაფერი.

დანარჩენი სინტაქსური თავისებურებანი ცალკე იქნება გაანალიზებული.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტმა შ. ძიძივრმა)

## ლუა ჩხეიძე

### რთული წინადადების ტრანსფორმაციული ანალიზი ქართული ენის მასალაზე

§ 1. თანამედროვე ენათმეცნიერებაში მთელი რიგი საკითხების გადაჭრისას ფართოდ გამოიყენება ამერიკელი მეცნიერის ნ. ხომსკის მიერ დანუშავებული ტრანსფორმაციული მეთოდი.

ტრანსფორმაციული მეთოდის წარმოშობა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში დაკავშირებულია ზ. პარსის სახელთან, რომელმაც დაამუშავა ეს მეთოდი მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს. რაც შეეხება ტრანსფორმაციული მეთოდის შემდგომ განვითარებას, აქ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ნ. ხომსკის, რომელმაც ზოგადი ლინგვისტური თეორიის საფუძველზე სიდაენის წარმოშობი გრაძატიკის ზოგადი სტრუქტურის აგება<sup>1</sup>.

ამჟამად საკმაოდ ბევრი ნაშრომი არსებობს ე. წ. „ენის მოდელირების“ შესახებ. ეს მოდელები ხშირ შემთხვევაში განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც მიზნობრივად, ისე ხარისხით.

ენის მოდელების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გრამატიკულ აღწერათა შესაძლებელი ტიპების შესწავლას.

განვიხილოთ განსხვავება „მოდელის“ ცნებათა შორის მათემატიკასა და ლინგვისტიკაში. მათემატიკაში მოდელი ეწოდება სიმრავლეს დამოკიდებულებებით, რომლებსთვისაც სრულდება მოცემული ფორმალური თეორიით გათვალისწინებული თვისებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიმე თეორია  $T$ -ს აქვს მოდელი  $M$ , თუ ეს მოდელი გამოდგება მოცემული თეორიის საინტერპრეტაციოდ.

<sup>1</sup> მოკლე პარაგრაფის კვლევისას ძირითადად გავიხილოთ ნ. ხომსკის შემდეგი შრომები: При модели описания языка, „Кибер. сб.“, вып. 2, М., 1951; Несколько методологических замечаний о порождающей грамматике, „В. Я“, М., 1952; Синтаксические структуры, сб. „Новое в лингвистике“, вып. 2, М., 1952; Лингвистика, логика, психология и вычислительные устройства, сб. „Математическая лингвистика“, М., 1953; Логические основы лингвистической теории, сб. „Новое в лингвистике“, вып. IV, М., 1955; Systems of syntactic analysis, „Lg.“, vol. 18, 1953; Logical syntax and semantics: The linguistic relevance, „Lg.“, vol. 31, no. 1, Baltimore, 1955; On certain formal properties of grammars, „Introduction and control“, vol. 2, no 2, 1959; On the notion „Rule of grammar“, „Structure of language and its mathematical aspects“, vol. XII, 1961; Explanatory models in linguistics, Cambridge, 1962; Introduction of formal analysis of natural languages, „Hand book of mathematical psychology“, 1953; Categories and relations in syntactic theory (участие доклада, представленного на марде-урскон симпозиум), „Знаковость и система языка“, 1954; Current issues in linguistic theory, 1964; Aspects of the theory of syntax, 1965; Topics in the theory generative grammar, „Current trends in linguistics“, no 3, 1966; Cartesian linguistics, N. L., 1966; The formal nature of language, N. L., 1967.

ლინგვისტიკაში გვაქვს საწყისი ობიექტების გარკვეული კლასი (ტექსტების ფრაგმენტები, სიტყვები, სიტყვათა ჯგუფები და ა. შ.), რომლებსაც განვიხილავთ როგორც სიმრავლეს დამოკიდებულებების სისტემით. ობიექტის, როგორც დამოკიდებულებათა სიმრავლის სახით წარმოდგენის ხერხი ნაკარანახევია კვლევის მიზნით ან მეცნიერული ტრადიციით. ენის მოდელს ხშირად უწოდებენ ლინგვისტური ობიექტების მოცემული კლასის, დამოკიდებულებათა თავისებურებების ნუსხას — სიას. მაგალითად, მარტივი ფრაზის სინტაქსური სტრუქტურის მოდელი აიგება ორი დამოკიდებულების (მიმდევრობა და მართვა) გამოყენებით, რომლებისთვისაც მოცემულია განმსაზღვრელი თვისებები.

ნათლად ჩანს, რომ ასეთ სიტყვათწყობაში „ენის მოდელი“ იგივეა, რაც მათემატიკაში იწოდება თეორიად, ხოლო თვით დაკვირვების ობიექტი წარმოადგენს მოცემული თეორიის მოდელს<sup>2</sup>. „რაც შეეხება მოდელის ცნებას კიბერნეტიკაში, აქ მოდელი ეწოდება რაღაც მესამეს: კიბერნეტიკული მოდელი — ეს იმევე თეორიის მოდელია, რომელსაც მიეკუთვნებიან საწყისი კლასის ობიექტები. ამასთან კიბერნეტიკაში ხშირად ექსპლიციტურად ვერ ყალიბდება თვით თეორია. დაკვირვების ობიექტსა და მის კიბერნეტიკულ მოდელს შორის არსებობს არა იზომორფული (ჰომომორფული) დამოკიდებულება, როგორც ამას ხშირად ვარაუდობენ ხოლმე, არამედ ზოგადი თეორიის „თვით მოდელირების“, „თვით განსახიერების“ დამოკიდებულება“<sup>3</sup>.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ მოდელის ცნების გაგება მათემატიკაში, ლინგვისტიკასა და კიბერნეტიკაში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ყოველგვარი ლინგვისტური მოდელი განიხილება როგორც ჰიპოთეზა ენის სტრუქტურული რეალობის შესახებ. ამ ჰიპოთეზის აღქვადობას უნდა დასტურებდეს ან უარყოფდეს კვლევის პრაქტიკა<sup>4</sup>.

ნ. ხომსკის შრომებში შეტანილია ე. წ. ტრანსფორმაციულა გრამატიკის კლასი. ეს გრამატიკები წარმოადგენენ გამოთვლებს, რომლებშიც უშუალო შემადგენელთა წესების გარდა დაშვებულია ტრანსფორმაციის უფრო ზოგადი წესები — აღნიშნული გრამატიკული სტრუქტურის მქონე მწკრივების გარდაქმნა სხვა სტრუქტურის მქონე მწკრივებად. ადვილი შესამჩნევია, რომ ნ. ხომსკის მიერ ამგვარი ტრანსფორმაციების შემოტანა კი არ ზღუდავს გრამატიკული მოდლების კლასს (ფრაზობრივი სტრუქტურების შემსწავლელ გრამატიკასთან — PS — შედარებით), არამედ არსებითად აფართოებს მას, როგორც ჩანს, საერთოდ გადაწყვეტ სიმრავლეთა კლასამდე<sup>5</sup>.

განიხილოთ ტრანსფორმაციული გრამატიკის ზოგიერთი ამოსავალი ცნება.

ნ. ხომსკის აზრით, წარმომშობი გრამატიკა — ეს არის ექსპლიციტურად ჩამოყალიბებული წესების სისტემა, რომლის მეშვეობით ფონების თითოეულ თანმიმდევრობას (განურჩევლად იმისა, შედისა ისინი მოცემულ ენაში თუ არა), ეძლევა სტრუქტურული აღწერა. იგი შეიცავს მთლიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ფონების ამ თანამიმდევრობის რეპრეზენტაცია თითოეულ ენობრივ დონეზე და, კერძოდ, იმის შესახებ, სწორად არის თუ

2 Ю. А. Шрейдер. Составление понятия модели в математике и лингвистике. 20. 1—2.

3 იქვე, 23. 8—9.

4 С. К. Шаумян, И. А. Соболева. Аппликативная порождающая модель.

20. 111.

5 С. И. Фитцалов. Трансформации в аксиоматических грамматиках, 25. 10.



რა ავებული ფონების მოცემული თანამიმდევრობა (ესე იგი წარმოშობს თუ არა გრამატიკულად სწორ — მარკირებულ წინადადებებს), წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება ნორმიდან გადახრა<sup>6</sup>, ე. ი. წარმომშობი გრამატიკა (კერძოდ ტრანსფორმაციული) წარმოადგენს რაღაც აპარატს, რომელიც შეიცავს საწყისი ერთეულების სიმრავლეს და წესთა სიმრავლეს, რომელთა გამოყენებითაც ამ საწყისი ერთეულების მიმართ წარმოიშობა ენობრივი ელემენტი (კერძოდ წინადადება).

ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკა შედგება:

1. სინტაქსური დონე უშუალო შემადგენელთა დონე ტრანსფორმაციული დონე
2. ფონოლოგიური დონე სინტაქსური ფონოლოგიის დონე<sup>7</sup> სისტემური ფონეტიკის დონე
3. ლექსიკონი ლექსიკონი აუცილებელია წინადადების წარმომშობისათვის, თუმცა იგი გრამატიკის უშუალო ნაწილს არ წარმოადგენს.

გრამატიკული ტრანსფორმაცია არის წესი, რომელიც უშუალო შემადგენელთა სტრუქტურის მქონე წინადადებას გარდაქმნის შეცვლილი სტრუქტურის მქონე ასევე წინადადებად. ტრანსფორმაცია შეიძლება იყოს აუცილებელი და არააუცილებელი (ფაქულტატური). აუცილებელი ტრანსფორმაციის შედეგად მორფმათა ნებისმიერი თანამიმდევრობა გარდაიქმნება მოცემულ ენისათვის დასაშვებ თანამიმდევრობად, ხოლო ფაქულტატური ტრანსფორმაცია ერთ სწორ თანამიმდევრობას გარდაქმნის მოზღვრებათა სხვა სტრუქტურის მქონე ასევე სწორ თანამიმდევრობად<sup>8</sup>.

ტრანსფორმაციული წესის გამოყენების შედეგად მიღებულ ფორმას ტრანსფორმა ეწოდება. უშუალო შემადგენელთა გრამატიკის შედეგად მიღებულ დერივაციის უკანასკნელ სტრიქონს ტერმინალური სტრიქონი, ანუ დასრულებული დერივაცია ეწოდება. ტერმინალური სტრიქონის მიმართ აუცილებელი ტრანსფორმაციების გამოყენების შედეგად ვიღებთ ბირთვულ წინადადებებს. სოლო ბირთვული წინადადებების ან ტერმინალური სტრიქონის მიმართ არააუცილებელი ტრანსფორმაციების გამოყენების შედეგად ვიღებთ წინადადებათა უსასრულო სიმრავლეს<sup>9</sup>.

5. სომხის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა დააყენა მყარ ნიადაგზე ლინგვისტური მოძღვრების კვლევა.

§ 2. ამ პარაგრაფში გვინდა დავახასიათოთ ის ტრანსფორმაციები, რომლებიც განვიხილეთ მ. ჭავჭავაძის ტექსტების (ორასი გვერდის მოცულობით) კვლევისას. მოცემული მასალის ანალიზისათვის გამოვიყენეთ ტრანს-

<sup>6</sup> И. Хомский, Несколько методологических замечаний о порождающей грамматике, гл. III.

<sup>7</sup> ტრანსფორმაციული გრამატიკის აღნიშნული დონეების დახასიათება იხილეთ ნ. სომხის დასახელებულ შრომებში.

<sup>8</sup> И. Хомский, Лингвистические основы лингвистической теории, гл. 550-553.

И. Хомский, Синтаксические структуры, гл. 152.

ფორმაციული გრამატიკის ბუნებრივი ენის (ქართული ენის) მიმართ გამოყენების მეთოდი, რომელიც შეიმუშავა ლ. ენუქიძემ<sup>10</sup>.

სწორხაზოვანი ანალიზის მეშვეობით გამოვეყავით თითოეული გამონათქვამის ცენტრი, რის შედეგადაც მივიღეთ ბირთვულ წინადადებათა სიმრავლე. მიღებული სიმრავლე დაეყავით სამ ქვესიმრავლედ შემდეგი პრინციპით: 1. ყველა იმ ბირთვულ წინადადებათა სიმრავლე, რომლებშიც შემასმენელი გადმოცემულია ერთპირიანი ზმნით. ამგვარი წინადადებების რიცხვია — 1648; 2. ყველა იმ ბირთვულ წინადადებათა სიმრავლე, რომლებშიც შემასმენელი გადმოცემულია ორპირიანი ზმნით. ამგვარი წინადადებების რიცხვია — 2726; და 3. ყველა იმ ბირთვულ წინადადებათა სიმრავლე, რომლებშიც შემასმენელი გადმოცემულია სამპირიანი ზმნით. ამგვარი წინადადებების რიცხვია — 2003. შემდეგ ტრანსფორმაციული წესები

( $T_{\text{უარყ.}}$ ,  $T_{\text{კობ.}}$ ,  $T_{\text{კონტ.}}$ ,  $T_{\text{პასიუ.}}$ ,  $T_1$  <sup>სუბიექტ.</sup> <sub>ქცევა</sub>,  $T_2$  <sup>ობიექტ.</sup> <sub>ქცევა</sub>)

გამოვიყენეთ თითოეული ამ სიმრავლის მიმართ ცალ-ცალკე.

ნიმუშის სახით. ტრანსფორმაციული წესების დახასიათების ჩვენი მეთოდის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ ტრანსფორმაციება, რომლებიც გამოიყენებოდა ბირთვულ წინადადებათა სიმრავლეების მიმართ, სადაც შემასმენელი გადმოცემულია ორპირიანი ზმნით. რადგან არა მარტო დახასიათების მეთოდი, არამედ ამ მეთოდით მიღებული შედეგებიც იდენტურია იმ დახასიათების მეთოდისა და შედეგებისა. რომლებიც ვხვდებით მოცემული ტრანსფორმაციების გამოყენებისას ბირთვულ წინადადებათა დანარჩენი ორი ქვესიმრავლის მიმართ. ტრანსფორმაციული წესების დახასიათებლად საჭიროდ მიგვაჩნია ჩამოვყალიბოთ შემდეგი თეზისები:

$T_1$  — ენაში, საკმარისი არ არის სიტყვების, გამონათქვამების, ტრანსფორმაციების და ა. შ. სიების ცოდნა. საჭიროა, აგრეთვე, ვიცოდეთ, თუ რამდენად იყენებენ მათ ბუნებრივ ენაში. მაგალითად, რამდენად გამოიყენება ესა თუ ის ტრანსფორმაცია მოცემული საწყისი (ბირთვული) კონსტრუქციის მიმართ. სხვა სიტყვებით, ჩვენ ვახდენთ ტრანსფორმაციული წესების სიმრავლის კლასიფიკაციას გარკვეული ნიშნის მიხედვით.

კერძოდ, მოცემული ტრანსფორმაციების ბირთვული წინადადებების მიწართ გამოყენების მიხედვით კლასიფიკაციისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ზოგიერთი ტრანსფორმაცია უნივერსალურია, ესე იგი გამოიყენება ნებისმიერი ბირთვული კონსტრუქციის მიმართ, ზოგიერთი კი გამოიყენება მხოლოდ გარკვეული ბირთვული კონსტრუქციების მიმართ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამგვარი სახის დახასიათებას შეიძლება ეუწოდოთ (რალაც მნიშვნელობით) მოცემული ტრანსფორმაციული წესების ტიპოლოგიური დახასიათება.

ტრანსფორმაციები თითქმის ტრივიალურ ფორმაში აღწერენ კავშირს ბაზისურ სტრუქტურებს შორის. არსებითად ტრანსფორმაციებში ასახავენ ძირითადი სტრუქტურების გადასვლას სხვა სტრუქტურებში ერთი და იმავე ენის ფარგლებში.

<sup>10</sup> ლ. ა. ენუქიძე, ბირთვული წინადადება ქართულში (ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდა), თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. 11, 1967.

ტრანსფორმაციათა ღირსშესანიშნავ თავისებურებას შეადგენს ის, რომ მათი თავისებები ყალიბდება კონკრეტული ენისაგან დამოუკიდებელ ტერმინებში. თვით ენა განსაზღვრავს ტრანსფორმაციათა მხოლოდ კონკრეტულ განხორციელებას. ტრანსფორმაციების თავისებების ფორმულირება კი, შესაძლებელია მეტაენობრივი თეორიის დონეზე. ასეთი ფორმულირების შესაძლებლობა გვაფიქრებინებს, რომ ეს თავისებები ენობრივ უნივერსალებს უნდა წარმოადგენდნენ.

$T_2$  — ენა უნდა აღწეროს არა როგორც ისეთი ქვეპროგრამების სისტემის მქონე „მეცარი ავტომატი“, რომლებიც საკმარისია ჩამოეთვალათ საჭირო სისრულის ხარისხით, არამედ საჭირო ხდება რიცხვითი მახასიათებლების გამოგონება, რომლებიც ახასიათებენ გარდაქმნებს, კერძოდ, ტრანსფორმაციის გამოყენების ან არ გამოყენების ხარისხს.

ტრანსფორმაციების შესაძლებელი ჩაოდენობრივი დახასიათებისათვის ყველა ჩვენს მიერ გამოყოფილი ბირთვული კონსტრუქციების ჩგუფებისთვის<sup>11</sup> და ყველა განხილული ტრანსფორმაციისთვის შევადგინეთ ცხრილები.

ცხრილები შედგენილია შემდეგი პრინციპით: თითოეული ტრანსფორმაციისა და თითოეული ბირთვული კონსტრუქციის მიმართ შემოვიტანეთ გამოყენების ან არ გამოყენების მაჩვენებელი აღნიშვნები.

a) „+“ — გამოყენება

b) „—“ — არ გამოყენება

ყველა ცხრილი შედგენილია ასეთი პრინციპით:

ბირთვული კონსტრუქციები		T			$T_6$
		$T_1$	$T_2$	$T_3$	
1	$N_1 N_2 A_1$	+	+	+	+
2	$N_1 N_2 A_2$	+	+	+	+
3	$N_1 N_3 A_3$	+	—	+	—
...	...	...	...	...	...
n	$N_1 N_2 A_n$				

<sup>11</sup> ჩვენთვის საწყის, ბირთვულ კონსტრუქციებს წარმოადგენენ ქართული ენის მარტივი წინადადებები, რომლებშიც შემასმენელი ვაღმოცემულია ორპირიანი ზმნით. ამ კონსტრუქციების შეპირისპირების სტრუქტურულ ნიშნად შევარჩიეთ (ისევე, როგორც ლ. ა. ენუქიძის ნაშრომში) თემატური სუფიქსი და  $S_2$  (სუბიექტის ნიშანი მხოლოდითა რიცხვის შესამე პირში). საწყისი კონსტრუქციების ამ ნიშნების მიხედვით კლასიფიკაციით მივიღეთ ოცდაათი ჩვეულოთოეული მათგანში გაერთიანებულია გარკვეული ტიპის მიხედვით ერთნაირი ზმნები.

პლიუსებისა და მინუსების რიცხვით სვეტებში განისაზღვრება მოცემული ტრანსფორმაციის საერთო გამოყენებადობის ხარისხი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ტრანსფორმაცია გამოიყენება ყველა ტიპის ბირთვეული კონსტრუქციის მიმართ. მაგალითად,

$$T_{\text{უარყ.}} - 100\%$$

$$T_{\text{კითხ.}} - 100\%$$

ეს ნიშნავს, რომ მათი გამოყენებადობის ხარისხი უდრის 100%-ს. ზოგიერთი ტრანსფორმაცია კი გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრული სახის ბირთვეული კონსტრუქციების მიმართ. მაგალითად,

$$T_{\text{კონტ.}} - 54\%$$

$$T_{\text{პასიუ.}} - 50\%$$

$$T_2 \begin{matrix} \text{ობიექტ.} \\ \text{ქცევა} \end{matrix} - 47\%$$

$$T_1 \begin{matrix} \text{სუბ-ექტ.} \\ \text{ქცევა} \end{matrix} - 40\%$$


ტრანსფორმაციების ტიპოლოგიური დახასიათება შეიძლება გამოიხატოს გრაფიკულად. ტრანსფორმაციების გრაფიკული დახასიათებისათვის საჭიროა განზომილების ერთეული. ასეთ ერთეულს, ჩვენს ნაშრომში, წარმოადგენს პროცენტი.

რაკი ორი ზემოაღნიშნული ტრანსფორმაცია —  $T_{\text{უარყ.}}$ ,  $T_{\text{კითხ.}}$  ყველა ბირთვეული კონსტრუქციის მიმართ გამოიყენება, გადავწყვიტეთ, რომ მათი გამოყენებადობის ხარისხი მიგვეჩინა ას პროცენტად. რაც შეეხება დანარჩენი ტრანსფორმაციების რიცხვითს მახასიათებლებს, ისინი მივიღეთ პროპორციების შედგენით და პროპორციულ თანაფარდობათა დადგენით.

ამრიგად, ჩვენ შევძელით მიგველო ის რიცხვითი მახასიათებლები, რომელთა მეშვეობითაც აგებულ იქნა მრუდი (იხ. დიაგრამა), რომელმაც გრაფიკულად გვიჩვენა თითოეული ტრანსფორმაციის ბირთვეული კონსტრუქციების მიმართ გამოყენებადობის ხარისხი.

რა არის გამოყენებადობა? — ეს არის წყვილის — ტრანსფორმაციის და ბირთვეული კონსტრუქციის ურთიერთობის ზომა. მაგრამ, თუ დავაჯამებთ ამ ზომას ყველა ტრანსფორმაციისა და ყველა ბირთვეული კონსტრუქციის მიხედვით ცალ-ცალკე, მივიღებთ მოცემული ტრანსფორმაციის საშუალო გამოყენებადობის ხარისხს.

ამ განსაზღვრის მეშვეობით შევეცადეთ მიგველო საკვლევი ტრანსფორმაციების საწყის კონსტრუქციათა მიმართ საშუალო გამოყენებადობის ხარისხი.



საშუალო გამოყენებადობის ხარისხის აღმნიშვნელი რიცხვითი მახასიათებლების სია ასე გამოიყურება:

1.	$T_{\text{უარყ.}}$	100%	2726
2.	$T_{\text{კოტხ.}}$	100%	2726
3.	$T_{\text{კონტ.}}$	54%	1472
4.	$T_{\text{პასეი}}$	50%	1363
5.	$T_{\text{ობ-ექტ.}}$ $T_{\text{2 კეეუ}}$	47%	1281
6.	$T_{\text{1 სუბიექტ.}}$ $T_{\text{1 კეეუ}}$	40%	1090

თუ ტრანსფორმაცია თანაბრად გამოიყენება ყველა ბირთვული კონსტრუქციის მიმართ, მაშინ მისი გამოყენებადობის ხარისხი მაღალია, თუ იგი გა-

ზოიყენება ბირთვული კონსტრუქციების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის მიმართ, მაშინ მისი გამოყენებადობის ხარისხი, შესაბამისად, დაბალია.

გამოირკვა, რომ უარყოფისა და კითხვის ტრანსფორმაცია ხასიათდება მაღალი გამოყენებადობით. ტრანსფორმაცია, რომელიც სუბიექტურ ქცევას გამოხატავს, გამოირჩევა ყველაზე დაბალი გამოყენებადობით. რაც შეეხება დანარჩენ ტრანსფორმაციებს, ისინი უნდა მოვაქციოთ ამ სამ ტრანსფორმაციას შორის (გამოყენებადობის ხარისხის მიხედვით).

§ 3. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, შეიძლება თუ არა ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკით წარმოვშვათ ქართული ენის (კერძოდ რთული თანწყობილი) წინადადებები.

თუ გადავხედავთ ლიტერატურას ტრანსფორმაციული გრამატიკის შესახებ, დავრწმუნდებით, რომ ბუნებრივი ენის სტრუქტურის აღწერა ტრანსფორმაციული წესების მეშვეობით ძირითადად შეიცვალა და ამ ცვლილებებთან ერთად საკმაოდ გაფართოვდა.

სახელდობრ, თუ ადრე ტრანსფორმაციული წესების გამოყენება ხდებოდა მხოლოდ მარტივი კონსტრუქციების მიმართ, რომელთა სტრუქტურა იყო: ქვემდებარე — შემასმენელი — დამატება, ახლა მათი გამოყენება ხდება შედარებით უფრო რთული კონსტრუქციების მიმართ. ამასთანავე გაიზარდა თვით ტრანსფორმაციული წესების რაოდენობა, რაც შესაძლებლობას იძლევა ბუნებრივი ენის ერთი და იმავე ბირთვული კონსტრუქციიდან წარმოვშვათ ვაცილებით უფრო მეტი სხვადასხვა ტიპის როგორც მარტივი, ისე რთული წინადადებები.

ახალი ტრანსფორმაციული წესების შემოტანასთან დაკავშირებით გადინაცვლა იმ ზღვარმა, რომელიც ფაქტიურად არსებობდა აუცილებელ და ფაქულტატურ ტრანსფორმაციებს შორის. კერძოდ, საკირო გახდა ზოგიერთი ფაქულტატური ტრანსფორმაციის აუცილებელი გამოყენება. ესე იგი ის ზოგიერთი ტრანსფორმაცია, რომელიც ადრე ფაქულტატურად ითვლებოდა, შეიძლება იმ ტრანსფორმაციების სიაში, რომლებიც აუცილებელ ტრანსფორმაციებს წარმოადგენენ<sup>12</sup>.

მართალია, ქართულ ენაში რთული კონსტრუქციების მისაღებად ჩვენ არ ვაგებთ ახალ წარმომშობ გრამატიკას, არამედ მხოლოდ ვუმატებთ რამდენიმე წესს უკვე არსებული წესების სისტემას<sup>13</sup>, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ეს ახალი წესები თავისი ფორმით და რეალიზაციის მეთოდით არ უნდა განსხვავდებოდნენ სისტემაში არსებული წესებისაგან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უშუალო შემადგენელთა გრამატიკა წარმოშობს მხოლოდ მარტივ წინადადებებს სტრუქტურით: ქვემდებარე — შემასმენელი — პირდაპირი დამატება, და განვიხილავთ ქართული ენის რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურას, შეიძლება წამოიჭრას ასეთი საკითხი: რატომ არ შეიძლება ისეთნაირად გამოვიყენოთ უშუალო შემადგენელთა გრამატიკის წესები, რომ ტერმინალური სტრიქონი წარმოადგენდეს არა ერთ, არამედ ორ მარტივ წინადადებას, რომლებიც რაღაც წესით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული (იგულისხმება, რომ თითოეული მათგანი წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული სტრუქტურის მქონე წინადადებების რეალიზაციას).

<sup>12</sup> N. Chomsky. Aspect's of the theory of syntax გვ. 118—146.

<sup>13</sup> იგულისხმება ლ. ა. ენუქიძის მიერ მოცემული უშუალო შემადგენელთა გრამატიკის წესების სისტემა (იხ. ლ. ა. ენუქიძე, ხს. შრ.).

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას, მოკლედ განვიხილოთ ქართული ენის რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურა.

რთული წინადადების შედგენა, საერთოდ, თანწყობისა და ქვეწყობის საშუალებით ხდება<sup>14</sup>.


თანწყობა წარმოადგენს ერთმანეთის მიმართ თანასწორ წინადადებათა დაკავშირებას<sup>15</sup>. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას: რთულ წინადადებას, რომელიც შედგება ერთმანეთის მიმართ თანასწორი წინადადებებისაგან, რთული თანწყობილი წინადადება ჰქვია<sup>16</sup>. წინადადებათა შესაერთებლად აქ გამოყენებულია მაერთებელი დაკავშირებები: მაჯგუფებელი, მაძალკევებელი და მაპირისპირებელი. იშვიათ შემთხვევაში კი რთული თანწყობილი წინადადებების შედგენა ხდება საკავშირებელი სიტყვების გარეშე, ესე იგი მარტო ინტონაციის საშუალებით (ეს შემთხვევა ჩვენს ნაშრომში არ არის განხილული)<sup>17</sup>.

ჩვენი განხილვის ობიექტს წარმოადგენენ რთული თანწყობილი წინადადებები (კავშირიანი), რომლებშიც შემასმენელი (იგულისხმება ორივე წინადადებაში) გამონათქვამია ორპირიანი ზმნით. რატომ მხოლოდ ორპირიანი? — იმიტომ, რომ რთული თანწყობილი წინადადებების წარმოშობა, რომლებშიც შემასმენელი გამონათქვამია სამპირიანი და ერთპირიანი ზმნებით, მოხდება ანალოგიურად, იმ განსხვავებით, რომ წარმოშობის გარკვეულ საფეხურზე ორპირიანი ზმნის ნაცვლად დაიწერება შესაბამისად სამპირიანი და ერთპირიანი ზმნები.

როგორც აღვნიშნეთ, რთულ თანწყობილ წინადადებაში, წინადადებათა შესაერთებლად გამოიყენება კავშირი. იმისათვის, რომ უშუალო შემადგენელთა გრამატიკამ წარმოშვას მაკავშირებელი სიტყვა, საჭიროა არა მარტო წესების შეცვლა, არამედ ლექსიკონის გაფართოვებაც მასში მაკავშირებელი სიტყვების შეტანით. ამიტომ ჩვენს ლექსიკონს შემდეგი სახე ექნება:

- I. 1.  $k'_1 \rightarrow \text{ა}$   
 $k'_2 \rightarrow \text{ა'}$   
 $k'_3 \rightarrow \text{უ}$   
 $k'_4 \rightarrow \text{ი}$   
 $k'_5 \rightarrow \text{ე}$

2.  $O_3 \rightarrow$



<sup>14</sup> ლ. კვავაძე, ქართული ენის სინტაქსი, გვ. 212.

<sup>15</sup> ა. შანიძე, ლ. კვავაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი 11, გვ. 76.


<sup>16</sup> იქვე, გვ. 78.

<sup>17</sup> განხილული არ არის აგრეთვე ის შემთხვევები, როდესაც „და“ კავშირით შეერთებული წინადადებები გამონათქვამი მოვლენათა თანმიმდევრობას, მოვლენათა თანმიმდევრობას და მიზნის — შედეგობრიობას, რადგან ჩვენ მიერ გამოყენებული უშუალო შემადგენელთა გრამატიკა წარმოშობის ზმნებს მხოლოდ პირველი სერიის აწვეოს მწყობრში.

4.  $k_1 \rightarrow$  ებ  
 $k_2 \rightarrow$  ობ  
 $k_3 \rightarrow$  ევ  
 $k_4 \rightarrow$  ამ  
 $k_5 \rightarrow$  ი  
 $k_6 \rightarrow$  აე  
 $k_7 \rightarrow$  ოფ  
 $k_8 \rightarrow \emptyset$
5.  $n \rightarrow$  ი  
 6.  $r_1 \rightarrow \emptyset$   
 7.  $d \rightarrow$  ს

- II. 1. ენებითი გვარი  $\begin{cases} \text{ენ. 1} \rightarrow \text{ი} \\ \text{ენ. 2} \rightarrow \text{ე} \\ \text{ენ. 3} \rightarrow \text{ღ} \end{cases}$   
 2. სათავისო ქცევის ნიშანი—ი  
 3. სასხვისო ქცევის ნიშანი—უ

4. შუალობითი კონტაქტის  $\begin{cases} \text{კონტ. 1} \rightarrow \text{ინ} \\ \text{კონტ. 2} \rightarrow \text{ევ} \\ \text{კონტ. 3} \rightarrow \text{ევინ} \end{cases}$



ამრიგად ჩვენ მიზანს შეადგენს წარმოვშვათ წინადადებები სტრუქტურით: ქვემდებარე + შემასმენელი + პირდ. დამატება + კავშირი + ქვემდებარე + შემასმენელი + პირდ. დამატება, ე. ი.

$$S \rightarrow NP + NP_1 + VP + I + NP_{(1)} + NP_{1(1)} + VP_{(1)}$$

განვიხილოთ ასეთი სტრუქტურის მქონე წინადადების წარმოშობის მაგალითი.

ქალი ეზოს გვის და ბერიკაცი შეშას კრის.

- I.
1.  $S \rightarrow SIS$
  2.  $S \rightarrow NP + NP_1 + VP$
  3.  $S \rightarrow NP_{(1)} + NP_{1(1)} + VP_{(1)}$
  4.  $NP \rightarrow N_1$
  5.  $NP_1 \rightarrow N_2$
  6.  $VP \rightarrow V^{2a}$
  7.  $I \rightarrow \begin{Bmatrix} I_1 \\ I_2 \\ I_3 \end{Bmatrix}$
  8.  $NP_{(1)} \rightarrow N_3$



- II.
9.  $NP_{1(i)} \rightarrow N_4$
  10.  $VP_{(i)} \rightarrow V_{(i)}^{23}$
  11.  $N_1 \rightarrow M_1 + m_1$
  12.  $N_2 \rightarrow M_2 + m_2$
  13.  $m_1 \rightarrow n$
  14.  $m_2 \rightarrow d$
  15.  $V^{23} \rightarrow a_3 + k' + K + k + \xi_3$
  16.  $K \rightarrow B$
  17.  $B \rightarrow B_4$
  18.  $k \rightarrow k_3$
  19.  $k' \rightarrow k'_3$
  20.  $o_3 \rightarrow o'_3$
  21.  $s_3 \rightarrow s'_3$
  22.  $l \rightarrow l_1$
  23.  $N_3 \rightarrow M_3 + m_1$
  24.  $N_4 \rightarrow M_4 + m_2$
  25.  $m_1 \rightarrow l$
  26.  $m_2 \rightarrow d$
  27.  $VP_{(i)}^{23} \rightarrow o_3 + k' + K + k + s'_3$
  28.  $K \rightarrow B$
  29.  $B \rightarrow B_4$
  30.  $k \rightarrow k_5$
  31.  $k' \rightarrow k'_2$
  32.  $o_3 \rightarrow o'_3$
  33.  $s_3 \rightarrow s'_3$
- III.
34.  $M \rightarrow \text{ქალ.}$
  35.  $n \rightarrow \text{ი}$
  36.  $M_2 \rightarrow \text{ეზო}$
  37.  $d \rightarrow \text{ს}$
  38.  $B_4 \rightarrow \text{ვე}$
  39.  $k_5 \rightarrow \text{ი}$
  40.  $k'_3 \rightarrow \emptyset$
  41.  $s'_3 \rightarrow \text{ს}$
  42.  $o'_3 \rightarrow \emptyset$
  43.  $l_1 \rightarrow \text{და}$
  44.  $M_3 \rightarrow \text{ბერიკაც}$
  45.  $n \rightarrow \text{ი}$
  46.  $M_4 \rightarrow \text{შეშა}$
  47.  $d \rightarrow \text{ს}$
  48.  $B_4 \rightarrow \text{ჭ'რ}$
  49.  $k_5 \rightarrow \text{ი}$
  50.  $k'_2 \rightarrow \emptyset$
  51.  $s'_3 \rightarrow \text{ს}$
  52.  $o'_3 \rightarrow \emptyset$

### სწორხაზოვანი ჩაწერით მივიღებთ:

ქალ-ი ეზო-ს გე-ი-ს და ბერიკაც-ი შეშა-ს ჭრ-ი-ს.

ჩვენ განვიხილეთ რთული თანწყობილი წინადადების წარმოშობის მაგალითი, როცა მკაცვშირებელი სიტყვა  $l_1$  ტიპისაა. თუ მკაცვშირებელი სიტყვა  $l_2$  ან  $l_3$  ტიპისა იქნება, მაშინ საჭირო გახდება შემდეგი წესების გამოყენება:

1. თუ წინადადებაში ნახმარია რომელიმე  $l_2$  კავშირთაგანი, მაშინ მკაცვშირებელი სიტყვის ერთი ნაწილი იწერება პირველი წინადადების დასაწყისში. მასთანავე, მეორე ნაწილის წინ აუცილებლად იწერება მძიმე.

2. თუ წინადადებაში გამოყენებულია მკაცვშირებელი სიტყვები: „მაგრამ“, „ხოლო“, რომლებიც ეკუთვნიან  $l_3$ -ტიპის კავშირს, მაშინ მათ წერენ მეორე წინადადების დასაწყისში და მათ წინ აუცილებლად დაისმის მძიმე. ხოლო, თუ წინადადებათა დასაკავშირებლად გამოიყენება „კი“ კავშირი, რომელიც აგრეთვე ეკუთვნის  $l_3$  ტიპის მკაცვშირებელ სიტყვათა სიმრავლეს, მაშინ იგი დაიწერება მეორე წინადადების ქვემდებარის შემდეგ და მძიმე დაისმის მის შემდეგ.

ამრიგად, უშუალო შემადგენელთა დონეზე ჩვენ შევძელით მიგველო რთული თანწყობილი წინადადება (ქართული ენის თვალსაზრისით), ე. ი. ტერმინალური სტრიქონი წარმოადგენს რთულ თანწყობილ წინადადებას. დგება საკითხი: შეიძლება თუ არა მიღებული რთული თანწყობილი წინადადება ჩათვალოს ბირთვულ, ამოსავალ კონსტრუქციად შემდგომი ტრანსფორმაციუ-

ლი დონისთვის? ე. ი. შესაძლებელია, თუ არა ტრანსფორმაციული წესების გამოყენება მიღებული წინადადების მიმართ? თუ საჭიროა ამ წინადადების რაციონალიზაცია შეცვლა, სხვა სახით წარმოდგენა (იგულისხმება მარტივი წინადადების სახით)?

ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ტრანსფორმაციული წესები (განხილული ლ. ენუქიძის აღნიშნულ ხაზრომში) შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო მარტივი ამოსავალი კონსტრუქციების მიმართ, არამედ რთული კონსტრუქციების მიმართაც, იმ განსხვავებით, რომ ტრანსფორმირების პროცესი წარიმართება ზუსტად ერთნაირად მოცემული წინადადების ორივე ნაწილში, ხოლო მაკავშირებელი სიტყვები უცვლელად გადავლენ ტრანსფორმში.

განვიხილოთ უშუალო შემადგენელთა დონეზე მიღებული წინადადებებიდან ახალი წინადადებების წარმოების ტრანსფორმაციული მეთოდი.

მაგ., ქალი ეზოს გვის და ბერიკაცი შეშას კრის.

მიღებული წინადადების სტრუქტურული განაწილება იქნება

$$N_1 N_2 V^{23} I_1 N_3 N_4 V_{(1)}^{23}$$

### 1. უარყოფითი

უარყოფის ნაწილაკის ჩასმის შემდეგ ჩვენი წინადადების სტრუქტურა იქნება<sup>18</sup>:

$$N_1 N_2 /არ/ V^{23} I_1 N_3 N_4 /ა' / V_{(1)}^{23}, \text{ ე. ი. } \\ N_1 + N_2 + V^{23} + I_1 + N_3 + N_4 + VP_{(1)}^{23} \rightarrow N_1 + N_2 + /არ/ + V^{23} + I_1 + N_3 + \\ + N_4 + /ა' / + V_{(1)}^{23}$$

თუ სიმბოლოების ნაცვლად ჩავსვათ შესაბამის მნიშვნელობებს, მივიღებთ:

$$\begin{aligned} & \text{ქალი-ი} + \text{ეზო-ს} + \text{გვი-ის} + \text{და} + \text{ბერიკაცი-ი} + \text{შეშას-ს} + \text{კრი-ის} \rightarrow \\ & \rightarrow \text{ქალი-ი} + \text{ეზო-ს} + \text{არ} + \text{გვი-ის} + \text{და} + \text{ბერიკაცი-ი} + \text{შეშას-ს} + \\ & \quad + \text{არ} + \text{კრი-ს.} \end{aligned}$$

### 2. კონტაქტი

მოცემული წინადადების სტრუქტურული განაწილება:

$$N_1 N_2 V^{23} I_1 N_3 N_4 V_{(1)}^{23} \rightarrow (M_1 + m_1) (M_2 + m_2) (B_4 + k_5 + s'_5) I_1 (M_3 + m_3) (m_4 + \\ m_5) (B_4 + k_6 + s'_6)$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$\begin{aligned} & (M_1 + m_1) (M_2 + m_2) B_4 + k_5 + s'_5) I_1 (M_3 + m_3) (M_4 + m_4) (B_4 + k_5 + s'_5) \text{ Tარა აუთლებ.} \\ & \rightarrow (M_1 + m_1) (M_2 + m_2) B_4 + k_1 + s'_1 + k'_1 + \text{კონტ. 3) } (M_3 + m_3) I_1 (M_4 + m_4) (M_4 + m_4) B_4 + \\ & - k_1 + s'_1 + k'_1 + \text{კონტ. 3) } (M_3 + m_3) \text{ Tარა აუთლებ. } (M_5 + m_5) (M_1 + m_1) (M_2 + m_2) (k'_1 + \\ & + B_4 + \text{კონტ. 3} + k_1 + s'_1) I_1 (M_6 + m_6) (M_3 + m_3) (M_4 + m_4) (k'_1 + B_4 + \text{კონტ. 3} + k_1 + s'_1). \end{aligned}$$

<sup>18</sup> ჩაწერის სიმოქლისათვის ტრანსფორმირებას წინადადების ორივე ნაწილში ვაწარმოებთ დოქტორულად. ასევე იქნება სხვა ტრანსფორმაციული წესების გამოყენების დროსაც.

სიმბოლოების ნაცვლად ჩავსვათ შესაბამისი მნიშვნელობები: მამასახლისი-ი ქალ-ს ეზო-ს ა-გვ-ევი-ნ-ებ-ს და კაზაკ-ი ბერიკაც-ს შეშა-ს აქრ-ევი-ნ-ებ-ს.

3. a) T ქცევა (სასხვისო) — T<sub>1</sub> ქცევა

მოცემული წინადადების სტრუქტურული განაწილება:

$$N_1 N_2 V^{21} I_1 N_3 N_4 V_{(1)}^{21} \rightarrow$$

$$\rightarrow (M_1 + m_1)(M_2 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5) I_1 (M_3 + m_1)(M_4 + m_2)(B_4 + k_5 + s_5).$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$(M_1 + m_1)(M_2 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5) I_1 (M_3 + m_1)(M_4 + m_2)(B_4 + k_5 + s_5) T_{\text{რა აუტალებ.}}$$

$$\rightarrow (M_1 + m_1)(M_2 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5 + \text{ქცევა სასხვ.})(M_3 + m_2) I_1 (M_3 + m_1)(M_4 + m_2)(B_4 + k_5 + s_5 + \text{ქცევა სასხვ.}) (M_6 + m_2) T_{\text{უტალებ.}} (M_1 + m_1)(M_3 + m_2)(M_2 + m_2)(\text{ქცევა სასხვ.} + B_4 + k_5 + s'_5) I_1 (M_3 + m_1)(M_6 + m_2)(M_4 + m_2)(\text{ქცევა სასხვ.} + B_4 + k_5 + s'_5).$$

სიმბოლოების ნაცვლად ჩავსვათ შესაბამისი მნიშვნელობები:

ქალ-ი მამასახლის-ს ეზო-ს უ-გვ-ი-ს და ბერიკაც-ი კაზაკ-ს შეშა-ს უ-პრ-ი-ს.

b) T ქცევა (სათავისო) — T<sub>2</sub> ქცევა

მოცემული წინადადების სტრუქტურული განაწილება:

$$N_1 N_2 V^{21} I_1 N_3 N_4 V_{(1)}^{21} \rightarrow$$

$$\rightarrow (M_1 + m_1)(M_2 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5) I_1 (M_3 + m_1)(M_4 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5).$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$(M_1 + m_1)(M_2 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5) I_1 (M_3 + m_1)(M_4 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5) T_{\text{რა აუტალებ.}}$$

$$(M_1 + m_1)(M_2 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5 + \text{ქცევა სათავ.}) I_1 (M_3 + m_1)(M_4 + m_2)(B_4 + k_5 + s'_5 + \text{ქცევა სათავ.}) T_{\text{უტალებ.}} (M_1 + m_1)(M_2 + m_2)(\text{ქცევა სათავ.} + B_4 + k_5 + s'_5) I_1 (M_3 + m_1)(M_4 + m_2)(\text{ქცევა სათავ.} + B_4 + k_5 + s'_5).$$

სიმბოლოების ნაცვლად ჩავსვათ შესაბამისი მნიშვნელობები:

ქალ-ი ეზო-ს ი-გვ-ი-ს და ბერიკაც-ი შეშა-ს ი-პრ-ი-ს.

4. T კითხვითი

მოცემული წინადადების სტრუქტურული განაწილება:

$$N_1 N_2 V^{21} I_1 N_3 N_4 V_{(1)}^{21}$$

სტრუქტურული ცვლილება:

a) T<sub>1</sub> კითხვითი

$$N_1 + N_2 + V^{23} + I_1 + N_3 + N_4 + V_{(1)}^{23} \rightarrow V^{23} + N_1 + N_2 + I_1 + V_{(1)}^{23} + N_3 + N_4?$$

ჩავსვათ შესაბამისი მნიშვნელობები:

$$\begin{aligned} & \text{ქალ-ი} + \text{ეზო-ს} + \text{გვ-ის} + \text{და} + \text{ბერიკაც-ი} + \text{შეშა-ს} + \text{ქრ-ის} \rightarrow \\ & \rightarrow \text{გვ-ის} + \text{ქალ-ი} + \text{ეზო-ს} + \text{და} + \text{ქრ-ის} + \text{ბერიკაც-ი} + \text{შეშა-ს?} \end{aligned}$$

b) T<sub>2</sub> კითხვითი

შემოვიტანოთ აღნიშვნები: N<sub>2</sub>-x, V<sup>23</sup>-z, N<sub>4</sub>-p, V<sub>(1)</sub><sup>23</sup>-q.

$$I. N_1 + x + z + I_1 + N_3 + p + q \rightarrow N_1 + z + x + I_1 + N_3 + q + p?$$

II. ჩავსვათ N<sub>1</sub>-ის და N<sub>3</sub>-ის ნაცვლად „ვინ“ ნაცვალსახელი, თუ ისინი სულოერ საგანს გამოხატავენ და „რა“ ნაცვალსახელი, თუ უსულო საგანს გამოხატავენ.

ჩვენს მაგალითში გამოვიყენებთ „ვინ“ ნაწილაკს. ორივე შემთხვევაში ვღებულობთ:

$$\begin{aligned} & N_1 + z + x + I_1 + N_3 + q + p? \rightarrow \text{ვინ} + z + x + I_1 + \text{ვინ} + q + p? \\ & \text{ვინ} + \text{გვ-ის} + \text{ეზო-ს} + \text{და} + \text{ვინ} + \text{ქრ-ის} + \text{შეშა-ს?} \end{aligned}$$

c) T<sub>3</sub> კითხვითი

შემოვიტანოთ აღნიშვნები: N<sub>1</sub>-x, V<sup>23</sup>-z, M<sub>3</sub>-p, V<sub>(1)</sub><sup>23</sup>-q.

$$I. x + N_2 + z + I_1 + p + N_4 + q \rightarrow N_2 + z + x + I_1 + N_4 + q + p?$$

II. ჩავსვათ N<sub>2</sub>-ის და N<sub>4</sub>-ის ნაცვლად „რას“, თუ ისინი გამოხატავენ სულოერ საგანს და „რას“, თუ გამოხატავენ უსულო საგანს. ორივე შემთხვევაში ვღებულობთ:

$$\begin{aligned} & N_2 + z + x + I_1 + q + p? \rightarrow \text{რას} + z + x + I_1 + \text{რას} + q + p? \\ & \text{რას} + \text{გვ-ის} + \text{ქალ-ი} + \text{და} + \text{რას} + \text{ქრ-ის} + \text{ბერიკაც-ი?} \end{aligned}$$

5. T პასივი

აქამდე მოცემულ წინადადებას განვიხილავდით აქტიურ ფორმაში. ვთქვათ, გვინდა ვაწარმოოთ იგივე წინადადების პასიური ფორმა. სტრუქტურული განაწილება მოცემული აქტიური წინადადებისა არის:

$$N_1 N_2 V^{23} I_1 N_3 N_4 V_{(1)}^{23} \rightarrow$$

$$\rightarrow (M_1 + m_1) (M_2 + m_2) (B_4 + k_5 + s_5^1) I_1 (M_3 + m_1) (M_4 + m_2) (M_4 + m_2) (B_4 + k_5 + s_5^1)$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$\begin{aligned} & (M_1 + m_1) (M_2 + m_2) (B_4 + k_5 + s_5^1) I_1 (M_3 + m_1) (M_4 + m_2) (B_4 + k_5 + s_5^1) \text{ T არა აუცილებ.} \\ & (M_2 + m_1) (B_4 + k_1 + s_3^2 + \text{ვნ. 1}) I_1 (M_4 + m_1) (B_4 + k_1 + s_3^2 + \text{ვნ. 1}) \text{ T აუცილებ. } (M_2 + \\ & + m_1) (\text{ვნ. 1} + B_4 + k_1 + s_3^2) I_1 (M_4 + m_1) (\text{ვნ. 1} + B_4 + k_1 + s_3^2). \end{aligned}$$

## ჩავსვთ შესაბამისი მნიშვნელობები:

ეზო-ღ ი-გვ-ღ-ბ-ა და შემ-ღ ი-კ-რ-ებ-ა.

ამრიგად, ძირითად კითხვას — შეიძლება თუ არა ტრანსფორმაციულმა წარმომშობმა გრამატიკამ წარმოშვას რთული თანწყობილი წინადადებები — შეგვიძლია დადებითად ვუპასუხოთ.

სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ:

ლინგვისტური თეორიის, მეთოდის არაადეკვატურობის შესაძლო მტკიცე-ბათა შორის ყველაზე ძლიერია ის მტკიცება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს თეორია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არც ერთი ბუნებრივი ენის მიმართ. ნაკლებ ძლიერი, მაგრამ საკმარისი მტკიცება იქნებოდა იმის ჩვენება, რომ მოცემული თეორიის გამოყენება ბუნებრივი ენის მიმართ შეიძლება „არამოხდენილად“, სხვა სიტყვებით — იმის ჩვენება, რომ ნებისმიერი გრამატიკა, რომელიც შეიძლება აგებულ იქნეს ამ თეორიის საფუძველზე იქნება საკმაოდ რთული, ემპირიული, რომ ზოგიერთი არსებითად, მარტივი აღწერები გრამატიკულად სწორი წინადადებების დახასიათებისა არ შეიძლება ფორმულირებულ იქნენ მოცემული გრამატიკის ტერმინებით და რომ ბუნებრივი ენის ზოგიერთი ფუნდამენტალური ფორმალური თვისება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს გრამატიკების გასამარტივებლად.

განსახილველი გრამატიკის ან დახასიათების ადეკვატურობის შემოწმების ერთადერთი მეთოდი ის არის, რომ შევეცადოთ უშუალოდ გამოვიყენოთ იგი ბუნებრივი ენის აღწერისას.

ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის დახასიათების მეთოდი და ამ გრამატიკით რთული წინადადების წარმომშობის მეთოდი, რომელიც ჩვენ დავამუშავეთ, როგორც დავრწმუნდით, აკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც შეგვიძლია წავუყენოთ ენის რეალობის აღმწერ ამა თუ იმ მეთოდს, რათა იგი ჩაითვალოს ადეკვატურად.

მაშასადამე, ტრანსფორმაციების დახასიათებისა და რთული წინადადების წარმომშობის ზემოაღნიშნული მეთოდები ადეკვატურად ასახავენ ენობრივ რეალობასა და წარმომშობის პროცესების აღწერის პერსპექტივებს.

ამ მეთოდების დაზუსტება და გაფართოვება თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი გადასაკრელი საკითხია, რომელიც მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტმა თ. გამყრელიძემ)

## თინათინ ზონიანი

თანხმევანთა ზოგი კომპლექსი ნახური ჯგუფის  
ენებში<sup>1</sup>

ნახური კონსონანტიზმის ერთ-ერთი თავისებურებაა ფონემატურ სისტემაში შემავალი მონოფონემის ტოლი თანხმევანთა ჯგუფები, რომელთა შემდგომი სეგმენტაცია არ ხერხდება. ეს ჯგუფები მომდინარეობს საერთო-ნახურიდან და დამოწმებულია დიალექტურად გაჩენილ კომბინატორულ კომპლექსთა გვერდით, ძირითადად არაანლაუტში.

მონოფონემური ჯგუფები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ბაცბურ-იმიერ-ნახური შესატყვისობით, რაც მოწმობს მათ წარმომავლობას დაკარგული საერთო ფონემიდან. ესენია ხყ—ხქ, თხ—ლხ, რლ, რჰლ, სტ—სთ და სხვ. ზოგ მათგანის შესახებ მკვლევართა ესა თუ ის აზრია ცნობილი. ჩვენი მსჯელობის საგანია რლ, რჰლ და სტ ჯგუფები. სტ ჯგუფის ისტორიული დაკვირვების ცდა პირველია.

1. წყვილსონორი ჯგუფები. წყვილსონორი ჯგუფები ნახურში არცთუ ცოტაა. ბევრი მათგანი გაჩენილია კომბინატორულად — რედუქციის საფეხურზე. ზოგი კი ძველი ფონემის რედუქციის წარმოადგენს.

1. საერთო-ნახური რლ ჯგუფი ამავე სახით, უცვლელად, ბაცბურში დასტურდება. იმიერნახურში რლ მეტად მერყევია: რლ-ს ენაცვლება კილოური ასიმილაციურ-დისიმილაციური ვარიანტები, როგორც ეს სჩვევია საერთოდ წყვილსონორ ჯგუფებს ნახურში. როგორც ქვევით ვნახავთ, ძირეული რლ და მისი რედუქციის რჰ დამთხვა კომბინატორულ რლ-ს ან სპონტანურ რჰ-ს იმიერნახურში.

რლ სალიტერატურო ჩაჩნურსა და ბარის ზოგ კილოკავშია დაცული. იმიერნახურის მდგომარეობაში მან მოგვეცა სხვადასხვა მიმართულების ასიმილაციურ-დისიმილაციური ჯგუფები — ბც. რლ: ინგ., ახ. (ზოგ სიტყვაში) რლ, დანარჩენ კილოებში რლ > რრ (რრჰ), ლლ<sup>2</sup>: ინგ. ქიერდა, ჳ. ქარლი, შ. ქიერლი, იყ. ქერლან, ვ. ქერლი/ქელლი „ახალი“.

აღნიშნულ რედუქციასთა გარდა ზოგი კილო-კილოკავის (ინგუშური, ახური, ვედენოური, ბარის ჩაჩნ. კილოკავი) გამოკლებით რლ ჯგუფი მარტივდება: რლ > რ/რჰ: ბც. არლარ „გალეწვა“: ინგ. არდა, ახ. ორდა „გალეწვა“, დანარჩენ

<sup>1</sup> ნაწილი 1967 წ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების „თანხმევანთა დაკვლევისათვის ნაღრში“.

ტექსტში შემოკლებულია: ახური—ახ., ბაღური—ბც., ვედენოური (ს. დიშნი ვედენოსა და ხარაიოს მღვჯელება)—უ., თელმალური (კილო)—იყ., იმიერნახური (ჩაჩნ. ინგუშ. კილოები)—იმხს., ინგუშური—ინგ., შაროული (კილო)—შ., ჩაჩნური—ჩ., ქებულური—ქ., ხილი-ხაროული (ს. ოპილის მღვჯელება)—ხლ.

<sup>2</sup> სიმარჯვლტის შეფარდებში აკლია: ლლ. იხ. All Sommerfelt, Etudes comparatives sur le Caucasiqque du Nord-Est, Nersk tidsskrift for sprgvidenskap, ნაგვ. XIV, ოსლ., 1947, გვ. 149.

კილოებში არა / შ. არაჰა, იყ., ხილდ. არაჰა „გალეწვა“<sup>3</sup>; ინგ. საყიერდა / საყიელ-  
ლა, შ. საყიერჰა, იყ. საყიერჰამ, ხილდ. სიყიერჰომ, ჩ. სიყიერჰა „ჭეიფი, დროს  
ტარება“ — ბაბუერში დაკარგულია \*საყერლომ<sup>4</sup>.

რლ > რ გამარტივების მაგალითია აგრეთვე ბც. ბარლმ „ბარნელა“: ინგ.  
ბერდა „წისქვილის თვალი“, ჭ. ბარჰის, შ., იყ. ბერჰის, ხილდ. ბერჰ, ვ. ბერომ,  
ჩ. ბერა „წისქვილის თვალი; ბარნელა; ფაფის მოსარევი ციხევი; მექანიზმის  
(ან ხელსაწყო) ფრთიანი საბრუნავი ღეტალი“. ბარლმ, ბერდა, ბარჰინ, ბე-  
რომ და ა. შ. კანონზომიერი კილოური ვარიანტებით წარმოდგენილი ძირეული  
ნახური სიტყვაა. ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ბოლოფრთიანი  
საბრუნავი ღერძი, რომლის სხვადასხვა მოდიფიკაციას იყენებდნენ წისქვილის  
ასამუშავებლად, კარაქის ამოსაყვანად და ა. შ.

კომბინატორული რლ ჯგუფი (სიტყვის შიგნით) წარმოქმნილია ხმოვნის  
რედუქციის საფეხურზე — ძირისა და აფიქსის თანხმოვანთა შეყრისას და არა-  
ცშვითად გეპლევს ისტორიული რლ-ს ანალოგიურ რეფლექსებს: ჩ. კორ-  
ლადა, ვ. კალლადა, შ. კოლოლო „სააუგო გროვა“, „საწყევარა“, სადაც -ლა  
და -ლა თანდებულია, შდრ. მხოლოდ -ლა თანდებულით ნაწარმოები ხილდ.  
კოროლოჰა „ქვის მრგვალი ნაგებობა“, „ხატი ნაქერალაზე“; ჩ. ბჰარალადა / ბჰ-  
ალლადა „მოჩვენება“ (ბჰარ „თვალი“, -ლა, -ლა თანდებული), შდრ. ინგ. ბჰალ-  
ლა (ბჰა თვალი, -ლ(ა), -ლა თანდებული).

შ. ბც. რჰლ ჯგუფი. ეს ჯგუფი ლ'-ს რეალზაციის პოზიციური შემ-  
თხვევა უნდა იყოს \*რლ' > რჰლ. იმიერნახურში ძველი რჰლ (<რლ') ჯგუფი  
ძირეულ ლექსებში არ შემონახულა, კომბინატორულად კი აქა-იქ დასტურ-  
დება: ინგ. ეორჰალადა, ხილდ. ეუარჰლოდ „მეშვიდე“. იყ. ეუორჰალარა / ეუორ-  
ჰარარა „შვიდიდან“, მაგრამ ჩ. ეუორჰალადა „მეშვიდე“.

ბც. რჰლ-ს რეფლექსი იმიერნახურში კილოურად ასე განაწილდა:

ბც. რჰლ  $\begin{cases} \nearrow \text{შ., ხილდ., იყ., ინგ. არაანლაუტში რჰ} \\ \searrow \text{დანარჩენ კილოებში აუსლაუტში რჰ, ინლაუტში ხმოვნის} \\ \text{წინ რ:} \end{cases}$

ა) სიტყვის შიგნით: ბც. აწრჰლწ (<\*არჰლ' <არლ') „ერკემალი“, რომე-  
ლიც იმიერნახურში გაზედსართავებული ფორმითაა წარმოდგენილი: იყ. ერ-  
ჰის, ხილდ. ერჰ, ინგ. არჰ (<არჰის > ვ. ერი, ჩ. ერა „დაუკოდავი“ > „შმაგი“  
(ერკემალი, ვატი, მოზვერი)<sup>5</sup>.

ბც. ბერჰლომ „წათხი“: შ., ხილდ. ბიერჰომ, იყ. ბიერჰამ, ინგ. ბიერჰ > ჭ.  
ბიერომ, ვ., ჩ. ბიერამ „საწებელი“.

შ. არჰჰმა (<\*არჰომ), ხილდ., იყ. არჰამ „ფესვი“ > ჭ. არომ, ვ. ორუმ,  
ჩ. ორამ „ფესვი“, ინგ. ორამათ „მცენარე“: ბც. ფესვ „ფესვი“, დაკარგულია  
\*არჰლომ.

<sup>3</sup> იგივე შეფარდება ამ ზმნის კლასიან ფორმაში: ბც. დამხდარლარ „გათლა“: ინგ. დარდა,  
სხვა კილოებში დარა/დარჰა „გამოჰრა, ვაჩუა“. ახურში რლ ~ რლ მონაცელობაა, ალბათ, თვით  
ახურის, როგორც კილოს, სიჭრელის გამო, შდრ. ჰოჩდა „გაჰოქ'არს“ (ყაბას), მაგრამ სურლო  
„სონათლე“ და არა მოსლოდ ნელი სურდ(ა)ლო.

<sup>4</sup> „ჭეიფი, დროს ტარება“ ეტიმოლოგიურად თვლიერებას, თვალის ჩაკერას უნდა ნიშნავდეს.  
ჩაჩნეთ-ინგუშეთში ლინში საკლის შესარჩევად მიდიოდნენ, შდრ. შ. სო საყიერჰან (გარდაუვ.)  
ეუოდე „საქეიფოლ (resp. თვალის ჩასაყრავად) მივალ“ და ან საყიერჰო (გარდაუვ.) „თვალს  
ჩაუტარავ“, „ვეარშიუენი“.

<sup>5</sup> მიმართება ისეთივეა, როგორც ბც. ბორჰ, ჭ. ბუორჰ „მოზვერი“ და ჭ. ბუორჰონ, შ. ბუორ-  
ჰა, ინგ. ბუორჰა, ხილდ. ბუორჩ „მამალი“.

ბ) სიტყვის ბოლოს: ამ პოზიციაში იმიერნახურში არაერთი ლექსემა და-  
კარგულა სახელობითის ფორმით და მის კვალს ირიბ ფუძეში თუ ვაგნებთ.  
შდრ. ბც. მორპლ „ერთი შემოწვედომა, ხელუური, oxvat, oxauka“. ინგ., ხილდ.,  
იკ. მუარპ / მუორპ, დანარჩენ კილოებშია ლოკატივის ფორმა გამოთქმაში ვ.,  
ჩ. მარა / მერი დუოლლარ „ჩახუტება“ (ბავშვისა) ანუ ხმოვნის წინა პოზიცია-  
ში რპ>რ, მაშინ როდესაც კვლავ რპ-ს აღნიშნავენ ინგ., ხილდ., იკ. მარპა / მერ-  
პა დუოლლარ.

პოზიციამ (სიტყვის ბოლო) რპ გადაარჩინა შეიღსა და რვაში. ეს ალო-  
ფონი ასურის გამოკლებით დადასტურებულა ყველა იმნხ. კილოში: ბც. ვორპლ  
„შეიღი“: იმნხ. ეუარპ / ეუორპ; ბც. ბარპლ „რეა“: იმნხ. ბარპ.

ბც. ლ'-ს რეფლექსების პოზიციური განაწილება ჩანურში პირველად  
შიფნერმა დაადგინა: ბც. ლ' : ჩ. ლ, რ-ს შემდეგ ზ / <sup>5</sup>, ე. ი. რ-ს შემდეგ  
ბც. ლ' > იმნხ. ჰ და არა ლ. შიფნერის შეფარდება გაიზიარეს ტრუბეტკოიმ,  
სომერფელტმა, გ. მაქაეარიანმა. ყველა მათგანი ემყარება გრაფიკულ რლ'  
ჯგუფს, რომლითაც შიფნერი აღნიშნავს ბაცბურ ყრუ ფუძენიერი ლატერალ  
სპირანტს რ-ს შემდეგ.

მაგრამ, არტიკულაციურ-აკუსტიკურად რეალიზებულია არა რლ', არამედ  
რჰლ. საერთო-ნახ. ლ'-ს გარდაქმნის გზა ბაცბურში განსხვავებულია ხმოვან-  
თა შორის და რ-ს შემდეგ: პირველ შემთხვევაში იგი ლატერალადვე რჩება,  
რ-ს შემდგომ კი ადგილი აქვს განლატერალებას და რეგრესულ ასიმილაციას  
რ-ს დაყრუებით. იმიერნახურში ასეთივე პროცესის შედეგად კომპლექსში  
იკარგება ლ: რლ' > ბც. რჰლ > იმნხ. რპ/რ.

ბც. ლ' : ჩ. ლ, რ-ს შემდგომ ზ/ზ ევოლუციის განიარებას აბრკოლებს  
შემდეგი: ა) ლატერალი ნახურში არ იძლევა ჰ-ს; ბ) რპ-ს პოზიციურ ბუნებას  
სიტყვის ბოლოს ავლენს რ-ს სონორობის აღდგენა ხმოვანთშორის კილოურად;  
გ) იმიერნახურში ლ-ს დაკარგვის ტენდენცია (ანაზღაურებული თუ უკვალო)  
წყვილსონორ კომპლექსში, შდრ. ზემოთ მითითებული ბც. არლარ > იმნხ.  
პრდა/პრა „გალეწვა“ და კილოურად კომპლექსში ლხ > ხ: ხილდ. დიიხ (<დი-  
ელხუ) „ტირის“ (ბავშვი), ნოუხ (<ნაუღხ<ნალხო) „კარაქი“, შს ეუხ (<შლ-  
ხო) „ეჩეჩავ“ და მისთ.

3. მეორე მხრივ, ბც. რჰლ > იმნხ. რპ/რ ევოლუციაში რ-ს კონტაქტური  
დაყრუების პარალელურია ანალოგიური პროცესი იმნხ. კილოებში კომპლექს-  
ში ან პოზიციურად. ასეთია ბც. ზკ:იმნხ. ზქ > კილოურად რქ.7. ეს სპონტანუ-  
რი გადასვლა რეგულარულია შაროულსა და ითუმკალურში: ბც. მოხკ „მხარე,  
ქვეყანა“: ჩ.-ინგ. მუოხქ, შ., იკ. მუარპქ; სხვა ყრუ თანხმოვანთა მეზობლობაში  
რ-ს დაყრუება უფრო ფარგლად გავრცელებული: ხილდ. სო კირპირპ „შემე-  
წინდა“, მარპქ „წიხლი“, შ. დირპსთა „უზანგი“, ბარპთ „პირი“ და მისთ.

ნახურში რ-ს არაენერგიულ არტიკულაციას მოწმობს აგრეთვე მისი სპონ-  
ტანური დაყრუება სიტყვის ბოლოს რიგ კილოში (რაც ამავე პოზიციაში ლ, გ-ს  
სპონტანური დაყრუების პარალელურია): ხილდ. კიერპ „ქვა“, შ. არპ დუ  
„გეტყვი“, თურპ „ხმალი“ და ა. შ.

<sup>6</sup> იხ. ЭК II, П. К. У с л а р. Чеченский язык, 1888, დანართი I, А. А. III и ф и е р.  
Чеченский язык, გვ. 10. ქვევით შემოკლებით შიფნ., თვით უსლარის მონოგრაფია—უსლ.

<sup>7</sup> ზქ > რქ კილოურად აღნიშნა დ. შ ა ლ ს ა გ ო ვ შ ა თ ა ვ ს „Чечено-ингушская диалек-  
тология“-ში, 1941.



იმიერნახურში რჰ-ს კილოური რეალიზაცია არ ნიშნავს რჰ — რ დაპირისპირებას. ამ კორელაციას პრაქტიკულად არა აქვს ფონემატური ღირებულება: ეურ/ეურჰ „კომლი“, ბიეხქენა/ბიერჰქენა „მოვიდენ“, მარიშ/მერაჰ/მარჰაშ „ცხვირი“ თავისუფლად მონაცელე ვარიანტებია.

სამეცნიერო ლიტერატურაში რჰ ბგერა განხილულია სინქრონიული ღირებულების თვალსაზრისითაც. დ. მალსაგოვისა და დეშერიევის აზრით ინგუშურში რჰ ფონემად ჩამოყალიბდა: ინგ. ეუორჰ „შიდი“ — ეუორ „ლუბი პირუტყვი“ და ინგ. ბიერჰა „საწებელი“ — ბიერა „ხევი; ბეგარა“ დაპირისპირებული წყვილებია<sup>8</sup>.

ასეთი წყვილები, როგორც ზევით ითქვა, დიალექტური ხასიათისაა და ინგუშური ან რომელიმე სხვა კილო არ უპირისპირდება სხვა ჩაჩნურ კილოთა კონსონანტურ სისტემას როგორც ახალი სისტემა. ამასთან, საილუსტრაციო წყვილები უფრო ადრეული სახით სხვა კილოებშია წარმოდგენილი, შდრ. ჩ.-ინგ. ეუორჰ „შიდი“ — იკ. ჰუორჰ/ვ. ჰუორ „ლუბი პირუტყვი“ და ბიერ-კომ/ბიერომ „საწებელი“ — იკ. ბიერჰა/ჰ. ბიერო, უსლ. ბიერუ/შ. ბიორო/ვ. ბიერუ/ჩ. ბორა „ხევი“, ხრამი“, სადაც დაპირისპირება სხვაგვარია, თუმცა რჰ-რ არც აქ ჩაითვლება ფონემატური ღირებულების წყვილად.

რჰლ ჯგუფის საკითხის ყველაზე ახალ გადაწყვეტას გვაწოდებს ლ. სანიკიძე: ბაცბურისა და ჩაჩნ-ინგუშურის შესატყვისობაში ბც. რჰლ: იმნხ. რჰ/რ განხილულია როგორც ორი ფარდობა: ბც. ლ': ჩ.-ინგ. ლ და ბც. რჰ: ჩ.-ინგ. რჰ/რ<sup>9</sup>, ე. ი. რჰ მიჩნეულია დამოუკიდებელ ფონემად. ასეთი გაგება გულისხმობს, რომ რჰ ბაცბურში რჰლ ჯგუფის გარეშეც (არა კომპლექსში) უნდა დასტურდებოდეს.

რჰლ ჯგუფიანი ბაცბური და შესატყვისი იმიერნახური ლექსემების შეპირისპირება მატერიალურად იდენტურ დალესტნურ ძირეულ მორფემებთან ცხადყოფს, რომ რჰ ბაცბურში ლ'-ს განლატერალების შედეგია და არა დამოუკიდებელი ფონემა. იმიერნახურში კი დაკარგულია თვით ლატერალი.

გ. მაქავეარიანის ვარაუდით ლ' ფონემიან და რჰლ ჯგუფიან ნახურ ფუძეებს ხუნძქურ-ანდიურში მაგარი აფრიკატი ტ<sup>0</sup> შეესატყვისება<sup>10</sup>. ავტორის აზრით ბაცბურში შეიძლება დაეუმატოთ ორი ლექსემა, რომლებშიც, მართალია, ნახურის შესატყვისი ყველა ხ.-ანდიურ ძირეულ მორფემაში არ დასტურდება რ ელემენტი, მაგრამ მოცემულია აფრიკატი ტ<sup>0</sup>, რომლის ნახური რეფლექსირის დაყრუების წყაროა:

იმნხ. არჰამ/არჰამ/არომ (<\*არჰომ) „ფესვი, ძირი“: ბც. \*არჰლომ (დაიკარგა ქართულიდან ფესვ- ფუძის შეთვისების გამო). გუდაეას ხ.-ანდიურ შეპირისპირებაშია „ანდ. ჰიტიმძ..., ახვ. ეტ<sup>0</sup>ე, ხნძ. ტიბილ „ფესვი, ძირი“, მაგრამ ნახურთან ყველაზე ახლოა ბალეალური ენის თლისური კილოჯაეის ჰყერტემ<sup>11</sup>.

<sup>8</sup> Ю. Д. Лешериев, Сравнительно-историческая грамматика пахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, 1963, გვ. 230.

<sup>9</sup> ლ. სანიკიძე, ბაცბური ლ' და რ' თანხმოვანთა შესატყვისობისათვის ჩაჩნურ-ინგუშურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1968, გვ. 18—19.

<sup>10</sup> გ. მაქავეარიანი, ლატერალურ თანხმოვანთა სისტემის ევოლუციის ზოგიერთ საკითხი ნახური ჯგუფის ენებში, იყე, XVI, გვ. 261.

<sup>11</sup> Т. Е. Гудавва, Консонант изм индийских языков, Тб., 1964, გვ. 136, შემოკლებით Консонант изм.

ბ. ბერპლომ „წათხი“: იმნხ. ბიერპომ > ბიერომ / ბიერამ „საწებელი“ შეიძლება შევეუპირისპიროთ ბოთლ. ბუტჷა-ს „მწარე“<sup>12</sup>, ახვ. ბოტჷიდაბე-ს „მწარე“<sup>13</sup>, ხნდ. ტჷოჷ-ს „სიმწარე“<sup>14</sup>.

დასასრულ, „შვიდის“ ნახურ-დაღესტნური შეპირისპირება ახალი კვლევის საფუძველზე შეიძლება დავაზუსტოთ ასე: ლაქ. არულ-ვა-ს „შვილი“ აღდგენილი „ჭარლ“<sup>15</sup> თაჷისი განლატერალეზით ბ. ეორპლ-ის რიგში დგას, თუმცა მან ამავე პროცესის დამატებით განიცადა რეგრესული ასიმილაცია და, პირუკუ, თითქოს იდენტური ღარგ. უერპ > ალ „შვილი“ და იმნხ. ვუარპ სხვადასხვა ღირებულებისაა: ღარგუულში < ლ, იმიერნახურში < ლატერალის დაკარგვის შედეგად რ-ს სიყრუის ნიშანია.

II. 4. სტ-სო ჭგუფი. აქცესიური ბ. სტ.: იმნხ. სო ჭგუფის საპირისპირო ზ ტ: ზ თ არ დასტურდება. რაც შეეხება ს ფ / ს პ ან ს ქ / ს ყ ჭგუფებს, როგორც აღნიშნა სომერფელტმა, არ გვხვდება ძირეულ ნახურ სიტყვებში<sup>16</sup>. შეუთავსებელია ს ტ ს: ს თ ს, ს ტ წ: ს თ ზ, ტ ტ ს: თ თ ს და ა. შ. ეს თანხმოდენები ერთმანეთს არ ხვდებიან.

განაწილების მხრივ სტ:სო დასაშვებია ყველა პოზიციაში; შედარებით იშვიათია სიტყვის ბოლოს.

ბაცებურში, სადაც თანხმოდანთა არტიკულაცია უფრო ენერგიულია, სტ არ იცვლება. იმიერნახურში სო ნორმალა ჰებერლოურსა და სალიტერატურო ჩაჩნურში. დანარჩენ კილოებში რეგულარულია სო > ს/თ. ეს გამარტივება დასაშვებია მხოლოდ სიტყვის თავში. ამ პოზიციაში გვხვდება კილოურად მონაცვლე თავისუფალი ვარიანტები სთაგ / საგ / თაგ „კაცი“.

არაანლაუტში, იშვიათი გამოჩაქსისის გარდა, სო სავალდებულოა, უნდა: ჩ.-ინგ. ღარსთა „გასუქება“, ჩ. უსთალ „ვერძი“, ნწყუოსთ „ამხანაგი“ და მიუღებელია ღარსა, უსალ, ნწყუოს.

ზოგ კილოში, რომელშიაც სიტყვის თავში სო, ჩვეულებრივ, მარტივდება, ეს დატულია, თუ უჩნდება პროთეტული ხმოვანი. ამის გამო სო ანლაუტის პოზიციიდან გადაინაცვლებს არაანლაუტში: ბ. სტო: ჩ. სთო, ბარის ჩ. კილო თუო „სატეხი“, ინგ. ოსთა; ჭ. სთოვ, შ. სეი „შინდი“, ინგ. ესთი.

პროთეტული ხმოვანი მრავლობითს, ჩვეულებრივ, არ ეწყობა: ივ. უსთუ, ინგ., ახ. უსთ „ხარი“ — მრ. სერში / სერჩ / სერჩი და არა მოსალოდნელი უსთერჩ. ახურში კი, რომელიც კუმეიურ გარემოცვაშია, ასეთი ხმოვანი ხშირად მონაწილეობს ორსავე რიცხესა და ირიბ ფორმებშიც: უსთ „ხარი“, ერგ. ისთარო, მიც. ისთარნა; ისთამ — მრ. ისთამაშ „ნაღველი“; უსთამ — მრ. უსთამაშ „ნაყოფი“ (შღრ. ბარის ჩ. კილო თუომ).

სო ჭგუფის კომპინატორული გაჩენის წყარო რამდენიმეა. ზოგ კილოში სო რეგულარულად ჩნდება ძირეული კბილისმიერი თანხმოდენის ასიმილაციური შერწყმით აორისტის ნ-სთან აორისტის -ინა > ნა პროცესის გამო: ხილდ. სო სესთე „გაჭერილი“ < სასთე < სასნე < საცნე < საციწე — შღრ. სოც

<sup>12</sup> ტ. გ უ ღ ა ვ ა, ბოთლიბური ენა, 1963, ლექსიკონი.

<sup>13</sup> З. М. Магомедбекова, Ахвацхий язык, 1967, ლექსიკონი.

<sup>14</sup> ЭК, III; П. К. Услар, Аварский язык, 1889, ლექსიკონი.

<sup>15</sup> ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ე ი ლ ი, დაღესტნური ფუძე-ენის მღერი აფრიკატები, „მაცნე“, 1967, № 1, გვ. 214.

<sup>16</sup> ა. ს ო მ ე რ ფ ე ლ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 146.

„ეჩერდები“, სეცირა „გაეჩერდი“. სთ სპორადულად დასტურდება აგრეთვე სიტყვის შიგნით — რელუქციისა და თანმდევი მეტათეზისის შედეგად: უსლ. ასთახ, ქ.წათხო „კოკლი“ < კუმ. ახსახ; შ. ისთხარ „მაული“, სადაც სხ > სთხ, შღრ. ჩ. ისხარ და ა. შ.

5. რადგანაც სტ : სთ არ ექვემდებარება არც პოზიციურ და არც დიალექტურ ახსნას, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ელინდება როგორც გაუქმებული ფონემის პოზიციური ვარიანტი. საკითხის გაშუქებას აძნელებს ის, რომ საერთონახურის შორეულ მდგომარეობაში უნდა ვივარაუდოთ არა მარტო ფონემათა ბინარული დაპირისპირების, არამედ აგრეთვე ერთი ლოკალური რიგის ორორი წყვილი ფონემის დაპირისპირების ნეიტრალიზაცია. ნახურში ერთი და იგივე ბგერა პოზიციისა და მიხედვით სხვადასხვა წარმომავლობისა შეიძლება იყოს. ამ რთულ ვითარებაში შეგვეშველება სპეციალურ ლიტერატურაში მიკვლეულ საერთო-დაღესტურ ფონემათა რეფლექსებს შიგნით დაპირისპირება შესატყვის ნახურ მონაცემთან და ამ რეფლექსთა ტენდენციების გათვალისწინება.

ასე მაგ., ნახურშიც შეინიშნება, რომ სავარაუდო ნახურ-დაღესტნური სიბილანტური ფონემები იშვიათად ძლებენ: სპირანტები აფრიკატდებიან, აფრიკატები სპირანტდებიან, ანდა სისინა სიბილანტები შიშინა სიბილანტებად იცვლებიან და პირუკუ. შესაბამისად მერყევიან ნახ.-დაღ. \*ცა და \*სა-ს რეფლექსები. გარკვეულ ენებსა და ლექსებში ამ ძლიერი თანხმოვნების ევოლუცია დამთავრდა \*ცა — \*ც და \*სა — \*ხ კორელაციის ნეიტრალიზაციით.

ტრუბეტკოვის შეპირისპირებათა მიხედვით \*ცა და \*სა ხუნძურ-ანდიურში ცალ-ცალკე გვაძლევს როგორც ცა-ს, ისე სა-ს სიტყვებში „ნაღველი“, „რაჟ“, „ზამთარი“, „შარშან“<sup>17</sup>. გუდავას შედარებითი კვლევის შედეგად ცა და ცულია ხუნძურ-ანდიურ ენათა რიგ სიტყვაში: „ძმა“, „და“, „წყარო“, „ბნელი“, „ქება“, „კომლი“, „ზამთარი“, „ფარცხი“. მაგრამ ხუნძურ-ანდიურის ცა ~ სა მონაცვლეობა სიტყვებში „ნაღველი“, „წინ“, „შარშან“, „უკანა მხარე“ ავტორის აზრით ამოსავალი \*სა-ს მაჩვენებელია, რომელიც გააფრიკატდა<sup>18</sup>. ლაქურ-დარგუული გარკვეულ სიტყვებში — „შემოდგომა“, „ნაღველი“, „რაჟ?“ — \*ცა და \*სა-სთვის გვაძლევს ნეიტრალიზებულ სა-ს-ს.

ამის საფუძველზე კანონზომიერ მოდიფიკაციად მიგვაჩნია ნახ.-დაღ. \*ცა და \*სა-ს მთლიანად ნეიტრალიზებული რეფლექსი შედარებით დაშორებული ნახური ჯგუფის ენებში, სადაც ჩვენი ვარაუდით ანლაუტში

\*ცა > ბც. სტ > იმნხ. სთ.  
\*სა

\* საილუსტრაციო მასალად გამოყენებულია ტრუბეტკოვის შეპირისპირებანი, რომლებიც შევავსეთ შესატყვისი ნახური ინფორმაციით:

\*სა > ნახ. სტ > სთ

<sup>17</sup> იხ. N. Trubetzkoy, Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der nordkaukasischen Sprachen, I, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten der awaro-andischen Sprachen, Caucasia, B. 3, Leipzig, 1926, გვ. 21. შემოკლებით Kurzen. იხ. აგრეთვე: N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, Wiener Zeitschrift für die Kunde des Mittelalters, T. XXXVII, B. 1—2, Wien, 1930, № 13 და 32, შემოკლებით Nordkaukasische.

<sup>18</sup> Консонантизм, გვ. 100, 102, 142—143. ც-ს ანდიური რეფლექსებისა და ცა ~ სა მონაცვლეობისთვის შღრ. ცერკვაძე, ანდიურ ენა, გვ. 60.

1. რა? „ხ. სსუნ, ლ. სსა, დარგ. სი, ყაფ. სუ-ღ „რა?“<sup>19</sup>: ბც. სტე-, იმნხ. სთი — სთე „რა?“ წარმოადგენს ბც. ვუხ, იმნხ. ჰუე „რა?“ ნაცვალსახელის ირიბ ფუძეს.

2. შარშან\*: ეს სიტყვა შეპირისპირებულია მხოლოდ ანდიური ჭგუფის ენათაოვის: «ახვ. საბა / საალი, ანდ. სჰობ, ბოთლ., ლოდ. საბაუ, კარ., ტინდ. საბი, ბაგვ. საბა „შარშანდელი წელი“<sup>20</sup>: ბც. სტა-უ-ხეჟ | სტო-უ-ხეჟ (<სტახკო), ჩ. სოთხქა, ინგ. სოახქ (<“სახქო) „შარშან“.

ასეთ შეპირისპირებას ეშველება ეტიმოლოგიური ანალიზიც. ნახური სტა-უხეჟ — სოთხქა „შარშან“ კომპოზიტია, რომელშიაც სტა-, სთა- უნდა სიშნადდეს. „წინ, წინა“. ეს ამჟამად გამჭრალი სიტყვა (განდევნა ბც. ჰათხ-, იმნხ. ჰალხ- „პირველ“- ფუძემ) ჩარჩენილია აგრეთვე იმნხ. სთომურ (უსლ., ვ.), სთომარა (ჩ), სამარა-ში (ინგ.) „გუშინწინ“. „შარშან“-ში კომპოზიტის მეორე ნაწილად გვევლება ბც. ხკო „ზაფხული“, ინგ. ა-ხქა „ზაფხული“. მთლიანად ბც. სტაუხეჟ, იმნხ. სოთხქა, ვფიქრობთ, ზედმიწევნით ნიშნავდა „წინ(ა) ზაფხულს < შარშან“.

საყურადღებოა, რომ ხუნძურ-ანდიურში „შარშანს“ გუდავა ეტიმოლოგიურად უკავშირებს „წინ“ ზმნისართს<sup>21</sup>, რაც ამავრებს ჩვენს ეტიმოლოგიას პირველ ნაწილში.

„შარშან“-ში აღადგენენ \*სა-ს (ტრუბეცკოი, გუდავა). საკონტროლოა ანდიურ ენათა ერთობლივი სა მონაცემი. ეს გარემოება ნახურშიც გვაფიქრებინებს \*სა > სტ: სთ-ს.

3. ნაღველი: «ხ. ცცინ, სსინ, ლ. სსი, არჩ. სსამ „ნაღველი“<sup>22</sup>: ბც. სტიმ „შხაბა, Черешца“ (resp. „ნაღველი“); იმნხ. სთიმ / სიმ „ნაღველი“. როგორც ვხედავთ, ბც. სტიმ ვიწრო გაგებითა იხმარება, ძირითადი მნიშვნელობა დაიკარგა ქართულიდან ნაღველ-ის შეთვისების გამო:

\*ცა > ნახ. სტ: სთ.

4. ცა: დარგ. ძუეარი, ლ. სსაჟ, ლეზგ. ცაჟ... ხ. ზობ „ცა“, ანდ. ზუბუ-ღღე<sup>23</sup>. ნახურის თვალსაზრისით უფრო საყურადღებო ლაკურ და დარგულ კილოურ ფორმებს გვაწოდებს ხაიდაკოვი: ლ. (შადნის კილო) ცა აქ, დარგ. ზაქ „ცა“<sup>24</sup>: ხილდ. სიგილ, ინგ., ახ. სივალ, ქ. სთიგილ „ცაზე“; ინგ. სივალე, ხილდ. სიგლაა „ცა“.

ხუნძურ-ანდიურის ლეზგიურთან და ლაკურ-დარგულთან შეპირისპირებისას ტრუბეცკოი ცის ლექსემაში წინარე-დალესტური მდგომარეობისათვის აღადგენს ძირეულ \*ძ-ს<sup>25</sup>, გუდავა — \*ჯ-ს ხუნძურ-ანდიურისათვის<sup>26</sup>. უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება ბ. გიგინეიშვილის გადაწყვეტა, რომელმაც აღნიშნა

<sup>19</sup> Nordkaukasische, გვ. 80.

<sup>20</sup> Kurzen, გვ. 21. შტრ. Консонантизм, გვ. 102, „ანდ. სეებო — „შარშანწინ“, სჰობ „შარშან“, საას „შარშან“ და ამავე ავტორის „ბოთლიხური ენა“, 1963, გვ. 229: ბოთლ. საბაუ „შარშან“, სეებარ „შარშანწინ“.

<sup>21</sup> „ხ. ცეებე „წინ“... ანდ. სედუ, სიი-გი... კარ. სიი-გი „წინ“, Консонантизм, გვ. 102 და აგრეთვე ბოთლ. სეება „წინ“ (ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, 1963, გვ. 230).

<sup>22</sup> Nordkaukasische, № 72, ამოსავლად ნავარაუდევია \*სა. ამასვე აღადგენს ტ. გუდავა: Консонантизм, გვ. 102, 103.

<sup>23</sup> Nordkaukasische, გვ. 83, № 32.

<sup>24</sup> С. М. Х а й д а к о в, Очерки по лакской диалектологии, 1966, გვ. 75.

<sup>25</sup> Б. Т р у б е ц к о и, დასახ. შრ., იქვე.

<sup>26</sup> Консонантизм, გვ. 84.

ტრუბეცკოის შეპირისპირებაში \*ძ-ს რეფლექსთა არაადეკვატური შესატყვისობა. ავტორი ცაში ძირეულ ფონემად ვარაუდობს საერთო-დაღესტნურ \*ცა-ს<sup>27</sup>, რასაც უნდა ამაგრებდეს ნახურის ინფორმაცია.

ამ უძველესი სიტყვის საეარაულო მარტივი ფუძე ნახურში არ შემონახულა. დამოწმებული სახით კი მორფოლოგიურ-სემანტიკური დერევიაციის შედეგი ჩანს. არქაულობას კილოურად განსხვავებული ნალოკატივარი აგებულება მოწმობს. ქებერლოურსა, ხილდხაროულსა, ინგუშურსა და ახურში სახელობითი ლოკატივის ფორმისაგან უნდა იყოს ნაწარმოები:

ქ. სთიგილ	„ცაზ“	—სთიგლოც	„ცა“
ხილდ. სიგილ		სიგლაა	„
ინგ. სიგალ		სიგალე	„
ახ. სიგალ		სიგალა	„

უსლართან და დანარჩენ კილოებში სახელობითი გააგივდა ლოკატივთან, რომლისგანაც მესამეული დერევიაციით აიგო ლოკატივის ფორმა -ა ელემენტის დართვით.

უსლ. სთიგილ	„ცა“ <sup>28</sup>	—სთიგლა	„ცაზგ“
ჩ. სთიგალ	„	—სთიგალა	„
შ. სიგილ		—სიგლა	„

თავის მხრივ ყველა მათგანი უნდა მომდინარეობდეს მარტივი \*სთიგ-ისაგან. -ილ, -ალ დაბოლოება სახელებსა და ზმნისართებს ზიარი შეიძლება ჰქონდეთ: სთიგალ აგებულია როგორც ჩ. ბართ „პირი, ბაგე“ — ჩ. ბართა, ინგ. ბართალ „პირქვე“.

არც მარტივი და არც მეორეული სახით ბაცბურს ეს სიტყვა არ შემოუნახავს, მოსალოდნელი კი იქნებოდა \*სტიკ / \*სტიკალ (<\*ცაიკ-)<sup>29</sup>, რასაც ნახური ერთიანობის რღვევის პერიოდში უნდა მოეცა შესატყვისი \*სთიგ ჩ.-ინგუშურში.

5. შე მო დ გო მა: «ახვ. ცხორო „შემოდგომა“, ახვ. ციხბორო „ზამთარი“, ღოდ. ციხბურუ, ბოთლ. სიხბურუ..., ლ, სხუეთ „შემოდგომა“<sup>30</sup>; ბც. სტაბზ „შემოდგომა“.

იმეირნახურში მოსალოდნელი \*სთაბო / \*სთობა-ს (არ შემონახულა) ნაცვლად იხმარება გურ- ფუძე. მისგან ნაწარმოებია ქ. გურ-აპა „შემოდგომაზე“, გურიე „შემოდგომა“, რაც თავის მხრივ ბაცბურში არ არის დამოწმებული.

უფრო სრულად ანდიური ქვეყნუფის ენები მიმოხილული აქვს გუდავას<sup>31</sup>. გარდა იმისა, რომ ამოსავალ ფონემად ტრუბეცკოის მიაჩნია \*ს ზ, გულა-

<sup>27</sup> ბ. გიგიაშვილი, დაღესტნური ფუძე-ენის მკვლერი აფრიკატები, მაცნე, 1967, № 1, გვ. 206.

<sup>28</sup> უსლარი გეაწოდებს ნათესაობითის ორგვარ ფორმას: სთიგილიც და სოიელანის, ლექსიკონი, გვ. 210.

<sup>29</sup> ამ დაშვებას იქნებ ასაბუთებდეს მე-10 გვერდზე ნაჩვენები ლ. ცაქ, დარგ. ზაქ „ცა“.

<sup>30</sup> Курен, გვ. 21. ბოთლ. სიხბურუ ზუსტი არ უნდა იყოს, შდრ. Коиссашанам, გვ. 100, ბოთლ. ციხბურუ ლ გვ. 103, შენ. 1, ციხბარუ.

<sup>31</sup> Коиссашанам, გვ. 100, ამავე შრომის გვ. 103, შენ. 1-ში— ანდ. სეიბირუ, კამ. ციხბ., ბოთლ. ციხბარუ, ტინდ. ციხბარა-ს უწერია „შემოდგომა“ და არა „ზამთარი“, როგორც ავტორს ნაჩვენები აქვს გვ. 100-ზე.

ვას კი \***ც**-ს, უთუოდ მასალის კარნახით „შემოდგომა“ და „ზამთარი“ მიჩნეულია ერთ ლექსიკურ ოდენობად. ის გარემოება, რომ ხუნძურ-ანდიურში ციბ- / სიბ- ზოგ ენაში „ზამთარს“ აღნიშნავს, ზოგში კი — „შემოდგომას“, ხოლო საკუთრივ „ზამთარი“, ამასთან, დამოწმებულია ტაინ ფუძით (ძირეული თანხმოვნის სათანადო რეფლექსებითურთ)<sup>32</sup>, გვაფიქრებინებს, რომ ციბ- | ხიბ- „შემოდგომა“, „ზამთარის“ გაგება მეორეული უნდა იყოს.

ხუნძურ-ანდიურში „შემოდგომა-ზამთარის“ ლექსემა წარმოდგენილია ნაწარმოები ფუძით. მარტივი ციბ- | სიბ- „შემოდგომა“ ან „ზამთარი“ მაწარმოებელი ელემენტების შესაბამისად, შდრ. ბაგვ. სიბაზა „ზამთარი“, სიბულ-ლა „შემოდგომა“<sup>33</sup>. მარტივ ფუძეს შემოდგომის მნიშვნელობით მხარს უჭერს ლაქური სიუვ-, წახ. ცუჭ<sup>34</sup>, ნახ. სტაბ-. ასეთ დიფერენციაციას ამაგრებს ნახ. ა ( აქ ლატერალის ნაშთია ანლაუტში) „ზამთარი“, რომელიც ხ.-ანდ. ტაინ-ლ. კი-ს „ზამთარი“ შესატყვისი უნდა იყოს.

წარმოდგენილი ხუთი ლექსემის შეპირისპირება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ წინარე-ნახურ ფონემატურ სისტემაში ფონემები სიძლიერის ნიშნითაც გაირჩეოდა. ასეთი ოპოზიციის ნაშთია სტ (:სთ), რომელმაც ნეიტრალიზებულად, ისიც მხოლოდ საწყის პოზიციაში, გამოხატა ნახ.-დალ. ძლიერი

\***ც** და \***ს**:

$\begin{array}{l} / \text{ ხ.-ანდ. } \text{ს/ც} \\ * \text{ს} - \text{ლ.კ.-დ.რგ. სხ   ს (რეფლექსებითურთ)} \\ \backslash \text{ ნახ. სტ. (:სთ)} \end{array}$	$\begin{array}{l} / \text{ ხ.-ანდ. ც/სა} \\ * \text{ც} - \text{ლ.კ.-დარგ. სხ   ძ (რეფ-} \\ \backslash \text{ ლექსებითურთ)} \\ \text{ნახ. სტ. (:სთ).} \end{array}$
---	---

ეს მით უფრო საკულისხმოა, რომ დაღესტნურ ენათა წა-წ და ქა-ქ წყვილების სიძლიერის კორელაციის კვალი ნახურში თითქოს არა ჩანს, ის სავსებით (ყველა პოზიციაში) განეიტრალდა.

6. აღნიშნულ შესატყვისობას მერყევ პოზიციაში თითქოს არღვევს ნახ.-დალ \***ც** > ნახ. ფსტ < მსტ: სთ „ხარსა“ და „დედალში“.

ხარი: „ხ. ოც. ანდ. უნსო, ლ. ნიც, დარგ უნც, აღ. უეც, ლეზგ., ტაბ... მაც... უდ. უს „ხარი“<sup>35</sup>; ბც. ფსტუ (მრ. ფსტარჩ), იმნხ. სთუ (სუ / უსთ — მრ. სთერჩიპ) „ხარი“.

ნახური ინფორმაცია ამოსავალი ნახ.-დალ. ცო თუ ც საკითხის გადასინჯვას არ ნიშნავს, რადგანაც ნახურის პოზიცია არაღამახასიათებელია, დაღესტნურ ენათა რეფლექსები კი კანონზომიერად ც-ს მოწმობს და ნახ. სტ — სთ-ც არა-ანლატუში ც-ს რეფლექსი უნდა იყოს, თუმცა ამ შემთხვევის განზოგადების საფუძველი არ მოიპოვება.

აქ ფსტ (მსტ) ბაცბურში დაცული ჭგუფია<sup>36</sup>. ამავე საწყის პოზიციაში ფ (ბ) სპირანტების წინ არარეგულარულად რამდენსამე სხვა სიტყვაშიც დას-

<sup>32</sup> შდრ. ანდ. სიბირუ „შემოდგომა“, ტაინუ „ზამთარი“, მაგრამ ილ. ცერცაძის ცნობით ქვანთურშია ციბირუ „ზამთარი“, ანდიური ენა, გვ. 61 (ავტორს ამ შრომაში შემოდგომა-ზამთარი ანდიურ ენებში ყველგან სუსტი ც და ხ ფონემებით აქვს მოწოდებული).

<sup>33</sup> იხ. Консоантизм, გვ. 100. ამ გვერდის შუნ. 1-ში ჰამ. ციბატა ნათარგმნია „ზამთარში მოხნული“, ხომ არ იქნებოდა უფრო ზუსტი „შემოდგომაზე მოხნული“?

<sup>34</sup> ლაქურისა და წახურულისათვის იხ. Б. К. Г и г и н е и ш в и л и, Общедагестанские \* | и \* г, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XLIX, XI, 1968, გვ. 245.

<sup>35</sup> Nordkaukasische, გვ. 84

<sup>36</sup> ბ-ფ-ს დაკარგვა ჩაჩნურში თვის დროზე შენიშნა შიფერმა, შიფნ., §25, გვ. 8.

ტურდება შემდეგი შესატყვისობით: ბც. ბს/ფს: იმნხ. ს — ბც. ფსარქო „გუ-  
შინ“ — იმნხ. სარაჰო „სალამოს“, ბც. ბსარლო, ინგ. საჯრა „სალამო“ და ბც. ფშ:  
იმნხ. შ — ბც. ფშა, იმნხ. შა „ყინული“.

ამ ჯგუფების სპორადული ხასიათი (შდრ. ბც. შატ „ნასკვი“, შო „წელი-  
წალი“, სარტარ „წყველა“ და ა. შ., სადაც ფშ ელემენტი არა ჩანს), დამატები-  
თი ამხსნელი მომენტების უქონლობა აქ მხოლოდ გვაკარაულებინებს იმ რიგის  
ლაბიალურ თანხმოვანს, როგორცაა ბც ბარჰლ-სა და იმნხ. ბარჰ-ში „რვა“.

არანაკლებ ბუნდოვანია ხარისა და დედლის, ცოლის ფუძეთა მიმართება:  
ფსტუ — სთუ „ხარი“, „დედალი, ცოლი“ ამჟამად ომოფონური ფუძეა. ფსტ:  
სთ, შესაძლოა, ორი სხვადასხვა ფონემის ნეიტრალიზებული რეფლექსი იყოს.

7. ამავე რიგის ბუნდოვანი საკითხია სტ—სთ-ს ღირებულება არაანლაუტ-  
ში, რომელიც ამ პოზიციაში არ უნდა იყოს იგივე, რაც ანლაუტის \*ს<sup>ა</sup> > სტ—სთ.  
შესაძლებელია, ამ წარმომავლობის სტ—სთ არაანლაუტში სულაც დაკარგული  
იყოს. ამისგან უნდა განვასხვავოთ ყველა პოზიციის სტ—სთ, რომელიც და-  
ემთხვა ძლიერ თანხმოვანთა სტ—სთ რეფლექსს ანლაუტში.

8. ბც. სთ: იმნხ. სთ ჯგუფი. რეგულარული სტ—სთ შესატყვისობის პარა-  
ლელურად არაანლაუტში, ორ სიტყვაში დამოწმებულია სთ: სთ შესატყვისო-  
ბა: ბც. უსთხი, ხილდ. ჟისთხი, უსლ. ჟისთხი, ჩ. უსთაღ, ჭ. უსთხი / უსთღი,  
ინგ. უსთაღო / უსთღა „ნერბი“ და ბც. მასთხოვ, უსლ. მასთუხუ, ჭ. მასთოღო,  
ინგ. მოასთაღ, ჩ. მოსთაღ „მტერი“.

ორსავე სიტყვაში სთხ / სთღ ჯგუფი რედუქციის საფეხურია<sup>37</sup>. ნერბ-ში  
ძირის მორფემა უნდა იყოს უსთ, „მტერში“ — მასთ — მასთ. -ხ-ოვ ხ-უ სუფიქ-  
სია (შდრ. ჭ. ღმუ'-ახ-უ, ვ. და'-ახ-უ „ღვიძლი“ მოღელი). შემდგომი კვლევა  
დააზუსტებს აქ სთ თანხმოვანთა კომპლექსია თუ ცალი ფონემა.

შევაჯამებთ: 1. ბაცბური რლ, რჰლ, სტ ჯგუფები განხილულია როგორც  
მონოფონემის ტოლი თანხმოვნები. შესატყვისი რლ > რღ/რჩჰ/ლლ/რ, რჰ/რ და  
სთ (> ს'თ) რეფლექსები ჩაჩნ.-ინგუშურში ძირითადად ემთხვევა კომბინატო-  
რულ და სპონტანურ ანალოგიურ კილოურ ბგერებს.

2. როგორც ბც. რჰლ, სტ-ს, ისე მათ ჩ.-ინგ. რეფლექსებს შეუწარმუნე-  
ბიათ სავარაუდო ნახურ-დაღესტნურ ფონემათა თვისობრიობა.

3. ნახ. სტ (> სთ) ჯგუფი კვალიფიცირებულია როგორც ნახ.-დაღ. ძლიერ  
ფონემათა გარდაქმნა დიფერენციაციის ადრეულ ხანაში.

ნახური შტოს ფონემური კონების აწინდელი სიმარტივე, რომელიც მკვეთ-  
რად განსხვავდება ახლომონათესავე დაღესტნურ ენათა ჯგუფების კონსონან-  
ტური მრავალფეროვანებისაგან, შეპირობებულია საერთო ფონემებისა და  
მათი რეფლექსების მრავალგზისი დამთხვევის პროცესებით ნახურში.

<sup>37</sup> რაც ბაცბურისაივის აღნიშნა სომერფელტმა: მასთხოჟ < \*მასთახოჟ; უსთხ < \*უსთხი  
ო), Études, გვ. 147.

ნანა ნოზაძე

ტრანზიტირი და ინტრანზიტირი ზმნები ხურიტულში

ხურიტულში ზმნები ორ დიდ ჯგუფად იყოფა ტრანზიტირებად და ინტრან-  
ზიტირებად. ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს -i და -u- ხმოვნები, რომ-  
ლებშიც გვხვდება ზმნის ფუძეში -kk- და -wa/e- ელემენტების<sup>1</sup>, ხოლო ონომას-  
ტიკურ გამოთქმებში წარმოდგენილ ზმნურ ფორმებთან -b- ელემენტის წინ.  
ტრანზიტირების მახასიათებელია -i ხმოვანი, ინტრანზიტირებისა კი -u/o-. ეს  
ხმოვნები დასტურდება როგორც მარტივ, ისევე სხვადასხვა ელემენტით გაერ-  
ცობილ ზმნურ ფორმებთან. მაგ., ტრანზიტირებთან: -kk- ელემენტის წინ: kad  
ძირი „შეტყობინება“ -kad-i-kki (Mit. IV, 17); ka*a*-i-kk-onne (იქვე); ოაზ-  
„გაგონჯა“ ოაზ-i-kk-*awa*; tan „გაყ თება“ tan-*c*z-i-kk-*atlan* (Mit. II, 5). -wa/e-  
ელემენტის წინ: ოაზ-*z*i-wa-er. ინტრანზიტირებთან: man-uk-ku; il-tu-*u*-bi-in  
(VIII, 61 obv. 11) (ძირი it „წასვლა“) და სხვა.

-b- ელემენტთან ფორმებში ტრანზიტირები წარმოდგენილი არიან ორი  
ხმოვნით (-i- და -u-), ხოლო ინტრანზიტირები -a- ხმოვნით. მაგ.: ტრანზიტირ-  
ები: ოაზ-i-b და ოაზ-u-b, Tab-i-d და Tad-u-b- და სხვ.

ინტრანზიტირები: Un-a-b და სხვ. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ძირი  
ორი ან სამი ხმოვნითაც კი გვხვდება. ასე მაგალითად, აგ ძირი („წასვლა, გა-  
შურება“) გვაქვს ფორმებს Ag-i-babu. Ag-u-zeni, Ag-a-wa*il*<sup>2</sup>.

აღნიშნული ოპოზიციები ასახავს ზმნურ ფორმათა ორ ჯგუფად — ტრან-  
ზიტირებად და ინტრანზიტირებად დაყოფას. ტრანზიტირების მახასიათებელია -i  
მორფემა, ინტრანზიტირებისა -u/o-. ხოლო -b ელემენტთან ფორმებში კი  
ტრანზიტირებთან გვაქვს -i/u-, ხოლო ინტრანზიტირებთან -a-.

<sup>1</sup> -wu/e- გამოხატავს უარყოფას „ობატივის“ ფორმებში. -kk-ელემენტის ფუნქციის შესახებ  
სხვადასხვა აზრი არსებობს. მესერსჩმიდტის თანახმად -kku- და -k*k*i I პირის მხ. რიცხვის ნი-  
შანია: იხ. L. M e s s e r s c h m i d t, Mitanni-Studien, 1959. ზოგი ორივე ფორმას აერთიანებს  
kko-ში, სადაც I პირის ნიშანია, ხოლო -kk-ინტენსივის აღმნიშვნელი. იხ. F. B o r k, Mit-  
annsprache, გვ. 54; სპეიზერის მიხედვით -kk- სუფიქსთა რეგში თავისი ადგილის მიხედვით უნდა  
გაღმოსცემდეს უარყოფას ბრძანებით: ფორმებთან და დამატებით კიდევ მოქმედების განმეორე-  
ბითობას ან განგრძობლობას. იხ. E. A. S p e i s e r, Introduction to Hurrian, New-Haven  
1941, გვ. 149—151. კამეჩუბერი აღნიშნულ ელემენტს უარყოფის გამოხატელობა ზმნურ სუფიქ-  
სად მიიჩნევს; ფრიდრიხის მიხედვით ზმნაში უარყოფის გადასაცემად ორი ელემენტი გამოიყუ-  
ნება: -wa/e- აკრძალვით ფორმებს აწარმოებს, -kk-უარყოფას აღნიშნავს. იხ. I. F r i e d r i c h,  
Altkleinasiatische Sprachen, Handbuch der Orientalistik, Zweiter Band, 1969, Leiden/Köln,  
გვ. 18—19. დავაიანი-კკT-ს დადებითი მნიშვნელობის ელემენტად თვლის -w(a) უარყოფის გამო-  
ხატელობის სუფიქსის საპირისპიროდ. იხ. И. М. Дьяконов, Язык древней Передней  
Азии, 1967, გვ. 148—149. ლაროშის აზრით -kk-ელემენტთან ფორმები უარყოფას გამოხატე-  
ვენ. იხ. E. L a r o c h e, RA, 1960, № 4.

<sup>2</sup> ეს მაგალითები მოტანილია სპეიზერის ხსენებული ნაშრომიდან.



ტრანზიტეები და ინტრანზიტეები ურთიერთისაგან განსხვავდებიან დროის, კილოსა და პირის წარმოების მიხედვითაც. ტრანზიტეებთან ქვემდებარე აგენტისა (ბრუნვის ნიშანი - $\bar{s}$  და შესაბამისი მრ. რ. - $\bar{s}u\bar{s}$ ), პირის აგენტის სუფიქსები გამოხატავენ. დროის მაჩვენებლებია სუფიქსები -( $\bar{z}$ - (ნამყო) და - $\bar{e}d$  (მყოფადი); ინტრანზიტეებთან ქვემდებარე 'წრფელობითშია', პირზე მიუთითებენ ენკლიტიკური ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები, დროის მაწარმოებელია - $\bar{o}\bar{s}\bar{i}$ - (ნამყო) და - $\bar{e}t$  (მყოფადი) სუფიქსები.

ამ ფორმათა გარდა გამოიყოფა ზმნურ ფორმათა ერთი ჯგუფი, რომელიც ნაწარმოებია ტრანზიტული ძირებისაგან, მაგრამ აგენტის სუფიქსებს არ დაირთავს. ისინი პირზე მიუთითებენ ენკლიტიკური ნაცვალსახელოვანი ნაწილაკების მეშვეობით ინტრანზიტეების მსგავსად. გეტყე მათ ზმნის მესამე დამოუკიდებელ ტიპად მიიჩნევენ. სტატიაში<sup>3</sup> „The Hurrian Verbal System“ იგი დაწერილებით განიხილავს ე. სპეიზერის<sup>4</sup> შეხედულებას ხურიტული ზმნის სისტემის შესახებ. სპეიზერი გამოყოფს ზმნათა ორ ტიპს: ზმნები, რომლებიც ბოლოვდებიან ნაცვალსახელოვანი მაჩვენებლებით და განარჩევენ სამ პირს. სპეიზერის მიხედვით ესენი წარმოადგენენ პასიურ ბუნების მქონე Tatverbum-ს. მეორე ჯგუფში ერთიანდებიან - $\bar{a}$ -თი დაბოლოებული ზმნური ფორმები, რომლებიც პირს არ განარჩევენ. ავტორი მათ უწოდებს ინტრანზიტეებს. ზმნურ ფორმათა ეს ორი ტიპი, რომელთაც გეტყე (I), (II) აღნიშნავს ურთიერთს მკვეთრად უპირისპირდება. ამ ფორმათა გარდა გამოიყოფა კიდევ ერთი ჯგუფი (გეტყეს მიხედვით (III)). ამ ჯგუფში შემავალი ზმნური ფორმები სინტაქსურად (II)-ს ემსგავსებიან, მაგრამ ნაწარმოები არიან (I)-ში შემავალი ძირებიდან. მათი მახასიათებელია —  $\bar{i}$  ხმოვანი. სპეიზერის აზრით ესენია ასპექტის ფორმები, რომლებიც გამოხატავენ როგორც (I)-ის, ისე (II) ჯგუფის სპეციალურ ნიუანსს. იგი ამ ფორმებს უწოდებს „რეზულტატის“, „იმპერფექტის“.

ამ სამი ფორმის დადგენა და მათი სინტაქსური ფუნქციის გარკვევა გეტყეს სპეიზერის დამსახურებად მიაჩნია. მაგრამ, მისი აზრით, შესწორებას საჭიროებს ამ სამი ფორმის ურთიერთმიმართების საკითხი და (III) ფორმების დამატებითი (მეორეული) მნიშვნელობის დადგენა.

ამრიგად, გეტყეს მიხედვით ხურიტულში ზმნის სამი დამოუკიდებელი ტიპია: (I), (II) და (III). პირველი ჯგუფი (მესამე პირი ბოლოვდება - $\bar{y}a$  სუფიქსით) წარმოადგენს Tatverbum-ს და უნდა ითარგმნოს აქტივად: 'he (or a specified persons) gives! (II) და (III) უპირო ინტრანზიტეებია. პირველი მათგანი გამოხატავს მოვლენას, რომელიც უკავშირდება საგანს ან პირს, მაშინ როდესაც მეორე გამოიყენება პირზე ან საგანზე განუსაზღვრელი წარმომავლობის ნიშნების შედეგის გადმოსაცემად. სისტემა action (I), effect (III) და event (II) თანმიმდევრულია<sup>5</sup>.

სპეიზერის მიხედვით ე. წ. - $\bar{a}$  და - $\bar{i}$  ფორმები მიმღებობია. - $\bar{a}$  ინტრანზიტეებისა, ხოლო - $\bar{i}$  ტრანზიტეების მოქმედებითი გვარის მიმღებობა, რომლის შესაბამისი ვნებითი გვარის მიმღებობის ფორმა ბოლოვდება - $\bar{u}$  სუფიქსით. - $\bar{u}$  სუფიქსიანი მიმღებობები დასტურდება ფორმათა ერთ წყებაში გაქვეყნებული

<sup>3</sup> A. Goetze, The Hurrian Verbal system, Language, vol. 16, № 2, April-June, 1940, გვ. 125—140.

<sup>4</sup> იხ. Journal of the American Oriental Society, 1959, გვ. 283—324.

<sup>5</sup> ე. გეტყე, დასახ. შრ., გვ. 140.

სახით. ესენია -a-b-, -i-b და -u-b, რომლებიც საკუთარი სახელების ნაწილს წარმოადგენენ. -a და -i სუფიქსიანი ფორმები წარმოადგენენ სახელებს, კერძოდ, მიმღობებს. ისინი პირების მიხედვით არ იცვლებიან (მხედველობაში გვაქვს ფინიტური ტრანზიტეების დაბოლოებები), ტექსტებში გვხვდებიან როგორც ჩვეულებრივი ზმნური ფორმები, რომლებიც ფინიტურ ტრანზიტეებს უპირისპირდებიან პირის გადმოცემისა და ქვემდებარის ბრუნვის მიხედვით, გვიჩვენებენ თავისებურ „უღლებას“. რაც შეეხება -u ელემენტთან ფორმებს, ისინი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ საკუთარ სახელებში შემავალ ზმნურ ნაწილში გვხვდებიან. თავისუფალი სახით -a და -i ფორმების გვერდით ტექსტებში არ მოიძებნება მათი ხმარების შემთხვევა<sup>7</sup>.

გეტყვას მიერ -i ფორმების ზმნის დამოუკიდებელ მესამე ტიპად გამოყოფას სპეიზერი არ იზიარებს<sup>8</sup>. იგი აღნიშნავს, რომ ხურიტული ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიყვანს ტრანზიტეებს და ინტრანზიტეებს, რაც ძალიან ნათლად ჩანს სინტაქსში. ტრანზიტეები ყოველთვის აგენტივში შეიწყობენ ქვემდებარეს და პირს აღნიშნავენ აგენტის სუფიქსებით, ხოლო ინტრანზიტეების ქვემდებარე მუდამ „წრფელობითშია“, პირზე კი მიუთითებს ნაცვალსახელოვანი ენკლიტიკური ნაწილაკები. თუ -i ფორმებს ზმნის მესამე დამოუკიდებელ ტიპად ჩავთვლით, მათაც განმასხვავებელი ნიშნები უნდა ჰქონდეთ. pa-š-š-a-š-i განსხვავებულ კლასს<sup>9</sup> არ წარმოადგენს, არამედ pa-š-š-a-u-u-š-a-š-u მორფოლოგიურ ვარიანტს. ეს ვარიანტი უნდა განისაზღვროს როგორც მიმღობა. ტრანზიტეისა და ინტრანზიტეის გარდა რაიმე ახალი ტიპის ძებნა მართებული არ არის. მით უმეტეს, რომ -a ტიპის ზმნები, ე. ი. ინტრანზიტეები, თავისებურად აწარმოებენ ღროისა და კილოს ფორმებს, ხოლო ტრანზიტეები — თავისებურად (იგულისხმება ფინიტური ტრანზიტეები). -i ფორმები ამ მხრივ არაერთარ სხვაობას არ გვიჩვენებენ ფინიტური ტრანზიტეებისაგან. ამგვარად, ხურიტულში გვაქვს ორი ტიპის ზმნური ფორმა: ტრანზიტეები და ინტრანზიტეები.

შინაარსობლივად ინტრანზიტეები წარმოადგენენ საშუალო გვარის, ხოლო ტრანზიტეები — მოქმედებითი გვარის ზმნებს. ინტრანზიტეებია: u-n-a („მოსვლა, წასვლა“), itt („წასვლა“)<sup>10</sup>, pis- („სიხარული“) და სხვა. a-ti-i-ni-i-n 'Ma-ri-e-na-an še-e--ni-iw-wu-ú-e pa-š-š-i-i-it-š-i ú-ú-na (Mit. II 13) „მანე, ჩემი ძმის წარმოგზავნილი (ელჩი) მოვიდა“ (უფრო ზუსტად „მოდის“).

a-ti-i-ni-i-n ta-še-en id-du-u-u-š-ta (Mit. I 90) „...მზითველი მოვიდა“. an-š-u-a-[at-] t [a-a-a] n pi-su-u-š-ta te-o-na-e tiš-š-a-an (Mit. II 61) „ამის გამო მე ქვეშარტად ძლიერ გავიხარე“ და სხვა.

<sup>7</sup> -b ელემენტთან ფორმები გვხვდება KUB XXXII 19 119—21-ში hu-ul-ma-ab, u-du-ra-ab.. იხ. E. Laroche, RA, 1960, გვ. 4. აგრეთვე Mâri-ს ტექსტებში: pa-š-i-b (vpaš) 1, 3, 6, 2. 9. šu-ri-i-b 1, 4; 2. 11 იხ. Thureau-Dangin, RA, XXXVI, 1—2, 1939.

<sup>8</sup> საფიქრებელია, რომ -u ელემენტთან ფორმები აღრეულ ტექსტებში ისევე უნდა გვეჩვენებოდნენ, როგორც მათი საპირისპირო -a და -i ხმოვანი ტიპები. შემდეგში, როგორც ჩანს, მათი ფუნქცია შეითავსა -i ფორმებმა. შესაძლებელია ისიც, რომ ეს-u ხმოვანი სხვა რიგისა იყოს, ეიღრე ტექსტებში და აღტრებული -a და -i.

<sup>9</sup> ე. ს. პ. ე. რ. ი. დასახ. შრ., გვ. 126.

<sup>10</sup> A Goetze, «To come» and «to go» in Hurrian, Language, Vol. 15, № 4, 1939, გვ. 215—220; Von Schuler, Hurritische Nomina Actoris, RHA 68, 1961, გვ. 21 f.; A. Kamenhuber, Die Arier im Vorderen Orient, 1968, გვ. 225.

ინტრანზიტეებს უკავშირდება ისეთი სიტყვები, როგორცაა p/wahɾ („კარგი“), xɛhala („წმინდა“), kira („გრძელი“), h:ʂma, lakima და სხვა. ესენი არსებითად ზედსართავებია და არა ზმნები. მაგრამ სპეიზური და ჯტყ მათ ინტრანზიტრე ზმნათა შორის განიხილავენ. სპეიზურს ინტრანზიტეი ზმნების ნიმუშად ერთ ადგილას მოაქვს წინადადებები<sup>10</sup>: i-ri-a-me-e ɫɔ-hu-ri xi-ha-a-la (KUB XXIX 8 IV 27) „as it the silver (is) clean“ და un-du-ma-a-an in-na-me-e-ni-i-in xɛ-e-ni-iw-wu-ú-e aš-li u-ni-e-el-ta (Mit. III 21) „now-then-behold (?)—she indeed (?) my brother's wife arrive will“. აქ ერთმანეთის გვერდითაა una „მოსვლა“ და xiɛhala „წმინდა, სუფთა“.

ტრანზიტეები გარდამავალი ზმნებია მოქმედებითი გვარისა: ar- („მიცემა“), hɔz- („გავიწვია“, სმენა“), ɫan- („კეთება“), paš- („გავაზავა“) და სხვა მრავალი.

'Aa-ni-ein-na-a-an xɛ-e-ni-iw-wa-aš pa-aš-ša-u-u-xa (Mit. II 107) („მან გავაზავა ჩემმა ძმამ“); aš-li-i-in xɛ-e-ni-iw-wa-ú-e a-ru-u-ša-ú (Mit. IV. 33), „ჩემი ძმის ცოლი მივეცი“; i-nu-ú-ut-ta-a-ri-i-in hɛ-en-ni xɛ-e-ni-iw-wu-aš; ta-a-li-a (Mit. I 74) (როგორც მე; ხლა ჩემს ძმას ვუყვარავარა“) და სხვა.

როგორ აწარმოებენ დროის ფორმებს ტრანზიტეები და ინტრანზიტეები? ტრანზიტეებთან ნამყოს მაჩვენებელი -cɔ სუფიქსი. მაგ., ar-cɔ-a, ɫan-oɔ-a anžan(x)ɔa და სხვა. ინტრანზიტეები კი ნამყოს cɔš სუფიქსით ვადმოსცემენ: id-du-u-aš-ta, pi-su-u-aš-ta და სხვა<sup>11</sup>. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გამოიყოფა ინტრანზიტეი ზმნები, რომლებსაც cɔš სუფიქსის პარალელურად -cɔ სუფიქსიანი ფორმებიც გააჩნიათ. ასეთებია: ag („გაშურება“), an („წასვლა, მოსვლა“), P/wahɾ („კარგი“) და სხვა. შდრ. ag-oɔ-a და ag-oš-a, an-cɔ-a და an-cɔš-a; ასევე wahɾ-oɔ-a. სპეიზურის აზრით -oɔ სუფიქსიანი ინტრანზიტეები ფაქტიტეს წარმოადგენენ. ასე რომ an-cɔ-a უნდა ნიშნავდეს „brought was by him“ ag-cɔ-a — „was-made by him to proceed, granted was by him“<sup>12</sup>.

აქ შეიძლება პარალელი გავავლოთ ურარტული ზმნის ფორმებთან, რომლებიც ნაწარმოებია ერთი და იმავე ძირებიდან ხან ტრანზიტეოს, ხან კი ინტრანზიტეის მახასიათებელი ხმოვნებით<sup>13</sup>. ურარტულშიც ზმნათა ორი სახეობა დასტურდება: ტრანზიტეები და ინტრანზიტეები. აქ, ხურიტულისაგან განსხვავებით, ზმნებს აქვთ მახასიათებელი ხმოვანი: -u ტრანზიტეებს და -a ინტრანზიტეებს. მაგ., zadu „შექმნა“, šid.štu „აშენება“, ɫeru „დადგმა“, aru „მიცემა“ და სხვა. nuna „მოსვლა“, šia „წასვლა“ და ა. შ. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ფუძე ხან -u ელემენტითაა დაფორმებული, ხან კი -a-ს გვიჩვენებს. მაგ., šia „წასვლა“ და šiu „წაღება“, „მიტანა“<sup>14</sup>, ɫšta „გაეშურა“, „გამართა“ და aštu „გავაზავა“, „მირთმევა“... ამ ფუნქციით ეს ზმნები ფაქტიტეს, კაუზატიტეს უკავშირდებიან. ანალოგიური ვითარება გვაქვს -ia სუფიქსით დაბოლოე-

<sup>10</sup> ე. ს. პეიზერი, დასახ. შრ., გვ. 169.

<sup>11</sup> ი. ე. ს. პეიზერი, დასახ. შრ., გვ. 142—143; I. F r i e d r i c h, Altkleinasiatische Sprachen, გვ. 17.

<sup>12</sup> ე. ს. პეიზერი, დასახ. შრ., გვ. 143.

<sup>13</sup> Г. А. М е л и ш в и л и, Урартские клинообразные надписи, Москва, 1960, გვ. 65.

<sup>14</sup> შდრ. ხურტული un-ošta და un-oš-a. Mit. I. 84—88 ვერტხლობთ:... xɛ-e-na-wa-ša-an Ni-lm-mu-ri-l-aš ɫa-še ap-li ta-a-nu-u-ša... uRu ɫi-pe-ni u-nu-u-ša, „შენმა ძმამ ნიშორამ, „ღიღი ქანდაკება (ყერბი) გააყთა... ქალაქ იხიფეში მიტანა“... (un-a- „წასვლა“).

ბულ ზმნებთან, რომლებშიც აშკარად ივარაუდება ობიექტი. მაგ., *hutiā* „ხეწნა, ვედრება“<sup>15</sup>.

მყოფადის გადმოსაცემად ხურიტულში ორი სუფიქსი გამოიყენება: -ed და -ett.

ტრანზიტინების ფინიტურ ფორმებთან გვხვდება -ed: *ta-a-ta-aš-li-tc-en* (Mit. I 78); *'Gi-li-i-aš 'A'a-ni-eš-ša-an gu-li-e-ta* (იქვე, IV 27); *'Ma-ni-eš 'Ge-(li-)ya-al-la-a-an ka-til-li-ta* (იქვე, IV 21) და სხვა.

ინტრანზიტინების მყოფადს -ett სუფიქსი აწარმოებს: *u-ni-et-ta* (Mit. III 21); *un-du-ma-a-an-in-na-me-ni-i-in še-e-ni-iw-wu-ū-e zš-li ū-ni-c-et-ta*<sup>16</sup>.

ასეა ძირითადად, მაგრამ -oš და -ošt-ის მსგავსად ერთგვარი მერყეობა აქაც შეინიშნება. სპეიზერი აღნიშნავს, რომ გვხვდება -elt სუფიქსიანი ტრანზიტინები. მაგ., *gu-li-e-et-ta* (Mit. VI 60), რომელსაც წინ უძღვის *al-oš + ett-a*; *ka-til-li-e-et-ta* (იქვე VI 9) და *ša-a-ri-il-li-it-ta* (იქვე, IV 116)—ზემოთ მოტანილი ფორმების პარალელურად, სადაც იმავე ძირების მყოფადში -ed სუფიქსი დასტურდება.

წყვილბს წარმოადგენენ „ასპექტის“ დეტერმინატივებიც: -i/el-:-u/š; -i/en-:-u/on. ალბათ აქვე უნდა შემოვიყვანოთ -i/er-: u-/or<sup>17</sup>. ოპოზიციებს აქაც ტრანზიტინები და ინტრანზიტინები შეადგენენ: -i/el-: *hā-ši-i-i-li* (Mit. IV 44), *a--ru-ši-el-la-a-im* (არ „მიცემა“); *hā-a-ša-ši-li-e-eš* (KUB XXIX, Biii 30), აგრეთვე XXVII 42 rev. 12 (*hāz* „გაგონება“), *kul-li < kul-i-li* და სხვ. -ol-: *ma-a-an-nu-li-e-wa-a* (Mit. II 122, *man* „ყოფნა“, „არსებობა“); *ū-ru-li-e-wa* (Mit. III 115) (*ur-* „ყოფნა“, „არსებობა“). მაგრამ იმავე -ol სუფიქსითაა გაფორმებული ისეთი ცნობილი ტრანზიტინი ძირი, როგორიცაა *hīl* „თქმა“, ასეთ შემთხვევაში იგი აგენტითან არ გვხვდება. ტრანზიტინი *hāz-* „გაგონება“ გვიჩვენებს დუბლიტებს *hāz-il-e* და *hāz-al-ez*. სპეიზერი ამ ფორმების განხილვისას აღნიშნავს, რომ -ol უმეტეს შემთხვევაში ახასიათებს ინტრანზიტინებს, i/el- კი ძირითადად ტრანზიტინებთან გვხვდება. ხოლო -ol-იანი ტრანზიტინები შედობილია იქნებ უნდა იყოს<sup>18</sup>. ანალოგიურად ხდება მეორე „ასპექტის“ სუფიქსის განაწილება: -i/en- ძირითადად ტრანზიტინებთან გვხვდება: *a[-ru-ši]-in-na-a-in* (KUB XXVII 42 rev 13); *[hā-ul-ši]-in-na-an-ti* (KUB XXVII, 42, rev. 19) და სხვა. -u/on ინტრანზიტინი ძირებთან შეინიშნება: *pi-su-un-ni-en* (Mit. I 79) და *wa-aḥ-ru-un-ni-en* (იქვე, I 81). რაც შეეხება „ასპექტის“ მაჩვენებელ -r- სუფიქსს, იგი დადასტურებულია ბუნდოვან კონტექსტებში.

ტრანზიტინებისა და ინტრანზიტინების დაპირისპირება განსაკუთრებით კარგად ჩანს, როდესაც საქმე პირის გამოხატვასა და ერგატიულ კონსტრუქციას ეხება. ხურიტულში დადასტურებულია ელემენტთა ორი წყება, რომელთა შესვლით ხდება პირზე მითითება ტრანზიტინებთან და ინტრანზიტინებთან. ტრანზიტინები „პირის ნიშნებად“ იყენებენ ე. წ. აგენტის სუფიქსებს. ეს სუფიქსები გვხვდება მხოლოდ ტრანზიტინებთან. აგენტის სუფიქსები სამ პირს განარჩევენ მხოლოდით რიცხვში. ამ ელემენტებს კუთვნილების გამოხატვის

<sup>15</sup> Г. А. Мелникшивилл, Урартские Клинообразные палписи, გვ. 66.

<sup>16</sup> ე. სპეიზერი, დასახ. შრ., გვ. 143; I. Friedrich, Altkleinasiatische Sprachen, გვ. 17—18.

<sup>17</sup> ე. სპეიზერი, დასახ. შრ., გვ. 152.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 155.

ძალა აქვთ და სახელებთანაც იხმარებიან და ზმნებთანაც, ოღონდ რამდენადმე განსხვავებული სახით. სახელებთან კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქციით გვაქვს შემდეგი სუფიქსები: I პ. -if, II პ. -u, III პ. -i/ya, -di; მრ. რიცხვში: I პ. -i aZ, II პ. არ გვხვდება ტექსტებში, III პ. -i/ya-aZ<sup>19</sup>. ზმნაში პირველ პირზე მიუთითებს სუფიქსი -aú (-ai), Bağlazkñy-ს ტექსტებში -iu (-il) მხოლოდით რიცხვში. -af გვხვდება სამივე დროის ფორმ ბთან: აწმყო ta-a-na-ú (Mit. II. 92); ta-a-ta-ú (იქვე, I 75) და სხვა. ka-li-i-ú (Bağh. VIII. 61, 10) და pa-a-li-úš-še-ni-ú[... (იქვე, 3). ამ უკანასკნელ მაგალითში -if პირის ნიშანს მოსდევს ნაწილაკი -še. შდრ. ta-a-nu-ša-a-aš-še-na (Mit. I 73), ნამყო: ხა-a-ša-u-ša-ú (Mit. II. 7), ta-a-nu-u-ša-u (Mit. I 70), მყოფალი: ka-te-e-ta-ú (Mit. III 99). -af შერწყმულია -wa უარყოფით სუფიქსთან შემდეგ ფორმებში: ú-ú-ri-u-w-u-un-na-a-a (Mit. IV 56); ხი-su-ú-ხა-ši-l-w-wa (Mit. IV 33); ta-a-nu-ši-u-w-wa (Mit. II 113)<sup>20</sup>.

მეორე „პირის ნიშანიან“ ზმნები მეტად მცირეა ტექსტებში. დასტურდება მხოლოდ ნამყო დროის ფორმებში. „პირის ნიშანიან“ -u, რომელიც -o-ს უნდა უღრიდეს. მაგალითებია: ge-pa-a-nu-u-ša-u-aš-še (Mit. III 69), ku-zu-u-šu (Mit. IV 45); აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სპიზერის აზრით შესაძლებელია მეორე პირის ფორმებს წარმოადგენდეს ზემოთმოტანილი ka-li-ú და pa-li-úš-še-ni-w a), კონკრეტის ბუნდოვნების გამო.

მესამე პირი -ya, -ia სუფიქსებით ბოლოვდება აწმყოში. ნამყოსა და მყოფალში -y/i- იკარგება და პირზე მხოლოდ -a მიუთითებს. მაგ., აწმყო: ta-a-ni-a (Mit. III 81); ta-a-li-a (Mit. I 74); ka-ti ja-a (n) (KUB. VIII 61, I 9) და ka-ti-lš (KUB VIII 61, II 7); ú-ú-ri-a-aš-še-na (Mit. I 108). ნამყო დრო: ge-pa-a-nu-u-ša (Mit. III 107), ka-du-u-ša (Mit. I 96); ta-a-nu-u-ša (Mit. I 85). მყოფალი: ge-pa-a-ni-e-ta (Mit. II 54); ka-til-li-ta (Mit. IV 26); a-ri-e-ta (Mit. I 106). მრავლობით რიცხვში მხოლოდ პირველი პირის ფორმა დადასტურებული, მრავლობითად მიიჩნევენ -š- ელემენტიან ფორმებს: ú-ú-ra-ú-ša-aš-še-na-a-ma-a-an-ti-we-e-e<sup>ME3</sup> (Mit. I 80) (<ur „თხოვნა“, სურვილი“ + af + za + še + na + man).

ამრიგად, თუ ზმნა ტრანზიტივია, მისი ქვემდებარე დვას აგენტის (პირის ნიშანი -š, ხოლო პირს გამოხატავს აგენტის სუფიქსები (მხოლოდით რიცხვში სამივე პირს, მრავლობით რიცხვში კი მხოლოდ პირველ პირს). ასეა თხრობით კილოში. რაც შეეხება ე. წ. jussive-ს<sup>21</sup>, პირთა გარჩევა აქაც ხდება, ოღონდ სხვა სუფიქსებით, დადასტურებულია პირველი და მესამე პირის ფორმები. პირველი პირის ნიშანი -i/e: š-c-i-i-[.]w-wa-(ta-a-ma-a-en-ti-wa š k-ku kul-li (Mit. II 12; III 49); ka-ti-ik-ki (Mit. IV 27), სადაც პირველ პირს ვარაუდობენ. აგრეთვე: ta-a-du-ka-a-ru-ši-ik-ki (Mit. II 79), a-ru-ú-ši-ik-ki (VBoT 59). მეორე პირი მხოლოდ ორი ფორმითაა წარმოდგენილი: ar-i (Mit. I 51) და šu-š-i-la-ma-a-en (EA 17). მესამე პირს აწარმოებს -en, რომელსაც წინ უძღვის -i. მაგ., ha-aš-ši-en (Mit. II 12) (კონსტრუირებული აგენტის დამსმულ სახელთან);

<sup>19</sup> იხ. ე. ს პ ე ი ზ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 103.

<sup>20</sup> F. B o r k, Die Mitannisprache; I. F r i e d r i c h, Kleine Beiträge zur hurritischen Grammatik, 1929. Leipzig, გვ. 38; ე. ს პ ე ი ზ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 162.

<sup>21</sup> jussive-ში სპიზერი აერთიანებს ყველა კილოს თხრობითის გარდა. ე. ს პ ე ი ზ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 163.

še-e-ri-iw-wu-uš 'Ma-ni-en-na-ma-an a-gu-ń-ka-[r]ja-aš-ti-en (Mit. II 58, 86); ta-a-na-aš-ti-en (Mit. I 82) და სხვ.

უცხოეთით ფორმებთან: ha-ša-a-ši-wa-al-li-i-il-la-a-an<sup>22</sup> (პირველი პირი); hi-su-u-hi-wa-a-en (Mit. III 76, 85, 89, 95); ku-su-uš-li-wa-a-en qar-kut-ti-wa-a-en (Mit. IV 40); ha-ša-ši-wa-a-en (Mit. IV 20) (მესამე პირის ფორმები).

მრავლობით რიცხვში მხოლოდ მესამე პირის ფორმაა დამოწმებული. მისი დაბოლოება -id-en: DINGIR<sup>MEŠ</sup> e-e-en-na-ša-uš na-ak-ki-du-u-we-en (Mit. II 52); D. NGIR<sup>MEŠ</sup> e-e-en-na-ša-uš tiš-šan ta-a-la-eš-ti-le-en (Mit. I 78) (მღრ. ta-a-na-aš-ti-en Mit. I 82). სპეიზერის აზრით jussive-ის მს.მე პირის სუფიქსები უფრო ასოციაცია; ბია, ვიდრე დამოუკიდებელი აგენტის სუფიქსები<sup>23</sup>.

გარდა აღნიშნული ფორმებისა, ხურიტულში არის სუფიქსები, რომელთაც პირის ნიშნებად მიიჩნევენ. ასეთებია: -iama, -ieš და სხვ. მათ შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს<sup>24</sup>.

ინტრანზიტურები პირის მიხედვით არ იცვლებიან. ისინი სამივე პირში -a ელემენტით ბოლოვდებიან. პირზე კი მიუთითებენ ასოციაციური ნაცვალსახელოვანი ელემენტები. ტექსტებში გვხვდება პირველი და მესამე პირის აღმნიშნელი სუფიქსები ორივე რიცხვში. მეორე პირის ნაცვალსახელოვანი სუფიქსიანი ფორმები არ არის დამოწმებული. ეს ელემენტები აგენტის სუფიქსებისაგან განსხვავებით (რომლებიც მუდამ თან ახლავან ზმნის ფორმას, რომლის პირსაც გამოხატავენ) ყოველთვის უშუალოდ ზმნის ფორმას არ ერთიან. ისინი შეიძლება ერთვოდნენ ზმნასაც (unallan), სახელსაც (še-e-ni-iw-wu-ut-ta-a-an) და ნაწილაკსაც (inu-ta-an). მათ აქვთ პრედიკატიული მნიშვნელობა. ინტრანზიტურების გარდა ეს სუფიქსები შეიძლება ტრანზიტურ ზმნებსაც ჰქონდეს, მაგრამ სხვა ფუნქციით: თუ ინტრანზიტურებთან ისინი ქვემდებარეზე მიუთითებენ, ტრანზიტურ ზმნიან წინადადებაში პირდაპირ დამატებას აღნიშნავენ (აქ, როგორც ვიცით, ქვემდებარე აგენტივში დგას და ზმნაში აგენტის სუფიქსებითაა წარმოდგენილი). ამ მხრივ საინტერესოა ურარტული, სადაც შეინიშნება სუფიქსების ერთი წყება, რომლებიც ინტრანზიტურ ზმნებთან ქვემდებარეს, ხოლო ტრანზიტურ ზმნებთან დამატებას გამოხატავენ. ეს არის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ინტრანზიტურების პირის ნიშანი -li სუფიქსი. ინტრანზიტურებთან იგი სუბიექტს აღნიშნავს: uštali („გაშურება“, „გამოსვლა“), nunali („მოსვლა“) ე. ი. „გაეშურნენ“, „მივიდნენ“. ტრანზიტურებთან ისინი დამატების მრავლობითობაზე მიუთითებენ: karuali IV LUGAL<sup>MEŠ</sup> „მან დაამარცხა ოთხი მეფე“ šidištuli < šidištu-itu-li, სადაც -itu არის ტრანზიტურის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ხოლო -li ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს „მათ ააშენეს ისინი“ და სხვა<sup>25</sup>. har-har-ši-tu-li „მათ დაანგრიეს ისინი“ და სხვა.

<sup>22</sup> იხ. I. Friedrich, Kleine Blg., გვ. 37.

<sup>23</sup> ე. სპეიზერი, დასახ. შრ., გვ. 164.

<sup>24</sup> იხ. I. Friedrich, Altkleinasialische Sprachen, გვ. 18; E. Laroche, RA, 1960, 4; A. Goetze, En unrecognized Hurrian verbal form, RHA, 35, 1939, გვ. 103—108.

<sup>25</sup> Г. А. Мелкишивили, Урартские клинообразные надписи, гв. 70; И. И. Мещанинов, Грамматический строй урартского языка.

პირველი პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკია -tta მხოლოდით რიცხვში და -tilla/dilla მრავლობით რიცხვში<sup>26</sup>. i-nu-[u-ú]-ut-ta-ni-i-in ობიექტი ხე-en-ni ზე-e-ni-iw-wu-uš ta-a-ti-ya (Mit. I 74). აქ -tta პირველი პირის ობიექტს გამოხატავს. სუბიექტის ნიშანია -ya და შესაბამისა აგენტებში დასმულ ქვემდებარეს ზე-e-ni-iw-wu-uš, ხოლო ზმნა ტრანზიტინია lat-; ანდა: a-nam-mi-til-la-a-an DINGIRMEŠ e-e-en-na-[š]u-uš... ta-a-ta-aš-ti-le-en (Mit. I 76); i-nu-me-e-ni-i-in ობიექტი ხე-en-ni ზე-e-ni-iw-wa i-ša-aš ta-a-ti-ú (Mit. I 74); 'Ma-ni-e-el-la-an pa-aš-si-i-it-ti-iw-wu-uš wa-ru-u-ša-a-al-la-a-an (Mit. I 71); ობიექტი ხაš-a-si-il-li-i-il-la-a-an (Mit. IV 29) და სხვ.

ინტრანზიტინებთან, როგორც აღვნიშნეთ, ნაცვალსახელოვანი ენკლიტიკური ასოციაციური ნაწილაკები სუბიექტზე მიუთითებენ; მაგ.: man(n + atta (KUB VIII 60, 19; Mit. II 85); an-ša-a-[at-]i-[a-a-a]ni pi-su-uš-la (Mit. II 62). მრავლობით რიცხვში: ma-a-an-nu-uk-ka-ti-la-a-an (Mit III 16).

მესამე პირში: მხოლოდით რიცხვში -ma/me- და მრავლობით რიცხვში -lla/e-<sup>27</sup>. -ma/me- სუბიექტად არ გვხვდება, ობიექტს კი აღვნიშნავს: i-nu-me-e-ni-i-in ობიექტი ხე-en-ni ზე-e-ni-iw-wa i-ša-aš ta-a-ti-ú (Mit. I 74) და სხვა. მაგრამ გვაქვს წინადადება i--nu-me-e-ni-i-in uš-hu-ni ši-ḫa-a-la (XXIX B, IV 27), სადაც ზმნა ინტრანზიტინია ḫiḫala და ეს -me- სხვის არაფერს უნდა გამოხატავდეს, თუ არა სუბიექტს, რომელიც წინადადებაში სახელითაცაა წარმოდგენილი -ušḫuni შდრ. აგრეთვე in-na-me-e-ni-i-in ობიექტი ხე-en-ni-iw-wu-ú-e aš-ti ú-ni-e-et-ta (Mit. III 21), სადაც ეს ზმნა ინტრანზიტინია და აღვნიშნავს „მოხელას“ და აქ ობიექტი არ შეიძლება ვივარაუდოთ. მაშასადამე, ეს -me- არის ქვემდებარის აš-ti შესატყვისი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი. თუმცა უფრო ხშირად გვაქვს ისეთი მგალითებიც სადაც პირი მხოლოდ ინტრანზიტინის დაბლობით -a-თი არის გამოხატული: a-ti-i-ni-i-in 'Ma-ni-e-na-an ობიექტი ხე-en-ni-iw-wu-ú-[e] pa-aš-si-i-it-ti-i-ú-ú-na (Mit. II 13). შრ. რიცხვი: ú-ú-na-a-al-la-a-an ობიექტი ხე-en-ni-iw-wu-ta (Mit. I 115); ur-ḫal-la-a-a-an pal-ta-a-la-an (Mit. IV 23).

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უღლებიას ტრანზიტინები და ინტრანზიტინები ერთმანეთისაგან განსხვავებულ „ნიშნებს“ იყენებენ.

### ტრანზიტინები:

მხ. რიცხვი

შრ. რიცხვი

I ბ. ar-aú (-af); ar-oš-aú (-af)

ú-ú-ra-ú-ša-aš-še

III. ბ. lan-ia; ge-pa-a-nu-u-ša

—

### ინტრანზიტინები:

მხ. რიცხვი

შრ. რიცხვი

I ბ. man(n)-alta

ma-a-an--nu-uk-ka-ti-la-a-a-an

II ბ. —

—

III ბ. -me/ma?

ú-ú-na-al-la-a-an

<sup>26</sup> I. Friedrich, Kleine Btg., გვ. 32; E. A. Speiser, Introduction..., გვ. 180—189; I. Friedrich, Altkleinasiatische Sprachen, გვ. 17—18.

<sup>27</sup> I. Friedrich, Kleine Btg.,... გვ. 25 და შდრ. E. A. Speiser, Introduction... გვ. 180—189; A. Kammenhuber, Die Arier im Vorderen Orient, 1968, გვ. 26.

ე. ი. ტრანზიტინებისათვის:

შხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I პ. -af

-af-za

II პ. -i /a

?

III პ. -i(y)a,-a

?

ინტრანზიტინებისათვის

შხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I პ. -l-a

-t/dil(l)a

II პ. —

—

III პ. -me/ma-

-l(l)a/e<sup>28</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს jussive-ის III პირის მაჩვენებელი ტრანზიტინებთან -ien, ინტრანზიტინებთან -ain და შესაბამისი მრავლობითი: ტრანზიტინებისათვის -id-en, ინტრანზიტინებისათვის -ai-šallan, -iden მაკალით დ: hi-sL-u-hi-wa-en (Mit. III 75); paš-si-en (Mit. IV 52); a-ri-en-na-š-an (Mit. II 87). ძრავლობითში: na-ak-ki-du-u-ua-en (Mit. II 52); ta-a-ta-aš-ti-'e-en (Mit. I 78) და სხვა. ინტრანზიტინები: it-ta-in (Mit. IV 53) და მისი შესაბამისი მრავლობითი: it-ta-i-šallan (Mit. IV 52) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ურარტულშიც ტრანზიტინი და ინტრანზიტინი ზმნებს თავთავისი უღლება აქვთ. „პირის ნიშნები“ აქაც ოპოზიციებს ქმნიან

ტრანზიტინები:

შხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I პ. -bi, -li

-še -i'u, -i'u.i,

III პ. -ri, -me, -ali

-ituli, -i'u.me.

ინტრანზიტინები:

შხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I პ. -di

—

III პ. -li/e

-li<sup>29</sup>

ტრანზიტინი და ინტრანზიტინი ზმნების ეს დაპირისპირება შეიძლება შევადაროთ ქართულში საშუალო და მოქმედებითი გვარის ზმნათა ოპოზიციებს.

მოქმედებითი გვარი

შხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I პ. ვხატავ

ვხატავთ

II პ. ხატავ

ხატავთ

III პ. ხატავს

ხატავენ

საშუალო გვარი

I პ. მოვლივარ

მოვლივართ

II პ. მოღზარ

მოღზართ

III პ. მოღის

მოღიან

I პ. ეღვავარ

ეღვავართ

II პ. დგახარ

დგახართ

III პ. დგას

დგანან

<sup>28</sup> ე. ს. პ. ე. ი. ზ. რ. ი., დსახ. შრ., გვ. 197.

<sup>29</sup> Г. А. Мелнкшвилл, Урартские клинообразные надписи, 1960.



ხურიტული ინტრანზიტეები სწორედ საშუალო გვარის ზმნებია: un-a „მოსვლა“, il „წასვლა“, man „არსებობა“, ur „ყოფნა“ და სხვა.

აღნიშნული ტიპის გარდა ხურიტულში არის ზმნურ ფორმათა კიდევ ერთი რიგი, ნაწარმოები ტრანზიტეი ძირებისაგან, მაგრამ სინტაქსურად ინტრანზიტეებთან დაკავშირებული. ესენია -i ფორმები, რომლებიც -a ფორმების მსგავსად პირს ენკლიტიკური ნაცვალსახელოვანი ელემენტების მეშვეობით გამოხატავენ. -i-ს შეიძლება წინ უძღოდეს დროისა და მოდალური ელემენტები (-uš-i, -et-i და სხვა). მაგ., hi-il-lu-ši-i-i-l-la-ja-en 'A-a-ri-c-'a (Mit. II 18); ta-a-du-ka-a-ri-i-lil-la-a-an (Mit. III 109); he-en-ri-en še-e-ri-iw-wu ra-aš-šu-ši (Mit. I 65); ii-ra-al-la-ma-an... ta-z-du-ka-a-ri te-u-u-la-e liš-ša-an (Mit. IV 129).

ერთი და იმავე ტრანზიტეი ძირებისაგან გვაქვს ფინიტური ფორმები და -i ფორმებიც (ერთმანეთის პარალელურად). მაგ., ja-zš-u-u-ša და ja-zš-i (Mit. II 107); an-za-nu-hēš-i-š (Mit. III 50) და arzar-herši (Mit. I 18) და სხვ.

გეტყვის ეს -i ფორმები ზმნის დამოუკიდებელ მესამე ტიპად მიიჩნია, ფინიტური ტრანზიტეებისა და ინტრანზიტეების (-a- ფორმების) გვერდით. მაგრამ -i ფორმები ჩვეულებრივი ფინიტური ტრანზიტეებისაგან მხოლოდ იმით განირჩევიან, რომ აგენტის სუფიქსებს არ დაირთავენ, და პირზე მიუთითებენ, ინტრანზიტეების მსგავსად, ენტიკლიტიკური ნაცვალსახელოვანი ელემენტებით. თუ ზმნა ფინიტურია, ე. ი. ტრანზიტეი, მისი ქვემდებარე აგენტეში დგას, ხოლო პირს ფომოხატავს აგენტის სუფიქსები. ინტრანზიტეები აგენტეში არ შეიწყობენ ქვემდებარეს<sup>30</sup> და არც აგენტის სუფიქსებს დაირთავენ.

მათი სუბიექტი დგას წრფელობითში, პირზე კი ნაცვალსახელოვანი ენკლიტიკები მიუთითებენ. მაგალითად: 'A-a-ni-er-ra-a-en š[e-c] [i-i]-iw-wu-uš pa-zš-šu-u-a-ša (Mit. II 106); un-du-ma-a-an še-e-ri-iw-wu-ū-e-en zš-li a-ru-u-ša-ū (Mit. III 111) და i-na-me-e-ni-i-in še-e-ri-iw-wu-u-ū-e zš-li ū-ni-e-it-ta (Mit. III 21); u-na-al-la-a-an še-e-ni-iw-wa-ta და სხვ. ას გვ: a-nam-mi-it-ta ma-an še-e-ri-iw-wa-ū-a gi-pa-a-nu-ul-li-e-wa-a-at-ta-a-an a-li-i-ni-i-in ma-a-na-at-ta-ma-an (Mit. III 62); a-nam-mi-lil-la-a-en iš-ta-ni-iw-wa-ša la-a-du-ka-a-ar-ri-e-wa (Mit. IV 123) და სხვა. სხვა მხრივ -i ფორმები არ უპირისპირდებიან ტრანზიტეის ფინიტურ ფორმებს, დროს მთ მსგავსად გამოხატავენ: შდრ. tadugeri, paš šī, rašši || paš ša, ar-et-a და რტრანსიტეები un ša და unetta.

ქართული ზმნების უღლებასთან თუ გავაელებთ პარალელს, დაეინახათ, რომ საშუალო გვარის ზმნები უპირისპირდებიან მოქმედებითი გვარის ზმნებს, ხოლო მოქმედებითიდან ნაწარმოები ზოგი ფორმა (ქართულში ეს არის ვნებითი გვარის ფორმები) მესამე სერიაში ისეთსავე პარალიგმას გვიჩვენებს, როგორსაც საშუალო გვარის ზმნები.

### პირველი სერია

მოქმედებითი  
I პ. ვხატავ  
II პ. ხატავ  
III პ. ხატავს

საშუალო გვარი  
I პ. ვდღევარ  
II პ. დგახარ  
III პ. დგას

<sup>30</sup> ამ მხრივ არსებობს ზოგიერთი გამოწვევა. მათ შესახებ ქვემოთ.

	მსამე სერია	
მოქმედებითი გვარი	ენებითი გვარი	საშუალო გვარი
I პ. დ მ. ხატავს	დ ვხატულვარ	ვდგავარ
II პ. დ გიხატავს	დახატულხარ	მდგარხარ
III პ. დაუხ ტავს	დახ ტულია	მდგარა

ამის მიხედვით, ხურიტული ზმნების „უღლება“ ასე წარმოგვიადგება: უღლების ერთ სახეს გვიჩვენებს ინტრანზიტინები, მეორეს ტრანზიტინები, ხოლო ტრანზიტინებისაგან ნაწარმოები ზოგი ფორმა მისდევს ინტრანზიტინების უღლებას. ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ „პირის ნიშნების“ გარდა კონსტრუქციაც ინტრანზიტინების მსგავსია, ე. ი. ნომინატიური (არა ერგატიული)<sup>31</sup>. შეადარეთ ქართული: პირველი სერია: ნომინატიური კონსტრუქცია ყველა ზმნისათვის; მეორე სერია: ნომინატიური საშუალო გვარისათვის და ვნებითებისათვის, ერგატიული მოქმედებისათვის (კაცი იღვა, კაცი დაიხატა, კაცმა დასატა) და მესამე სერია: დატიური კონსტრუქცია მოქმედებითისათვის, ნომინატიური საშუალო გვარისა და ვნებითისათვის (კაცს დაუხატავს, კაცი მდგარა, კაცი დახატულა). ამისი მსგავსი მდგომარეობაა სწორედ ხურიტულშიც.

ინტრანზიტინები: პირის მიხედვით არ იცვლება, პირს აღნიშნავს ენკლიტიკები: -tta, -i/dila, -me/ma-, -lla/-lle, ქვემდებარე „წრფელობითში“.

ტრანზიტინები: იცვლება პირის მიხედვით, პირს გამოხატავს აგენტის სუფიქსები -af, -aš; -c/i; -i/ya, ქვემდებარე აგენტითში.

ტრანზიტინების -i ფორმები, პირების მიხედვით არ იცვლებიან, პირზე მიუთითებს ნაცვალსახელოვანი ენკლიტიკური ელემენტები: -tta, -i/dila; -me/ma, -lla/lle-, ქვემდებარე „წრფელობითში“.

ზმნათა დაჯგუფება ტრანზიტინებად და ინტრანზიტინებად გამართლებულია ერგატიული კონსტრუქციის თვალსაზრისითაც. ხურიტული ტრანზიტინი ზმნის ქვემდებარე ყოველთვის ერგატიულ კონსტრუქციას გვიჩვენებს. იგი დგას ე. წ. აგენტის ბრუნვაში. ეს ხეება ფინიტურ ტრანზიტინებს. თუ წინადადებაში წარმოდგენილია ფინიტური ზმნა, ე. ი. ტრანზიტინი, მისი ქვემდებარე აგენტიეშია. ზმნას კი აგენტის სუფიქსი ახლავს. სხვა სახელი, რომელიც წინადადებაში შეიძლება იყოს, ე. ი. დამატება, წრფელობითში გვექნება. მაგ., še-e-i a-wa-ša-an 'Ni-im-mu-u-ri-i-aš ta-še e-ri-li ta-a-a-i-u-u-ša (Mit. I 84) ქვემდებარე še-e-ra-wa-ša-an აგენტეშია, დამატება ta-še „წრფელობითში“, ხოლო ზმნაში პირი -a-თია გადმოცემული (მესამე პირი, მხოლოდითი რიცხვი, ნამყოფი დროის ფორმა:).

ინტრანზიტინი: ur-a; ur-du-ma-a-an in-na-me-e-ri-i-in še-e-ri-iw-wu-ñ-e aš-ti ñ-i-i-et-la (Mit. III 21) ქვემდებარე še-e-i-iw-wu-ñ-e („ჩემი ძმის ცოლი“) დგას „წრფელობითში“, ხოლო პირზე მიუთითებს -me- ენკლიტიკური ნაცვალსახელოვანი ასოციტივი, რომელიც შედის სიტყვაში in -i a-me-c-i-i-i-in.

ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალ ზმნებს გასდევს ყველა დროში და სამსავე პირში (განსხვავებით შუამერულისა და ურარტულისაგან, სადაც ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ მესამე პირს ახასიათებს.- მაგ., i-nu-u-ut-ta-

<sup>31</sup> ფორმები როგორც წესი ქვემდებარეს წრფელობით ბრუნვაში შეიწვრიბენ: pa-aš-šl-na-an še-e-ni-iw-wa-še-ñu-u-la (Mit. III 112) და pa-aš-šu-u-šl še-e-ni-iw-wa (Mit. I, 65); še-e-ni-iw-wa an-za-a-an-nu-u-hu-ši (Mit. I, 18) შდრ. še-e-ni-iw-wu-ušpa-aš-šu-u-ša-ღა სხვა.

-a-i-i-i-iu ხა-ეი-ნი წა-ე-ნი-iw-wa-uš ზა-ა-ლი-ყა (Mit. I 73). აწყყოს თვის ზემოთ მოტანილა წინადადება: წე-ე-ნი-iw-wa-ჰა-აი... ზა-წე აყ-ლი ზა-ა-ი-უ-ა-ჰა (Mit. I 84) ნაწყყოსათვის. 'Ge-li-i-aš 'Ma-r-i-eš-ჰა-ა-აი, გუ-ლი-ე-ლა (Mit. IV 27) მყოფედისათვის. მესამე პირის ფორმები ტექსტებში ჩვეულებრივია. გვაქვს პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებიც აგენტებში: i-i u-a-e-i-i-iu ხე-ეი-ნი წე-ე-ი-iw-wa i-ჰა-ა-შ ზა-ა-ლა-ა-ნი (Mit. I 74). აქ პირველი პირის ნაცვალსახელია i-ჰა-ა-შ აგენტის -წ დაბოლოებით, ხოლო ზმნა—ტრ.წიტიციე i/i/d აგენტის პირველი პირის სუფიქსით -ანი (af). გვხვდება მეორე პირის ნაცვალსახელიც: wa-e-eš-ჰა-ა-აი აწ-ლა-iw-wa-ნი-a wa-du-ra-a-აი-ი-a gi-ჰა-ა-ა-ა-ჰა-u-uš-ჰე (Mit. III 68).

ცალკე უნდა გამოვეყოთ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც თავისებურებას იჩენენ არა მარტო ხუროთელში, არამედ შემერთულსა და ურართულშიც. ისინი მოსალოდნელი წრფელობითის ნაცვალად ქვეშდებარეს აგენტებში შეიწყობენ მაგ., ხუროთელი u-i-i-ა (მოსალოდნელი u-i-i t-a-ს მაგიერ) და იდ-ი-ა იდ-ი-ა-ს ნაცვალად). ორსავე შემთხვევაში გვაქვს პარალელები, ე. ი. ტექსტებში ეს ზმნები ორივე სახით გვხვდება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამგვარივე ფორმითაა ინტრანზიტცივი ძირი w/pa'ur, რომლის მნიშვნელობაა „კარგი“ და, მაშასადამე, იგი მოძრაობის გამომატყელი ზმნა არ არის. მეორე მხრივ, კი ისეთი ზმნა, როგორცაა ill „წასვლა“, არასოდეს არ ეწყობა აგენტებს და არც -ი-ა ტრანზიტცივების ნაყოფის მაწარმოებელი ელემენტით გვხვდება. მისი კანონზომიერი ფორმებია ill-ი-t-a, ill-a-iu, illa-i-zallan, ხოლო სუბიექტი მასთან ყოველთვის წრფელობითშია წარმოდგენილი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

## ცნობები და შენიშვნები

ი ა გ ა ჩ ი ლ ა შ ი

### ქართულ გადაშერთა ერთი ოჯახის და მათი საქმიანობა

ძველად საქართველოში წიგნების წერა და თარგმნა, ხელნაწერთა გადაწერა და აკინძვა ძირითადად ეკლესია-მონასტრებში ხდებოდა. იქ მყოფი სასულიერო პირები ამავე დროს მწერლები, მეცნიერები, მთარგმნელები, კალიგრაფები, წიგნების „მკაზმველნი“ და „მმოსველნიც“ იყვნენ.

წერილობითი ძეგლებისადმი ქართველი ხალხის ინტერესი და სიყვარული ხელნაწერი წიგნების გამრავლებისა და გავრცელების დიდ საჭიროებას ქმნიდა. ამიტომ გარკვეული დროიდან მწიგნობრობა და წიგნის შექმნის ხელობა საერო პირთა საქმიანობადაც იქცა. განათლებულ ოჯახებში წიგნის მოყვარულნი ცდილობდნენ შეეგროვებინათ წიგნები, თვითონ გადაეწერათ, ან სხვისთვის დაევალებინათ მათი გადაწერა. ასე ჩაეყარა საფუძველი სამონასტრო წიგნსაცავების გვერდით საოჯახო წიგნსაცავებს, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ძველი ქართული მწერლობისა და სამწერლობო კერების შესწავლისათვის.

გადამწერლობა თავიდანვე პროფესიას წარმოადგენდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „გადამწერლობა ისეთივე ხელობა იყო, როგორც სხვა ხელობები. რასაკვირველია, ყოველ განათლებულ ადამიანს შეეძლო თავისთვის ომელიმე წიგნი დაეწერა ან გადაეწერა, მაგრამ ყველას არ ჰქონდა ამისთვის საჭირო მოკლილობა და მეტადრე კარგი და ლამაზი ხელი, რომ საკითხავი წიგნისათვის შესაფერისი ყოფილიყო. ამიტომ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გადამწერლობა ხელობად ჰქონდათ არჩეული“<sup>1</sup>.

პროფესიონალი გადამწერი ცდილობდა თავისი ცოდნა შეიღებინათვის ვადაეცა. ამ გზით კალიგრაფობა ოჯახის ტრადიციული საქმიანობა ხდებოდა. კალიგრაფთა თითოეულ ოჯახს წერის თავისებური მანერა და სტილი ჰქონდა „ამოყალიბებული. ასე შეიქმნა საქართველოში ცნობილი კალიგრაფიული სკოლები: ჩაჩიკაშვილებისა, მესხიშვილებისა, ბედისმწერლიშვილებისა და სხვათა. ცალკეულ გადამწერთა თუ გადამწერთა ჯგუფის წერის მანერისა და სტილის თავისებურებათა დადგენასა და შესწავლას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გადამწერი ჩვეულებრივ ხელნაწერს ურთავდა ანდერძს ან რაიმე მინაწერს, სადაც იძლეოდა ცნობებს იმის შესახებ, თუ როდის, სად, ვისთვის, რა პირობებში და რა ფასად გადაწერა მან ესა თუ ის ხელნაწერი. მაგრამ ძალიან ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ხელნაწერს არ ახლავს ანდერძ-მინაწერის, ან ჩვენამდე მხოლოდ ხელნაწერის ფრაგმენტი აღწევს. ასეთ დროს

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული კალიგრაფია, 1949, გვ. 97.

გადამწერის ვინაობის დადგენისა და ძეგლის დათარიღების შესაძლებლობას უკვე ცნობილ გადამწერთა ხელის პალეოგრაფიულ თავისებურებათა ცოდნა იძლევა. ცალკეული კალიგრაფებისა და კალიგრაფიული სკოლების გამოყოფისა და შესწავლის მიზნით კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში წლების მანძილზე მიმდინარეობს ანდერძ-მინაწერების ანბანზე განლაგებული ფოტოტექის შედგენა. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების შესწავლამ და ურთიერთდაკავშირებამ გამოავლინა მწიგნობარ-კალიგრაფთა ერთი ოჯახი, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

XVIII—XIX საუკუნეებში საქართველოში დავით გარეჯის უღაბნოს მონასტერი მწიგნობრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. იქ ხდებოდა ხელნაწერი წიგნების შედგენა, გადაწერა, გამრავლება. მონასტერს ჰქონდა მდიდარი წიგნსაცავი.

XIX საუკუნის შუა წლებში დავით გარეჯაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არაგვის ერისთავის შუა სოფრონიოს არხიმანდრიტი. სოფრონიოსის მიერ არის გადაწერილი საეკლესიო კრებული (H—215) დავით გარეჯაში 1852 წელს და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა მთაწმიდასა და იერუსალიმს“ (H—221).

გარდა ამ ორი ხელნაწერისა, სოფრონიოს არხიმანდრიტს თავის მოწაფე სოლომონ პავლიევთან ერთად 1841 წელს გადაუწერია „არჩილიანი“ (S—1544). ხელნაწერს ბოლოში ერთვის სოფრონიოსის ვრცელი წერილი თავისი დის — ანასაღმი, სადაც იგი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გაბრიელ იერომონახის როგორც ქართული ხელნაწერების შემკრებისა და შემგროვებლის შესახებ. წერილი მრავალმჭრივია საინტერესო: ირკვევა, რომ 1841 წელს სოფრონიოსი თბილისში იმყოფებოდა, როგორც თვითონ წერს, პატიმრობაში: „ქელყვაეცა წერად დროსა ტფილისის ქალაქსა შინა პატიმრობისა ჩემისასა“. წერილიდან ვგებულობთ, თუ როგორ მიანდო სოფრონიოს არხიმანდრიტმა S—1544 ხელნაწერის დამთავრება თავის ერთ-ერთ მოწაფეს — სოლომონ პავლიევს: „გარნა მოწაფეთა ჩემთაგანმან სოლომონ პავლიევმან, რომელსაც ვასწავლიდი გალობას, როგორც მას, ეგრეთვე სხვათა ვიდრე ოცამდე, მიხილა რა უკეთესწერდი ამას წიგნსა. მათის გალობის სწავლის დრო იკარგებოდა. უკეთეს მოწაფეთ სწავლას განვაგრძობდი, წიგნი ესე შეთბოდა გადაუწერელი. და მთხოვა მან, რათა მიზენდო მისთვის გადაწერა ამა წიგნისა“ (225 გვ.). ამავე წერილიდან ჩანს, რომ სოფრონიოსის მიერ დაწვებული ხელნაწერის გადაწერა სოლომონს დაუმთავრებია: „ოდეს შეასრულა და წარმომიდგინა, განვიზრახე, რათა მისითავე თანადასწრებითა დედანთან შემესწორებინა და გამემართა. ამა განვიზრახესა შინა ჩემსა შეედვა უეცარი სნეულება და გარდაიკვალა“. სოფრონიოსის დიდი შრომა დასპირებია, რომ სოლომონის მიერ დაშვებული შეცდომები ვაესწორებია. გაუმართავს ხელნაწერი, შეუკვრევიანება და ამ სახით მიუძღვნია დის შვილებისათვის: „რაოდენ შესაძლო იყო ვასწორებას ვეცადე და ესრედ შესრულებული შევაკვრევიანე და უძღვენი ძეთა თქვენთა არა მე, არამედ ვითარმედ ძმა მათი განსვენებული გაბრიელ“.

წერილიდან ვგებულობთ, რომ გაბრიელ იერომონახი სოფრონიოს არხიმანდრიტის დისწული ყოფილა. 1841 წელს, წერილის დაწერის დროისათვის, გაბრიელი უკვე გარდაცვლილი ჩანს („... ძისა შენისა განსვენებულის იერომონახის გაბრიელისგან“ — სწერს სოფრონიოსი თავის დას — ანასა). სოფრონიოსის ცნობით გაბრიელ იერომონახი დიდის გულმოდგინებით კრებდა ქართულ ხელნაწერებს: „ვიზილენ სახლსა შინა შენსა, ძისა შენისა განსვენებულის

ერომონანხის გაბრიელისგან შრომით. ღვწით და საკუთარის საფასით შეკრებილი მრავალნი წერილნი საეკლესიონი“. ირკვევა, რომ გაბრიელ იერომონანი ძველ ქართულ ხელნაწერებს უგზავნიდა თავის ოჯახს, სადაც მათ სათუთად ინახავდნენ. იგი საოჯახო წიგნსაცავის შექმნის ინიციატორი იყო. ჩვენს ფონდებში არსებულ ხელნაწერთა მინაწერები ნათელს ჰქვენენ ქართული კულტურის ამ თავდადებული მოღვაწის საქმიანობას. გვაცნობენ მისი ოჯახის წევრებს, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს მეტად საკირო საქმეში — ქართულ ხელნაწერთა გამრავლებასა და გავრცელებას.

1910 წ. ვლადიმერ ათანასეს ძე მაყაშვილმა ყოფილ საეკლესიო მუზეუმს გადასცა ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში არსებული ხელნაწერები: A—1041, A—1042, A—1043, A—1044, A—1045.

ხელნაწერი A—1042 — სოფრონი იერუსალიმელის „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება“ გადაწერილია XIX ს. დასაწყისში უცნობი გადამწერის მიერ. ეს ხელნაწერი გაბრიელ იერომონანს შეუძენია თავისი ოჯახისათვის: „წიგნი ესე მივეც მშობელთა ჩემთა და ძმთა ჩემთა გლახაკმან გაბრიელ ომანის ძემან, ზყბ — წელსა“ (27v). ამ მინაწერით ცნობილი გახდა გაბრიელის მამის სახელი — ომან, გვარად ის ყოფილა მაყაშვილი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ. წიგნი წაუკითხავს გაბრიელის დედას და მიუწერია: „განვათავე წიგნი ესე დღესა იელისსა, ა, წელთა ჩყკგ, ერისთვის ასულმა ანამ“ (29r).

დედასათვის მიუერთმევია გაბრიელს „გაიანესა და რიფსიმეს წამება“-ც (A—1043): „მალაბრწყინვალეო კნინაჲ ანაჲ, არაგვის ერისთვის ასულო! ბიორთვი მეტაფრასი ქალწულთა ძისაგან შენისა ბერის გაბრიელისაგან, სახსოვრად ჩემდა“ (თავფურცელი, 1r). ეს ხელნაწერი გადაწერილია XIX საუკუნეში, უთუოდ 1841 წლამდე (ამ წელს გაბრიელი უკვე ცოცხალი აღარ არის). გადამწერი უცნობია.

A—1045 ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. მასში შედის: „მეფის კურსევის წესი“ — ნაწყვეტები, „ისტორია საქართუშლოჲსა, აღწერილი ფრანციისა ღენერალ კარლოს მიერ“ და „ტიმოთე. მოხილვა“. გადაწერილია 1822—23 წლებში უცნობი გადამწერის მიერ. ეს ხელნაწერიც გაბრიელს ოჯახისთვის მიუერთმევია: „ესე წიგნი მოგიძღვანე მშობელთა ჩემთა უღირსმან ბერმან გაბრიელ იერომონანხმან საოხად სულისა ჩემისა ჩყკგ-სა წელსა, მისისსა-სა დღესა“ (93v).

მინაწერებიდან ირკვევა, რომ გაბრიელ იერომონანხის მიერ შედგენილი საოჯახო წიგნსაცავით სარგებლობდა ოჯახის მახლობელთა თუ ნათესავთა ვარკვეული წრე. წიგნების გაცემას კი აწარმოებდა გაბრიელის დედა, ანა ერისთვის ასული მაყაშვილისა: „კნინა თამარ! ტიმოთეს მოხილვა მოვართვი! შეეჩქე უქმეებში და ჩემი აღთქმულეზაც აღმისრულე. ანა, წელთა ჩყკე, დეემბრის კე“ (94r). ზოგჯერ წიგნის მიწოდება მკითხველამდე გვიანდებოდა, რის გამოც მოუთმენელი მკითხველი საყვედურსაც კი გამოთქვამდა: „დედაო კნინა ანაჲ, არაგვის ერისთვის ასულო, მაყაევის კნინაჲ! ეს საუნჯე წერილი ქომომდე რაჲსათვის არ მახილე, უმრწმესსა შეილსა და მონასა უღირსსა, ხუცესსა მდაბალსა, ახლა მიბოძეთ და წაეკითხე, ცხოველა, ევზრახები, დედაო! ღმერთმან განგისვენოს საუკუნოს ცხოვრებაში. ოდეს ძე მლთისა დასჯდეს ვანსჯათ ცხოველთა და მკადართა, მეცა მომიხსენე, ტბილო დედაო, უღირსი ბუტესი დავით“ (A—1045, 94r). მაღლიერი მკითხველი ზოგჯერ მინაწერშივე გამოთქვამს თავის შთაბეჭდილებას: „წელსა ჩყნბ-სა, იელისის ვ-ს, წერილი

ესე უწარჩინებულესი ყოვლისა მართლმადიდებელთა, სასიამოვნოთ წასაკითხი. წარვიკითხე სრულებით და მივიღე ფრიალ სიამოვნებით. ვინც იხილოთ ეს ჩემი წარწერილი, შენდობა მიბრძანეთ მე ცოდვილსა. თავადი დავით<sup>1</sup>, ერისთავი არაგვისა“ (A—1045, 1 საკაიე ფურცელი r). იმავე ხელნაწერის (A—1045) 23v-ზე ვკითხულობთ: „გაბრიელ იერომონახო, მაცაშვილო! ღმერთმან შეგიწყალოს ამისთანას წერილის ძიებისათვის და შეკრებისათვის მშობელთა და ძმათა თვისთათვის. მ, დ, ჩ ჩემთ-ს წელს მეცა წავიკითხე ესე დაფარული საუნჯე Священник Давид Никольв [!]“.

ხელნაწერი A—1041 (სოფრონი იერუსალიმელი — „მარია მეგეცპტელის ცხოვრება“), რომელიც ჩამოთვლილ ხელნაწერებთან ერთად არის შემოწირული, საფიქრებელია, რომ გაბრიელის საოჯახო ბიბლიოთეკის კუთვნილი იყო. მას არავითარი მინაწერი არ გააჩნია.

ჩამოთვლილი ხელნაწერების გარდა. გაბრიელ იერომონახს თავისი ოჯახისათვის მიუძღვნია სხვა ხელნაწერებიც: H—1292 ხელნაწერი. წარმოადგენს კრებულს. მასში შედის ანტონ პირველის („საქართველოს მოკლე ისტორია“) და დავით რეჭტორის („აღწერა საქართველოს სხედასხვა კუთხეთა“). გადაწერილია იოსებ ფაცხვეროვის მიერ. ხელნაწერი დაუთარიღებელია. კვირინიშანია 1815 წელი. ხელნაწერის 25r-ზე გაბრიელს მიუწერია: „მრავალ განსაცდელ შემთხვევისა გამო არღარა იპოვებოდა ისტორიანი მშობელთა შინა ჩემსა სახლსა და ესე ისტორია მოვიძიე მშობელთა ჩემთა, ყოველთა მონაზონთა უნარჩევსმან, სულით ვლახაკმან ხუცეს-მონაზონმან გაბრიელ მაცაშვილმან. ძემან თქვენმან. წელსა 1823-სა, იანვრის 25-სა დღესა“ (25r). ჩანს გაბრიელ მაცაშვილის ოჯახს რაღაც განსაცდელი შეხვედრია, რის შედეგად საოჯახო ბიბლიოთეკაც დაზიანებულა და მის შესავსებად გაბრიელს ეს ხელნაწერი გაუგზავნია. რადგან ხელნაწერის კვირინიშანია 1815 წელი, ხოლო მინაწერი 1823 წლით თარიღდება, ე. ი. H—1292 ხელნაწერი გადაწერილია 1815—1823 წლებში.

გაბრიელ იერომონახის შეკვეთით არის გადაწერილი A—1044 ხელნაწერი („სტეფანეს წამება“) და Q—173 ხელნაწერი („არჩილიანი“).

A—1044 ხელნაწერი გადაწერილია 1830 წელს დავით გარეჯის მონასტერში დიარჩო მისიელ ხანდალოვის მიერ გაბრიელისათვის: „ღირსო მამო გაბრიელ! ბრძანებაჲ თქვენი აღმისრულებიეს და აღწერე „ცხოვრება“ ესე მრავალმთის დავით გარეთმსჯელის ათორმეტთა უდაბნოთავანსა წმინდის იოანეს ნათლისმცემლის ლაერასა შინა, აღწერე დიარჩოქმან მიხაილ ხანდალოვმან. უკეთუ შეცთომა რაიმე პოვით ნუ მწყსეუთ, არამედ ლოცვა ჰყავთ. არავინ არს უცთომელ, გარნა მხოლო ღმერთი. წელსა ჩულ-სა, იანვრის ა-ს დღესა. ქორთონიონი ფიზ“ (30r). ხელნაწერის 1v-ზე გაბრიელის მინაწერია: „ქნიაზებო, ჩემო საყვარელნო ძმანო: რევაზ. ათანასი, მაცაყვი ელენე, ბარბარეთურთ! წარიკითხეთ ესე და ყურად იღეთ!“. რევაზ და ათანასე გაბრიელის ძმები არიან. სოლო ელენე და ბარბარე (იგივე ვარვარა) მათი ცოლები. მათვე მიმართავს გაბრიელი S—4621 ხელნაწერის მინაწერშიც, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ხელნაწერი Q—173 („არჩილიანი“) გადაწერილია ანდრია კასრაძის მიერ 1829 წელს. „...მაცუა გარდაწერა ამისი მამამან გაბრიელ მაცაშვილმა“ — წერს გადაწერი. შესაძლებელია, სწორედ ამ ხელნაწერას შესახებ სწერდა სოფრონიოს არხიმანდრიტი თავის დას ანნას S—1544 ხელნაწერზე დართულ

წერილში: „ვიხილენ სახლსა შინა შენსა ძისა შენისა განსვენებულის იერომონახის გაბრიელისაგან შრომით, ღეწით და საკუთარის საფასით შეკრებილნი მრავალნი წერილნი საეკლესიონი და წმიდათა მამათა მოთხრობანი და წამებანი და აგრეთვე მათ შორის წიგნიცა ესე არჩილიანად წოდებული, თვთ შემთხვევისა სახელისა გამო. თუმცა ნაწერაც კარგი იყო და ქალაღლიც, განა უწითლორობა არა შეენოდა, და რომელნიმე შეცთომილებანიცა შეენიშენ(!) და სიყვარულისათვის გაბრიელისა ვისურვებ გამართვა მისი; და ვაწყევლ რა მართვა და ბევრი იშლებოდა მომიხდა ბარე ახლად გადმოწერად წიგნი ესე არჩილიანი“<sup>2</sup> (S—1544, გვ. 225).

იერომონახ გაბრიელ მაყაშვილის დამსახურება ხელნაწერთა შეგროვებისა თუ ახალი ნუსხების დამზადების საქმეში უდავოდ ყურადსაღებია. იგი თავის ბიძასთან, სოფრონიოს არსიმანდრიტთან არა მხოლოდ ნათესაურად, არამედ მთელი თავისი საქმიანობით მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული. ირკვევა, რომ გაბრიელი არა მარტო სხვებს ავალებდა, თვითონაც წერდა ხელნაწერებს. მას გადაუწერია ხელნაწერთა ინსტიტუტის S—4621 ხელნაწერი. ეს არის საეკლესიო კრებული, რომელიც გაბრიელს აგრეთვე ოჯახისათვის მიუძღვნია: „ბრწყინულენო კნენინანო, ღედაო ანნავ, დაო და სძალნო ელენავ და ვარვარავ, მიიღეთ მეტაფრასი ესე ფრიად კეთილისა ამოსაკითხველი და მეცა გახსოვდეთ — ცოდვილი ბერი გაბრიელ. არცა ესე წიგნი იპოებდა(!) მშობელს სახლსა ჩემსა შინა და ამისთვს ესეცა მოგიძღუანეთ“. ამ მინაწერის (და აგრეთვე გაბრიელის სხვა მინაწერთა) ხელის შედარებამ S—4621 ხელნაწერის ტექსტთან დაგვანახვა, რომ იგი გაბრიელ იერომონახის მიერ არის გადაწერილი. ხელნაწერის გადაწერის თარიღი მითითებული არაა. ქვირნიშანია 1826 წელი. მასასადამე, ხელნაწერი 1826—1841 წლებშია გადაწერილი.

გაბრიელს გადაუწერია აგრეთვე თეიმურაზ I-ის ანბანთქება, რაზედაც მიგვითითებს A—1046 ხელნაწერის მინაწერი: „ანბანთქება“ ესე გაბრიელ ბერისაგან გადაწერილი იყო სამ ფურცელ ქალაღლზე და მე, სურვილის გამო. ამ წიგნზედ გადავსწერე დაუკარგაობის მიზეზით, ანნამა (105r).

გაბრიელს თანამოღვაწეთა გარკვეული წრე ჰყავდა, რომლის წევრებსაც თავისი წვლილი შეჰქონდათ ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ზრდასა და განვითარებაში. აესებდა რა თავის საოჯახო ბიბლიოთეკას, გაბრიელს, ცხადია, მათ მიერ გადაწერილ ხელნაწერებზე უფრო მიუწვდებოდა ხელი. მაყაშვილების წიგნსაცავის ხელნაწერთა პალეოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლითა და შედარებით გაიკვია, რომ A—1042 და H—1292 ხელნაწერები ერთი და იმავე გადამწერის — იოსებ ფოცხვეროვის მიერ არის გადაწერილი (დოქმდე A—1042 ხელნაწერის გადამწერი უცნობი იყო). იმავე იოსებ ფოცხვეროვის მიერ არის გადაწერილი S—1407 ხელნაწერი („ლოცვა სნეულისა“), თავფურცელზე მინაწერიც ამასვე ადასტურებს: „ესა წიგნი გაბრიელ ბერს მიერთვას. ი. ფ.“. ინიციალები „ი. ფ.“ იოსებ ფოცხვეროვს გულისხმობს.

<sup>2</sup> მართლაც, Q—173 ხელნაწერი ნაწერია ლურჯი მელნით, ხოლო S—1544 ხელნაწერი სავარაუდოდ სინჯურით არის, ქრონოლოგიურადაც Q—173 გადაწერილია 1829 წ., ხოლო S—1544 კი 1841 წელს.



როგორც მინაწერებიდან ჩანს, მაყაშვილთა საცხოვრებელი ადგილი იყო-  
 თო იყო. საოჯახო წიგნთსაცავიც იქვე დაარსდა<sup>3</sup>. გაბრეულ იერომონახის მიერ  
 გაგზავნილ ხელნაწერებს მწიგნობარ მაყაშვილთა ოჯახში დიდის გულისყურით  
 უვლიდნენ და ინახავდნენ. საოჯახო ბიბლიოთეკაში ხელნაწერთა რაოდენობა  
 იმდენად დიდი ყოფილა, რომ ისინი დაუნომრავთ კიდევ. ამაზე მიგვითითებს  
 ზოგიერთ ხელნაწერზე შემორჩენილი მინაწერები: „№ 9. საოჯახოა“ (H—170),  
 „№ 2. ელენე მაყაევისა“ (A—1045), „№ 43. არჩილიანი, თავად მაყაშვილისაგან.  
 სოფ. იყალთო“ (S—1544), „№ 6. საოჯახოა“ (A—1043), „№ 8. საოჯახოა. კ.  
 ელენე მაყაევისა“ (A—1046), „№ 10. საოჯახოა. კ. ელენე მაყაევისა“  
 (A—1042).

გაბრიელის ოჯახის წევრთა მოღვაწეობა არ იფარგლებოდა მხოლოდ მის  
 მიერ გაგზავნილი ხელნაწერების მოვლა-პატრონობით, თუმცა თავისთავად  
 ესეც ფრიად მნიშვნელოვანი და საპირო საქმე იყო. ამ ოჯახში ზრუნავდნენ  
 ხელნაწერთა ბიბლიოთეკის ზრდასა და წიგნების მკითხველისათვის მიწოდება-  
 ზე. სათუთად ინახავდა რა ხელნაწერების საოჯახო ბიბლიოთეკას, გაბრიელის  
 დედა ანა ერისთვის შეილი-მაყაშვილისა ავსებდა მათ ახალი ხელნაწერ-  
 ბით და გამრავლების მიზნით ზოგჯერ თვითონაც გადაწერდა ხოლმე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ხელნაწერი ყოველთვის ვერ  
 აღწევს ჩვენამდე იმ სახით, რა სახითაც იგი გადაწერის ხელიდან გამოვიდა.  
 ხშირად იგი იცვლება როგორც გარეგნულად, ასევე შიგნით. თვალსაზ-  
 რისითაც. გადაწერები თუ შემთხვევითი პირები ხშირად ცვლიან ხელნაწერს,  
 აერცობენ მას ახალი მასალითა და შენიშვნა-მინაწერებით. ამისათვის იყენე-  
 ბენ ხელნაწერის თავისუფალ ფურცლებს, ან დაწერილი გვერდის თავისუფალ  
 ადგილს. შემესები პირი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე. ამ სახით მოლ-  
 წეულ ხელნაწერებს სჭირდება დიდი დაკვირვებითა და გულმოდგინებით შეს-  
 წავლა, თითოეული ჩამატებული ადგილისა თუ მინაწერის შედარება ნაცნობ  
 ვადამწერთა ხელთან და ამ გზით ხელნაწერის შემესებ-გამეცობთა ვინაობის  
 დადგენა. ამ თვალსაზრისით ხელნაწერის შესწავლა გვიჩვენებს, თუ რა გზა  
 გაიარა ხელნაწერმა, სად და ვის მფლობელობაში იყო ის. ჩამატებულ ადგილ-  
 თა თუ მინაწერთა შესწავლა, მათი ურთიერთდაკავშირება ნიშნავს ხელნაწერ-  
 ის ისტორიის, მისი წარსულის შესწავლას, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნე-  
 ლობა აქვს როგორც ლიტერატურული, ისე ისტორიული თვალსაზრისითაც.

H—170 ხელნაწერის შესწავლამ მაყაშვილთა ოჯახის საქმიანობის შესა-  
 ხებ მეტად საინტერესო მასალა მოგვაწოდა.

ხელნაწერი H—170 გადაწერილია სხვადასხვა ხელით. 4r-დან 21v-მდე  
 გვერდები ნაბეჭდია, შეიცავს „ქეთევან დედოფლის წამების“ ტექსტს: „წამება  
 წმინდისა ქეთევან დედოფლისა ლექსად თქმული. სანკთვეტერბურღს. ტიპო-  
 ლრაფიასა შინა იოსებ იოანესისაგან. წელსა ჩყით, ივლისის კა დღესა“ (4r).  
 ეს არის დიმიტრი ბაგრატიონის ნაწარმოები. 22r-დან 34r-მდე არის თეიმურაზ  
 I-ის „წამება ქეთევან დედოფლისა“. 22r-დან 25r-მდე და 27r-დან 34r-მდე  
 ხელნაწერი გადაწერილია ერთი და იმავე ხელით. ხელნაწერის ამ ფურცლების  
 შედარებამ სხვადასხვა ხელნაწერთან გაარკვია, რომ ეს გვერდები იოსებ

<sup>3</sup> A—1041, A—1042 და... უკმაწიურლ ხელნაწერებს აქვთ შემდეგი მინაწერი: „ესე წიგნი  
 შეწერილ შე თავადმა ვლადიმერ არანსეს ძე რ. ლაშველმა წმ. სიონის ტაძრის მუზეუმს. სოფ. იყალ-  
 თო. მარტის 1910 წ.“

ფოცხვეროვის მიერ ყოფილა გადაწერილი. 26r-v კი უცნობ გადამწერს შეუესია, № 170 ხელნაწერი ამ სახით გაბრიელს დედისათვის მიუძღვნია: „არაგვის ერისმთავრის ბართლომეს ასულო ანუ ბეჟანიისავ, კნეინა ანნავ, მოწყალეო ხელმწიფავ, აღსასრულბელად თქვენისა ბრძანებისა რაიცა ვპოვე საქართველოს წერილებთა შინა განბნეულნი, ერთად შევკრაბე და მოგართვი მათის ქეთავანის წამების ლექსნი სახსოვრად უღირსის ძისა შენისა ბერის გაბრილისა“ (1r). ხელნაწერის თავსა და ბოლოში თავისუფალი ფურცლები ანნას გამოუყენებია, თავის მხრივ შეუესია და 2r—4r-ზე ჩაუწერია იოანე ბატონიშვილის ეპიტაფია, ხოლო ხელნაწერის ბოლოში თავისუფალ ფურცლებზე თეიმურაზ I-ის „ანბანთქება“. „ანბანთქების“ ტექსტი ნაკლულია. ხელნაწერში ანნას გაუკეთებია მინაწერებიც: „ანნასია: — წელთა ჩყლდ: ამ წლის რიცხვში შევსრულდი ორმოცდაჩვიდმეტის წლისა აგვისტოს ოთხსა“ (ქვედა საცაეი ფ. v). ასევე შეუესია ანნას A—1046 ხელნაწერიც. ეს არის დოგმატიკურ-კანონიკური კრებული, გადაწერილი 1817 წელს ნიკოლოზ ფილადელფოს კიკნაძის მიერ დავით გარეჯის მონასტერში. A—1046 ხელნაწერიც მაყაშვილთა საოჯახო ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა, რაზედაც მიგვითითებს თავფურცელზე გაკეთებული მინაწერი: „№ 8. საოჯახოა. კ. ელენე მაყაშვილისა“. იქვეა მინაწერი „იოანე დეკანოზის რისა“. ეს მინაწერი ამოფხეკილია და გაბრიელ ივრომონახის ხელით მიწერილია: „გაბრიელ ბერის ვარ, ჩუქებულ“. შესაძლებელია, ეს ხელნაწერი გაბრიელ ბერს იოანე დეკანოზმა აჩუქა. ანნას ხელნაწერის თავისუფალ ფურცლებზე (101v—105r) გადაუწერია თეიმურაზ I-ის ანბანთქება (მინაწერის ტექსტი იხ. ზემოთ).

ანნას მოღვაწეობა არ ამოიწურება მხოლოდ ხელნაწერთა შევსებით. მას თავისი წვლილი შეუტანია ხელნაწერთა გამრავლების საქმეში როგორც გადამწერსაც. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია მის მიერ გადაწერილი სამი ხელნაწერი: H—168, H—169 და H—453<sup>4</sup>.

H—168 ხელნაწერი კრებულია. რომელშიაც ანას სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებთან ერთად გადაუწერია თეიმურაზ I-ის „ანბანთქება“ (აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ I-ის ეს ნაწარმოები ანამ სამ სხვადასხვა ხელნაწერში გადაწერა). ხელნაწერის პირველი ნაწილი 1834 წელს არის გადაწერილი, მეორე ნაწილი კი 1838 წელს. ორივესათვის ანნას ცალ-ცალკე ანდერძი დაურთავს: „... მიხეზნი ჩემი გულმოდინებისა ჩემი პირმშო შვილი გაბრიელ ბერი მღვდელმონაზონი მექმნა. ამისი დედანი მან მაცნობა და ჩემის სურვილით იმისგან მრავალნი წიგნნი არიანი ჩემი შვილების სახლში, და მეც ეს მცირე ვიკულსმოდვინე. სამთავე შვილებს შეეწიოს მღვთისა დედა და მეც მომიხსენონ მშობელი თვისი. სრულ იქმნა ივნისისა 8, წელთა ჩყლდ“ (35r). მეორე ნაწილი წარმოადგენს ანნას ძმის „ბეჟან არაგვის ერისთავის ძის გიორგის ეპიტაფიას“. ამ ნაწილის ანდერძი 42v-ზეა მოთავსებული: „მე მისგან გულწყულაქ<sup>1</sup> მან დამან ანნამ გადმოვსწერე ეპიტაფია, ... წელსა ჩყლმ, ნოემბრის დღესა კა. შევლნო ჩემნო ათანასი, მაყავ და რევაზ, თქვენცა ხსოვილ იყავით სასურველის თქვენის ჰიძისა“.

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ დასახელებულ ხელნაწერთა ანდერძებში ანნა თავის ეინაობას სხვადასხვანაირად ასახელებს: ანნა ბეჟან არაგვის ერისთავის ასული (H—168), ანნა მაყაშვილი (H—169) და მხოლოდ ანნა (N—453), მაგრამ ხელნაწერთა ურთიერთშეყრებით ვაირკვა, რომ სამივე ხელნაწერი ერთი პირის—ანნა ერისთავი-მაყაშვილის მიერ არის გადაწერილი.

H—169 ხელნაწერი ანნას გადაუწერია 1833 წელს. ხელნაწერი წარმოადგენს საეკლესიო კრებულს. ანნას 18v-ზე დაურთავს ანდერძი: „ნათლისმცემლო იოანე, შემეწიე და მეოხ მექმენ ცოდვილსა ანნას; ვიგულსმოდგინე და გადაესწერე პირველს მარხვას, ფებერვლის ჩვიდმეტს დღესა, წელთა ჩულგა“. ეს ხელნაწერი ანნას შვილებისათვის მიუძღვნია: „წიგნი ესე მოთხრობისა მივართვი სამთავე შვილთა ჩემთა სახსოვრად ჩემდა მშობელმან მათმან ანნამ“ (80r).

ხელნაწერი H—453 ანნას გადაუწერია 1838 წელს. ეს არის დერეჯინის „ღმერთი“: „წელსა ჩულგ, აპრილის კე ვიყავ ჩემს სამშობლოში, აქ ვიხილე ესე კეთილ გასაგონი და გადაესწერე ანნამ“ (7v).

მაყაშვილთა ოჯახის შესანიშნავი ტრადიცია განაგრძო ანნას შვილიშვილმა ნიკოლოზ ათანასეს ძე მაყაშვილმა. მან 1860 წელს გადაწერა დიმიტრი ბაგრატიონის მიერ თარგმნილი სამოელ რაბინის „განსჯა“ (H—454). აქვეა სვიმონ მაყაშვილის ლექსებიც. ჰქონდა თუ არა ნიკოლოზ მაყაშვილს გადაწერილი კიდევ რაიმე — ჯერ გამორკვეული არ არის. შემდგომი მუშაობა — გადაწერთა და მათ ანდერძ-მინაწერთა სათანადო განხილვა — ახალ შუქს მოჰფენს როგორც ნიკოლოზ მაყაშვილის, ასევე მაყაშვილთა მწიგნობარ კალიგრაფთა ან შესანიშნავი ოჯახის, საქმიანობას.

ამგვარად:

1. ჩვენი წარსული კულტურის მოამაგეთა დიდ ოჯახს შეემატა ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი, ანნა ერისთავის ასულ მაყაშვილის ოჯახი. ამ ოჯახის წევრებს აერთიანებდათ არა მხოლოდ ნათესაური კავშირი, არამედ ძველი ხელნაწერი წიგნისადმი სიყვარული და პატივისცემა. მათ თავისი წვლილი შეიტანეს ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვისა და გავრცელების საქმეში.

2. გაბრიელ მაყაშვილის „შრომით. ღვწით და საკუთარის საფასით“ შეკრებილ ხელნაწერთა შესწავლამ შესაძლებელი გახადა დაგვეთარიღებინ. H—1292 და S—4621 ხელნაწერები.

3. მაყაშვილთა საოჯახო წიგნსაცავის ზოგ ხელნაწერთა ურთიერთშეჯერებით ცნობილი გახდა A—1042 და S—1407 ხელნაწერთა გადაწერა.

\* ის ვაძრებოდა, რომ გაბრიელ ეფრომონასი მინაწერებში ყოველთვის თავს ორ მძას — ათანასისა და რველს ახსენებს, ხოლო დღეამისა ანნა — სამ შვილს: ათანასი, მაყა და რველ — გვაფიქრებინებს, რომ მაყა შესაძლებელია გაბრიელ ეფრომონასის სავრსიკაცი სახელი იყო.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ა. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

## პუბლიკაცია

პირადი უბი

### ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში

მრავალი ძვირფასი ხელნაწერი, რომლებიც მე-19 ს. განმავლობაში დაიკარგა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრიდან, ახლა ფრაგმენტებად გაბნეულია ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა კოლექციაში<sup>1</sup>. უეჭველია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ხანმეტი ლექციონარი (VII ს. დასაწყისი), რომელიც ქართულ ხელნაწერთა შორის ყველაზე უძველესია, თუ არ მივიღებთ შხედველობაში ცნობილ პალიმფსესტებს<sup>2</sup>.

1883 წელს ეს ხელნაწერი ცაგარელმა ნახა სინას მთაზე<sup>3</sup>. მისი აზრით, მაშინ იგი 28 ფურცლისაგან შედგებოდა. 1929 წელს პროფ. ა. შანიძემ იგი გააოვივა გრაცის ქართულ ხელნაწერთან (შემოკლებით G), რომელიც მხოლოდ 27 ფურცელს შეიცავდა. პროფ. ე. გარიტმა ნახა უკანასკნელი ფურცელი, რომელიც შეიცავს ანდრძს — მინგანა ქართული 7 (შემოკლებით M)<sup>4</sup>. ამავე დროს, G-ს ტექსტი იწყება მათეს 28 თავის ცოტა უფრო ქვემოთ, ვინემ ეს მითითებულია ა. ცაგარელთან (მუხლი 7b, ნაცელად 4b-სი). ეს შეუსაბამობა შენიშნა მ. თარხნიშვილმა<sup>5</sup> და ფურცლების სათვალავში დაშვებულ შეცდომას ბიაწერა. მას რომ სწორად შეეფასებინა ეს ფაქტი, ერთი ფურცელი კიდევ საჭიბარი იქნებოდა.

ე. თაყაიშვილის კატალოგის გამოქვეყნების შემდეგ (1933 წ.) პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების ფონდი გამდიდრდა მხოლოდ ერთი ხელნაწერით — № 30<sup>6</sup>. ეს არის ხელოვნური კრებული, რომელიც

<sup>1</sup> Cf. A. De Halleux, Un nouveau fragment du manuscrit sinaïtique de Marlyrius-Sahdca: Le Muséon 73 (1960), გვ. 33—38 (Strasbourg, Leningrad, Milan); G. Garritte, Les feuillets géorgiens de la collection Mingana à Selly Oak (Birmingham), ibid. გვ. 239—259 (Birmingham, Sinai, Princeton, Göttingen, Graz); id., Homélie d'Ephrem sur la mort et le diable, ibid., 82 (1969), გვ. 123—129 (Strasbourg, Leningrad, Birmingham).

<sup>2</sup> H. Schuchardt, Mittheilungen aus georgischen Handschriften, თბილისის უნივერსიტეტის შიამზე, 8 (1928), გვ. 366—368 (შეადარე ახალი აღთქმის გამოცემა, ტფილისი, 1879. მისი ტექსტი იწყება მათე, 28, 7b); J. Molitor, Monumenta iberica antiquiora (CSGO, 166, Subsidiaria 10), Louven, 1956, (გვ. VIII, № IX—XI—ცნობა აკ. შანიძის გამოცემაზე. ქართული ტექსტი ლ. თარხნი თარგმან თ—გვ. 13—39. ა. შანიძის ფოტოტიპოური გამოცემის შესახებ თავიზიანად მოწოდებული ცნობებისათვის მადლობას ვუხდით აბატ ს. მერსისეს).

<sup>3</sup> A. Il'gar'ev, Каталог грузинских рукописей Синаяского монастыря, Православный Палестинский Сборник, ტ. IV, სანკტ-პეტერბურგი, 1888, ხელნაწერი 9, გვ. 199—200.

<sup>4</sup> G. Garritte, Les feuillets... (იხ. სქოლოი 1), გვ. 254—257.

<sup>5</sup> M. Tarchnitsvili, Zwei georgische Lektionarfragmente aus dem 5. und 8. Jahrhundert, Le Muséon, 73 (1960), გვ. 264.

<sup>6</sup> ხელნაწერი 29-ს ძირითადი ნაწილია აღწერილობანი, შედგენილი ბროსესა და ლანგლუას მიერ.

შედგება ცალკე ერთი ფურცლისაგან და ორი ფურცლისაგან წყვილად. ეს უკანასკნელი ფრაგმენტი ცალკე შესწავლის საგანია. პირველი ფურცელი (თავდაყირაა აკინძული) ეტრატისაა. მისი ზომაა 189×150 მმ; ნაწერის ზომა — 165—106 მმ (ერთ სვეტად); დამწერლობა — არქაული მსხვილი უნტიალი (ასომთავრული). გვერდი შეიცავს 10 სტრიქონს. ასოების სიმაღლე — 7 მმ. პირველი სტრიქონი დღევანდელი ვერსოსი (ძველი რექტო) ძალიან დაზიანებულია. ზოგიერთი ასო მოგვიანებით გაუცხოველებიათ შავი მელნით. ტექსტი შეიცავს მათეს 28-ე თავის 4—7 მუხლებს. ტექსტი ხანმეტია. ფურცლის ვერსოზე 4 ხ-ანი ან დაუფარავთ ან ამოუფხეკიათ. მიუხედავად ამისა, ასოთა დარჩენილი მონახაზები ორქოფობის საბაბს არ იძლევა (იხ. ფოტო 1v, შესრულებული ულტრაიისფერი სხივებით). რექტოზე მხოლოდ ერთი ხ-ანია, რომელიც არ არის ნაწვალები გამსწორებლის (თუ გამსწორებლებს) მიერ.

ამ ფურცლის დახასიათება ემთხვევა ხანმეტი ლექციონარისას, როგორც ზომების — G 188×161 მმ (ზედაპირის ზომა მერყეობს 165×106 და 175×130 მმ შორის), M 185×122 მმ, — ისე დამწერლობისა და განლაგების თვალსაზრისით. ძირითადი ტექსტი მთავრდება მუხლის შუაში, ზუსტად იქ, სადაც იწყება G-ს პირველი ფურცელი. მეტიც, ცაგარლის მოტანილი ლექციონარის დასაწყისი, იმ სახით როგორცაა ის მას სინაზე უნახავს<sup>7</sup>, საკვებით ხედება პარიზის ფურცლის თავდაპირველ რექტოს (დღევანდელ ვერსოს) დასაწყისს.

ეჭვს არ იწვევს, რომ პარიზის № 30 ქართული ხელნაწერის (შემოკლებით P) 1 ფურცელი ეკუთვნის ხანმეტ ლექციონარს, რომელიც ამჟამად დაცულია გრაცში. იგი უშუალოდ წინ უსწრებდა G-ს პირველ ფურცელს.

როგორ მოხვდა ეს ფურცელი პარიზში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არაა იოლი<sup>8</sup>. არაერთარი მითითება წარმომავლობის შესახებ არ არის კატალოგში. მინდერის გასწვრივ ფანქრით გაკეთებული შენიშვნა (ორი სიტყვა, რომელიც ვერ იკითხება), აღნიშნული № 11-ით, სავარაუდოა, ეკუთვნის გამყიდველს. მსგავსი რამ არ არის არც G-ში და არც M-ში.

G შეიძინეს ვენაში 1895 წლამდე, M-ისა და P-სგან განცალკევებით. M 1937 წელს იყიდა მინგანამ ვინმე შერლინგისაგან, რომლის პაროვნება ჩვენთვის უცნობია. P უნდა იყოს შეძენილი 1933 წლის შემდეგ. სინას მრავალი ხელნაწერისა თუ ფრაგმენტის ავბედითი თავგადასავალი ნაწილობრივ ჭერ კიდევ მოუტულია საიდუმლოებით.

აი P-ს ტექსტი ლათინური თარგმანითურთ<sup>9</sup>. ნაბეჭდს შენარჩუნებულ იქვს ორიგინალის განლაგება.

ვე რ ს ო  
[ნელებისა] [გ] მ[ისისა]  
შეძრწოვნდეს. მც  
ველნი ოვი და ხიქმნ  
ნეს. ე(ითარც)ა მკოვდარნი:

<sup>7</sup> პ. რ. ფ. ჯ. გარცმა დღი თავაზიანობა გამოიჩინა და გამოგვიგზავნა ცაგარლის მიერ მოტანილი ტექსტის გდმონაწერი. ესარგებლო შემთხვევით, რათა მას გულწრფელი მადლობა გადაუხადო.

<sup>8</sup> ბიზმინგემის, გრაცის, პარიზის თავაზიან მცველებს მადლობას მოვახსენებთ იმისათვის, რომ გადმოგვეცნო მათ, რომელიც მათ განკარგულებაში იყო ამ საკითხთან დაკავშირებით.

<sup>9</sup> ქართულში ლათინური თარგმანი ამოტოვებულია (მთ.).

Handwritten text in a medieval script, possibly Gothic or Carolingian minuscule, arranged in approximately 10 lines. The text is heavily obscured by noise and artifacts, making it largely illegible. The script features characteristic features such as tall ascenders and a dense, compact letterform. The overall appearance is that of a heavily degraded or noisy scan of a historical document page.

Handwritten text in a medieval script, possibly Gothic or Carolingian minuscule, arranged in approximately 10 lines. The text is highly obscured by heavy noise and artifacts, making it largely illegible. The visible characters are fragmented and difficult to decipher, but appear to be a form of Latin or Old French script. The text is contained within a rectangular border.

- 5 მიხოვგო ანგელოზ  
 მან მან და ზრქოვა  
 დედათა მათ ნოვ  
 გეშინინ თქ(ოვე)ნ ვიცი  
 რ(ამეთოვ) ი(ესო)ვ ს ჟოვარსცოვ
- 10 მოვლსა ხეძიებთ

2—3 ზოგერთი ასო გაცხოველებულია. 7—8 ნოვ გეშინინ გაცხოველებულია. 9 ცოვ ილ. 10 ეძიებთ ილ. 3, 5, 10 ხ დაფარული; 6 ხ ამოფხვილია.

### რ ე კ ტ ო

- არ[ა] არს აქა ა(რამე)დ  
 აღდგა ვ(ითარ)ცა თქოვა:  
 მოუედით და შ. ხ.. 1  
 [დ]და იხილეთ ადგი
- 5 ლი სადა დადევს  
 იგი და ადრე წარ  
 ვედით და ხოვთ  
 ხარით მოწაფეთა  
 მისთა ვ(ითარ)მედ აღდგა  
 და აპა წინაგვიძს

3—4 ამოფხვილია. 7 ხ დაუზანებელია. 10 ღვს ხაზქვეშა.

ტექსტის თვალსაზრისით, როგორც G-ში, მნიშვნელოვანია კავშირი ტბეთის ხელნაწერთან, წინააღმდეგ აღიშის ხელნაწერისა.

ამგვარად, ლექციონარი აღდგენილია ისე, როგორც იყო 1883 წელს, თუმცა მაშინაც არ იყო იგი წარმოდგენილი სრულყოფილი სახით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბედნიერი აღმოჩენა დაგვიბრუნებს იმასაც, რაც ლექციონარს აკლია.

ქართული თარგმანი დაიბეჭდა ავტორის ნებართვით.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა)



## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

### ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიიდან

ანტონ პირველს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში. მისი „ქართული ლრამატიკა“ ესაა პირველი სრული ქართული გრამატიკა, რომელიც დიდი ზოპულარობით სარგებლობდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში. როგორც ცნობილია, მისი გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ იგი საფუძვლად დაედო XVIII—XIX საუკუნეებში ქართულად დაწერილ ყველა გრამატიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ანტონის გრამატიკა იმთავითვე დიდ ინტერესს იწვევდა, დღემდე იგი მთლიანი სახით არ ყოფილა შესწავლილი და დაფასებული. მისასაღმებელია, რომ ეს რთული და საჭირო საქმე ამჟამად წარმატებით შესრულებულია ელენე ბაბუნაშვილის მიერ<sup>1</sup>, რომელმაც საფუძვლიანად და გამოწვლილით შეისწავლა გრამატიკის ორივე — ვრცელი და მოკლე — რედაქცია, გაარკვია მათი შედგენილობა და ურთიერთმიმართება, დაადგინა ის წყაროები, რამლებითაც სარგებლობდა ანტონი თავისი გრამატიკის შედგენისას, და ცალკე წიგნად წარმოგვიდგინა კრიტიკული ანალიზი და შეფასება ანტონის გრამატიკული ნააზრვისა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალთახედვით. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მან გამოსაკემად მოამზადა ანტონის გრამატიკის ორივე რედაქციის მთლიანი ტექსტი დღემდე ცნობილი ყველა ხელნაწერის გათვალისწინებით. რადგანაც პირველი რედაქციის ნუსხეები შედარებით ცოტაა და თანაც ვარიანტული სხვაობები ამ ნუსხეებს შორის ორთოგრაფიული და მორფოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მეორე რედაქციის ნუსხეებს შორის (მეორე რედაქციის ნუსხეები თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან), მას გაუთვალისწინებია ამ რედაქციის ყველა მეტ-ნაკლებად სრული და სანდო ნუსხა, რომელთა რაოდენობა რვაშდე აღწევს. ძირითად, სამუშაო ნუსხად მიუჩნევია ხელნაწერი A—531 და ნაშრომში გრამატიკის ტექსტების ციტირებისას ის არის ხოლმე დამოწმებული. ავტორის ცნობით, როგორც პირველი, ისე მეორე რედაქციების ხელნაწერთა დაწერილებითი აღწერილობა წარემძვანება ანტონის გრამატიკის ნაბეჭდ ტექსტს.

სარეკენზიო ნაშრომი „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“ 8 თავისაგან შედგება. ესენია: 1. ანტონის გრამატიკის რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის (გვ. 11—21); 2. გრამატიკის რაობის გაგებისათვის ანტონ პირველის გრამატიკის მიხედვით (გვ. 22—27); 3. ფონეტიკა და ორთოგრაფია (გვ. 28—77); 4. მორფოლოგიური საკითხები ანტონ პირველის გრამატიკაში: სახელები (გვ. 78—122); ზმნა (გვ. 123—179); საწყისი და მიმდებარეობა (გვ. 180—189); უფორმო სიტყვები და ნაწილაკები (გვ. 190—197); 5. სინტაქსი (გვ. 198—229); 6. სამი სტილის თეორია ანტონის გრამატიკაში (გვ. 230—237).

<sup>1</sup> ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1970.

გამოკლევას წინ ერთვის შესავალი (გვ. 1—10), ბლოში კი — დასკვნები (გვ. 238—259) და რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე (გვ. 260—287).

გრამატიკის ორივე რედაქციის გულდასმით შესწავლისა და ურთიერთშედარების შედეგად ნაშრომში დადგენილია, რომ პირველი რედაქცია შედგება წინასიტყვაობისა და სამი ძირითადი ნაწილისაგან. პირველსა და მესამე ნაწილს დარჩული აქვს თავ-თავისი დამატებებიც, რომელთაც „სიმეტნე“ ეწოდება. მეორე რედაქცია საკითხების დალაგებითა და მსჯელობითაც პირველს იმეორებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ რედაქციაში შეტანილი აღარაა პირველი ნაწილის დამატება და სამი სტილის თეორია. ამავე დროს, ავტორის დაკვირვებით, დებულებები აქ გაცილებით უფრო დახვეწილი, დამაჯერებელი და კატეგორიულია, ნაკლებია სიკრელე ორთოგრაფიული თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ანტონის გრამატიკის პირველი რედაქცია დაიწერა მხითარ აებასტიელის სომხური გრამატიკის გავლენითა და გამოყენებით, მეორე რედაქცია კი წარმოადგენს პირველის შეესებულ-შესწორებულ სახეს, რომელშიც, გარდა მხითარის გრამატიკისა, მოშველიებულია აგრეთვე ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენის გრამატიკები. ეს გარემოება რამდენჯერმე არის აღნიშნული პირველ რედაქციაში თვით ანტონის გრამატიკის ორივე რედაქციის წინასიტყვაობაში და შემდეგ სპეციალურ ლიტერატურაშიც. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სახელდობრ რაში გამოიხატა სომხური გრამატიკის გავლენა, ან რა მიმართებაა ანტონის გრამატიკის ორივე რედაქციას შორის, ამის შესახებ დღევანდლამდე კონკრეტულად არაფერია ნათქვამი. სომხური ენის საფუძვლიანი ცოდნის წყალობით ე. ბაბუნაშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ძნელად გასაგები მხითარ აებასტიელის გრამატიკა და მასთან ანტონის გრამატიკის ორივე რედაქციის შედარების გზით მან დაასაბუთა და აშკარად ნათელი გახადა, რომ „თუმცა ანტონის გრამატიკის პირველი რედაქცია აღნაგობით მხითარის გრამატიკის თითქმის ზუსტი ასახვაა, მეორე კი ამ მხრით პირველს მიჰყვება, შესაბამისი ნაწილებისა და თავების დასათურების შედარება, ერთი მხრით, მხითარის გრამატიკისა და, მეორე მხრით, ანტონის გრამატიკის პირველ და მეორე რედაქციებს შორის, ცხადყოფს, რომ, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, შეინიშნება განსხვავებაც, რაც, ვფიქრობთ, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ანტონმა მეტ-ნაკლებად შექლო თავი დაეღწია სომხური გრამატიკოსის გავლენისათვის იქ, სადაც მას ქართული ენის თავისებურებების გათვალისწინება უხდებოდა“ (გვ. 21).

ნაშრომში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ანტონის გრამატიკის მიხედვით ფონეტიკური და ორთოგრაფიული საკითხების კვლევას. აქ ნაჩვენებია, რომ ეს საკითხები, ისე როგორც ყველა ფილოლოგიურ გრამატიკაში, ისე მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთთან, რომ მათი გამოიყვანა უკლებელია. ანტონის მიხედვით „წიგნი“ (ასო) თითქოს ბგერის აღმნიშვნელი ნიშანია, თუმცა, როგორც ავტორი საგანგებოდ შენიშნავს, ანტონს, ისევე როგორც ყველა მის თანამედროვე გრამატიკოსს საერთოდ, უკირს ბგერისა და ასოს (ე. ი. წარმოთქმულისა და დაწვრილის) ერთმანეთისაგან გამოიყვანა და ამიტომ მისი გრამატიკის ორივე რედაქციაში ტერმინები „წიგნი“ და „ასო“ ხშირად აბსოლუტური სინონიმები არიან როგორც ბგერის, ისე ასოს მნიშვნელობით.

ბგერები ანტონს დაყოფილი აქვს ხმოვნებად და თანხმოვნებად. ხმოვნები, თავისი მხრით, დაყოფილია გრძელ, მოკლე და შუა ხმოვნებად, თანხმოვნები

კი — ნანევაზბოვნებად, უზმოებად და გაორკეცებულ თანხმოვნებად. თანხმოვნების ეს კლასიფიკაცია, ე. ბაბუნაშვილის დაკვირვებით, ბერძნულს მისდევს, ამიტომ ანტონის გრამატიკაში დასახელებული ბგერები ხშირად ვეპაჟმაყოფილებენ საკლასიფიკაციო ნიშნის მოთხოვნილებებს. მისი აზრით, ასევე ბერძნულიდან მომდინარეობს თანხმოვნების დაყოფა „სხვკმოვან“, „საშუალ“ და „ლიტონ“ თანხმოვნებად.

ავტორი ყურადღებას აქცევს აგრეთვე იმ გაჩემობას, რომ ანტონის გრამატიკაში მოცემულია თანხმოვნების კლასიფიკაცია წარმოების ადგილის მიხედვითაც. ეს არის ბაგისმიერი, კბილისმიერი, სასისმიერი და ხორხისმიერი თანხმოვნები. რაც შეეხება საკუთრივ ხმოვნების (ა, ე, ო, უ, ი) წარმოქმნას, მათ შესახებ არაფერია ნათქვამი, ოღონდ აღნიშნულია, რომ უ არ არის ქართული ენისათვის დამახასიათებელი ხმოვანი.

საყურადღებოდ გვეჩვენება ავტორის მიერ მორფოლოგიური საკითხების ანალიზის შედეგად მიღებული შემდეგი დასკვნები:

1. ანტონის გრამატიკაში შემჩნეულია და ძირითადად სწორად არის კლასიფიცირებული ქართული ბრუნების თავისებურებანი, სახელდობრ: ა) მიუხედავად იმისა, რომ, ანტონის აზრით, რვა ბრუნეაა, მეორე რედაქციაში ის არსებითად უარყოფს ისეთი არასპეციფიკური ბრუნვის არსებობას ქართულში. როგორცაა შემასწავლბითი, რომელიც ფორმის მიხედვით სახელობითის აბსოლუტური ფარდია; ბ) რაკილა ანტონმა ვითარებითა ბრუნეა ცალკე არ გამოყო. სწორია ამ ბრუნვის მიცემითა დაკავშირება; გ) სწორია აგრეთვე ფუნქციით მოთხრობითი ბრუნვის გათანაბრება სახელობითთან და იმის აღნიშვნა, რომ მოხსრობითი არ არის ირიბი ბრუნეა; დ) არ გამოჩენია ანტონს არც არსებითი სახელების კუმშვა და კვეცა; ე) საჯანგებოდ არის ხაზგასმული ის გარემოება, რომ ქართულში არსებითად ერთი ბრუნეაა კვაქვს; ვ) სწორად არის გამოყოფილი აგრეთვე ბრუნვის ნიშნები (ძირითადად ძველა ქართულის ენობრივ მასალანე დაყრდნობით). ანტონი უგულბებლყოფს ფონეტიკურ ფაქტორს და ბრუნვის ნიშნების შეზადგენელ ნაწილბად თვლის ემფატიკურ ხმოვანსა და ზოგჯერ ფუძის უქანასკნელ ბგერებსაც, ამიტომ თითოეული ბრუნვის ნიშნისათვის საკმაოდ ბევრი სახეობა გამოუდის. ენის სისტემის სინქრონიული შესწავლის თეალსაზრისით ასეთი მიდგომა, ე. ბაბუნაშვილის რწმენით, მეცნიერულად ფასეული ჩანს.

2. მიუხედავად უცხო ენათა გრამატიკების გავლენისა და მთელი რიგი შეცდომებისა, ავტორის აზრით, ანტონმა შეამჩნია და აღწუსხა ქართული ზმნის დამასასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურებები, სახელდობრ: ა) ყურადღება მიაქცია სუბიექტისა და ობიექტის შეუთავსებლობას ზმნის ფორმაში; ბ) აღნიშნა ზმნის მრავალპირიანობა ქართულში; გ) -ინეზ- მაწარმოებლთან ერთად აუცილებლად მიჩნია ა- თავსართი ზმნის კალსატიურ ფორმებში და შენიშნა, რომ ასეთი ფორმები ყოველთვის სამპირიანია; დ) გამოყო ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია — ზმნის მნიშვნელობის (კვლა: ე) ჩამოთვალა ზმნის კველა მწკრივი, სადაც შესაძლებელია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა, და საჯანგებოდ მიუთითა ამ გარემოებაზე; ვ) „მაყუარან“ და მსგავს ფორმებში ანტონისათვის სუბიექტი („მოქმედი“) მიცემითი დასმული სახელია, ობიექტი კი სახელობითი დასმული სახელი, ე. ი. ანტონმა ფაქტობრივად პირველმა აღიარა საკუთრივ ინვერსიული ზმნების არსებობა ქართულში:

) სწორად გამოყო პირის ნიშნები (როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური);

თ) კარგად გაერკვა, ერთი მხრით, გარდაუვალი და გარდამავალი და, მეორე მხრით, ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნების თურმეობითების წარმოების თავისებურებებში; ი) ყურადღება მიაქცია -ავ და -ამ სუფიქსებიანი ზმნების პარალელურ, თემისნიშნიან და უთემისნიშნო წარმოებას თურმეობით პირველში და უპირატესობა თემისნიშნიან ფორმებს მიანიჭა; კ) აღნიშნა ზოგი ზმნის თავისებურება (ვარ, ვპზი, ვიტყვ, ხვალ, მოვედ) და სხე.

სარეცენზიო ნაშრომში ზმნის უღვლილების საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ნაჩვენებია, რომ ანტონს შეუძმჩნეველი დარჩა ოდ-იანი ზმნების თავისებურება ძველ ქართულში, როგორც ჩანს, იმიტომაც, რომ მას, საერთოდ, გაუქიარდა ძველი ქართულის ოთხი მწკრივის (უწყვეტლის, I ბრძანებითის, უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის) ფორმების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ავტორის აზრით, ანტონის მიერ უწყვეტლის ფორმის რიგ შემთხვევებში ნამყო სრულად გამოცხადება, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ნეულებრივ დასახელებულია ან ისეთი ზმნები, რომლებიც წყვეტლის ფორმებს ვერ აწარმოებდნენ და ამიტომ უწყვეტელი მათთვის ერთადერთი ფორმა წარსულისათვის, ან ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მხოლოდ დ-ონით ნაწარმოები უწყვეტლის ფორმები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ავტორის ვარაუდით, ანტონი შეცდომაში შეიყვანა ი-ს უქონლობამ. არ არის გამოცხადებული, რომ დ-ონიანი უწყვეტლის წყვეტილად ჩათვლა გამოწვეული იყოს დ-ონიანი ვნებითის არასწორი კვალიფიკაციით.

ავტორის ცნობით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ ქართულში არსებულ ზოგიერთ ფორმას, ანტონს გამოყენებული აქვს ძველი ქართულის თითქმის ყველა მწკრივი: აწმყო, უწყვეტლის ხოლმეობითი, I კავშირებითი, წყვეტლი, II კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი, სპორადულად: აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტელი, I ბრძანებითი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი (არა ჩანს მხოლოდ III კავშირებითი). შეცდომაც მას იქ მოსდის, რადგანაც მის დროს ძველი ქართული ენობრივი მოვლენები უკვე მკვდარია და ამას გარდა, ენობრივი ინტუიცია მას ახალი ქართული ენის მოდელებს უკარნახებს (ამიტომაც არის გაპარული პარადიგმებში ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები).

ნაშრომში დაწერილებით და თანმიმდევრულად განხილულია აგრეთვე სინტაქსის საკითხები. ავტორს საყურადღებოდ მიაჩნია ანტონის სინტაქსური შეზღუდვებები იმით, რომ მან სწორად გაიგო და აღწერა ქართული კონვერსიის არსი (და მისი შედეგები სინტაქსური თვალსაზრისით; შეამჩნია და საგანგებოდ აღნიშნა, რომ ქართულში ქვემდებარე სამ ბრუნვაშია (სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში); შენიშნა, რომ პირდაპირი ობიექტი (ანტონის ტერმინით „ძიება“ ან „საძიებო“) ქართულში ხან წრფელობით ბრუნვაშია, ხან მიცემითში, განსხვავებით ევროპული ენების პირდაპირი ობიექტისაგან, რომელიც მუდამ შემასმენლობითშია.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ ანტონის თული, ნარევი და ხელოვნური ენა, მეტადრე მისი გრამატიკული ტერმინოლოგია, დიდად აძნელებს ქართული გრამატიკის გაგებასა და ჩეროვან შეფასებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასევე რთული და ძნელად ასათვისებელი მსითარ სებასტიელის სომხური გრამატიკა. ე. ბაბუნაშვილის დიდი დამსახურებაა, რომ იგი კარგად გაერკვა ორივე გრამატიკაში და თავისი გადმოცემითა და კომენტარებით გასაგები და ხელმისაწვდომი გახადა მკითხველისათვის: ნაშრომ-

ში საქმის ცოდნით გამოვლენილია როგორც საკუთრივ ანტონის მიერ შემოღებული გრამატიკული ტერმინები, აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენენ სომხურ გრამატიკაში ხმარებული სათანადო ტერმინებისა. მოცემულია ბევრი მათგანის სწორი და დამაჯერებელი ანალიზი. დავასახელებთ ორიოდ მაგალითს. ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციაში „სავანის“ მაგიერ ნახმარია სიტყვა „წინჩამოვდება“, რაც, ავტორის აზრით, შესაბამისი სომხური ტერმინის *սասկայ* (= „სავანი“) სიტყვასიტყვითი გადმოთარგმნის შედეგია: *սս* = „წინ“ + *սკայ* (= *սისკარს*) = „დავდება“, „ჩამოვდება“. გრამატიკაში დადასტურებული „შინავანსჯამ“ ანტონს გაუკეთებია სომხური *სწխարասამ* ტერმინის შემადგენელი ნაწილების სიტყვასიტყვითი გადმოტ. ნით: *სწ* = „შინა“ + *ს* + *არს* (*ს*) = „ანსჯ“, „სჯ“. ავტორის დაკვირვებით, „სწმითვარდ. სჯვით“-ც. ს. გ. უშუალოდ თარგმანია სომხური *սմարայական* = ის. (ან წარმოები): *սმ* (*ს*) = „სწმ“ + *არს* (*არს*) = „გადასვლა“ + *არს* = „ითი“ (შეღრ. ას. გ. ქართ. „მზრობლავ“-ს. ს. მ. *կქსას*, ქართ. „ქვეწამთ“-ს. ს. მ. *სწმარს* და სხვ.). რაც შეეხება ანტონის „მკვლელს“ (სომხურ გრამატიკოსს, რომელიც მკვლელნი, იგი პირდაპირ. უთარგმნელად, აქვს გადმოღებული სომხური გრამატიკიდან: *მკვლელნი* ნიშნავს „გრამატიკას“, *მკვლელ* — „გრამატიკოსს“.

ასეთია, ზოგადად, ე. ბაბუნაშვილის დასახელებული ნაშრომის ძირითადი დებულებები და მიღებული შედეგები. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გაეამახვილოთ მონოგრაფიის ისეთ ადგილებზე, რომლებიც შენიშვნებს იწვევს:

1. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ავტორს ანტონის გრამატიკა შეუწამებია მხითარის სომხურ გრამატიკასთან და სათანადო დასკვნებიც ამის მიხედვით გამოუტანია. მაგრამ, როგორც ცნობილია, ანტონმა პირველ რედაქციაში ლათინური ენის გრამატიკოსებიც მოიშველია, მეორე რედაქციის წინასიტყვაობაში კი იგი ბერძნული, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენის გრამატიკოსებსაც ასახელებს. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, აჯობებდა, რომ ავტორს ანტონის გრამატიკა შეედარებინა აგრეთვე სხვა ენების (თუნდაც ბერძნულ და ლათინურ) გრამატიკებთან, მაგრამ მას, როგორც თვითონ აცხადებს, ამგვარი რამ ზედმეტად ჩაუთვლია იმის გამო, რომ „... ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიური გრამატიკის სისტემას ემყარებოდა ევროპული ენების ყველა გრამატიკა და არ შეიძლებოდა ამ გავლენას ასცდნოდა მხითარიც, რომელიც ენეციკლიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა“-ო (გვ. 16).

ცნობილია, რომ ქართული გრამატიკის მეორე რედაქცია ანტონის რუსეთში მოგზაურობის შემდეგაა დაწერილი. რუსეთში ყოფნისას ანტონს ქართულად ბევრი წიგნი გადმოუღია, ფილოსოფიასა და გრამატიკაშიც დახელოვნებულია. ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, სასურველი იყო ავტორს შედარების მიზნით და მიმართების დასადგენად გაეთვალისწინებინა იმ დროს რუსეთში ექვე არსებული ლომონოსოვის გრამატიკა. ნაშრომი კიდევ უფრო მოიგებდა, რომ მის ავტორს ანტონის გრამატიკა შეედარებინა აგრეთვე მომდევნო პერიოდის ქართულ გრამატიკებთან, რომლებიც, მართალია, მეტწილად ანტონის გრამატიკის დიდ გავლენას განიცდიან, მაგრამ ზოგჯერ მისგან თვალსაჩინოდაც განსხვავდებიან. ამით ავტორი წარმოაჩენდა საერთოს თუ განსხვავებულს და იმ დამსახურებას, რითაც ანტონს გარკვეული ადგილი უჭირავს ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

2. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარეცენზიო ნაშრომში ანტონის გრამატიკის კრიტიკული ანალიზია მოცემული. შენიშვნები მეტწილ შემთხვევაში სწორი და სამართლიანია, მაგრამ გვხვდება ისეთი საყვედურებიც, რომლებიც ჩვენ დაუმსახურებლად მიგვაჩნია:

ა) ანტონს პირველი რედაქციის წინასიტყვაობაში ჩამოთვლალ მეტყველების ნაწილთა შორის დასახელებული აქვს თანდებულებიც, რომელიც, მისი აზრით, ხან წინ დაერთვის სახელს და ხან — ბოლოში. ე. ბაბუნაშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ეს რევერანსია სომხურისა და, საერთოდ, იმ ინდოევროპული ენების მიმართ, რომლებზედაც ანტონს ხელი მიუწვდებოდა. ანტონმა იმის თქმა ვერ გაბედა, რომ ქართულში წინდებულები საერთოდ არა გვაქვს...“ (გვ. 20, შნშ. 17).

აქ „რევერანსია“, „თქმა ვერ გაბედა“ და ამგვარი გამოთქმები ჩვენ შეუფერებლად გვეჩვენება, მით უფრო, რომ თვით ავტორს სხვა ადგილას გარკვევით აღნიშნული აქვს, რომ „ანტონი ბრმად არ მისდევდა მხითარის გრამატიკას და ქართულის თავისებურებებს ანგარიშს უწყევდა“ (გვ. 111). ამასთან დაკავშირებით მთლად სწორი არ არის ავტორის მეორე შენიშვნა: „მიუხედავად იმისა, რომ ანტონი ხმარობს ტერმინ „თანდებულ“-ს, ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ თითქმის ყველა „თანდებული“ მის მიერ დამოწმებულ მაგალითებში სახელის წინ არის მოთავსებული, როგორც ჩანს, ევროპული და, კერძოდ, სომხური ენის გავლენით“ (გვ. 191, შნშ. 213). ცნობილია, რომ ანტონის გრამატიკა არსებითად ძველი ქართული ენის გრამატიკაა, რასაც თვით ე. ბაბუნაშვილიც არ უარყოფს (გვ. 188, შნშ. 211). ძველ ქართულში კი თანდებულთა (თუ ზმნისართთა) ერთი ნაწილი, რომელიც ანტონს აქვს დამოწმებული, მართლაც, სახელის წინ დაისმოდა, ზოგი კი სახელის წინაც იხმარებოდა და ბოლოშიც. ასეთები, მაგალითად, შორის, წინაშე, ქუეშე, შემდგომად, ვიდრე, მარჯულ, ვითარცა და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანტონს სრულიად სამართლიანად შინა, ურთ, კერძო თანდებულები სახელის შემდეგ აქვს დასაწვდებული. თვით სახელწოდებისა და განსაზღვრის მიხედვითაც ჩანს, რომ, პირიქით, ანტონი ამ შემთხვევაში ორიგინალობას იჩენს და ევროპული და, კერძოდ, სომხური ენის გავლენას ნაკლებ ვანიცდის და მხითარისაგან განსხვავებულ განმარტებას იძლევა. იგი წერს: „თანდებულნი რომელნიმე არიან სახელთა წინათ დასმულ და რომელნიმე უკანით და გვაროვან ჰყოფენ დანიშნულებისამებრ რაჲმესა“ (იხ. სარეცენზიო ნაშრ., გვ. 190). რაც შეეხება იმას, რომ თვით ანტონი გრამატიკის სათაურებში თვს თანდებულს ჰმარბად ხმარობს წინდებულად, ეს, მართლაც, შეიძლება სომხურის წაბძევით იყოს გამოწვეული.

ბ) ანტონს თავისი გრამატიკის პირველ რედაქციაში „ნაცვალსახელის“ მაგარი ნაშარი აქვს ტერმინი „ნაცვალსახელი“, რაც, ე. ბაბუნაშვილის აზრით, სომხურ გრამატიკაში ნახმარი შესაბამისი ტერმინის *ყჩაყახი*-ის მცდარი გაგებას წვდევია. იგი წერს: „ანტონს, როგორც ჩანს, ამ სიტყვის პირველი ნაწილი თანამედროვე გამოთქმით *!ააჰ* (= „ნაელი“) -დ წაუკითხავს“ (გვ. 119). უაუოდ საინტერესო დაკვირვებაა, ოღონდ ავტორის ამგვარ გაგებას მაინც ახლავს გარკვეული დაბრკოლებები. ჯერ ერთი, ჩვენთვის უცნობია, სადაურ თანამედროვე გამოთქმას გულისხმობს იგი, როცა წერს: „ანტონს სომხური *ყჩაყახი*-დ წაუკითხავს“. რამდენადაც ჩვენ ხელი მიგვიწვდება, არც თანამედროვე და არც ანტონისდროინდელ გამოთქმაში თავიანთი მკლერი *ყ*

შ-დ არ გამოითქმის, მით უფრო ისეთ სიტყვაში, რომელშიც საამისო არაერთარი ფონეტიკური პირობები არ არსებობს. მეორეც, ძნელი დასაჯებელია, რომ ქართული ენის გრამატიკის ავტორს, რომელიც ასე თუ ისე კარგად ერკვევა სომხურ გრამატიკულ ლიტერატურაში და რომელიც ზოგჯერ სიტყვასიტყვითაც კი თარგმნის ძნელად გასაგებ ტერმინებს, ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, უბრალო შეცდომა დაეშვა. ანტონი ხომ მხითარის გრამატიკის მიხედვით თხზავდა ზოგ ტერმინს, იქ კი ყველგან გარკვევით *ჟსჟანსჟ* ეწერა. მას არ შეეძლო ნებისმიერად ამ სიტყვის თავიკიდური დ, გინდაც გამოთქმის მიხედვით, ყრუ თ-დ წაეკითხა და ამით სხვა მნიშვნელობის სიტყვა მიეღო. ეს ჩანს იქიდანაც, რომ იმავე პირველ რედაქციაში ანტონს აგრეთვე ნახმარი აქვს ტერმინი „ნაცვალსახელი“: „ხოლო ნაცვალსახელისა მის... ჩუჭულ არს ნაცულად სახელისა ქცევაჲ“ (იხ. სარეცენზიო შრ., გვ. 119). ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ანტონს თავის გრამატიკაში „ნაცვალსახელის“ მსგავსად შედგენილი სხვა ტერმინიც მოეპოვება, ესაა, მაგალითად, „ნაკლზმნა“, რომელსაც „სახელზმნის“ პარალელურად ხმარობს: „... ვითარ იგი არიან ზმნანი უჩინონი, ნაკლზმნანი, სახელზმნანი და მიმლეუბები. მაქცეველნი ვითარცა ზმნანი“. ავტორს ამასთან დაკავშირებით აღნიშნული აქვს, რომ ამ შემთხვევაშიც ანტონი მხითარის *ჟსჟანსჟ*-ს (= „ნაცვალზმნა“) უსწორო თარგმანს იძლევაო (გვ. 182, შნშ, 204). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ როგორც პირველი, ისე მეორე ტერმინი ანტონის გრამატიკაში შეცდომით კი არა, შეგნებულად არის ნახმარი? ანტონმა კარგად იცის, რომ ნაცვალსახელი იბრუნების, ოღონდ თავისებურად, ჩვეულებრივი არსებითი სახელისაგან განსხვავებულად. მას შემჩნეული აქვს, რომ ზოგი ნაცვალსახელი, მაგალითად, შე ამ ფორმით ოთხი ბრუნვის ფუნქციით იხმარება. შენიშნული აქვს, რომ ეს, ეგ და იგი ნაცვალსახელები ბრუნებისას ფუძეს იცვლიან და სხვ. (სარეცენზიო შრ., გვ. 121—122). ე. ი. ნაცვალსახელი, მართალია, სახელია, მაგრამ სახელური ზოგი თვისება აკლია (აქედან: „ნაკლსახელი“). ასევე, ანტონის აზრით, საწყისის მოეპოვება სახელის კატეგორიებით, მაგრამ მას აქვს „ზმნად გაპიროვნების“ უნარიც და ზმნის ზოგი კატეგორიაც. გვარი და ზმნისწინი (სარეცენზიო შრ., გვ. 180). ე. ი. საწყისის, მართალია. გააჩნია ზმნური თვისებები, მაგრამ ბევრი ზმნური კატეგორია აკლია. ჩვენი აზრით, შეიძლება ამით აიხსნას ანტონის გრამატიკაში ნაცვალსახელისა და ნაკლსახელის, აგრეთვე სახელზმნისა და ნაკლზმნის პარალელური ხმარება. ამ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს ავტორის დებულებაც, რომ „ანტონის გრამატიკაში გრამატიკული ტერმინები ჯერ კიდევ არ არის ნათლად გარკვეული და ჩამოყალიბებული და ამიტომ ერთი გრამატიკული ცნების აღსანიშნავად ჩვეულებრივია რამდენიმე გრამატიკული ტერმინის გამოყენება“ (გვ. 203—204).

გ) ანტონის გრამატიკის მიხედვით უ ხმოვანი ხან უ-დ გამოითქმის და ხან ვინს ენაცვლება. მაგალითად, სიტყვაში „შეყურებაჲ“ უ-ს ვინის ძალა აქვს, თანხმოვნისაკენ იხრება. ასეთ შემთხვევაში უ-ს ზევით „ბრჭგუს“ ნიშანი დაეხმის (სარეცენზიო შრ., გვ. 51). სახელთა ბრუნებისას ნათესაობითსა, მოქმედებითსა, დაწყებითსა და თანდებულთან მიცემითში ეს უ ვ-დ იქცევა (წვსა, წვთა, წვსაგან, წვსა მიერ). ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „მოსალოდნელი იყო, რომ აქაც ანტონს უ-ს „გაბრჭგუება“ აღენიშნა ი-ს წინ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ანტონი შეცდომაში შეიყვანა ვ-ს დაწერილობამ. ეს გარემოება კი კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ანტონი ვერ მიჩნავს

ერთმანეთისაგან ბგერასა და ასოს...“ (გვ. 51, შნშ. 52). ჩვენთვის გაურკვეველია, ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში ანტონს როგორ უნდა აღენიშნა უ-ს „გაბრჭყვლება“ ი-ს წინ, როცა იგი მომდევნო ხმოვანთან ერთად შერწყმული სახით — ვ ნიშნით — არის წარმოდგენილი ისევე, როგორც ეს ძველ ქართულში იყო. აქვე, ნაშრომის მეორე გვერდზე, აკი თვით ავტორი შენიშნავს: „მეორე რედაქციაში ანტონი ვ-ს შესახებ ამბობს, რომ ეს ვ მარცვლის შემქმნელია (სიტ-ყ-ვს-ა)...“ (გვ. 53, შნშ. 55).

დ) 213 გვერდზე (შნშ. 227) ავტორი ანტონის გრამატიკის პირველი რედაქციიდან იმოწმებს ადგილს: „ხოლო ოდესმე უდიდესი კერძო უფალი ზმნისა... და ძიება აღიყუანებიან სხვსა და სხვსა მიმართ სქესისა“, უდარებს სომხურ წყაროს და შენიშნავს, რომ „მხითარის *გაჲ მსიქ მასიხ* (= „უმეტეს შემთხვევაში“) ანტონს გაუგია როგორც „უდიდესი კერძო“. ასეთი გაგება ანტონისა, ჩვენი აზრით, მცდარი არ არის. ძველ ქართულში, განსაკუთრებით კი საშუალო საუკუნეების ენაში, კერძო-ს რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „კერძო ეწოდების ნაწილსა რისამე, გინა ნახევრად სათქმელსა, გინა მხარესა“. კერძო-დან შემდეგში ნაწარმოებია კერძი, რომლის მნიშვნელობაა „წილი“. ისტორიულ დოკუმენტებში ჩვეულებრივია გამოთქმები: „ჩემი კერძი მამული“, „მისი კერძი სახლ-კარი“ და ს.ვ. ამგვარად, კერძო ნიშნავს „ნაწილს“, ამასვე ნიშნავს სომხ. *მასი, ე. ი. ანტონის მიერ ნახმარი „უდიდესი კერძო“* იგივეა, რაც „უდიდესი ნაწილი“, რაც ზუსტად შეესაბამება სომხურ შესიტყვებას *გაჲ მსიქ მასიხ*.

3. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ზოგჯერ კმაყოფილდება მხოლოდ ანტონის გრამატიკული ნააზრების გადმოცემით და არ იძლევა სათანადო ენობრივი ფაქტების სრულყოფილ ანალიზს. ზმნების უღვლილებაზე მსჯელობისას ანტონი ენებითი გვარის მაწარმოებლად ი-სთან ერთად ასახელებს ვ-საც, როდესაც თხრობითი კილოს ნამყო სრულისა და მყოზადის მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმები ენებითისას ემთხვევა (შევიყუარი // შევიყუარავი, შევიყუარე // შევიყუარავე, შევიყუარო // შევიყუარავო) (იხ. სარეცენზიო შრ., გვ. 129—130, 164). ენებითის ამ ნიშანს ანტონი გამოყოფს სახელზმნაშიც, რომელსაც, მისი აზრით, გვარის კატეგორია მოეპოვება (მოქმედებითია „ნათლისლება“, ენებითია „ნათლისლება“) (იხ. სარეცენზიო შრ., გვ. 180). ავტორი ორივე შემთხვევაში, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს, თუ საიდან და როგორ შეიძლება ანტონის გრამატიკაში ვ ენებითის ნიშნად გაჩენილიყო ხელოვნურად შეთხზული სათანადო მაგალითებით. ჩვენი აზრით, ასეთი გაუგებრობის წყარო შეიძლება იყოს სომხური, რომელსაც სწორედ ამ ადგილას ენებითის ნიშნად ვ მოეპოვება როგორც ზმნის პირიან ფორმაში, ისე სახელზმნაშიც.

4. სარეცენზიო ნაშრომში აქა-იქ დასტურდება დაუზუსტებელი ადგილები:

ა) ავტორის გადმოცემით, ანტონის გრამატიკაში „საკუთარი სახელი აღნიშნავს განუყოფელ, ინდივიდუალურ, ცალკე არსებულ საგანს“ (გვ. 83). ასეთი კომენტარი მთლად ზუსტად არ წარმოგვიდგენს ანტონისეულ განსაზღვრას. მის გრამატიკაში იკითხება: „კერძობითი იგი სახელი... არს, რომელიცა ერთსა განუტრელსა და განუკუთელსა საქმესა „ჭნიშენიდეს“. როგორც ვხედავთ, ამ განმარტების მიხედვით იგულისხმება არა „ინდივიდუალური“, „ცალკე არსე-



ბული საგანი“, არამედ „განუყოფელი და განუკვეთელი საგანი“, რაც სათანადო შესატყვისია მხითარის განსაზღვრებისა: „*მათოსი ზ, ირ ვძი ანროძა-ნსიქს ლ ჟინწათაჲსიან ჯრ ზჯანასქ*“.

ბ) ავტორი ანტონის გრამატიკის პირველი რედაქციიდან იმოწმებს ადგილს: „ოღესმე სახელი ზმნისა და ძიება მისი ზედმოღებულ იყუნენ ერთისა და მისვე საქმისა მიმართ, წარსწერს ვითარმედ, რომელსა ჰნიშნავს სახელი ზმნისა...“ და უკინშნავს, რომ ამ კონტექსტში ზმნა „წარსწერს“ ანტონს შეეცდომით აქვს ნახმარი: მხითარის გრამატიკაში სათანადო ადგილას იკითხება *ჟრსქქ* (= „თითქმის“), რომელიც ანტონს „წერა“ ზმნის პირიან ფორმად ჩაუთვლია და გადმოუთარგმნია როგორც „წარსწერს“. ეს საინტერესო დაკვირვება მთლად ზუსტი არაა. ზემოთ დამოწმებულ კონტექსტში ანტონს *ჟრსქქ*-ს ნაცვლად მხოლოდ „წარსწერს“ კი არა აქვს ნახმარი, არამედ „წარსწერს ვითარმედ“, ე. ი. მას სომხურ *ჟრსქქ* სიტყვაში *ჟრს* მიუღია „წერა“ ზმნის პირიან ფორმად; *ქქ* კი — „ეითარმედ“ კავშირად.

გ) როგორც ცნობილია, ანტონს ბრუნვათა რიგში ვითარებითი შეტანილი არა აქვს. ამასთან დაკავშირებით ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ვითარებითი ბრუნვის ნიშნების მიცემითი ბრუნვის ნიშნებად გამოცხადება, ე. ი. მიცემითი ბრუნვის ვითარებით ბრუნვასთან დაკავშირება, სრულიად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 8, შწმ. 120).

ფუნქციურად ვითარებითის დაკავშირება მიცემით ბრუნვასთან, თუკი ანტონს ეს ესმოდა ისე, როგორც თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, რა თქმა უნდა, სრულიად ვასაგებია, მაგრამ ვითარებითი ბრუნვის ნიშნების მიცემითის ნიშნებად გამოცხადება, ჩვენი აზრით, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

დ) ავტორის ცნობით, ანტონის მიერ ხმარებული „გაგონება“ ზუსტად თარგმანია მხითარის *ქათუოს*-ისა — „ცნება“, „მნიშვნელობა“, „შინაარსი“, „გონება“. „ქეუა“, „აზრი“. მხითარს, როგორც ჩანს, „ცნების“ ან „მნიშვნელობის“ შინაარსით აქვს ნახმარი, ანტონს კი „გაგონებად“ უთარგმნია, რადგანაც *ქათუოს* მ-მღეობაა *ქათარაქ* ზმნისა. რომელიც სხვა მნიშვნელობასთან ერთად „მოგონება“-საც ნიშნავს (გვ. 133, შწმ. 156). სწორია, რომ *ქათუოს* მიმღეობაა *ქათარაქ* ზმნისა. მაგრამ მხითარის გრამატიკაში იგი ნახმარია არა „ცნების“ ან „მნიშვნელობის“ შინაარსით, არამედ — „გაგონების“ მნიშვნელობით, ამიტომ ანტონის გრამატიკაში უფრო მოსალოდნელი იყო „გაგება“ და არა „გაგონება“.

ე) 92 გვერდზე ავტორი შენიშნავს: „ძნელი სათქმელია, ანტონის „შორსმდგომებითი“ უღრის თუ არა სომხურის *ჰსკეციქსიან*-ს და არის თუ არა რაიმე მიმართება...“. ჩვენი აზრით, სომხ. *ჰსკეციქსიან*-ის შესატყვისად (რამდენადაც ამაზე მიუთითებს ამ ტერმინის პირველი შემადგენელი ნაწილი) ანტონის გრამატიკაში უნდა ყოფილიყო „შორისმდგომებითი“.

ვ) 228 გვერდზე (შწმ. 235) ავტორი სომხური *ჟაროჯიქსიან* სიტყვის ასეთ ანაღაზს იძლევა: *ჟაროჯ* „მარტივი“ + *არაქსიქ* „თხრობა“ შემადგენელ ნაწილებად ამ სიტყვის დაშლა სწორია, მაგრამ *არაქსიქ*-ის ქართული თარგმანი მთლად ზუსტი არაა.

49 გვერდზე (შნშ. 49) სომხური სიტყვა *სიღესქაქსან* განმარტებულია როგორც „ცნობა“, „შეცნობა“, „ცოდნა“. ორი უკანაკსნელი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში შეუფერებელი ჩანს.

ბ) სომხური *სუქაგაოსი* და *სამანგაოსან* ტერმინების ანალიზისას, მათი შემადგენელი ნაწილების დაშლისას დაშვებულია ასეთი უზუსტობანი: *სუქა* = „შინა“ + *ს* + *გაა(ს)* = „გან(ჯა“, „სჯა“ (გვ. 68, შნშ. 85); *სამ(ს)* „სხმა“ + *ს* + *სხუ (ანს)* = „გადასვლა“ + *სიან* = „ითი“ (გვ. 112, შნშ. 132). უნდა იყოს: *სუქა + გაა(ს)*, *სამ(ს) + სხუ(ანს)*.

სარეცენზიო ნაშრომში, სამწუხაროდ, გვხვდება ანტონის გრამატიკიდან დამოწმებული ვრცელი ამონაწერები, რომელთაც არ ახლავთ სათანადო კომენტარები. ქართულ და სომხურ ენებზე ამონაწერებს ზოგან ნაშრომის მთელი გვერდები უჭირავს (იხ. გვ. 38, 39, 40, 69, 76, 77, 131, 233—234—235). ზოგჯერ წინადადებები შუაში ისეა გაწყვეტილი ფრაზილებსა და ბრწყალებში ჩასმული ანტონისა და მხითარის გრამატიკებიდან დამოწმებული ადგილებით, რომ ავტორის მსჯელობის გაგება რთულდება.

მსჯელობის თვალყურის დევნებას აძნელებს სქოლიოებში ჩატანილი დიდი რაოდენობის შენიშვნები, რომლებიც ზოგჯერ ერთი გვერდიდან მეორეზე გადადის, არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა ტექსტში მიწერილი შენიშვნის ნომერი ერთ გვერდზეა, თვით სქოლიო კი გადატანილია მეორე და ზოგჯერ მესამე გვერდზეც კი (იხ. გვ. 75—76, 66—67, 63—64, 59—60, 87—89).

ამ მოზრდილ შრომაში, კერძოდ ქართულ ტექსტში, კორექტურული შეცდომები თითქმის სულ არაა, მაგრამ ამ რიგის ხარვეზებს თავი უჩენია სომხური წყაროდან დამოწმებულ მასალაში. ზოგან გამორჩენილია მსაზღვრელი ნაწილები: *ზი ყი ირყეყ ააარსიკ სუ* (გვ. 29, შნშ. 27); *დი ირყი ლეჯი საყყაყან* (გვ. 87); *დეტასან სიყანასი ჭ* (გვ. 144); *მსხუ სუ ქანსიქ* (გვ. 70); *ქიქსი საათის ძაღი* (გვ. 39)... ზოგან ერთი ნიშანი ან მთლიანად სიტყვა მგორითაა შეცვლილი: *სნიოანუ ქიოე* (გვ. 81); უნდა იყოს: *ქიოიე*; *ყიან, სიქსი* (გვ. 145); უნდა იყოს: *ყიან, სიქსი*; *ყიქსიყიანუ საყიან* (გვ. 58); უნდა: *ყიქსიქსიანუ საყიან*; *სამაროსი* (გვ. 64); უნდა: *სამაროსი*; *ყოთარასიან* (გვ. 91); უნდა: *ყოთარასიან... სიქსი ამანსი* (გვ. 131); უნდა: *სიქსი ამანსი*. ნიქსი-ნიქსი დაშვებულია შემდეგი სიტყვების დაწერილობაშიც: *ყოთარასიანსი* (გვ. 151); უნდა: *ყოთარასიანსი*; *ყოთარასიანსი* (გვ. 66); უნდა: *ყოთარასიანსი*; *ყოთარასიანსი* (გვ. 78); უნდა: *ყოთარასიანსი*; *ყოთარასიანსი* (გვ. 143); უნდა: *ყოთარასიანსი*.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ე. ბაბუნაშვილის ნაშრომა „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“ საყურადღებო გამოკვლევაა, რომელშიც მოცემულია პირველი ქართული გრამატიკის ორივე რედაქციის საფუძვლიანი ანალიზი სათანადო წყაროებისა და ხელნაწერების გათვალისწინებით. სარეცენზიო ნაშრომს, რომელიც ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობის ნაყოფია და რომლიდანაც აშკარად ჩანს მისი ავტორის მაღალი ენათმეცნიერული განათლება და საფუძვლიანი ცოდნა ძველი ქართულისა, ძველი სომხურისა, ძველი ბერძნულისა და სხვა ევროპული ენებისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადრინდელი ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში და, ამდენად, იგი კარგ შენაძენს წარმოადგენს.

## ქრონიკა და ინფორმაცია

### საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიძღვნილი

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიძღვნილი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მორიგი XIV სამეცნიერო სესია, რომელიც მიმდინარეობდა ხელნაწერთა ინსტიტუტის სააქტო დარბაზში 1972 წლის 14—15 ივნისს.

სესიაზე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. შოშიაშვილმა წიკითხა მოხსენება „საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი“. მოხსენებელმა მოკლედ მიმოიხილა საბჭოთა კავშირის სახეარსაუკუნოვანი ისტორია. ილაპარაკა ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის ისტორიულ პირობებზე. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებს საბჭოთა საქართველოს არსებობის პერიოდში.

შემდეგი მომხსენებელი იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. ქავთარია. მისი მოხსენება ეხებოდა ქართული საბჭოთა არქეოგრაფიის განვითარების გზებს 50 წლის მანძილზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართული ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების არქეოგრაფიული შესწავლა მყარ მეცნიერულ ნიადაგზე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დადგა.

ქართული ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების შეგროვება ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო შეიქმნა სხვადასხვა მუზეუმი, რომლებშიც ძირითადად თავი მოუყარეს იმ საგანძურს, რომელიც დღეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

ცალკეული პირების ინიციატივით დაიწყო ხელნაწერთა დამუშავება და მეცნიერული აღწერა. თედო ჟორდანიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, იაფიკო კარიჭაშვილი და სხვა იყვნენ ის ერთ-ერთი ასაკი, რომლებმაც იყირს უკვე შეგროვებული კოლექციების აღწერა.

თ. ჟორდანიძემ და მ. ჯანაშვილმა შეადგინეს და გამოაქვეყნეს ყოფილი საკლესიო მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობის ორი ტომი ექვთიმე თაყაიშვილმა ასევე ორ ტომად გამოაქვეყნა ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთსაცავის ხელნაწერების

კრებული აღწერილობა. ცალკეული ხელნაწერის შესახებ იმდროინდელ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა ვრცელი და საინტერესო ცნობები. მაგრამ ყველაფერი ეს ოქტომბრის რევოლუციამდე იყო გაკეთებული.

ქართული ფილოლოგიის დონის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნა ხელნაწერთა აღწერილობების მიმართაც. გაზრდილ სამეცნიერო მოთხოვნილებას უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა არსებული აღწერილობანი და კატალოგები, რამაც, ბუნებრივია, ახალი აღწერილობების შედგენის საკითხი დააყენა. ხელნაწერთა აღწერის სპეციალური ინსტრუქცია 1939 წელს დამუშავდა ივანე ჯავახიშვილიძემ. ივანე ჯავახიშვილის ინსტრუქციის მიხედვით დაიწყო ყოფილი საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერების აღწერა, რომლის პირველი ტომი გამოქვეყნდა 1946 წელს, ხოლო ბოლო მეექვსე ტომი 1953 წელს გამოვიდა. ამ მასალის დამუშავებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბარამიძე და სხვ.

1958 წელს აკად. ს. ჯანაშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი. მისი პირველი დირექტორის აწ განსვენებული პროფ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობით გაფართოვდა არქეოგრაფიული სამუშაოები, დაზუსტდა, შეიესო და გაერცელა ხელნაწერთა აღწერილობის ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც დღესაც მუშაობს ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიული განყოფილება.

„აღწერილობა“ დღეს მარტო კატალოგურ ცნობებს აღარ გულსხმობს. აღწერილობაში მოცემულია თვით ხელნაწერის ისტორია, გახსნილია ხელნაწერის რაობა, შესასწავლობის ფარგლებში გარკვეული აღსაწერი თხზულების რედაქციულობა და მოცემულია სრული ბიბლიოგრაფია.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების შესწავლა-დამუშავება სწორედ ამ პრინციპით ხდება. ხელნაწერთა აღწერილობებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ელ. მეტრეველი, ქრ. შარაშიძე, ლ. ქუთათელაძე, ნ. კასრაძე, თ. ენუქიძე, ა. ბაჭრაძე, თ. ბრეგვაძე, მ. შანიძე, ლ. ქაჯია, ც. ქაჩიავი, მ. ქავთარია.

დღეს ხელნაწერთა აღწერილობებზე პროფ. ელ. მტრეველის ხელშეკრულებით მუშაობს ინსტიტუტის არქეოგრაფიული განყოფილების ერთი ქვეთე.

დღემდე გამოქვეყნებულია ქართული ხელნაწერთა აღწერილობის 16 ტომი. ხელნაწერების არქეოგრაფიული შესწავლა აქტიურად მიმდინარეობს მარკისის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში და ცენტრალურ არქივში. დასახელებულ დაწესებულებათა კოლექციების აღწერილობანი კარგა ხანია დისტამბა და საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი.

ქართული ხელნაწერები თბილისის გარდა და-ცულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში — ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, თელავში, გორში, გეგუკორში, მესტიაში, ცავერში — და ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

ქუთაისის მუზეუმის მეტად საინტერესო ხელნაწერები (ყოფილი გელათის მონასტრის კოლექცია) პირველად აღწერა აკად. კ. კეკელიძემ. კ. კეკელიძის აღწერილობა არ გამოქვეყნებულა. იგი კვლავ აღწერა და ორი ტომი გამოაქვეყნა ე. ნიკოლაძემ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი ცალკე წიგნად ამზადებს სამხარეთმცოდნეო მუზეუმში დაცული ხელნაწერების მეცნიერულ აღწერილობას.

ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში და სალტაოვ-შჩერაინის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია ქართული ხელნაწერების საინტერესო ფონდი, ძირითადად ე. წ. ბატონიშვილების კოლექცია. მათი აღწერილობა შეადგინა რ. ორბელია და უკვე გამოაქვეყნა პირველი ტომი.

ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციას შედარებით უყუთესი ტრადიცია აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ევ. თაყაიშვილის, თ. უორდანიას, ნ. ბერძენიშვილის და სხვ. როლი, მაგრამ ერთი საერთო გეგმით გამოქვეყნება ჰქონდა არ ხდებოდა. გასული წლიდან ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის თანხმობით დაიწყო მუშაობა ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის მომზადებაზე. კორპუსის პირველი ტომი გადაცემულია გამომცემლობაში. გრძელდება მუშაობა შემდეგ ტომებზე.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ე. აბაშიანიშვილის მოხსენებაში „ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“ და „შევირილი“ (ნოველის საკითხისათვის) წარმოდგენილია ნოველის ეანრის განმარტებულ თაყისებურებათა დადგენის ელა. ავტორის აზრით, ნოველისათვის, პირველ რეგზე, დამახასიათებელი უნდა იყოს მიზანდასახულობისა და განსახილველად კამიზნული დრამატისებული მასალის შემო-

ფარველა, თემა მარტო ამ თაყისებურებათა გამო მიინე ვერ ხერხდება ნოველის გამოცალკეება მოთხრობისაგან, რადგან ეს თაყისებები მოთხრობასაც შეიძლება ახასიათებდეს. ამიტომ ნოველის გამოყოფა დამოუკიდებელი ეანრად მხოლოდ მაშინ იქნება მოსახერხებელი, თუ მოცემდება ისეთი ნიშანი, რომელიც მას განასხელებს შემოფარგული მიზნისა და შემოფარგულებით დრამატისებული მასალის შემცველი მოთხრობისაგან.

ამ მიზნით მომხსენებელმა განიხილა ნ. ლორთქიფანიძის ნოველა „ტრაგედია უგმიროდ“ და მოთხრობა „შევირილი“, რომელთა შედარებითი ანალიზის შედეგად დაასკენა, რომ ნოველაში დასმული მიზანი, განსხეებით მოთხრობისაგან, მეთხველამდე მიტანულია საკუთითეურად იცაფრი ემოციური ეფექტის გზით.

ასეთი ეფექტის მიღწევა კი, ავტორის შეხედულებით, შესაძლებელია, ერთი მხრივ, შემოფარგული და დრამატისებული მასალის თეომოური ნაწარმოების ერთ ფუნქში, ხოლო, მეორე მხრივ, განუწყვეტელი დამაბულობით; დინამიკობითა და გამაფრებული ემოციებით.

უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. მამაკაშვილმა ილაარა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ახლად შემოსული „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მე-17 საუყუნის ხელნაწერებზე (Q—1440). ხელნაწერი შეიცავს „შაჰ-ნამეს“ ლექსით ვერსიას, ქართული „ფრილონიანის“ (პროზაულის) დასაწყის ნაწილს, „უთრითიანის“ აქამდე უცნობ ახალ ლექსით ვერსიას, გვიანდელ პროზაულ „ზაქიანსა“ და „როსტომიანის“ ერთ ნაწილს.

Q—1440 ნუსხას აჩნია გვიანდელი რესტავრატორის ხელი, რომელიც საკმოდ კარგად ცოფილა გარკვეული „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების წარმომავლობის საკითხში. რედაქციული თეასაზრისით ესა ერთადერთი ნუსხა, სადაც მთლიანობაშია წარმოდგენილი ფრილოუსის თხზულებიდან მომდინარე „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები.

უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის ია გახილიძის მოხსენება ახალი მასალები ქართველ გადამწერთა ერთი ოჯახის შესახებ ესებოდა მწიგნობარ ანა ერისთეისშვილ-მაყაშვილის ოჯახს, რომელიც ემსახურებოდა ხელნაწერი წიგნების გადამწერისა და მათი შეგროვების საქმეს.

XII ს. დასაწყისის კანონიკური სამართლის ორიგინალური ძეგლის რუის-ურბნისის კრების „ეველისწერის“ ავტორის ეინაობის დადგენის ედას წარმოდგენს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ე. გაბიძაშვილის მოხსენება „რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ავტორის ეინაობისათვის“. ძეგლში დაცილი რე-

ალიების საფუძველზე თხზულების ავტორად მჩნეულია არსენ კალიბოსელი, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობის ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული არ ყოფილა. მეორე მხრივ, „ქეგლისწერის“ წყაროების ანალიზის შედეგად გამოთქმულია სარწმუნო ვარაუდი, რომ არსენ კალიბოსელი და არსენ იყალთოელი ერთი და იგივე პიროვნებაა. მომხსენებელმა მასალის ანალიზის საფუძველზე კარგად დაასაბუთა, რომ რუს-ურბნისის კრების „ქეგლისწერის“ ძირითად წყაროს წარმოადგენს „დიდი სკელისკანონის“ ქართული თარგმანი. ამ ფაქტზე დაყრდნობით კი მომხსენებელს არსენ იყალთოელის მიერ „დიდი სკელისკანონის“ ქართულად თარგმნის თარიღი სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული 1114 წლიდან XI საუკუნის მიწურულში გადააქვს.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ც. ჭღამაიას მოხსენება მიეძღვნა მიქაელ მოდრეკილის იადგარში დადასტურებულ ერთ ტერმინს „მოკაშუმუს“. ავტორის ვარაუდით ტერმინი „მოკაშუმუსი“ სავაობდლის ძველი თარგმანის გადაკეთება-გადამუშავებასა და ძლისიპირის მიხედვით მის ზუსტად გამართვას უნდა გულისხმობდეს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს X—XI საუკუნეების ჰიმნოგრაფიული მასალა.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ (თვ.შ.მოდარე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. შარაძე) თავისი მორაგე IV სამეცნიერო სესია მიუძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

სესია ჩატარდა 1972 წლის 5—6 ოქტომბერს, რომელზეც წაითხუთა იქნა 15 მოხსენება. მოხსენებები აშუქებდნენ ქართული ლიტერატურის ისტორიის, ტექსტოლოგიის, პოეტიკის, რუსთველოლოგიისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მრავალ საინტერესო საკითხს.

ჭ. გაგნიძემ განიხილა „ეფემისიტყაოსნის“ ეპიკური და ეპორემისული უნერული თარგმანები“. მომხსენებლის დასკვნით, აზრობრივ-შინაარსობრივი აღეკვადრების თვალსაზრისით ეფემისიტყაოსნის ორივე უნერული თარგმანი საბალოეს იქნეს პოემის ქართულ დელანთან. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა შ. ეეორემისული თარგმანი, რომელშიც უფრო იგრძნობა ორიგინალის სიტყვიერი ფაქტურის მქსიმალური გადმოცემისკენ სწრაფვა.

ბ. დარჩიას მოხსენება ეხებოდა ეფემისიტყაოსნის ხელნაწერის ორ ფურცელს, რომე-

უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თ. მგალობლიშვილის მოხსენება „ქირილე იერუსალიმელის „სიტყვების განცხადებისათვის“ ქართული თარგმანის წყაროს საკითხი“ შეეხო ძველ ქართულ „მრავალთავებში“ დაეულ ამ ავტორის თხზულებათა წარმოშობის საკითხს. ავტორი აღგენს, რომ ქართული ეეროსის უშუალო წყაროა ბერძნული. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით ქართული მისდგეს ბერძნულს და განსხვავდება სომხურისაგან. გარდა ამისა, ბერძნული ეეროსის გველენით აიხსნება ქართულში გადმოსული პირთა და გეოგრაფიული სახელებების ფორმა, კომპოზიტთა აგებულება და სიტყვათა რიგი წინადადებაში.

ანასეული ქართლის ცხოვრების დათარიღების საკითხს შეეხო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. შოშიაშვილი. ავტორი ასკენის, რომ ხელნაწერი Q—795, რომელიც ჩვენ დღეს ხელა გვაქვს, პალეოგრაფიული ნიშნებით თარიღდება XVI—XVII სს. მიწნით. ეს ხელნაწერი არაა ანასეული ქართლის ცხოვრების პირი. ეედანი კი არ შემონახულა. ეს ახალი ვარაუდი სხვაგვარად აუენებს „ანასეული ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის საკითხს.

ლ.ე. შემოგენისა ანტონ ბაგრატიონის „მაოტირიკოს“ კრებულმა (II—176). ფრაგმენტები გლაწერილი ჩანს XIX ს. I მეოთხედში, დასლოებით 1812—1825 წლებში. ტექსტი მომდინარეობს ვასტანგასეული გამოცემიდან.

XVII ს. უკრაინა-რუსეთის გ.მოწენილმომღვწემ პეტრე მოგილა 1623—43 წლებში იაწერა ლეგზატეურა ხასიათის თხზულება „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“. რ. შიჩინაშვილმა შეისწავლა მისი სამი ქართული თარგმანი, რომელიც ეეუთენს არჩილ მეფეს, ნაელოს თბილელს და XIX ს. უენის ქართულ მთარგმნელს. ქართული თარგმანის წყარო რუსული რედაქციაა. რ. შიჩინაშვილის დასკვნით, პეტრე მოგილა პირველი უკრაინელი წერალია, რომლის ნაწარმოები (რუსულის ენათ) ითარგმნა ქართულ ენაზე.

გ. შარაძის მოხსენებაში განხილული იყო ტატუსისა და ცეცრონის ძველა ქართული თარგმანები, კერძოდ „ანალები“, „ტუსეულნერი საენერება“ და „ბუენების-თვის დუთისა“. ოარგმანები შესწავლებულია თეიმურაზ ბაგრატიონის ბიერ არა ლათინური ორიგინალიდან, როგორც ეს დღემდე იყო ცნობილი, არამედ პ. პოსელიციას რუსული თარგმანიდან (სპბ,

1805—1806 წწ.) და ანონიმური „ღოგმატიკური ღმრთისმეტყველების“ მიხედვით.

მ. კუჭუხიძის, ნ. უბილაეას, მ. ბიბილეთის, ს. ჯეღიძისა და თ. ნუცუბიძის მოხსენებები ეხებოდა ქართულ-უცხოურ ლიტერატურულ ურთიერთობებს: „ბაირონი და XIX ს. ქართული ლიტერატურა“, პ. სენკევიჩის პირველი ქართული თარგმანები“, „წონ სინჯის „გმირი“ ქართულ სცენაზე“, „სენტემენტალიზმის ზოგიერთი თავისებურებანი“, „გ. ქიქოძე — კრიტიკოსი და მთარგმნელი“.

ნ. ანდრონიკაშვილის, ი. დობორჯგინიძის, თ. ჩაველიშვილისა და მ. ნატრიაშვილის მოხსენებებში გაშუქებული იყო ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ალ. ყაზბეგის, გ. წერეთლისა და დ. კლდიაშვილის შემოქმედებითი შემკვიდრებისა და მათი ახალი ტექსტოლოგიური მეთოდებით შესწავლის ცდები.

გ. კობონელიძე და თ. დოიაშვილი პოეტიკის სპეციალური საკითხებით არიან დაინტერესებულნი. „მხატვრული ენის თავისებურების საკითხები“ და „ლექსის ეფუონიის ზოგიერთი საკითხი“ — ამ მათი მოხსენებების იუმა.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ პროფესორები: ს. ყუბანეიშვილი, ა. კენჭოშვილი, ს. ცაიშვილი, ა. ხინთიბიძე, ი. ლოლაშვილი, დ. ლაშქარაძე, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს სესიაზე წარმოდგენილ ახალგაზრდა მეცნიერთა, ლაბორანტთა და ასპირანტთა შრომებს. მათ აღნიშნეს, რომ ახალგაზრდობამ მრავალ საგულისხმო დაკვირვებასა და შენიშვნასთან ერთად გამოაქვინა კარგი მცენიერული მუშაობის ჩვევები და კვალიფიციური მომზადების დონე.

სესიის მუშაობის შედეგები შეაჯამა ინსტიტუტის დირექტორმა აკად. ალ. ბარამიძემ.

## აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ხსოვნას



მამამთავართაგანი

ემირობა, მეცნიერის ნამდვილი შემოქმედებითი გემირობა — მხოლოდ ასე თუ შეიძლება ეწოდოს აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ცხოვრებასა და შემოქმედებას, ვამბობთ ჩვენ, მაგრამ ასეთი უჩვეულო ადამიანების, ცხოვრება და შემოქმედება რომ განუყოფელად ერთიანია. ამიტომაც ასე უსაზღვროდ დიდია ხოლმე მათი ნამოღვაწარი. ისინი, როცა მამამთავრები, იწყებენ და ხშირად იმოდენა მოცულობისა და მნიშვნელობის საქმეებს აკეთებენ, რაიორსაც შემდეგ მთელი ინსტიტუტები ვეღარ ახერხებენ. ასეთ უჩვეულო ადამიანებს ხშირად თითქოს ბუნებაც კი დააცლეს ხოლმე, ხან რძალივ სიციხისკენ ახუქებს, მათი შობელი ხალხის საკეთილდღეოდ.

საბედნიეროდ ასე ხანგრძლივი შემოქმედებითი სიციხისით იცოცხლა ამ უჩვეულო ადამიანაც, ქართული ხელოვნების მეცნიერული ისტორიის მამამთავარმა აკადემიკოსმა გიორგი

ჩუბინაშვილმა, იმ პირველი ქართული მეცნიერების მამამთავარმა წარმომადგენელმა, რომელიც დიდი იტალიელი ჯაგონიევილი წარუძღვა ამ სიბერე საუკუნესა წინათ, ამ დიდებულმა ადამიანებმა ბედნიერი შეთანხმებით გაინაწილეს საქართველოში დიდი რეცინორანის თითქმის ყველა დარგის საფუძვლის ჩაყრისა და გაძლიერების სამედიცინო-მედიკალინო საქმე.

ქართული მეცნიერული აზროვნების სახელი და დიდება პირველად იმ უჩვეულო ადამიანების ვერაფრით გაიქცა მსოფლიოს დიდ სიერეებში. მათი დიდებული წარმომადგენელი იყო აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, რომლის დაკარგვა მთელი ქართული სამედიცინო კულტურის ნამდვილად აღსაზღვრებელი დანაკლისია.

ირაკლი აბაშიძე,

საქართველოს სსრ რეცინორანთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

მეცნიერების კორიფა

ცოტა ყოფილა საქართველოს ისტორიაში ისეთი მეცნიერი, მეკლევარი და საზოგადო მოღვაწე, როგორც იყო აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილი, რომელმაც 87 წლის ასაკში გამოეთხოვა მის დაწვევულსა და ბრწყინვალედ გაზრდილილ საყვარელ საქმეს — ქართული ხელოვნების საკითხების საფუძვლიან შეწყველასა და გამოქვეყნებას.

მეცნიერებაში ხშირად ყოფილა იმისი მაგალითი, რომ მკვლარ შეხედულებას ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის შესახებ დიდხანს კეთნოდეს გაააჯღი. ერთი ასეთი მკვლარი შეხედულება დიდხანს იყო საქართველოს ხელოვნების რაობის შესახებ, განსაკუთრებით ძველი მეკლევარების ნაწერებში. ქართული ხელოვნების ძეგლებს განხილავდნენ როგორც ბიზანტიისა ან სომხეთის ძველენით შექნილ ძეგლებს, რომელთაც თითქოს თავისი ეროვნული სახე არ გაჩნდებოდა, საჭირო იყო, რომ ეს მკვლარი აზრი, რომელიც აქამოდ განმტკიცებული და გაფრთხილებული იყო სპეციალურ ლიტერატურაში, ვისმე გადაესხვა საფუძვლიანად. გაბათილებნა, სიმართლე აღვადგინა და ქართული ხელოვნების დამოუკიდებლობა და თ-ი თავებობა სათანადო რეკლამით სააუთენტი დოკუმენტებთან და დავადგინა, ასეთი საბატიო მისთვის შესრულება წილად ხვდა გიორგი ჩუბინაშვილის, რომელმაც თავისი სიცოცხლის საკმაოდ ხანგრძლივ მანძილზე მოიპოვა სამეცნიერო მიზნით მთელი საქართველოს კუთხეები, რომ თავისი თვლით ენახა, აღვიცილობრივ უმუშაოდ შეეწავლა ძეგლები, არქიტექტურისა იქნებოდა, ფერწერისა თუ მცირე ხელოვნებისა, შეესწავლა თვითთული ძეგლის თავისებურებანი და დავადგინა მათი ადგილი ქართული ხელოვნების ისტორიაში.

დღი ნიჭი და შეუღლებული დამაბული მუშაობის წყალობით, თანაც დაასრული მონისიაკენ მუდმივი სწრაფივით მან შეძლო დიდი საქმის გაკეთება, საფუძვლი ნიუყარა ქართული ხელოვნების მეცნიერულ შეწყველას, შექნდა ქართული სკოლა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, დაარსა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად ის იყო მუდამ, ინტერტთან დაარსა საეცნიერო ბეჭდვითი ორგანიზაცია, აღზარდა მრავალი სპეციალისტი, რომელთა ანაკო სოფი თავის გარშემო შემოიკრიბა ინსტიტუტში.

გ. ჩუბინაშვილი ტიტანია მეცნიერებაში, რომლის კლამს მრავალი ნაშრომი ეკუთვნის, მათ შორის დიდტანანი გამოკვლევები, სადაც საფუძვლიანად არის გარჩეული ცალკეული ძეგლები, რამაც მას დიდი მეცნიერის სახელი მოუხვეჭა. აღსანიშნავია, რომ კახეთის არქიტექ-

ტურა მან მთლიანად შეისწავლა და ორი დიდი ტომი უძღვნა მას.

სპეციალურ ლიტერატურაში მწკავედ დგას საკითხი ამა თუ იმ ერის ძეგლების ეროვნული ხასიათის შესახებ. გ. ჩუბინაშვილმა ამ საკითხის უძღვნა სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც მეცნიერმა ვაარჩია სამი ძეგლი, სამივე შეცამეტე საუკუნისა, რომელთაგანაც ერთი იყო საქართველოდან, ერთი ბიზანტიიდან და ერთი სომხეთიდან.

ამ ცნობილი ძეგლების ლეტალური ანალიზისა და შედეგების ვზით მან ცხადყო, რომ ქართულ ტაძარს თავისი ეროვნული ხასიათი აქვს, ბიზანტიურს — თავისი და სოხურსაც თავისი.

გ. ჩუბინაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა როგორც ფერწერის, ისე ოქრომშეღობის საკითხებს. როგორც ცნობილია, საქართველოში ბლომად მოიპოვება ფერწერის ძეგლებიცა (ურესკები, მინიატიურები) და ოქრომშეღობისაც.

გიორგი ჩუბინაშვილის დიდი დამსახურებაა, რომ მან ამ დარგშიც თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა: მან გამოსცა ორტომიანი გამოკვლევა ქართული ოქრომშეღობის შესახებ, რომელიც სამაგიერო წიგნია სპეციალისტებისათვის. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მანვე გამოსცა ვეგერბოვლა ალბომი, რომელშიც ქართული ოქრომშეღობის ნიმუშები ნატურალური ზომით არის მოცემული.

ცალკეული ძეგლების ჩინებული გამოკვლევის გარდა, გ. ჩუბინაშვილის კლამს ეკუთვნის აგრეთვე ქართული ხელოვნების ისტორია (1 ტომი).

გიორგი ჩუბინაშვილს კარგად ემოდა, რომ ქართული ხელოვნების ძეგლ ბის თავი ებურებანი რომ სათანადოდ წარმოაჩინო და სხვის გააგებნოს, კარგად უნდა იყო ვარკვეული ჩვენს მეზობლებთან — სომხების შლიდარი არქიტექტურული ძეგლების რაობაში, რომლებიც ადგილობრივ უნდა ექონდნენ შეწყველილი და გაძირკვნილი. ამ მიზნით იგი ორჯერ იყო სომხეთში, რასევე სწავლად რაკვალ გამოკვლევა სომხური არქიტექტურის შესახებ.

როგორც აღამიანი, გიორგი ჩუბინაშვილი იყო მშვიდი, უბრალო, ყურადღებანი, უნგარო და მეცნიერებისათვის თავადღებული, მისთვის დამწარ-დაფერხელელი. იმ სწორად ყოფილვარ მსათან ერთად ექსპერიმენტში და სპეციალურ მკვლევარში: ბოლნისში, ნარწმინდაში, სომხეთში, ატენში, ერეგში, შუამთაში და სხვაგან. იე ვესმარბოდი მას წარწერების ამოკითხვასა და მიწარისის გამოკვლევისა.

გ. ჩუბინაშვილი იყო ჩვენი უნევერსიტეტის პირველ იველასინში პროფესორთაგანი, რომ-



მელმაც ქართული მცირე ხელოვნების მრავალ  
ძეგლს მოუყარა თავი უნივერსიტეტში.

რაც ღრო გაეა, მით უურო ნათლად დაინ-  
დება ამ დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანის  
გმირული სახე და მისი ტიტანური შრომით

შექმნილი ბრწყინვალე ფუძემდებელი, გამო-  
კვლევების განუზომელი ღირებულება.

აკაკი შანიძე,  
აკადემიკოსი.

### შპვლავი მკვლევარი

ვიორგი ჩუბინაშვილის მადლიანი მოღვაწეობა  
მთელი ეპოქა ქართული ხელოვნების ისტორიის  
შესწავლის დარკში, რომელსაც მან ჩაუყარა სა-  
ფუძველი სამი მეოთხედი საუკუნის წინათ. ვი-  
ორგი ჩუბინაშვილმა დააფუძნა ქართული ხე-  
ლოვნების ისტორია, როგორც დამოუკიდებელი  
სამეცნიერო დისციპლინა, და უჩვენა მსოფლიო  
მეცნიერებას ქართული ხელოვნების თვითმყო-  
ფი ეროვნული ხასიათი. ჩუბინაშვილმა დაანახვა  
ციერლიზებულ სამყაროს, რომ ბოლნისი და  
ჯვარი, მსხეთის სიონი და ბავრატის ტაძარი  
და სხვა დიდებული ძეგლები ქართული ეროვნული  
გენიის ესეთივე გამოვლენებაა ხელოვნე-  
ბაში, როგორც რუსთაველის უკვდავი ნაწარ-  
მოები — პოეზიაში.

ვიორგი ჩუბინაშვილთან ერთად დღეს ჩვენ-  
თან წაეიდა არა მარტო ქართული და მსოფლიო  
არქიტექტურის ისტორიის დიდი მეკვლევარი-  
მეცნიერი, არამედ აგრეთვე ნამდვილი რაინდი  
და ეროვნული გმირი. იშვიათი ერუდიციის და  
ინტუიციის წყალობით მან შესწო შეეძლია  
ძველ ხუროთმოძღვართა საიდუმლოებაში და  
პასუხი გაეცა კითხვაზე: პოეტს რომ აწუხებდა:  
ინტუ ეინ მოქპარგა, და როცა მოქპარგა შიგ  
მიქპარგ-მოქპარგა გზნება — ნიკორწმიდა!.

გიორგი შვრამთელი,  
აკადემიკოსი.